საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ვიტალი კაკაბაძე

ბოთხოვნილების ფსიქოლოგია

„მეცნიერება“
თბილისი
1988

88 ١٥
ᲓᲐ 171

„მოთხოვნილების ფსიქოლოგია“ თავს უყრის იმ საკითხებს, რომლებიც არსებითადაა დაკავშირებული მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ფაქტის შინაგანი ბუნებისა და ფუნქციის გარკვევასთან. წიგნში დასმულია მოთხოვნილების რაობასთან მიმართების მქონე მრავალი სადავო საკითხი და მოცემულია მათი გადაჭრის ცდა მარქსისტული მეთოდოლოგიის პრინციპული პოზიციიდან.

წიგნი განკუთვნილია ფსიქოლოგებისა და ფსიქოლოგიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი შ. ნადირაშვილი

რეცენზენტები: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ნ. როგავა

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ირ. იმედაძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი
ა. ბრეგაძე

Დ $\frac{0303030000}{М\ 607(0Є)\ -88}$ 223—88

ISBN 5—520—00223—1

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988

ვუძღვნი მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის პროფ. შალვა ნოეს ძე ჩხარტიშვილის ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი ორიგინალურია. ჩვენ არ გვეგულება [illegible]ვა წიგნი დაწერილი მოთხოვნილების ფსიქოლოგიაზე, რომელიც [illegible]ეიცავდა მოთხოვნილების პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხთა [illegible] ფართო წრეს. წიგნში მოცემულია მოთხოვნილების ზოგიერთი [illegible]ობლემის თავისებური გააზრების ცდა და ახალი პრობლემების [illegible]სმაც. საერთოდ, ვცდილობდით მკითხველისათვის რამდენადმე ადეკ[illegible]ატურად გაგვეთვალისწინებინა მოთხოვნილების ფსიქოლოგიური [illegible]ობლემების თანამედროვე მდგომარეობა, შეძლებისდაგვარად ნა[illegible]ლი გაგვეხადა მოთხოვნილების ფენომენალური და ფუნქციური [illegible]ნება.

[illegible] წიგნში არსებითადაა გათვალისწინებული და გამოყენებული [illegible] უზნაძის განწყობის თეორიის პოზიცია მოთხოვნილების ფსიქო[illegible]ოგიის საკითხთან დაკავშირებით. ავტორი იმედოვნებს, რომ ეს წიგ[illegible] ხელს შეუწყობს მოთხოვნილების ფსიქოლოგიური საკითხების შე[illegible]ომ კვლევასა და დამუშავებას.

[illegible] წიგნი, ალბათ, უნაკლო არ იქნება. ავტორი დიდი გულისყურით [illegible]ეკიდება მკითხველის მხრიდან ყოველ საქმიან შენიშვნას.

ავტორი

1. მოთხოვნილების ფენომენი

შემეცნებითი ცნობიერება მოთხოვნილების ფსიქიკურ ფაქტს სხვადასხვა ასპექტით განიხილავს, ცდილობს სწვდეს ამ გარკვეულობის შინაგან ბუნებას განსხვავებულ მიმართებებში. აღნიშნული საქმის ვითარება ენობრივადაც სხვადასხვა კითხვებითაა გამოთქმული: რა არის მოთხოვნილება? რა მნიშვნელობა-ღირებულება აქვს მოთხოვნილებას? როგორ ფუნქციობს ის? რა სახეები თუ რომელობები აქვს მას? და სხვ. მაგრამ ამ მიმართულებით „პირველი საქმე" უკავშირდება თვითონ მოთხოვნილების გარკვეულობის შინაარსის დადგენას; ეს განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია ჩვენი თემისათვის, ვინაიდან ტერმინით — „მოთხოვნილება" — სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია არა მარტო ფსიქიკის სხვადასხვა განზომილება, არამედ იგი არცთუ იშვიათად გამოყენებულია არაფსიქოლოგიური მნიშვნელობის გადმოსაცემადაც. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოთხოვნილების ფსიქოლოგიური შინაარსის აღსანიშნავად უნდა ვერიდოთ სხვა ისეთი ტერმინების გამოყენებას, როგორიცაა: მოთხოვნა, საჭიროება, რომელთაც სავსებით კონკრეტული არაფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვთ; წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვერ დავაღწევთ მოთხოვნილების ფსიქოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებულ ისედაც ბევრ გაუგებრობას*.

საკითხის გარჩევა უნდა დავიწყოთ პასუხის გაცემით კითხვაზე: რას უნდა ეწოდოს მოთხოვნილება? რა არის ის ფაქტიური ვითარება, გარკვეულობა ფსიქიკაში, რომელიც უნდა აღინიშნოს „მოთხოვნილების" ტერმინით? — აქ იგულისხმება მოთხოვნილების ფაქტის

---

* რასაც ჩვენ „მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს" ვუწოდებთ, სხვები მას ზოგჯერ აღნიშნავენ „ლ ტ ო ლ ვ ი ს", „მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ი ს", „მ ო ტ ი ვ ი ს" ტერმინებითაც. ჩვენთვის მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა გვაროვნული ცნებაა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ცნობიერ პროცესებს, მოდალობებს: ლტოლვას, მისწრაფებას, წადილს, გატაცებას და ა. შ. მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა გაგებული გვაქვს როგორც მოთხოვნილების დ ი ს პ ო ზ ი ც ი ა. მოთხოვნილება ქცევის ერთ-ერთი აღმძვრელია და ამ ასპექტით ის, როგორც ამბობენ, იმპულსური ქცევის მოტივის როლს ასრულებს. ამ საკითხების შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

ფენომენალური ბუნების გარკვევა, მოთხოვნილების როგორც ფენომენის დახასიათება.

გასაანალიზებლად ავიღოთ ისეთი ფსიქიკური მოვლენები, რომელსაც ყველა მოთხოვნილების ფაქტებად თვლის, მაგალითად, შიმშილთან ან წყურვილთან დაკავშირებული მოთხოვნილება, რომელიც ბიოლოგიურ მოთხოვნილებად იწოდება: წყლის და საკვების მოთხოვნილება. რა ბუნებას ამჟღავნებენ აღნიშნული ფსიქიკური გარკვეულობანი, ფსიქიკური ფენომენები?

მოთხოვნილება ინტენციონალური ვითარების შემცველია, ის საგნობრივობით ხასიათდება. მოთხოვნილება ყოველთვის რაღაცას მოთხოვნილებაა: მოთხოვნილება საგანს კი არ ქმნის*, არამედ ის საგანს არსებულად გულისხმობს და მისი სწრაფვა სწორედ რომ ამ უკვე არსებული საგნისაკენ სწრაფვაა. საგნობრიობა ამ შემთხვევაში ისეთი კატეგორიაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ საგანს არ გულისხმობს. აქ იგულისხმება საერთოდ მოთხოვნილების ინტენციის საგანი, რომელიც შეიძლება იყოს ფიზიკურიც, სოციალურიც, ფსიქიკურიცა და იდეალურიც (იდეელურის მნიშვნელობით), აქტიც, შინაარსიცა და ფუნქციაც.

მოთხოვნილების ფაქტში, მის სტრუქტურულ მთლიანობაში, ერთმანეთისაგან უნდა გაითიშოს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს (მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი) მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა და ამ მდგომარეობის ი ნ ტ ე ნ ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ს ა გ ა ნ ი, ჩვენ შემთხვევაში წყლის დალევისაკენ ან საკვების მიღებისაკენ (შეჭმისაკენ) მიმართული აქტი, განცდა და თვითონ წყალი და საკვები. ზოგჯერ ამ უკანასკნელს უწოდებენ „ობიექტურ მოთხოვნილებას“ საპირისპიროდ „სუბიექტური მოთხოვნილებისა“, რითაც აღნიშნავენ საკუთრივ მოთხოვნილებით მდგომარეობას. მოთხოვნილება ეწოდება სწორედ სტრუქტურულ მთლიანობით მდგომარეობას, პროცესს, რომელიც ორიგინალურადაა საგნისაკენ მიმართული. „მოთხოვნილებითი მდგომარეობისა“ და მოთხოვნილების „ინტენციონალური საგნის“ ურთიერთგათიშვა აბსტრაქციაა, სტრუქტურული მთლიანობის შემადგენელ მომენტებზე ხაზგასმაა, თუმცა მოთხოვნილებითი მდგომარეობა ლოგიკურად წინ უსწრებს მის ინტენციონალურ საგანს. საგნისაკენ მიმართულების მდგომარეობა, მოთხოვნილების შემთხვევაში, საგნისაკენ სწრაფვის, მისი „ხელში ჩაგდების“, საერთოდ საგანთან რეალური კონტაქტის, შეხების ვითარებაა. მოთხოვნილება ნორმალურ ვითარებაში მანამდე

---

* აქ ლაპარაკია მოთხოვნილების ფსიქოლოგიურ დახასიათებაზე და არა მის საზოგადოებრივ, სოციალურ მნიშვნელობაზე, რაზედაც მიუთითებს კ. მარქსის ცნობილი დებულება: „მოთხოვნილება წარმოებას ქმნის“. მაშინ, როცა მოთხოვნილება წარმოებას ქმნის, მოთხოვნილების საგანია წარმოების შექმნა.

განიცდება ასეთად, სანამ საგანთან კონტაქტის, მისი „ხელში ჩაგდების“ აქტი არ განხორციელებულა, მისი დაუფლებისა და მოხმარების პროცესი არ დამთავრებულა. ამიტომაც აღნიშნავენ, რომ მოთხოვნილება შეიცავს აქტივობის ტენდენციას, რაც აღძრავს სუბიექტს სამოქმედოდ.

მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა, პროცესი არაა ერთ ადგილზე მდგრადი მდგომარეობის განცდა, იგი, როგორც მიუთითებენ, დაძაბულობის ვითარებაა, რომელსაც თან ახლავს უსიამოვნების გრძნობა და აქვს იმპულსი, ბიძგი ინტენციის ობიექტის „ხელში ჩაგდებისაკენ“. როგორც კი მიზანი მიიღწევა, მოთხოვნილება თავის საგანში რეალიზდება (სხვაგვარად, წყლის მოთხოვნილება წყლით კმაყოფილდება), მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა აღიკვეთება. მოთხოვნილების მდგომარეობა, ამ ასპექტით, საპირისპიროა ტკბობის მდგომარეობისა, სადაც ტკბობის პროცესის დროში ხანგრძლივობა სწორედ რომ მისი ინტენციის საგნითაა განპირობებული, ტკბობის საგანი და ტკბობის აქტი დროში პარალელურად მიმდინარე, სიმულტანური პროცესებია, ისინი დროში ერთმანეთს არ სცილდებიან. მოთხოვნილების ვითარება კი ყოველთვის წინ უსწრებს მის საგანთან შეხებას. გარკვეული აზრით შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მოთხოვნილება „დაინტერესებული ჭვრეტაა“ წინააღმდეგ ტკბობის ე. წ. „დაუინტერესებელი“ ვითარებისა.

მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა განსხვავებულია ნეტარების მდგომარეობისაგან იმ კუთხითაც, რომ მოთხოვნილება აქტიურობის განცდაა თვითონ ან, როგორც ამბობენ, „მოთხოვნილება შეკავებული აქტივობის სახით განიცდებაო“. ამდენად, იგი აქტივობის საწყისი და ბიძგია. მოთხოვნილება ქცევის აღმძვრელია, შეიცავს სინამდვილის რამდენადმე განსაზღვრული სფეროსაკენ მიმართული აქტივობის ტენდენციას. მოთხოვნილება ინდივიდის ისეთი, როგორც ამბობენ, „ნეგატიური მდგომარეობაა“, „უსიამოვნო დაძაბულობაა“, რომელიც გულისხმობს საჭიროებას, უქონლობას ინტენციის საგნისას, ამდენად, ის ინდივიდის ქცევას წარმართავს ე. წ. „ნეგატიური მდგომარეობის“ აღკვეთისაკენ. ტერმინები: „ნეგატიური“, „უქონლობა“ ფართო მნიშვნელობით უნდა გაიგებოდნენ — როგორც საერთოდ საჭიროება ინდივიდისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნილებათა ერთი ჯგუფი, რაც უკავშირდება საერთოდ „თავიდან მოშორების“ ვითარებას (მაგალითად, ნარჩენ ნივთიერებათაგან ორგანიზმის განთავისუფლების მოთხოვნილებანი და მისთანანი), გამოითიშება მოთხოვნილებათა სფეროდან.

ნეტარება უძრაობისა და არააქტიურობის მდგომარეობაა, — ის არსებული ფსიქიკური ვითარებით კმაყოფილებაა, სუბიექტს მასთან

დადებითი დამოკიდებულება აქვს. ამიტომ ნეტარების ხანგრძლივი არსებობა სუბიექტისათვის ერთგვარად მისაღებია. სუბიექტი ნეტარების მდგომარეობას ემორჩილება, მისი „ყურმოჭრილი მონაა“, მისი უსიტყვოდ მიმღებია. ნეტარება დადებითი განწყობილებაა, ამ მდგომარეობიდან სუბიექტს არც თვითონ უნდა გამოსვლა და იგი (ნეტარება) ინდივიდს არც უბიძგებს ამ მდგომარეობიდან გამოსვლისაკენ. ამიტომ აღნიშნული განზომილებით მოთხოვნილებასთან დაპირისპირებული ნეტარება „პოზიტიური მდგომარეობაა“.

მოთხოვნილებისა და ყურადღების აქტები იმ მსგავსებას ამჟღავნებენ, რომ ისინი, სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირების საზომით განზილულნი, განიცდებიან მოძრავად; ვითარცა მე-ობრივი ბუნების მქონენი, ისინი მე-დან ამოსულნი „საგნისაკენ სვლადი“ პროცესებია, — ამიტომაა, რომ ყურადღება და მოთხოვნილება თვითკმარი განცდები არ არიან. მეორე მხრივ, ყურადღების ფორმალურობას (რომ ისაა საერთოდ ცნობიერების მზაობა რაიმე შინაარსის მიღებისათვის, რომ თვითონ ყურადღება შინაარსების არჩევას არ ახდენს) უპირისპირდება მოთხოვნილების შინაარსეულობა იმ აზრით, რომ მოთხოვნილება სვლაა რომელიმე კონკრეტული შინაარსისაკენ, რომ მასთან საგნობრიობის მომენტი აუცილებლობითაა დაკავშირებული, — ამიტომაა, რომ არ არსებობს ისეთი, როგორც ამბობენ, განყენებული ანუ ზოგადი მოთხოვნილება, რომელიც არ გულისხმობდეს გარკვეულ ინტენციონალურ საგნობრიობას. მაგრამ მოთხოვნილების ბუნების სპეციფიკას ქმნის მისი ე. წ. უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ უ რ ი ს ა გ ნ ო ბ რ ი ო ბ ა. მოთხოვნილების აქტი ისეთი ბუნებისაა, რომ ის შეიძლება მიმართული იყოს ყოველგვარ ფსიქიკურ და არაფსიქიკურ განზომილებაზე: როგორც შინაარსებსა და პროცესებზე, ასევე ფუნქციებსა და მდგომარეობებზე. უფრო მეტიც, მოთხოვნილების საგანი (შინაარსი) შეიძლება იყოს ყველაფერი — როგორც ცნობიერების შინაარსი, ისე ცნობიერების მიღმა არსებული. საგნობრიობის თვალსაზრისით, მოთხოვნილება უნივერსალურია, თუმცა საგნობრიობის გაცნობიერების დონე მოთხოვნილების სხვადასხვა რომელობებში განსხვავებულია.

ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს მოთხოვნილების ფუნქციობის ფორმალურობის შესახებ. ეს დებულება გულისხმობს მოთხოვნილების გაგებას ისეთ ფსიქიკურ ფუნქციად, რომლის საგანი პრინციპულად ყველაფერი შეიძლება იყოს. რა თქმა უნდა, ეს მტკიცება არ უპირისპირდება ე. წ. თანდაყოლილი მოთხოვნილებების არსებობის ფაქტს, რომ დაბადებისთანავე ადამიანს გააჩნია ბიოლოგიური მოთხოვნილებები გარკვეულ საგანზე, მაგალითად, საკვებზე, წყალზე და სხვ. მოთხოვნილებას ყოველთვის აქვს კონკრეტული საგანი და აღ-

ნიშნულის საწინააღმდეგოდ არაფერი ითქმის. ჩვენი საკითხი ეხება სხვა განზომილებას: მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ს ა გ ა ნ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა გ ა ხ დ ე ს ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი. ამ კუთხით მოთხოვნილების ფუნქცია, როგორც აღინიშნა, ემსგავსება ყურადღების ფუნქციას, ყურადღებაც შეიძლება მიმართული იქნეს ყველაფერზე.

ვფიქრობთ, არაა სწორი დებულება, რომ მოთხოვნილების საგნის გათვალისწინებით, თითქმის, შეიძლებოდეს მსჯელობა მოთხოვნილების ფართო და ვიწრო გაგების შესახებ. სავსებით გამართლებულია ვილაპარაკოთ: „ხედვის ან აღქმის მოთხოვნილების", „მოსმენის მოთხოვნილების", „გარკვეული გრძნობების მოთხოვნილების" და ა. შ. შესახებ, თუ მართლაც რეალურად აღმოცენდებიან და მიმდინარეობენ აღნიშნული მოთხოვნილების ფენომენები ადამიანში, მოთხოვნილების გაჩენის ფაქტი სწორედ აღნიშნულს გულისხმობს [46, 15]. მნიშვნელობის მიხედვით „მოთხოვნილების საგანი" ერთია, ხოლო თვითონ „მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა" — სხვა რამ. მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა სავსებით კონკრეტული სულიერი გარკვეულობაა, რომელიც როგორც ორიგინალური, სხვაზე დაუყვანადი მოვლენა, რა თქმა უნდა, არ მოიცავს და ვერც მოიცავს სხვა ფსიქიკურ რომელობებს, ხოლო ყველა ფსიქიკური რომელობა პრინციპულად შეიძლება გახდეს მოთხოვნილების მდგომარეობის მიმართების საგანი, მისი ობიექტი. რომელიმე ფსიქიკური მდგომარეობის ან ფუნქციის ჩათვლა მოთხოვნილების უპირატეს საგნად გაუმართლებელია. მოთხოვნილების საგნის „არჩევა" ფართო მნიშვნელობით სუბიექტზეა დამოკიდებული და არა თვითონ მოთხოვნილების ფუნქციაზე. თუკი ინდივიდს აღმოუცენდება მოთხოვნილება „ხედვის" ან „მოსმენის" მიმართ, არავის არა აქვს საფუძველი, ეს ვითარება „ხედვის და მოსმენის მოთხოვნილებად" არ ჩათვალოს.

ფიქრობენ, რომ მოთხოვნილებად არ უნდა გამოცხადდეს ყოველი ისეთი განცდადი საჭიროება, რომელიც განპირობებულია მხოლოდ კონკრეტული სიტუაციით, რასაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია ინდივიდში სიმყარისათვის, ე. ი. ის რეგულარულად დროში გარკვეული ინტერვალით არ აღმოცენებულა (რაც ესოდენ დამახასიათებელია თანშობილი და ზოგი შეძენილი მოთხოვნილებისათვის). ასეთ საჭიროებას უწოდებენ მ ო მ ე ნ ტ ი ს ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა ს ხანმოკლე, წარმავალი მოქმედებით, რომელიც შესაძლებელია აღარასოდეს აღარ განმეორდეს ინდივიდის ცხოვრების მანძილზე. მაგალითად, ლიფტის საჭიროება 50-ე სართულზე ასვლისათვის და მისთანები ჩაითვლება თუ არა ეს საჭიროება მოთხოვნილებად? საზომი ერთი შეიძლება იყოს — თუკი ასეთი ვითარების დროს სუბიექტში დასტურდება მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა, „ინდივიდის მიზიდუ-

ლობა საგნისადმი, მოქმედებისადმი ან მდგომარეობისადმი", მაშინ უნდა ვილაპარაკოთ მოთხოვნილების არსებობის შესახებ, იმისაგან დამოუკიდებლად, ის რეგულარულად აღმოცენდება ინდივიდში თუ არა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში საქმეს წყვეტს მოთხოვნილების განცდის ფაქტის არსებობა — არარსებობა და არა მისი სიხშირე, აღმოცენების თავისებურება.

აღინიშნა, რომ მოთხოვნილებითი მდგომარეობა და მისი საგანი განუყრელ ერთიანობას ქმნის. მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის, რომ მოთხოვნილების საგანი განსხვავდება გამღიზიანებლისაგან (ე. წ. „გასაღები", „ასამუშავებელი გამღიზიანებლისაგან"), იმით, რომ პირველი არ არის მკაცრად გათვალისწინებული; ამ შემთხვევაში პოტენციურად იქმნება საკმაოდ ფართო სფერო საგნობრივისა, რომლის საზღვრები თითქოსდა გადარეცხილია. ამიტომაა, რომ ლაპარაკობენ მოთხოვნილების „ერზაცის", ანუ შენაცვლებისა და მოთხოვნილების საგნის „დიფუზურობის" შესახებ, რომელიც შემდგომ დიფერენცირებული ხდება*.

მოთხოვნილებასა და საგანს შორის არსებითი ხასიათის კავშირია, მათ შორის არაა უბრალო გარეგანი, შემთხვევითი კავშირი. სუბიექტი და მისი მოთხოვნილების საგანი პირველად მოხმარებაში ერთიანდება. პირველადი მოხმარების ფაქტში, შესაძლებელია, მოთხოვნილებისა და მისი საგნის კავშირის ერთგვარ შემთხვევითობაზე ვილაპარაკოთ, მაგრამ რაკი ეს კონკრეტული საგანი ორგანიზმის ან ინდივიდის სტრუქტურაში, ასე რომ ვთქვათ, „ჩაჯდება", მისი სტრუქტურული ელემენტი ხდება, მათ შორის არსებითი დამოკიდებულება იქმნება. კ. მარქსი მიუთითებდა „მოხმარება ქმნის მოთხოვნილებასო, როგორც შინაგან საგანსო". მოთხოვნილებით მდგომარეობას, შეიძლება ითქვას, მოთხოვნილებისა და მისი საგნის ე. წ. გათიშვა, განცალკევება წარმოშობს. მოთხოვნილების საგნისაკენ სწრაფვა, გარკვეული აზრით, არის პირველადი ერთიანობის აღდგენის ტენდენცია.

შემჩნეულია ისიც, რომ მოთხოვნილება შეიცავს სინამდვილის იმ სფეროს ერთგვარ „გრძნობისებურ, ბრმა ემოციურ ასახვას", რომელშიდაც მან დაკმაყოფილება უნდა ნახოს. „მოთხოვნილების საგნის უშუალო გრძნობისებური განცდა" ინდივიდის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს: შეუცდომლად ანიშნებს მას, თუ რა უნდა ახლა, რისი მოთხოვნილება აქვს. აღნიშნულისაგან განსხვავდება მოთხოვნილების საგნის ინტელექტუალური ცნობიერება, რომელიც ემყარება პირველადად მოცემულ მოთხოვნილების საგნის „უშუალო

---

* დასტურდება სპირისპირო პროცესიც [101]. სიერთოდ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ.

გრძნობისებურ განცდას". ფიქრობენ, რომ მოთხოვნილებათა რომელობებს ფსიქოლოგიურად სწორედ ეს „გრძნობისებური განცდა" განასხვავებსო [27, 113—114].

მოთხოვნილების არსებობის ფორმაზე, ანუ წესზე აზრთა სხვადასხვაობაა საერთოდ. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მოთხოვნილების ფსიქოლოგიურ ცნებაში უნდა იგულისხმობდეს ცნობიერების დონეზე მიმდინარე, ანუ განცდადი მოთხოვნილების პროცესი, ის ფსიქიკური მდგომარეობა, რომლის ფენომენალური აღწერა ზემოთ იყო მოცემული. ყოველივე იმას, რაც ცნობიერების (განცდის) ფარგლებს გარეთ ძევს, განცდის დონეს ვერ აღწევს, მას, რაც აუცილებელი პირობაა მოთხოვნილების განცდის რეალური არსებობისათვის, მაგრამ თვითონ განცდად მოთხოვნილების ფსიქიკურ პროცესს ჯერ კიდევ არ წარმოადგენს, არ უნდა ეწოდოს „მოთხოვნილება" ფსიქოლოგიური მნიშვნელობით. ზოგჯერ მოთხოვნილების ფსიქოლოგიური შინაარსის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „მიდრეკილება" (ტენდენცია), ანდა მოთხოვნილება გაგებულია როგორც „ადამიანის ფიზიკური ორგანიზაცია" [31, 5]. მიდრეკილებას განსხვავებული შინაარსი უნდა მიეცეს (იხ. მე-3 პარაგრაფი); ხოლო რაც შეეხება მოთხოვნილების გაგებას ადამიანის ფიზიკური ორგანიზაციის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური ორგანიზაციის დონე, რასაც ჩვენ საჭიროებას ვუწოდებთ, ვერ ასრულებს ის ფუნქციას, რაც მოთხოვნილების განცდის არსებითი მომენტია — ბიძგი, იმპულსი საჭიროების დაკმაყოფილებისათვის, ერთგვარი დაძაბულების მდგომარეობა სწრაფვადი განტვირთვისაკენ. მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ცნება სწორედ რომ ცნობიერ (განცდად) ფსიქიკურ მდგომარეობას უნდა ასახავდეს, ამაზე მეტყველებს დაავადების ისეთი ფორმა, როდესაც ორგანიზმს აქვს საჭიროება საკვები ნივთიერების მიღებისა, მაგრამ ამ საჭიროების განცდა ადამიანს არა აქვს გამოვლენილი ფსიქიკური იმპულსის სახით (მოთხოვნილებითი მდგომარეობის სახით), რომელიც აამოქმედებდა ადამიანს ობიექტური საჭიროების დაკმაყოფილებისათვის და ორგანიზმი გამოფიტვით არ დაიღუპებოდა.

მოთხოვნილების ფენომენი, ფიქრობენ, ისეთ ქცევას განაპირობებს, რომელიც საჭიროა მხოლოდ აწმყოსათვის — აწმყოში მოხმარების აქტს. მოთხოვნილება ერთი მიზნით განსაზღვრავს მთელ მოქმეღებას. დაკმაყოფილდეს თვითონ და ამასთან ერთად, რაც მთავარია, სწრაფად, უახლოეს დროში. მოთხოვნილება ვერ აღძრავს ისეთ ქცევას, რომელიც თვითონ არ ემსახურება მისი დაკმაყოფილების საქმეს. თვითონ მოთხოვნილების არსებობა და რეალიზება აწმყოობაა, მან არ იცის ხვალინდელი დღე. დაყოვნება და

თავშეკავება მისი ბუნებიდან გამორიცხულია [79, 119]. ამიტომ, ამ კუთხით, ის განსხვავდება, მაგალითად, განზრახვის ვითარებისაგან, რომელიც პროსპექტული აქტია, მიმართულია მომავლისაკენ. განზრახვა „ითმენს" საგნის დაუფლების დროში გადაადგილებას ისე, რომ ამ ვითარებით აღძრული ქცევა შეიძლება უშუალოდ არც ეხებოდეს მისი ინტენციის საგანს. ინდივიდის მოთხოვნილების ძახილი — „მე ახლა ასე მსურს" უპირისპირდება ინდივიდში ნორმატული ვითარებით (ნებისყოფით) აღძრულ მოთხოვნას — „შენ ასე უნდა გინდოდეს".

ედ. კლაპარედის ე. წ. ფუნქციონალური ფსიქოლოგია დიდ ყურადღებას აქცევს მოთხოვნილების მნიშვნელობას ქცევის კოორდინაციაში. მის მიერ მითითებული „სულიერი ცხოვრების განვითარების კანონი" ადასტურებს, რომ სულიერი ცხოვრების განვითარება პროპორციულია მოთხოვნილების მისაწვდომობაზე დაკმაყოფილებისათვის საჭირო საშუალებებთან, თუკი მოთხოვნილება უშუალოდ კმაყოფილდება (მაგ., სუნთქვა), მაშინ სულიერი აქტივობა არ გამოიწვევა, ხოლო როცა მოთხოვნილების დაკმაყოფილება (მაგ., საჭმელის შოვნა) გაძნელებულია, მაშინ სულიერი აქტივობა სხვადასხვა მხრივ გაშლა-განვითარებას ექვემდებარება.

შენიშნეულია, რომ მოთხოვნილება აღმოცენდება უფრო ადრე, ვიდრე მოთხოვნილების სუბიექტის სიცოცხლეს მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობით უშუალო საფრთხე შეექმნებოდეს. მაგ., შიმშილი ბევრად უფრო ადრე იჩენს თავს, ვიდრე უშუალოდ ორგანიზმის სიკვდილის წინა გამოფიტვის ფაზა დადგებოდეს. აღნიშნულ ვითარებას ედ. კლაპარედმა „წინასწარგანცვრეტის კანონი" უწოდა. ჩვენ ვჭამთ სამი კვირით ადრე, გვძინავს სამი-ოთხი დღით ადრე. ამიტომაა, რომ „ყოველი მოთხოვნილება, რომლის ბუნება ისეთია, რომ ის ვერ იქნება დაკმაყოფილებული უმალ გაჩენისას, აღმოცენდება წინასწარ". ამიტომაცაა, რომ ამბობენ, სულიერი ცხოვრება წინასწარხედვის ფუნქციაა, სიგნალიზაციაა.

მოთხოვნილებას ახასიათებს როგორც „ადამიანის შინაგან პოზიციას", „გაცნობიერებულ დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი". ამასთან „დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს" ცნება გაგებულია იმგვარად, რომ იგი „ყოველთვის აქტიურია" და „გაცნობიერებული დამოკიდებულებაა", დამოკიდებულება, — საპირისპიროდ ცოდნისა, რომელიც თეორიის სფეროა, — პრაქტიკის განზომილებაა. რეალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგაც მოთხოვნილება (მაგ., საკვებისა) ადამიანში მაინც რჩება აქტუალურად, როგორც დამოკიდებულება. ამ მსჯელობით უნდათ გამოთქვან მარტივი და მისაღები აზრი,

რომ მოთხოვნილების საგანი ადამიანისათვის არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგაც. აღნიშნული აზრის გამოთქმა „დამოკიდებულების“ ტერმინის გამოყენებით, ვფიქრობთ, გაუგებრობებს ბადებს.

როდესაც მარქსიზმის კლასიკოსები „გერმანულ იდეოლოგიაში“ [4,29] მიუთითებენ, რომ „დამოკიდებულება“ მხოლოდ ადამიანის თვისებაა და არა ცხოველისა, აღნიშნავს ყველასათვის ცხად ვითარებას, რომ ცხოველს არ შეუძლია სინამდვილესთან მიმართების, დამოკიდებულების საგნობრივი ცნობიერება ჰქონდეს, რომ ის სინამდვილესა და საკუთარი თავის სინამდვილისადმი მიმართებას ცნობიერების საგნად ვერ გახდის.

ადამიანს, მოთხოვნილების სუბიექტს, რა თქმა უნდა, აქვს როგორც მოთხოვნილების, ისე მოთხოვნილების ობიექტის ცნობიერების საგნად გადაქცევის უნარი; მოთხოვნილებისადმი ეს მიმართება, დამოკიდებულება მისი სპეციფიკის მაჩვენებელია. მარქსიზმის კლასიკოსები მოთხოვნილებას არ ახასიათებენ „დამოკიდებულების“ სპეციფიკური ნიშნით; მოთხოვნილების სპეციფიკა დამოკიდებულება კი არაა, არამედ, გარკვეული აზრით, დამოკიდებულებაა ის საერთო, გვაროვნული ნიშანი, რომელიც მიეწერება ადამიანის ყველა აქტივობას [61, 64]. ამის შემდეგ გასარკვევი რჩება მოთხოვნილების, როგორც დამოკიდებულების ერთ-ერთი სახის, სპეციფიკური ნიშანი.

მეორე მხრივ, თვითონ მოთხოვნილება, რა თქმა უნდა, არაა, ასე რომ ვთქვათ, დამოკიდებულების, ანუ მიმართების უნარის მქონე, მოთხოვნილება კი არ აქცევს ცნობიერების საგნად, საგნობრივ ცნობიერებად, საკუთარ თავსა და სხვა რაიმესაც, არამედ ამას აკეთებს ადამიანის სხვა ფსიქიკური უნარი, აზროვნების უნარი, რომელსაც მოთხოვნილების ფაქტი აჰყავს საგნობრივი ცნობიერების დონეზე.

ცდილობენ მოთხოვნილების, როგორც დამოკიდებულების, სპეციფიკურ ნიშანზეც მიუთითონ. ასეთად თვლიან იმას, რომ მოთხოვნილების დამოკიდებულება „მუდამ აქტუალურია“, ის „გაცნობიერებული“ და „პრაქტიკული სფეროა“. მიაჩნიათ, რომ დაკმაყოფილებული მოთხოვნილება მაინც აქტუალურია, როგორც დამოკიდებულება. ასეთ შემთხვევაში ისმის საკითხი — რაღა ფსიქოლოგიური განსხვავება იქნებოდა მოთხოვნილების ცოცხალ მდგომარეობასა და დაკმაყოფილებულ მოთხოვნილებებს შორის? დაკმაყოფილებულ მოთხოვნილებაში ხომ მოხსნილია სწრაფვა საგნებისაკენ და ამ მოთხოვნილების აქტუალობა რაშიღა მდგომარეობს? შესაძლებელია, ამ შემთხვევაში, იმ ფაქტიურ ვითარებას გულისხმობენ, რომ, მართალია, ამჟამად შიმშილს აღარ განვიცდით, მაგრამ ასეთი მდგომარეობის

შემთხვევაშიაც, მე ვზრუნავ მომავალში საკვებით ჩემი დაკმაყოფილებისათვის და ვიმარაგებ მას.

ამ შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ არა თვით უკვე დაკმაყოფილებული მოთხოვნილების აქტუალობაზე, არამედ მოთხოვნილების სუბიექტის აქტივობაზე, მოთხოვნილებით გამოწვეულ და განპირობებულ სუბიექტის აქტივობაზე, რამაც მიზნად დაისახა მომავალი მოთხოვნილების აღმოცენების შემთხვევაში მზადყოფნა მისი დაკმაყოფილებისათვის. აღნიშნულის განხორციელებაში კი ადამიანის მრავალი ფსიქიკური ფუნქცია მონაწილეობს: აზროვნება, ნებისყოფა და სხვ. აზროვნება წვდება მოთხოვნილების რაობასა და დროში მის მიმდინარეობას; ითვალისწინებს რა აზროვნების მონაპოვარს, ინდივიდი ნებისყოფის საშუალებით ქმნის საშუალებებს, რაც მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. აქ საკითხი ისმის მოთხოვნილებისა და აქტივობის ურთიერთდამოკიდებულებაზე, ადამიანის აქტივობის (ქცევის) სხვადასხვა სახეებთან მოთხოვნილების მიმართების თაობაზე და ა. შ. ამ საკითხებზე სათანადო მსჯელობა გვექნება შესატყვის განყოფილებებში.

2. მოთხოვნილება და საჭიროება

საბჭოთა ფსიქოლოგიაში არაა მკაცრად გატარებული თვალსაზრისი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ებ ი ს ა და ს ა ჭ ი რ ო ებ ი ს ერთმანეთისაგან გ ა მ ი ჯ ვ ნ ი ს ა, თუმცა მათი გამიჯვნის აუცილებლობა ეჭვის ქვეშ არ დგას. გავრცელებული შეხედულების მიხედვით, მოთხოვნილება და საჭიროება ან იგივეობრივადაა წარმოდგენილი [43, 129; 38, 25; 64, 140], ან მოთხოვნილება განსხვავებულია საჭიროებისაგან მხოლოდ იმით, რომ მოთხოვნილება განცდად საჭიროებადაა ჩათვლილი [66, 268; 48, 69].

გამოთქმულია აზრი მოთხოვნილების საჭიროებასთან გაიგივების წინააღმდეგაც, ცდილობენ დაასაბუთონ დებულება; მოთხოვნილება საჭიროება კი არაა, არამედ მოთხოვნილება წარმოადგენს საჭიროების ასახვას [74].

ქვემოთ გადმოვცემთ არგუმენტაციას, რომელიც, ვფიქრობთ, წარმოადგენს ერთ-ერთ სერიოზულ ცდას წამოყენებული თეზისის დასაბუთების საქმეში.

მ. ფილიპოვის დებულება — „მოთხოვნილება საჭიროება კი არაა, არამედ ასახვაა საჭიროებისა“ — გულისხმობს სწორ წანამძღვარს, რომ არაა ერთი და იგივე მტკიცება „A არის B“ და „A ასახავს B-“ს. რა შინაარსებია ჩადებული: მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ებ ი ს, ს ა ჭ ი რ ო ებ ი ს ა და ა ს ა ხ ვ ი ს ცნებებში?

საჭიროება ავტორთან განმარტებულია შემდეგნაირად: საჭიროება ეს ისაა, რაც აუცილებელია ადამიანისათვის არა მხოლოდ მისი ფიზიკური არსებობისა, არამედ, საერთოდ, მისი ცხოვრების შესანარჩუნებლად. საჭიროება ეხება რეალურ, ობიექტურ, აუცილებელ დამოკიდებულებას ორგანიზმსა და გარემოს შორის. აქ ხაზი ესმის ორგანიზმისა და პიროვნების ყოფიერების ყველაზე არსებით ფაქტორებს, რომელთა გარეშე თვითონ ეს ყოფიერებაა შეუძლებელი. აქ იგულისხმება არა მხოლოდ გარეგანი საგნები და განსაზღვრული ურთიერთობანი ამ საგნებსა და ორგანიზმს შორის, არამედ ორგანიზმის მოქმედების გარკვეული ხასიათიც. მაშასადამე, საჭიროება ორგანიზმის სტრუქტურული მთლიანობის კონსტიტუციური კომპონენტია, რის გარეშეც ორგანიზმის მთლიანობით სტრუქტურა ისპობა.

მოთხოვნილება, ჩვენი ავტორის გაგებით, „ადამიანის მხოლოდ შინაგანი მდგომარეობაა". ეს შინაგნობა მოთხოვნილებისა მის ფ ს ი ქ ი კ უ რ ო ბ ა შ ი მდგომარეობს. „წარმოადგენს რა ადამიანის შინაგან მდგომარეობას, მოთხოვნილება ფსიქიკურად განიცდება როგორც დაუკმაყოფილებლობის განსაკუთრებული სახის გრძნობა. ყოველგვარი მოთხოვნილების აღმოცენება და განვითარება მუდამ შეფერადებულია განსაზღვრული ემოციური ტონით" [74, 22].

ავტორი კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე ცდილობს განსხვავების ჩვენებას საჭიროებასა და მოთხოვნილებას შორის. ორგანიზმის ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა ს ა ჭ მ ლ ი ს ა ესაა ობიექტური მიმართება, ურთიერთობა ორგანიზმსა და საკვებს შორის, რომ საკვები უნდა რეგულარულად იქნეს მიღებული და გადამუშავებული ცოცხალი ორგანიზმის მიერ. ასეთი ურთიერთობის გარეშე ვერ იარსებებდა თვითონ ორგანიზმი. ორგანიზმის საჭიროება კვების პროდუქტზე ობიექტურად არსებულია, სულ ერთია, განიცდება თუ არა იგი ასეთად. ავტორი თვლის, რომ თუ გავყვებით მკაცრსა და ზუსტ ტერმინოლოგიას, მაშინ არ უნდა გამოვიყენოთ საჭიროების დასახასიათებლად ტერმინი „განცდა", არ უნდა ვთქვათ, რომ „საჭიროება განიცდება", უნდა ვთქვათ, რომ „საჭიროება არსებობს", „მას ადგილი აქვს".

აღნიშნულის საპირისპიროდ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა კ ვ ე ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ზ ე კი არის ორგანიზმის „შინაგანი დაძაბული მდგომარეობა", რომელიც განაპირობებს ორგანიზმის მობილიზაციას, რათა მან მოხსნას აქტუალიზებული საჭიროება საკვებზე. მოთხოვნილება წარმოადგენს „შინაგან მიზიდულობას, მისწრაფებას საგნისაკენ".

მაშასადამე, ის, რაც ფსიქიკურია, განცდის სახითაა მოცემული, მოთხოვნილებაა, ხოლო ის, რაც განცდის დონეს ვერ აღწევს, მაგრამ

რეალური ვითარებაა, საჭიროებას წარმოადგენს; ონტიური ნიშანი — „განცდადობა“ — ამ შემთხვევაში განმასხვავებლად გამოდის მოთხოვნილებასა და საჭიროებას შორის: მოთხოვნილება ფსიქიკურია, ვინაიდან განცდადია, ხოლო საჭიროება არაფსიქიკური გარკვეულობაა, რამდენადაც ის განცდა არაა. ეს თვალსაზრისი სავსებით მისაღებია.

მაგრამ, ვფიქრობთ, ერთგვარ გაუგებრობას ბადებს ტერმინი — ობიექტურისა და ასახვის — გამოყენება საჭიროებისა და მოთხოვნილების გათიშვის საქმეში, მათი არაერთმნიშვნელოვანი შინაარსის გამო, რაც ავტორთან გვხვდება.

თუ ობიექტური ნიშნავს აუცილებელს, იმას, რის გარეშეც გარკვეული საქმის ვითარება არ განხორციელდება, მაშინ ამ ნიშანს, ავტორის დახასიათებით, მოთხოვნილებაც არ უნდა იყოს მოკლებული. მოთხოვნილებაც ხომ ისეთივე აუცილებლობაა, საჭირო მდგომარეობაა მთლიანი ორგანიზმისათვის, როგორც თვითონ საჭიროება. აკი თვითონ ავტორიც გარკვევით ამბობს: „მოთხოვნილებებს შეუძლია გადაიქცნენ საჭიროებადო“. ამ შემთხვევაში, მოთხოვნილება როგორც საჭიროება კი იქნება ობიექტური (აუცილებლობის მნიშვნელობით), მაგრამ იგი ამით არ გადაიქცევა ობიექტურად (არაფსიქიკურის მნიშვნელობით), მოთხოვნილების არსებითი ნიშანი ხომ „შინაგან მდგომარეობად“ (ე. ი .ფსიქიკურად, განცდად) ყოფნაა. თუკი მოთხოვნილება შეიძლება გადაიქცეს საჭიროებად, მაშინ, ცხადია, საჭიროება უნდა მოიცავდეს შინაგან მდგომარეობასაც და საჭიროებასა და მოთხოვნილებას შორის განმასხვავებელ მომენტად „განცდადობაზე“ მითითება აღარ გამოგვადგება. წინააღმდეგობა აშკარაა. ან მოთხოვნილება არ შეიძლება იქცეს საჭიროებად და საჭიროება მხოლოდ ობიექტური (არაფსიქიკური) ვითარებაა, ან მოთხოვნილება იქცევა საჭიროებად და მაშინ საჭიროება მოიცავს შინაგან (ფსიქიკურ) მდგომარეობასაც. მაშასადამე, თუკი საჭიროება და მოთხოვნილება მართლაც რომ განმასხვავებელი მდგომარეობებია, მაშინ მათ არ უნდა მიეწეროთ, გარკვეული ასპექტით, იგივეობრივი ნიშნები.

ასევე გაუგებრობის წყაროდ იქცევა მ. ფილიპოვის მსჯელობაში მოთხოვნილებასთან ასახვის ცნების დაკავშირება იმის გამო, რომ არაა მითითებული, ტერმინი — ასახვის რა მნიშვნელობაა გამოყენებული მოთხოვნილების სპეციფიკის გასათვალისწინებლად.

უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორს, ამ შემთხვევაში, მხედველობაში არ აქვს ასახვის გნოსეოლოგიური მნიშვნელობა; იგი არ ლაპარაკობს, რომ მოთხოვნილების განცდა არის ამ მოთხოვნილების შესატყვისი საჭიროების შემეცნება, ცოდნა საჭიროების რაგვარობისა და რაობის შესახებ.

დებულებაში — „მოთხოვნილება არის საჭიროების ასახვა“ — ტერმინი — ასახვა, ჩანს, ონტოლოგიური შინაარსითაა წარმოდგენილი, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ასპექტს გულისხმობს, კერძოდ: გამოწვევას, გამოვლენას, მითითებას (რომ მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა გამოწვეულია, განპირობებულია საჭიროებით; რომ მოთხოვნილების განცდაში გამოვლენილია, ხელშესახებად გვეძლევა გარკვეული საჭიროება; რომ მოთხოვნილება წარმოადგენს მაუწყებელს, სიგნალს, მიმთითებელს საჭიროების რეალური არსებობის შესახებ და სხვ.). მაგალითად, როდესაც ორგანიზმი აუცილებლობით საჭიროებს წყალს, წყლის მოთხოვნილებაში ასახულია (მოთხოვნილება გამოწვეულია, მოთხოვნილებაში გამოვლენილია, სიგნალის სახით გვეძლევა) სწორედ რომ წყლისკენ მისწრაფება*. ამიტომ შეიძლება მივუთითოთ საჭიროებასა და მოთხოვნილებას შორის გარკვეულ შესატყვისობაზე, როგორც წესზე (ამ წესს არ ექვემდებარება პათოლოგიური შემთხვევები: საჭიროება არ აისახება მოთხოვნილებაში — ინდივიდს აქვს საკვების მიღების აუცილებლობა, საჭიროება, მაგრამ იგი მას არ განიცდის მოთხოვნილების სახით, — ან მოთხოვნილება არ ასახავს საჭიროებას — ინდივიდს არ აქვს საჭიროება საკვებზე, იგი მაქსიმალურად დაკმაყოფილებულია, მაგრამ მოთხოვნილება საკვებზე მოხსნილი არაა) [40, 241].

მაგრამ საქმე ისაა, რომ შესატყვისობა ინდივიდის ობიექტურ საჭიროებასა და მოთხოვნილებას შორის სხვა, არაპათოლოგიურ შემთხვევებშიდაც დარღვეულია. ფაქტი ისეთ მოთხოვნილებათა არსებობა, რომლებიც არ წარმოადგენს რაიმე საჭიროებას, ე. ი. ორგანიზმის ყოფიერების შენარჩუნების აუცილებლობას. მაგალითად, ე. წ. შეძენილი მოთხოვნილებების მრავალი სახე (მავნე ჩვეულებანი, მოთხოვნილებები ნარკოტიკულ ნივთიერებებზე და სხვ.). რა თქმა უნდა, აქაც უნდა ვილაპარაკოთ მოთხოვნილების განცდის ფენომენის განმაპირობებელ საფუძველზე, რაც განმეორებადი გამოცდილების ნიადაგზე ინდივიდის შეძენილ სტრუქტურას წარმოადგენს. აღნიშნული შეძენილი სტრუქტურისათვის მოთხოვნილება კი არის შეძენილი საჭიროების ასახვა-გამოვლენა, მაგრამ თვითონ ეს შეძე-

---

* საჭიროების გამოვლენა მოთხოვნილების ფაქტში შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვაგვარად: ერთ შემთხვევაში — როგორც ისეთი რამ, რაც თავისი შინაგანი გარკვეულობით იგივეობრივია; აქ გამოვლენილი (მოთხოვნილება) განსხვავდება გამოსავლინებლისაგან (საჭიროება) მხოლოდ განცდის თანმხლებლობის ნიშნით. მაშინ საჭიროება და მოთხოვნილება ორივე ფსიქიკის სახით მოგვევლინება, მაგრამ პირველი იქნება არაცნობიერი (არაგანცდადი), ხოლ მეორე — განცდადი ფსიქიკა; მეორე შემთხვევაში — როგორც ფიზიოლოგიური გარკვეულობიდან წარმოშობა, გაჩენა ფსიქიკური ფენომენისა.

ნილი სტრუქტურა არ წარმოადგენს ინდივიდის არსობრივი გარკვეულობის მაუწყებელს, იგი არაა აუცილებელი სტრუქტურა, რაც გამოხატავდა ინდივიდის შინაგან ბუნებას და ემსახურებოდა მას. ამიტომ, ვფიქრობთ, ღირებულებით თვალსაზრისზე დგომით უნდა ვილაპარაკოთ საჭირო და არასაჭირო მოთხოვნილებების შესახებ, რომელთაც თავიანთი განმაპირობებელი საფუძვლები აქვთ. ეს მოთხოვნილებები, ვითარცა ფსიქიკური ფენომენები, იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ერთია ინდივიდის შინაგანი ბუნების არაარსობრივი საქმის ვითარების გამოვლენა (არასაჭირო მოთხოვნილება), ხოლო მეორე — ინდივიდის სტრუქტურის არსობრივი ფუნქციის ასახვა (საჭირო მოთხოვნილება)*.

ზემოაღნიშნული ფაქტიური ვითარება საფუძველს იძლევა ერთმანეთისაგან გაითიშოს საჭიროება და მოთხოვნილება, მაგრამ საკმაო საფუძველს არ წარმოადგენს მტკიცებისათვის, რომ მოთხოვნილება არის საჭიროების ასახვა (გამოვლენა), როდესაც საჭიროება გაგებულია მხოლოდ როგორც ორგანიზმის ყოფიერების დამკვიდრების აუცილებელ პირობად.

ერთგვარად გასაგებია საჭიროების, როგორც ობიექტური, არაფსიქიკური ვითარების, ასახვა (გამოვლენა) მოთხოვნილების ფორმით, განცდის სახით, მაგრამ გაუგებარი ჩანს მტკიცება — საჭიროებად ქცეული მოთხოვნილების ასახვის (გამოვლენის) შესახებ ისევ მოთხოვნილებით. თუ მოთხოვნილების გადაქცევა საჭიროებად ნიშნავს მოთხოვნილების ფორმის უცვლელობას, რომ ის ისევ ფსიქიკაა, მაგრამ ფუნქციითაა შეცვლილი, მაშინ გამოდის, რომ ასეთი საჭიროება (ანუ ისევ მოთხოვნილების განცდა) უნდა აისახოს (გამოვლინდეს) ისევე სხვა მოთხოვნილებით. თუ მოთხოვნილება თვითონაა ასახვა-გამოვლენა, მისთვის აღარაა აუცილებელი მეორე გამოვლინება; ასახვის ასახვას აზრი აქვს გნოსეოლოგიური მნიშვნელობით, იგი უაზრო ხდება ონტოლოგიური მნიშვნელობით. ხოლო თუკი საჭიროება გაგებული იქნება არაფსიქიკურ გარკვეულობად, მაშინ მოთხოვნილების გადაქცევა საჭიროებად უნდა ნიშნავდეს ფსიქიკის (განცდის) გადაქცევას არაფსიქიკად, აქ ფსიქიკა კარგავს ფსიქიკურობას და მასზე, როგორც მოთხოვნილებაზე, არც უნდა ვილაპარაკოთ.

სწორი და მისაღები დებულება ფსიქოლოგიაში მოთხოვნილებისა და საჭიროების ცნებების გათიშვის შესახებ, ვფიქრობთ, მ. ფილიპოვის ნააზრევში განხორციელებული არ არის. ავტორის ცდა ამ მიმართულებით ლოგიკის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, არაა

---

* აღნიშნულის შესახებ იხ. განყოფილებაში „მოთხოვნილების ფორმირება".

თავისუფალი წინააღმდეგობისაგან. განუხორციელებელი აღმოჩნდა ავტორის განზრახვა, დაესაბუთებინა დებულება — მოთხოვნილება წარმოადგენს საჭიროების ასახვას, — რასაც წინ გადაეღობა ცნებათა არაერთმნიშვნელოვანი შინაარსებით გამოყენება.

ჩვენი გაგების მიხედვით, საჭიროება და მოთხოვნილება იმით უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ საჭიროება არ წარმოადგენს ფსიქიკას, ხოლო მოთხოვნილება ფსიქიკური ფენომენია; ამ ფსიქიკური ფენომენის ბუნების დახასიათება მოცემულია წინა პარაგრაფში. საჭიროებაა ყველაფერი ის, რაც ინდივიდის სტრუქტურული მთლიანობისათვის ობიექტურად აუცილებელია, მაგრამ განცდა არაა. ინდივიდის სტრუქტურული მთლიანობის ფუნქციობისათვის აუცილებელია მოთხოვნილების ფსიქიკური (განცდილი) პროცესიც, მაგრამ ესაა საჭირო მოთხოვნილება და არა თვითონ საჭიროება. იგულისხმება, რომ ასევე არსებობს არასაჭირო მოთხოვნილებაც, ისეთი ფენომენი, რომელიც ინდივიდის სტრუქტურული მთლიანობის ფუნქციობისათვის კონსტიტუციურ შინაარსს არ წარმოადგენს.

ყოველთვის არაა გაცნობიერებული საჭიროების, როგორც ობიექტური გარკვეულობის, ბუნება. მაგალითად, როცა ვ. მერლინი [59, 10] იცავს დებულებას, რომ „საჭიროება არის გარემოს ობიექტური პირობები, — აღნიშნავს იმას, — რაც აკლია ადამიანსო“, აქ პირდაპირი მითითებაა იმაზე, რომ ობიექტური პირობა არის ობიექტური საგანი, მაგ., პური ან წყალი და ა. შ. ყურადღება არ ექცევა იმ ვითარებას, რომ თავისთავად პური ან წყალი გარეშე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობისა, რომელსაც აქტივობისათვის ესაჭიროება პური და წყალი, მხოლოდ ფიზიკური ობიექტებია. ეს ფიზიკური ობიექტები (პური და წყალი) მხოლოდ მაშინ იქცევიან საჭიროდ, როდესაც ისინი აღმოჩნდებიან მიმართებაში ორგანიზმთან, როდესაც მათ ორგანიზმი მოითხოვს. საჭიროება არის ორგანიზმისა და საგნის ერთიანობა, მთლიანობა, როდესაც ეს ერთიანობა ჯერ კიდევ არ ასულა განცდის (მოთხოვნილების) დონეზე. არ უნდა გავაიგივოთ საჭიროება და საჭირო. საჭირო არის ყველაფერი ის, რაც მოთხოვნილების საგანია, ხოლო საჭიროება ფიზიოლოგიურ დონეზე არსებული ფუნქციონალური აქტივობაა ორგანიზმისა. მაგ., როგორც ზემოთ დავინახეთ, მერლინთან ტერმინი — საჭიროება აღნიშნავს საჭირო ობიექტურ საგანს მოთხოვნილებისას. ორგანიზმისათვის საჭირო ბევრი რამაა, ხოლო საჭიროება ორგანიზმის ის ფიზიოლოგიური ფუნქციური გარკვეულობაა, რაც მოითხოვს საჭირო საგნებს. აქ ერთგვარი პარალელი შეიძლება გატარდეს ტერმინების drive და need-ის გათიშვასთან ამერიკულ ფსიქოლოგიაში,

როდესაც drive გაგებულია როგორც ფიზიოლოგიურ დონეზე არსებული მოთხოვნილება, ხოლო need როგორც მოთხოვნილების ,ფსიქიკური ფენომენი.

აქვე უნდა განიხილოს საკითხი მოთხოვნილების არაცნობიერად, ანუ ცნობიერებისაგან (განცდისაგან) დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობის თაობაზე. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად ლაპარაკობენ ე. წ. „ქვეცნობიერ“ და „არაცნობიერ“ მოთხოვნილებებზე, მაგრამ გასარკვევია ამ ტერმინთა მოთხოვნილებასთან დაკავშირებით ხმარების მნიშვნელობები, ვინაიდან ისინი, მათი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობის გამო იქცევიან ხოლმე გაუგებრობის წყაროდ. მოთხოვნილების არაცნობიერად არსებობის საკითხი უკავშირდება ფსიქიკის განცდისაგან დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობის პრობლემას, არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის პრობლემას. ეს პრობლემა თავის ბუნებით თეორიულია, იგი ემპირიულ გადაჭრას არ ექვემდებარება, ვინაიდან *არ არსებობს არაცნობიერი ფსიქიკის, როგორც ასეთის, ფაქტი*. თავისთავადი არაცნობიერი ფსიქიკის ხილვა ცნობიერებით წინააღმდეგობის შემცველია: ის, რაც დანახულია ცნობიერებით, ის უკვე ამ ხილვის გამო არაცნობიერი აღარაა.

ამის გამოცაა, რომ დღეს სპეციალურ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მიუთითებენ არა ისეთ არაცნობიერ ფსიქიკაზე, რომელიც ,ფსიქოლოგიის კლასიკური პრობლემის დადებითად გადაჭრას წარმოადგენს — ფსიქიკა, რომელიც განცდის მიღმაა, არაგანცდადია, განცდას არ დაირთავს თავისი არსებობის დროს, — არამედ ისეთ ე. წ. „არაცნობიერ ფსიქიკაზე“, რომელიც განცდადი ფსიქიკის სხვადასხვა დონეზეა არსებული, თვით ცნობიერებამდეც კი*.

არაცნობიერ ფსიქიკად ცნობიერების (განცდის) დონის სხვადასხვა საფეხურების ჩათვლა, რა თქმა უნდა, პირობითია. მაგ., განცდილი ფსიქიკური შინაარსი ცნობიერებისა, რომელსაც უბრალო განცდის საფეხური, ანუ პრიმარული, ატრიბუტული ცნობიერება ეწოდება, ზოგის მიერ საგნობრივი ცნობიერების შედარებით უფრო მაღალ დონესთან მიმართებაში, არაცნობიერ ფსიქიკურ შინაარსადაა გამოცხადებული*. ვ. მერლინი, მაგალითად, ლაპარაკობს „არა სავსებით ცნობიერ“, ანუ „არაცნობიერ“ მოტივზე (ავტორთან მოტივი იგივე მოთხოვნილებაა). იგი წერს: „თუკი საჭიროების ცნობიერება არა სავსებით ან მთლიანად არ შეესატყვისება ნამდვილ საჭიროებას, რომელიც იწვევს ადამიანის დაუკმაყოფილებლობას, მა-

*კურიოზულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა თვითონ განცდა, ცნობიერება გამოცხადებულია არაგანცდად (არაცნობიერად) [35, II, 498]. ანდა განწყობა, როგორც არაცნობიერი, ჩათვლილია ცნობიერების მოდუსად [35, I, 78].

შინ ასეთ მოტივს (მოთხოვნილებას — ვ. კ.) შეგვიძლია ვუწოდოთ არა მთლად ცნობიერი, ანუ არაცნობიერი. მოტივი (მოთხოვნილება — ვ. კ.), ამ შემთხვევაში, არაცნობიერია არა იმიტომ, რომ ადამიანისათვის ის ცნობიერი (განცდილი) არაა, მის შესახებ ის ანგარიშს ვერ იძლევა, არამედ იმიტომ, რომ მან არასწორად გააცნობიერა თავისი ნამდვილი ობიექტური საჭიროება" [59, II].

მაშ, აქ ლაპარაკია არა ისეთ მოთხოვნილებაზე (მოტივზე), რომელიც საერთოდ ცნობიერების (განცდის) მიღმაა, არამედ ისეთზე, რომელიც განცდადია, მაგრამ არაადეკვატურად გადმოსცემს მის საფუძველს (საჭიროებას).

მარქსისტულ ფსიქოლოგიაში არაცნობიერი ფსიქიკის არსებობა-არარსებობის თეორიული საკითხი წყდება ონტოლოგიური პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით: ცნობიერი ფსიქიკა აქ ტვინის თვისებად, ტვინიდან დიალექტიკური განვითარების გზით მიღებულ პროდუქტად ცხადდება. ვინაიდან ცნობიერი ფსიქიკა (განცდა) უმაღლესი ნერვული პროცესიდანაა დიალექტიკური ნახტომით მიღებული, ის ვეღარ იქნება არაცნობიერი ფსიქიკის პროდუქტი. არაცნობიერი ფსიქიკის (არაგანცდადი ფსიქიკის) არსებობა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისათვის მიუღებელი ჩანს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მოთხოვნილების არსებობის ფორმად განცდა (ცნობიერება) მიგვაჩნია და მოთხოვნილების ტერმინით აღვნიშნავთ ყოველთვის ისეთ ფსიქიკური საქმის ვითარებას, რომელიც განცდადია, ანუ ცნობიერია (ცნობიერების მინიმუნი მაინც აქვს). ამიტომ ჩვენ უარეყოფთ განცდის გარეშე არსებული მოთხოვნილების, არაცნობიერი მოთხოვნილების არსებობის დაშვებას. რაც განცდის მიღმაა და საფუძველი ან პირობაა ცნობიერი მოთხოვნილების გაჩენისა, ის ჩვენთვის საჭიროება ან მიდრეკილებაა (არაფსიქიკაა).

„გაუცნობიერებელი მოთხოვნილება" სავსებით კანონიერი ტერმინია, როცა მასში იგულისხმება გარკვეული გნოსეოლოგიური შინაარსი. მოთხოვნილება მაშინაა გაუცნობიერებელი, თუკი ის შემეცნების საგნად არ გამხდარა, შემეცნებული არაა თავის გარკვეულობაში რაობისა და გენეზისის მიხედვით, და ასეთია არა მარტო მოთხოვნილება, არამედ ყველაფერი ის, რაც ცნობიერების მიერ შემეცნებული შინაარსი არ გამხდარა.

ზოგჯერ „გაუცნობიერებელ მოთხოვნილებას" თვლიან არაცნობიერ მოთხოვნილებად. ამ შემთხვევაში ე. წ. არაცნობიერი მოთხოვნილება არაპირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, ვინაიდან პირდაპირი მნიშვნელობით ფსიქიკის სფეროში არაცნობიერი მოთხოვ-

ნილება (ანუ არაგანცდადი მოთხოვნილება), ჩვენი ვარაუდით არ არსებობს. მეორე მხრივ „არაცნობიერი მოთხოვნილება", თუკი მასში განცდის მიღმა არსებული საქმის ვითარება იგულისხმება და ის ფიზიოლოგიურ გარკვეულობაზე მითითებაა, საჭიროების ტერმინით უნდა აღინიშნოს და მაშინ არაცნობიერი მოთხოვნილების ტერმინის გამოყენება, როგორც სინონიმი არაცნობიერი საჭიროებისა, ადეკვატურია და მისაღები.

3. მოთხოვნილება და მოთხოვნილების მიდრეკილება

მოთხოვნილების მიდრეკილებას უწოდებენ მოთხოვნილების ფენომენის დისპოზიციურ მდგომარეობას. ისაა უნარი ინდივიდში საჭირო ვითარების შესატყვისად ცნობიერი (განცდადი) მოთხოვნილების (არაგანცდადი მოთხოვნილება არ არსებობს) აღმოცენებისა; აქტუალური მოთხოვნილების პროცესი ჩვეულებრივ აღმოცენდება მოთხოვნილების მიდრეკილების ნიადაგზე. ამიტომაც მოვლენის გენეზისის გათვალისწინებით განასხვავებენ თანშობილ და შეძენილ მიდრეკილებებს.

მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ ამჟამად გვაქვს კითხვის მოთხოვნილება, ეს ნიშნავს — ჩვენში არის რაღაც უნარი, ქრონიკული მდგომარეობა, რომლისგანაც კონკრეტულ ვითარებაში აღმოცენდება კითხვის მოთხოვნილების ფენომენი, აქტივობის მქონე პროცესი, იმპულსი, რომელიც გვაიძულებს, გვაქეზებს კითხვის აქტის განხორციელებისაკენ. ფიქრობენ, რომ თვითონ მოთხოვნილების დისპოზიცია, ანუ მიდრეკილება თავისთავადი აქტიურობის, მოქმედების ძალას მოკლებულია. ინდივიდის ქცევის აღძვრისა და ორგანიზაციის შესაძლებლობა მხოლოდ მიდრეკილებიდან აღმოცენებულ განცდად საგნობრივ მოთხოვნილებას აქვს. მოთხოვნილების მიდრეკილება წარმოადგენს, როგორც მიუთითებენ, ინდივიდის ე. წ. „ფსიქიკურ თვისებას" მხოლოდ.

აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოთხოვნილების ფენომენის მოხსნა არ ნიშნავს ამ მოთხოვნილების დისპოზიციის, ანუ მიდრეკილების აღკვეთას; მიდრეკილება რჩება; ის წარმოადგენს შესაძლებლობას, საჭირო ვითარებაში ინდივიდში მთლიანობითი სტრუქტურის შენარჩუნებისათვის წარმოქმნას, აამუშაოს მოთხოვნილების ფუნქცია.

ჩვენ არ ვიზიარებთ აზრს მოთხოვნილების პ ო ტ ე ნ ც ი უ რ ა დ არსებობის შესახებ, ვინაიდან, ამოვდივართ რა გარკვეული თეორიულ ფილოსოფიურ წანამძღვარიდან — დიალექტიკური მატერიალიზმის მსოფლმხედველობიდან, — უარვყოფთ თვალსაზრისს საერთოდ

ფსიქიკის პოტენციურად არსებობის შესახებ (ის, რაც წარმოშობს განცდას, პოტენციური ფსიქიკა კი არ არის, არამედ ტვინი, უმაღლესი ნერვული მოქმედება)*. როგორც აღინიშნა, განცდის ფარგლებს გარეთ არსებული შესაძლებლობა მოთხოვნილების განცდადი ფენომენის წარმოშობისა, რასაც მიდრეკილებას ვუწოდებთ, არაა თვითონ მოთხოვნილების ფსიქიკური გარკვეულობა, მას ჩვენ ფიზიოლოგიურ საქმის ვითარებად ვთვლით. ამდენად მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა-შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა პოტენციურად არსებულ ფსიქიკად ვერ ჩაითვლება**. ფსიქიკა, როგორც ასეთი, არაა უწყვეტი არსებობის მქონე (მატერიალურის მსგავსი), იგი წყვეტილია, მას, როგორც ამბობენ, აკუტური არსებობა აქვს და, ამდენად, მის პოტენციურ არსებობაზე მსჯელობას საფუძველი არ გააჩნია ფსიქიკის არასუბსტანციური გაგების შემთხვევაში (როცა ფსიქიკა ტვინის თვისებებადაა მოაზრებული).

მოთხოვნილების მიდრეკილება, ანუ დისპოზიციური გარკვეულობა არ წარმოადგენს იმას, რასაც ზემოთ მოთხოვნილების ფენომენისაგან განსხვავებით საჭიროება ეწოდა. საჭიროება, გარკვეული აზრით, სიცოცხლის ფუნქციობის ის ფენაა, რომელსაც განცდადი მოთხოვნილების დონისათვის ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია. შეიძლება და ალბათ აუცილებელია ვილაპარაკოთ საჭიროების მიდრეკილების შესახებაც. საჭიროება და მისი მიდრეკილებაც განცდის გარეშე არსებული ვითარებანია, მაგრამ მათი არაცნობიერობა მათ იგივეობაზე არ მიუთითებს; საჭიროება რეალური არსებობაა, ხოლო მიდრეკილება — შესაძლებლობა საჭიროების ფუნქციობისა. ერთი სიტყვით, საჭიროება ჩვენ გაგებული გვაქვს ფიზიოლოგიური აქტივობის დონედ. კუჭს, მაგალითად, საჭმლის მონელებისათვის ესაჭიროება გარკვეული რაოდენობისა და ქიმიური შემადგენლობის კუჭის წვენი და მას ის ღებულობს ორგანიზმის ფუნქციობით. ეს ფიზიოლოგიური დამოკიდებულება-აქტივობა საჭიროების ილუსტრაციაა. გარკვეული აზრით შეგვეძლო გვეთქვა, რომ საჭიროება ფიზიოლოგიურ დონეზე არსებული „მოთხოვნილებაა“.

ზოგი მკვლევარი* მიდრეკილებას განმარტავს როგორც მოთხოვნილებას მოღვაწეობისადმი (საქმიანობისადმი). მაშასადამე, მიდრეკი-

---

* პოტენციური ფსიქიკა არაცნობიერი ფსიქიკის ეკვივალენტია. საკვირველია, რომ არაცნობიერი ფსიქიკის ცნებას (განცდის გარეშე ფსიქიკის არსებობას) იცავს ზოგი საბჭოთა ფსიქოლოგი და ისიც დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციაზე „დგომით“, რომელიც ცნობიერებას ტვინიდან მიღებულად თვლის: „... დიალექტიკურია გადასვლა... მატერიიდან ცნობიერებაზე...“ [3, 228].

** ის, ვინც მიდრეკილებას ფსიქიკად თვლის, ნებსით თუ უნებლიეთ იცავს თვალსაზრისს ფსიქიკიდან ფსიქიკის წარმოშობის, აღმოცენების შესახებ, უნდობლად ეკიდება აზრს ფსიქიკის არაფსიქიკისაგან, ანუ ტვინიდან მიღების თაობაზე.

* მაგ., ვ. ნ. მ ი ა ს ი შ ე ვ ი.

ლება ამ შემთხვევაში გაგებულია მოთხოვნილების ერთ-ერთ საგნობრივ შინაარსად, რომ იგი მოთხოვნილებითი მისწრაფებაა კონკრეტული შინაარსისაკენ — საქმიანობისაკენ. ამ გაგების მიხედვით მიღრეკილება, მაშასადამე, წარმოადგენს არადისპოზიციურ გარკვეულობას, აქტიურ განცდით ვითარებას, იმას, რასაც ჩვენ ვუწოდეთ მოთხოვნილებითი მდგომარეობა მის საგნობრივ შინაარსთან ერთად. მიღრეკილება მოთხოვნილების ერთ-ერთი კონკრეტული საგნობრივი შინაარსი კი არ არის, არამედ შესაძლებლობა, უნარი საჭიროებისა და მოთხოვნილების ფუნქციობისა და მის დისპოზიციურ შინაარსზე მიმთითებელია.

4. მოთხოვნილების რომელობები

ჩვენი გაგებით, მოთხოვნილების ტერმინი გვაროვნული ცნების აღმნიშვნელია, რომელიც მოიცავს შემდეგ რომელობებს: ლ ტ ო ლ ვ ა, წ ყ უ რ ვ ი ლ ი (მაგ., ცოდნის წყურვილი), წ ა დ ი ლ ი, მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა, ი ნ ტ ე რ ე ს ი, გ ა ტ ა ც ე ბ ა, ნ დ ო მ ა, ნ ა ტ ვ რ ა. როგორც აღინიშნა, მოთხოვნილება არის „მოთხოვნილებითი მდგომარეობისა“ და „მოთხოვნილების საგნის“ სპეციფიკური ერთიანობა, რომელიც ცნობიერებაში გვევლინება ერთგვარი „შინაგანი დაძაბულობისა“ და „საგნისაკენ სწრაფვის იმპულსის“ სახით. მოთხოვნილების ჩვენ მიერ მითითებულ რომელობებში სწორედ ეს ვითარებაა გათვალისწინებული: ორიგინალური კავშირი მოთხოვნილებითი მდგომარეობის შინაგანი დაძაბულობისა (ე. წ. „სუბიექტური მოთხოვნილება“) და საგნისაკენ სწრაფვის (ე. წ. „ობიექტური მოთხოვნილება“) მომენტებს შორის. როცა ვლაპარაკობთ მოთხოვნილების ცნობიერების ან გაცნობიერების დონეებზე, მხედველობაშია მიღებული არა მხოლოდ მოთხოვნილების პროცესი, არამედ მოთხოვნილების საგანიც. ამ ორი მომენტის გაცნობიერების განსხვავებული დონეები აუცილებლობით ერთმანეთის პარალელურად არ მიმდინარეობენ; მოთხოვნილების პროცესის მაღალ დონეს (ინტენსიურსა და ნათელ განცდას) შეიძლება თან ახლდეს ინტენციონალური საგნის გაცნობიერების დაბალი დონე (მაგ., ლტოლვისა და წყურვილის შემთხვევაში) ან — პირიქით (ცნობილია, რომ ყურადღების აქტის ობიექტის ნათელი და ინტენსიური განცდა მხოლოდ ყურადღების ინტენსივობაზე არაა დამოკიდებული — ეს ანალოგია შეგვეძლო მოგვეყვანა მოთხოვნილებისა და მისი საგნის გაცნობიერების ინტენსივობათა დონეების დასახასიათებლად).

ჩვენ მიერ დასახელებული რომელობები მოთხოვნილებისა ითვალისწინებს მოთხოვნილების როგორც წ ა რ მ ო ნ ა ქ მ ნ ი ს ბუნე-

ბასაც. წარმონაქმნის ის ცნება, რომელიც მოთხოვნილების პროცესის ცნობიერებაში ემპირიულ მიმდინარეობას ასახავს, გულისხმობს ჰეტეროგენული (არაერთგვაროვანი) მომენტების თანაარსებობას გამოკვეთილი მთლიანობის ფორმით. ჩვეულებრივ მოთხოვნილების პროცესი მჭიდროდ უკავშირდება ინტელექტუალურ (კოგნიტურ) და გრძნობით — ემოციურ ფენომენს. სწრაფვის საგანი აუცილებლობით გულისხმობს რეალური ობიექტის აღქმას, ეს საგანი ასევე შეიძლება აზრიც იყოს და წარმოსახვაც. სწრაფვას ინტენციის საგნისაკენ და მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიმდინარეობასაც და მის შედეგსაც (მოთხოვნილების მოხსნას), როგორც წესი, თან ახლავს გრძნობით-ემოციური რომელობები. იმას, რასაც ემპირიულ ცნობიერებაში მოთხოვნილების მდგომარეობა ეწოდება, წარმონაქმნის ბუნება აქვს, რაშიდაც ანალიზური თვალსაზრისით შეიძლება დადასტურებულ იქნეს: მოთხოვნილების სპეციფიკური ინტენციონალური აქტი და ინტელექტუალური (კოგნიტური) და გრძნობა-ემოციის მომენტებიც.

მოთხოვნილების გაცნობიერების დონეები დაკავშირებულნი არიან მოთხოვნილების წარმონაქმნის მხარეებთან: მოთხოვნილების აქტი, ინტელექტუალური და ემოციური მომენტების „წარმომადგენლობასთან" მთლიან სტრუქტურულ მდგომარეობაში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დასახელებული რომელობების დონეებზე დასტურდება მითითებული მომენტების მონაწილეობის „დოზა". მოთხოვნილების ზოგ რომელობაში ინტელექტუალური მომენტი მაქსიმალურადაა წარმოდგენილი (მაგ., ნატვრა, ინტერესი), რაც საბაბს იძლევა ნატვრა და ინტერესი, გარკვეული კუთხით გაბჭილული, შეჭეცნებით პროცესებადაც კი დახასიათდეს. მეორე მხრივ, მაგალითად, ლტოლვა და წყურვილი იმ თავისებურებას ამჟღავნებენ, რომ აქ მაქსიმალურადაა გამოვლენილი ემოციური მხარე, როელიც ერთვის საგნობრიობის შედარებით ბუნდოვან განცდას. ამ მხრივ თავისებურ ბუნებას ამჟღავნებს სხვა რომელობებიც.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენ მიერ გამოყოფილი მოთხოვნილების რომელობები (სულ რვა) არ წარმოადგენენ შინაარსობრივ ერთეულებს (რა თქმა უნდა, დაკვირვებულმა ანალიზმა შეიძლება დაადასტუროს მოთხოვნილების სხვა რომელობებიც, დასახელებულთაგან კი ზოგი უკუაგდოს როგორც არასპეციფიკური, — ეს მომავალი კვლევა-ძიების საქმეა). გავრცელებული აზრის მიხედვით, მაგალითად, ლტოლვა გაგებულია ბიოლოგიური მოთხოვნილების მნიშვნელობით, შინაარსით და ამიტომაცაა, რომ ლაპარაკობენ სექსუალურ, ორგანულ და ა. შ. ლტოლვებზე. ამ თვალსაზრისს იცავს მაგ., კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგია საერთოდ, ფსიქოანალიზი

განსაკუთრებით. ჩვენი გაგებით, ლტოლვა მოთხოვნილების კონკრეტული საგნობრივი შინაარსი კი არ არის, არამედ მოთხოვნილების რომელობაა. ლტოლვის დონეზე შეიძლება მიმდინარეობდეს ყოველი კონკრეტული შინაარსი, პროცესი მოთხოვნილებისა. მაგალითად, სოციოგენური მოთხოვნილების ერთ-ერთი შინაარსი — „პრესტიჟი" იმის მიხედვით, თუ გაცნობიერების რა დონეზე მიმდინარეობს ის, შეიძლება ან ლტოლვა იყოს, ან მისწრაფება ან გატაცება და ა. შ. ამიტომაც ვლაპარაკობთ, რომ ინდივიდი პრესტიჟისაკენ მიილტვის, მიისწრაფვის, პრესტიჟმა ინდივიდი გაიტაცა, ინდივიდს პრესტიჟი აინტერესებს და სხვ. მაშასადამე, ერთი და იგივე საგნობრივი შინაარსი შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა მოთხოვნილების რომელობის ინტენციის საგნად, როგორც ეს დახასიათდა პრესტიჟის მაგალითზე; ასევე სხვადასხვა საგნობრივი შინაარსი შესაძლებელია, და ფაქტიურადაც ასეა, რომ ერთი გარკვეული მოთხოვნილების რომელობის ინტენციის საგანია.

5. მოთხოვნილების იდეა

ერთმანეთისაგან ასხვავებენ ცნებებს: „მოთხოვნილება" და „მოთხოვნილების იდეა". მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა ინდივიდის კონკრეტული ფსიქიკური პროცესია. ხოლო მოთხოვნილების იდეა — ესაა აზრი, ცოდნა ამ ცოცხალი ცნობიერი ფსიქიკური პროცესის შესახებ. ამიტომ მოთხოვნილების იდეა (ანუ ცოდნა, გაგება) მოთხოვნილების რომელიმე კონკრეტული სახის შესახებ იმასაც შეიძლება ჰქონდეს, ვისაც ეს კონკრეტული ცოცხალი მოთხოვნილება რეალურად უშუალოდ არასდროს არ განუცდია. თამბაქოს წევის მოთხოვნილების შესახებ იდეა, აზრი, ცოდნა იმასაც შეიძლება ჰქონდეს, ვინც მას საერთოდ არც კი გაჰკარებია (მაგრამ ვისაც თამბაქო არ მოუწევია, მას არასოდეს არ ეცოდინება თვითონ თამბაქოს მოწევით გამოწვეული კმაყოფილება-სიამოვნება და თამბაქოს მოწევისაკენ მისწრაფების განცდის ფენომენი). ჩვენ შიმშილისა და წყურვილის, საკვებისა და წყლის იდეა მაშინაც გვაქვს, როცა მაძღარნი ვართ და არ გვწყურია. ცხადია, რომ არაა ერთი და იგივე მოთხოვნილების იდეა (აზრი მოთხოვნილების შესახებ) და იდეის მოთხოვნილება (აზრის მოთხოვნილება, მოთხოვნილება აზრზე). აზრი მოთხოვნილების შესახებ არის ცნება მოთხოვნილების ფაქტის შესახებ და ამ მხრივ ის თავისი არსებობის ფორმის მიხედვით არაფრით არ განსხვავდება ქვის, ყვავილის ან სიკეთის შესახებ აზრისაგან, ცნებებისაგან, განსხვავება ეხება მათ მნიშვნელობებს მხოლოდ. აზრი მოთხოვნილების შესახებ ისევე არაა მოთხოვნილება, როგორც აზრი ქვის, ყვავილის ან

სიკეთის შესახებ შესატყვისად — ქვა, ყვავილი ან სიკეთე, ამასთან როგორც მიუთითებენ, ენერგეტიკული წყაროა მოთხოვნილების პროცესი და არა იდეა, აზრი მოთხოვნილების შესახებ [28, 18].

მოთხოვნილების იდეას სხვა შინაარსთანაც აკავშირებენ. მაგალითად, დ. უზნაძე მე-ს განყენებულ, ანუ საერთო მოთხოვნილებას „მოთხოვნილების იდეის“ ტერმინითაც აღნიშნავს. ავტორის მიხედვით, აწმყოსა და მომენტის კონკრეტული მოთხოვნილებისაგან განსხვავებით განყენებული, ანუ საერთო მოთხოვნილება „არაა განსაზღვრული კერძო სიტუაციით, აწმყო ვითარებით* [24, 213—214].

გამოითქვა შეხედულება, რომლის მიხედვითაც დ. უზნაძის მე-ს განყენებული, ანუ საერთო მოთხოვნილება გაიგივებულია „ზოგად მოთხოვნილებასთან“ (მაგ., მოვალეობის შესრულების მოთხოვნილება საერთოდ და არა რომელიმე კონკრეტული მოვალეობის შესრულება), რომელიც როგორც ასეთი, არააქტუალურია. ის ზოგადი მიდრეკილებაა, სუბიექტის საერთო ქრონიკული პოზიცია მოვლენათა და ზოგადი კატეგორიების მიმართ და არა რაიმე კერძო მოქმედების მოთხოვნილება [22, 580—589].

გამოითქვა საპირისპირო თვალსაზრისიც, რომ მე-ს განყენებული, ანუ საერთო მოთხოვნილება, როგორც ზოგადი მოთხოვნილება, რეალურად არ შეიძლება არსებობდეს. რამდენადაც მოთხოვნილება აწმყო მდგომარეობაა, რომლის ნიშანია აქტივობისაკენ სწრაფვა, ხოლო ეს ნიშანი არ გააჩნია ზოგადი მოთხოვნილების ტერმინით აღნიშნულ მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა ს, ამდენად მოთხოვნილების მიდრეკილება არ შეიძლება წარმოადგენდეს მოთხოვნილების ფენომენს (მოთხოვნილების მიდრეკილების შესახებ იხილეთ ცალკე პარაგრაფში).

6. მოთხოვნილება და შეგრძნება

საკითხი ეხება ე. წ. დაბალი, ანუ ბიოლოგიური მოთხოვნილებისა და ორგანული შეგრძნების ერთმანეთისაგან გათიშვას, მათი რომელობითი სპეციფიკის ჩვენებას. ორგანული შეგრძნება, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს მოთხოვნილებას, თუმცა გამოცდილებაში

* დ. უზნაძის მე-ს განყენებული მოთხოვნილება, ანუ საერთო მოთხოვნილება არაა აზრი, ცოდნა მოთხოვნილების შესახებ, ის არც ავტორისეული „თეორიული მოთხოვნილებაა“. მოთხოვნილების იდეა დ. უზნაძესთან, საფიქრებელია, არის ის, რასაც ავტორი „წარმოსახულ მოთხოვნილებას“ უწოდებს. დაწვრილებით აღნიშნულის შესახებ იხ. [18]. ზოგჯერ მოთხოვნილების ფენომენს ყოფენ ე. წ. „განზოგადებულ“ მოთხოვნილებად და „სუბმოთხოვნილებად“. უკანასკნელი პირველის კონკრეტიზაციაა, მოთხოვნილებაა კონკრეტულ საგანზე. მაგ., სითხის მოთხოვნილება ე. წ. განზოგადებული მოთხოვნილებაა ლუდის მოთხოვნილებასთან, როგორც ხუბმოთხოვნილებასთან მიმართებაში. აქ მოხსენებული განზოგადებული მოთხოვნილება არ წარმოადგენს მოთხოვნილების იდეას.

მათი ურთიერთმჭიდრო კავშირის დადასტურება ერთგვარად გვიბიძგებს აღნიშნული პროცესების გაიგივებისაკენ, ამიტომაცაა, რომ ლაპარაკობენ: „წყურვილის მოთხოვნილებაზე", „შიმშილის მოთხოვნილებაზე" და ა. შ. ნაცვლად „წყურვილის შეგრძნებისა", „შიმშილის შეგრძნებისა". ორგანულ შეგრძნებებს ნორმალურ შემთხვევაში ჩვეულებრივ თან ახლავთ გრძნობითი ტონი სიამოვნება-უსიამოვნების განცდის სახით. ამის გამოცაა, რომ ზოგჯერ ხდება აღრევა ორგანული შეგრძნებისა გრძნობასთან და ლაპარაკობენ: „შიმშილის გრძნობაზე", „წყურვილის გრძნობაზე", „სქესობრივი ლტოლვის გრძნობაზე" და სხვ.

დღეს სადავო აღარაა შეგრძნებებისა და მარტივი გრძნობის რიშელობათა ბუნების გათვალისწინების საფუძველზე „შიმშილის", „წყურვილის", „სექსუალური განცდის" შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა დ გამოცხადება. ორგანულ შეგრძნებებსაც, როგორც საერთოდ შეგრძნებას, აქვს შესატყვისი რეცეპტორი სპეციალური გამღიზიანებლით მაშინ, როცა მოთხოვნილებისა და გრძნობის წყაროდ ყველაფერი შეიძლება აღმოჩნდეს. მოთხოვნილებითი მდგომარეობის ინტენსია საგნობრივად უსაზღვროა. მარტივი გრძნობის ფენომენი არაინტენციონალური გარკვეულობაა და იგი როგორც მეორადი მოვლენა, ყველაფერს შეიძლება დაერთოს თან. არავითარ ლოგიკურ წინააღმდეგობას არ შეიცავს, მაგალითად, წყურვილის ორგანული შეგრძნების გააზრება გარეშე სიამოვნება-უსიამოვნების მარტივი გრძნობისა და მისი თავიდან აცილების მოთხოვნილების მეორადი ფენომენისა. წყურვილის ორგანული შეგრძნებისა და წყლის მოთხოვნილების მდგომარეობათა ურთიერთმიმართებისას ლოგიკურად პირველადია წყურვილის შეგრძნება, რაც შემდეგ განაპირობებს წყალზე მოთხოვნილების აღმოცენებას; წყალზე მოთხოვნილება ნაწარმოები ვითარებაა. წყალზე მოთხოვნილება, როგორც მოთხოვნილებითი მდგომარეობის სწრაფვა, აქტიურობა წყლით ორგანიზმის დაკმაყოფილებისაკენ, წყურვილის შეგრძნების აღკვეთისაკენ, რა თქმა უნდა, პრინციპულად სხვა მდგომარეობაა, ვიდრე თვითონ წყურვილის შეგრძნების პროცესი, რომელიც ვითარცა შეგრძნება თავისთავად არავითარ მისწრაფება-აქტივობას არ წარმოადგენს. ამიტომ არაა სწორი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ორგანული შეგრძნების თვისებად გამოცხადებულია სათანადო მიმართულებით სწრაფვის, „გარკვეული მოქმედებისადმი ლტოლვის მომენტი"* [22, 63]. „სწრაფვა" და „მოქმედებისადმი

* ს. ლ. რუბინშტეინის მტკიცება, რომ ორგანული შეგრძნებები შეიცავენ დინამიკის, ლტოლვისა და სწრაფვის მომენტებს, გულისხმობს განსხვავებულ საქმის ვითარებას, კერძოდ — ორგანული შეგრძნება აღნიშნულ ნიშნებს ღებულობს მოთხოვნილებასთან დაკავშირების გამო [71, 197—201].

ლტოლვა“ მოთხოვნილების კონსტიტუციური ნიშანია და არა ორგანული შეგრძნებისა, რომელსაც ჩვეულებრივ თან დაერთვის მოთხოვნილება.

ფაქტია, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილება იწვევს გარკვეული ორგანული შეგრძნების გაჩენას, რასაც სიგნალის ფუნქცია აქვს. (მაგ., საკვებით მოთხოვნილების დაკმაყოფილება იწვევს სიმაძღრის შეგრძნებას) და პირიქითაც, ორგანული შეგრძნება განაპირობებს მოთხოვნილების აღმოცენებას (მაგ., შიმშილის შეგრძნება განაპირობებს საკვებზე მოთხოვნილების გაჩენას), მაგრამ აღნიშნული ვითარება მოთხოვნილებისა და ორგანული შეგრძნების ურთიერთგანპირობებულობის მაჩვენებელია და არა მათი იგივეობისა**.

არცთუ იშვიათად წყალზე ან საჭმელზე მოთხოვნილებას აიგივებენ წყურვილის ან შიმშილის მოთხოვნილებასთან. ეს გაუმართლებელია. მოთხოვნილება წყალზე ან საჭმელზე **არაა იგივე**, რაც მოთხოვნილება წყურვილზე და შიმშილზე. მოთხოვნილებითი მდგომარეობის საგნად სხვადასხვა ვითარებებია ნაგულისხმები, ერთ შემთხვევაში ობიექტური, ნივთიერი რამ (წყალი, საკვები), მეორე შემთხვევაში კი — ცნობიერების განცდადი შინაარსები (წყურვილისა და შიმშილის შეგრძნებები).

წყურვილის ან შიმშილის მოთხოვნილების ტერმინები არაადეკვატურია წყლის ან საჭმლის მოთხოვნილებების აღნიშვნისათვის, ხოლო იგი საესებით მისაღებია თუკი გამოყენებულია ისეთი მდგომარეობის გადმოსაცემად, სადაც მოთხოვნილების საგანია სწორედ რომ წყურვილი ან შიმშილი. საჭმის ასეთ ვითარებაზე მიგვითითებს გამოთქმები — „მშიოდეს, რას შევჭამდი“!, „მწყუროდეს, რას დაველევდი“! ინდივიდს უნდა, რომ ჰქონდეს შიმშილის და წყურვილის მოთხოვნილება.

აღინიშნა, რომ მოთხოვნილება ინდივიდის ისეთი ინტენციონალური ვითარებაა, რომელიც ვლინდება **მისწრაფებაში** რაიმესაკენ (საგნობრივობისაკენ). მაგალითად, ტკბილისა და მჟავის შეგრძნებები ერთია, ხოლო მოთხოვნილება-მისწრაფება ტკბილისა და მჟავისაკენ — სხვა რამ. მოთხოვნილება-მისწრაფება, შესაძლებელია, მი-

---

** გაუგებრობის წყაროდ შეიძლება იქცეს მსჯელობა: ორგანული შეგრძნება ასახავს მოთხოვნილებას, რომ ის არის ორგანული მოთხოვნილების გრძნობადი ასახვა [71, 197—201]. იმის მიხედვით, თუ, როგორ იქნება გაგებული ასახვის ცნება, მსჯელობაც სხვადასხვაგვარად შეფასდება. ასახვა აქ თუ ნიშნავს გამოწვევას, განპირობებულობას, მაშინ სწორ დებულებასთან გვექნება საქმე: ორგანული შეგრძნება გარკვეულ პირობებში განაპირობებს, იწვევს მოთხოვნილებას, მაგრამ ასახვაში თუკი იგულისხმება სხვა შინაარსი: შემეცნება, გამოვლენა, პასუხი, სიგნალი, მაშინ გამოთქმული იქნება არასწორი დებულება: რამდენადაც ორგანული შეგრძნება არაა შემეცნება, გამოვლენა, პასუხი და ა. შ. მოთხოვნილებისა.

მართული იყოს ან თვითონ სიტკბო-სიმჟავისაკენ (შეგრძნებებისაკენ) ან მათი გამომწვევი მიზეზისაკენ (მაგ., თაფლის ან წნილისაკენ) ან ორივესაკენ ერთად.

7. მოთხოვნილება და გრძნობა

კლასიკური ცნობიერების ფსიქოლოგიაში მოთხოვნილების ფენომენი თავსდებოდა ემოციურ განცდათა ჯგუფში, ის არ იყო მიჩნეული ემოციისაგან რომელობით განსხვავებულ ფსიქიკურ მდგომარეობად (ვ. ვუნდტი, თ. ლიპსი, კ. ბინე, თ. რიბო და სხვ.). ამ შემთხვევაში მოთხოვნილება განმარტებული იყო როგორც უარყოფითი გრძნობა, რომელსაც თან ერთვის მისწრაფება უარყოფითი გრძნობიდან თავის დაღწევისა.

მოთხოვნილების ამგვარ გაგებას დღესაც შეეხვდებით: საბჭოთა ფსიქოლოგიაში საკმაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ემოცია ჩათვლილია მოთხოვნილების გამოვლენად, მოთხოვნილების არსებობის კონკრეტულ ფსიქიკურ ფორმად*. მოთხოვნილება რომ მჭიდროდაა დაკავშირებული გრძნობებთან, საყოველთაოდაა აღიარებული და მას საგანგებო მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ საკითხი ამჟამად დგას არა მოვლენათა ურთიერთკავშირის შესახებ, არამედ მოთხოვნილებისა და ემოცია-გრძნობის რაობის შესახებ; მოთხოვნილება არის გრძნობა-ემოცია, თუ იგი მისგან განსხვავებული რომელობაა?

ჩვენ ვიხილავთ აზრს მოთხოვნილების როგორც სპეციფიკური ფსიქიკური რომელობის შესახებ განსხვავებით გრძნობა-ემოციის გარკვეულობისაგან შემდეგი არგუმენტების გათვალისწინების საფუძველზე:

1. მოთხოვნილებას ემოციისაგან განსხვავებით საგნისადმი სპეციფიკური მიმართება გააჩნია. აქ, ამ შემთხვევაში, არ ვლაპარაკობთ მარტივ გრძნობებზე, ვინაიდან ისინი საერთოდ საგნობრივ-ინტენციონალური ბუნებისა არ არიან (ერთმანეთში არ უნდა აირიოს მიზეზი და საგანი. მარტივი გრძნობები უმიზეზოდ არ არიან, ისინი ყოველთვის რომელიმე მოვლენით არიან განპირობებულნი, გამოწვეულნი. მაგრამ მათ არ ვააჩნიათ საგნობრიობის ინტენცია). რთული გრძნობების, ანუ ემოციების ინტენციის სპეციფიკა იმაში იჩენს თავს, რომ საგანთან

* მაგალითად, ს. ლ. რუბინშტეინი წერს: „Выступая в качестве проявления потребностей — в качестве конкретной психической формы её существования, эмоция выражает активную сторону потребности" [71, 460].

გ. ხ. შინგაროვი აღნიშნავს: „...эмоции можно рассматривать в качестве конкретной психологической формы существования потребностей," [83, 220].

ემოციის დამოკიდებულება, გარკვეული აზრით, დისტანციურია. მაგალითად, სიყვარულის ემოცია ითმენს საგნისადმი დისტანციურ დაპირისპირებას, მისგან შორს ყოფნას. ხოლო საგნის ფლობა, მასთან სიახლოვე — კონტაქტი ემოციას „აცოცხლებს", „ასაზრდოებს", მას ინტენსიურსა და დროში გამძლეს ხდის. ასეთი ბუნების სრულებითაც არაა მოთხოვნილება. მოთხოვნილების მიერ მისი საგანი უნდა მოხმარებული იქნეს და ამ აქტის შემდეგ მოთხოვნილება კმაყოფილდება, მისგან აღარაფერი რჩება (რა თქმა უნდა, ლაპარაკია მოთხოვნილების ფენომენზე და არა მოთხოვნილების მიდრეკილებაზე). ამ აზრით, მოთხოვნილება საგანთან რეალურ დამოკიდებულებაში მ ო მ ე ნ ტ ა ნ ე ბ ი ა მაშინ, როცა ემოცია ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ა. უსაგნო მოთხოვნილება რეალურად არ არსებობს, ხოლო ემოციების სფეროში ზოგჯერ განცდაში არ დასტურდება არც გამოვწვევი მიზეზი და არც ინტენციის ის საგანი, რაზედაცაა ემოცია მიმართული, მაგ., ასეთია შიშნეულობის, ძრწოლვის ემოცია საპირისპიროდ შიშისა.

2. მოთხოვნილება განიცდება რაღაც უქონლობის სახით, აქ საჭიროების მომენტზეა ხაზი გასმული, რასაც საგნისადმი მისწრაფება ერთვის თან. ემოციას არაფერი ესაქმება ნაკლულობასთან, იგი მას არ ეხება (მაგ., შიშის ემოცია არაა ნაკლულობის შევსებისაკენ მისწრაფება, იგი არც ინდივიდის საჭიროების დაკმაყოფილებაა). მოთხოვნილების პროცესს ყოველთვის თან ახლავს უარყოფითი, რამდენადმე შემაწუხებელი გრძნობითი ელფერი. ამასთან ინდივიდს აქვს მისწრაფება არასასიამოვნო გრძნობითი ელფერისაგან თავის დაღწევისა. ემოცია ასეთი ბუნების არ არის. მაგალითად, მწუხარების (თანამწუხარების) ემოცია უარყოფითი განცდაა, მაგრამ მისგან თავის დაღწევა ბევრ შემთხვევაში სრულებითაც არაა ინდივიდის მისწრაფება. პირიქით, ინდივიდი მწუხარებაში, ასე ვთქვათ, თავს აფარებს, აღნიშნული ემოციური მდგომარეობა მისთვის ხსნა და მისაღები ვითარებაა, ინდივიდი მისკენ აქტიურადაც კი მიემართება, ვინაიდან მას სიტუაციისდა მიხედვით დადებით ღირებულებადაც კი თვლის.

3. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ემოცია ინდივიდის საპასუხო რეაქციაა არსებულ სიტუაციაზე, რომელიც ხელსაყრელია ან არახელსაყრელი მისი არსებობისათვის, შესატყვისია ან არაშესატყვისი მის ღირებულებით ნორმებთან და განწყობილებებთან. ამ აზრით, ემოციის აღმოცენება განპირობებულია უფრო მეტად გარემოს სიტუაციური ცვლილებებით, ვიდრე ინდივიდის საკუთარი შინაგანი ფუნქციების აუცილებლობით. ერთი სიტყვით, ემოცია „გარედან მოსულად" განიცდება; ინდივიდის ემოცია, ასე ვთქვათ „თავს ეხვევა". ამის საპირისპიროდ, მოთხოვნილება ყოველთვის ინდივიდიდან მომდინარედ განიცდება.

4. მოთხოვნილების თავისებურება იმაშიდაც ჩანს, რომ გრძნობის ირადიაციისაგან და დიფუზურობისაგან განსხვავებით, მოთხოვნილების რომელობა დამოუკიდებელია, ერთდროულად არსებულ სხვა მოთხოვნილობებში მისი შერევა, გათქვეფა არ ხდება. საკვებისა და წყლის მოთხოვნილებების ერთდროულად არსებობის შემთხვევაში ისინი ერთმანეთის მიმართ ავტონომიურობას ინარჩუნებენ, დამოუკიდებლად განაგრძობენ არსებობას. მათ ქცევის აღმძღვრელი და წარმმართველი საკუთარი ენერგია, იმპულსი აქვთ.

მოთხოვნილების გრძნობა-ემოციისაგან განსასხვავებლად სხვა მომენტებზეც მითითება გამოგვადგებოდა. მაგალითად, გრძნობა პოლარულია, გარკვეულ ერთ რომელობას აუცილებლად აქვს საპირისპირო რომელობა (სიამოვნების საპირისპიროა უსიამოვნება და ა. შ.). მოთხოვნილებას ასეთი ნიშანი არ გააჩნია შინაარსობრივად;

მოთხოვნილების მიმდინარეობას განსხვავებულ მომენტში თან ერთვის რომელობით განსხვავებული გრძნობა: მოთხოვნილება „შიმშილის“ მომენტში უსიამოვნოდ განიცდება, ხოლო მისი დაკმაყოფილების კვალობაზე დაირთავს სიამოვნების განცდას. მაშ, თვითონ მოთხოვნილება შეუძლებელია იყოს გრძნობა-ემოცია, რომელსაც თან ერთვის დამატებით სხვადასხვა რომელობის ემოცია.

პრინციპულად უნდა გაითიშოს ერთმანეთისაგან ორი გარკვეულობა: სიამოვნება და სიამოვნების მოთხოვნილება, სიყვარული და სიყვარულის მოთხოვნილება და ა. შ. მოთხოვნილება სიამოვნებისა ან სიყვარულისა არაა თვითონ სიამოვნება და სიყვარული. სიამოვნების მოთხოვნილება „შიმშილის“ ფაზაში სასიამოვნო არაა! ამ მომენტში ხომ მოთხოვნილება უსიამოვნოდ — შეწუხებად განიცდება. გრძნობისა და მოთხოვნილების გაიგივების შემთხვევაში გამოდის, რომ სიამოვნების მოთხოვნილება უსიამოვნება ყოფილა და თუ გრძნობა და მოთხოვნილება რომელობით განურჩეველია, მაშინ წინააღმდეგობრივ თვალსაზრისს გავიზიარებთ: სიამოვნება უსიამოვნებად მოგვევლინება.

ზემომითითებული მოსაზრებების ნიადაგზე ლოგიკური საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ გრძნობა-ემოცია მოთხოვნილებითი წარმონაქმნის ერთ-ერთი მომენტი თუა მხოლოდ. მოთხოვნილების ფაქტის არსებითი ნიშანია მისწრაფება საგნისაკენ და ეს სწრაფვა საგნისაკენ გრძნობა-ემოცია არაა, მოთხოვნილების ინტენცია სხვა ბუნებისაა, ვიდრე ემოციის ინტენცია. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მოთხოვნილებას ყოველთვის ჩვეულებრივ რეალური საგანი აინტერესებს, ემოცია კი შეიძლება მიმართული იყოს არარეალურზეც.

8. მოთხოვნილება და ნებელობა

იმ ქცევების შესახებ, რომლებიც, ერთი მხრივ, განპირობებულია მოთხოვნილებით, ხოლო მეორე მხრივ — ნებისყოფით და სპეციფიკურ აქტივობებს წარმოადგენენ, დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა. ამჟამად ჩვენს წინაშე დგას საკითხი თვითონ მოთხოვნილებისა და ნებისყოფის ფსიქიკური ფაქტების ფენომენალური თავისებურებათა შესახებ, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, მთელი სისრულით არაა გათვალისწინებული და ამიტომ ერთგვარი გაუგებრობის წყაროდ იქცევა ხოლმე.

მოთხოვნილების ფსიქიკური ფენომენი ზემოთ დახასიათდა, როგორც ისეთი განცდადი ვითარება, საგნისადმი ინტენციის სპეციფიკურ რომელობას რომ წარმოადგენს; მოთხოვნილება „განიცდება ერთგვარი უკმარობის თუ უკმაყოფილების გრძნობის სახით, რომელიც შეიცავს აგზნებულობისა და გარკვეული დაძაბულობის მომენტებსაც [24, 169]. მოთხოვნილებითი მდგომარეობა მის საგნობრიობის მომენტთან ერთიანობაში და მთლიანობაში ისეთი სწრაფვადი გარკვეულობაა, სადაც საგნის „ხელში ჩაგდება", მასთან რეალური კონტაქტი უახლოეს და გადაუდებელ ამოცანად წარმოგვიდგება. მოთხოვნილება აქტუალური ვითარებაა. მოთხოვნილება, როგორც „საგნისადმი შინაგანი მიზიდულობა" (კ. ლევინი, ვ. მიასიშევი) აუცილებლობით გულისხმობს „დაძაბულობის მდგომარეობის განტვირთვისაკენ სწრაფვას" (კ. ლევინი), რაც სწორედ რომ მოთხოვნილების მოხსნას უმიზნებს საგნით მისი დროში გადაუდებელი დაკმაყოფილების გზით, დაძაბულობის მდგომარეობა (მოთხოვნილება — ვ. კ.) მზადაა ყოველ წუთს აქტივობის მდგომარეობაში გადავიდეს [24, 168]; აქტუალური მოთხოვნილებით აღძრული ქცევა — იმპულსური ქცევა — აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის.

მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა სუბიექტის ისეთი პროცესია, რომლის აღმოცენება და მიმდინარეობა თვითონ სუბიექტის განზრახვებზე და ნებაზე არაა დამოკიდებული, ამდენად ლაპარაკობენ მოთხოვნილების ობიექტურ ხასიათზე: მოთხოვნილების გაჩენა, წარმოშობა განპირობებულია სუბიექტის შინაგანი მდგომარეობით, საერთო აქტივობითა და გარემოს კონკრეტული ფაქტებით. მოთხოვნილება ინდივიდის სტრუქტურული მთლიანობის აუცილებელი მომენტია და მისი ფუნქციობის დაწყება ცნობიერების სანქციას არ საჭიროებს (თუმცა. მეორე მხრივ, ადამიანური, ანუ ე. წ. მეორადი მოთხოვნილების ჩასახვა-აღმოცენების საქმეში ცნობიერების მონაწილეობა საჭირო ჩანს).

ვინაიდან მოთხოვნილების აღმოცენება ჩვენდა უნებურად

ხდება, ამდენად ის ჩათვლილია პასიურ ვითარებად, ხოლო რამდენადაც „მოთხოვნილებითი მდგომარეობა“ საგნის მოთხოვნაა, და საგნისაკენ სვლაა, ამდენად ის აქტივობის განცდად გვევლინება, რომელიც სუბიექტს, ასე რომ ვთქვათ, „თავს ეხვევა“.

ნებელობის* აქტის სპეციფიკური თვისებები, ე. ი. ის ნიშნები, რითაც ის აქტივობის სხვა სახეებისაგან განსხვავდება, კარგადაა ცნობილი: ნებელობის შემთხვევაში აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი არასდროს მოქმედებას არ იწვევს: ნებისმიერი ქცევა არ ეყრდნობა აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსს, იგი არ წარმოადგენს აწმყო მოთხოვნილების რეალიზაციას. ნებელობის პროცესი მიმდინარეობის შემთხვევაში აქტივობის პროცესში შემავალი სტრუქტურული მომენტების — „მე-ს“-ა და ქცევის — ობიექტივაცია ხდება: „მე“ თავის ქცევას უპირისპირდება. ნებელობა იმ ქცევის აქტს კი არ ეხება, რომელიც აწმყოში მიმდინარეობს, ახლა ხდება, არამედ იმას, რომელიც მომავალში უნდა მოხდეს; ნებელობა წინ იხედება, პროსპექტული აქტია (ვ. შტერნი). ეს მომავალი ქცევა მე-ს მიერ გათვალისწინებულია წინასწარ და მისი რეალიზაცია სავსებით მე-ზეა დამოკიდებული: ნებელობა მთლიანად „მე“-ს აქტივობად განიცდება, სხვაგვარად, ნებელობაში აქტიურად, მოქმედად „მე“ განიცდება.

ნებელობის სპეციფიკური თავისებურება გადაწყვეტილების აქტთანაა დაკავშირებული. გადაწყვეტილება, რომელსაც უწოდეს ასევე „პირველადი ნებელობის აქტი“, შემდეგ ფსიქოლოგიურ სურათს წარმოადგენს: სუბიექტს კუნთური დაძაბულობის განცდა უჩნდება — აღმოცენდება დ ა ძ ა ბ უ ლ ო ბ ი ს შ ე გ რ ძ ნ ე ბ ე ბ ი (თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო ე ბ ი თ ი მომენტი). სახეზეა ნათელი წარმოდგენა იმისა, თუ რა უნდა გ ა კ ე თ დ ე ს, ეს მომავალი მოქმედება განიცდება როგორც ს ა კ უ თ ა რ ი მომავალი მოქმედება (ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი მომენტი); ჩნდება სპეციფიკური განცდა, რომელიც მიახლოებით გამოითქმება სიტყვებით — „მ ე მ ი ნ დ ა“, „ა ხ ლ ა მ ე ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მ ი ნ დ ა“. „მ ე მ ი ნ დ ა“ ის აქტუალური ფაქტორია, რომელიც წარმართავს მომავალ მოქმედებას, რომ სწორედ ეს უნდა მოხდეს და არა სხვა რამ, იგი განცდილი აქტივობაა (ა ქ ტ უ ა ლ უ რ ი მომენტი), გადაწყვეტილების აქტში სუბიექტი ერთგვარ ძ ა ლ ი ს ხ მ ე ვ ა ს ა ც განიცდის,

---

* მოთხოვნილების მდგომარეობას უპირისპირდება ნებელობა და არა ნებისყოფა. ნებელობა, როგორც აღნიშნავენ, ფენომენალური ვითარებაა, ხოლო ნებისყოფა დისპოზიციური არსებობაა. ვინაიდან ჩვენ ფენომენებზე გვაქვს მსჯელობა, ამიტომ მოთხოვნილებასთან დაპირისპირებაში ვიხილავთ ნებელობას და არა ნებისყოფას. შეად. [27, 267—283].

რომლის ინტენსივობა ნებელობის კონცენტრაციის პარალელურად იზრდება (მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი თ ი მომენტი).

გადაწყვეტილების აქტის დროს სუბიექტის ცნობიერებაში აქ ჩამოთვლილი ოთხი მომენტი აღმოცენდება და ისინი ერთად სპეციფიკურ მთლიან განცდას ქმნიან, მაგრამ ძირითადი მაინც გ ა ნ ც დ ა დ ი ა ქ ტ ი ვ ო ბ ა ა, ა ქ ტ უ ა ლ უ რ ი მომენტი „მე მინდას“ განცდაა, როლის გარეშე ნებელობა არ წარმოიდგინება.

ნებელობის აქტის ფენომენი შემდეგნაირად ხასიათდება: „როდესაც ადამიანს გადასაწყვეტი აქვს რაიმე, დგება მომენტი, როცა იგი ერთბაშად გრძნობს, რომ აი, ახლა მას ეს უკვე „ნამდვილად უნდა“. ჩნდება „თვითაქტივობის“ განცდა, რომელშიც ახლავეა მოცემული ის, რაც მხოლოდ მომავალში უნდა მოხდეს, და უნდა მოხდეს სწორედ ის, რაც „მე ნამდვილად მინდა“. ნებელობის აქტში, მაშასადამე, სუბიექტის მომავალი ქცევისადმი დამოკიდებულება განიცდება: იგი განცდილი, მე-დან გამომდინარე აქტივობაა, რომელშიც სუბიექტის პოზიცია ირკვევა მომავალი ქცევის მიმართ. აღსანიშნავია განსაკუთრებით, რომ თვითონ ეს აქტი, როგორც ასეთი, აბსოლუტურად თავისუფალია ყოველგვარი ძ ა ლ ი ს ხ მ ე ვ ი ს მომენტისაგან: მიუხედავად ამისა, იგი სწორედ მე-ს აქტად განიცდება, აქტად, რომელიც მარტო მე-ზეა დამოკიდებული“ [24, 193].

სუბიექტის მდგომარეობა გადაწყვეტილების აქტის მოხდენამდე ერთგვარი უმწეობის, ყოყმანის, აგზნებულობის მდგომარეობაა, გადაწყვეტილების აქტის ერთბაშად განხორციელების შემდეგ სუბიექტში წინანდელი უმწეობისა და გაურკვევლობის გრძნობა ქრება და მის ნაცვლად გარკვეულობის, სიმყარისა და დამშვიდებულობის განცდა ისადგურებს.

ასეთია მოთხოვნილებითი მდგომარეობისა და ნებელობის ფენომენალური ბუნება.

9. მოთხოვნილების პროცესის ფაზები

მოთხოვნილების ფენომენის აღმოცენება-მიმდინარეობაში ჩვეულებრივ გამოყოფენ ორ ფაზას. პირველი ფაზა მოთხოვნილებითი მდგომარეობის ე. წ. დაძაბულობის გაჩენისა და მისი თანდათანობითი მატების, ზრდის ვითარებაა, ხოლო მეორე ფაზა — მოთხოვნილების დაკმაყოფილების კვალობაზე დაძაბულობის ვითარების შესუსტება და გაქრობა. ზოგჯერ მესამე ფაზაზეც მიუთითებენ, რომელიცაა მოთხოვნილებითი მდგომარეობის საგანთან შეხვედრის, კონტაქტის მომენტი [34, 170].

სხვა ფსიქიკური მოვლენების ფაზური მიმდინარეობისაგან გან-

სხვავებით (მაგ., ემოციის პროცესი) მოთხოვნილების პროცესის ფაზურ ხასიათს აკავშირებენ განსაკუთრებულ ფუნქციასთან. მოთხოვნილებასთან საქმე გვაქვს კანონზომიერ და არა შემთხვევით პერიოდულ მონაცვლეობასთან. ეს ვითარება უფრო ცხადად ჩანს ბიოლოგიური მოთხოვნილების შემთხვევაში. გონითი (მაღალი) მოთხოვნილებები უფრო პლასტიკურია, აქ მკაცრი საზღვრები ფაზებს შორის არ ჩანს, რამდენადაც, ამ შემთხვევაში, საქმე ეხება არა ნივთიერ მოხმარებას, არამედ სინამდვილის ე. წ. განსაგნებას, გონით თანაზიარებას; გონით მოთხოვნილებას აქვს ტენდენცია ე. წ. „მუდმივად არსებობისა" და მისი „სიმაძღრის" ზღვარი თითქოსდა უკან იწევს. სიძლიერე და სიხშირე გონითი მოთხოვნილების გამოვლენის ბიოლოგიურ მოთხოვნილებასთან შედარებით განპირობებულია უფრო მოთხოვნილების სუბიექტის პიროვნული ბუნებით, მის სტრუქტურაში გონითი მოთხოვნილების დომინანტობის ხარისხით, ამ მოთხოვნილებათა ადგილითა და მნიშვნელობით პიროვნების ღირებულებითა ორიენტაციის სისტემაში მთლიანად. ისიცაა აღსანიშნავი, რომ უკვე ჩამოყალიბებული, ფორმირებული მოთხოვნილების აღმოცენება სუბიექტში განპირობებულია შინაგანი ლოგიკით — იგი აღარაა დამოკიდებული გარეგან საბაბზე.

კურტ ლევინის მიხედვით, უნდა გავარჩიოთ მოთხოვნილების პროცესის სამი მდგომარეობა: შ ი მ შ ი ლ ი ს, ს ი მ ა ძ ღ რ ი ს და მ ო ყ ი რ ჭ ე ბ ი ს. ამ მდგომარეობებს შეესატყვისება ქცევის რეგიონების პოზიტიური, ნეიტრალური და უარყოფითი ვალენტობა (მიზიდულობის ანუ გამომწვევი ხასიათი).

კ. ლევინის სკოლიდან ფსიქოლოგმა ა. კ ა რ ს ტ ე ნ მ ა იკვლია სტუდენტებთან განმეორებადი საქმიანობის ზემოქმედების შედეგები: ლექსის კითხვის, წერილის წერის, ხატვის და ხელით ტრიალის შემთხვევებში. გამოირკვა, რომ სიმაძღრის სიმპტომებში შემდეგი თანმიმდევრობით ლაგდებიან: 1. მცირე ვარიაციები, 2. დიდი ვარიაციები, 3. მთლიანი მოქმედების დაყოფა მცირე ნაწილებად, მნიშვნელობის დაკარგვა, 4. შეცდომა, დავიწყება, 5. დაღლა და შესატყვისი „სხეულებრივი" სიმპტომები.

სიმაძღრე მაშინ აღმოცენდება, როდესაც საქმიანობას ფსიქოლოგიურად აქვს ფაქტიური განმეორების ხასიათი: წინსვლის მაგივრად ადგილზე ტკეპნა. დანარჩენი სიმპტომები სიმაძღრისა აღარ ჩდებიან, როგორც კი საქმე ადგილიდან დაიძვრის (ადგილი აღარ აქვს ადგილზე ტკეპნას).

ფსიქიკურ სიმაძღრეს ხშირად თან სდევს კუნთების დაღლა და სხვა სხეულებრივი სიმპტომები, მაგალითად, ხმის ჩახლეჩა. ისტორიული სიმპტომების მსგავსად, ეს სხეულებრივი სიმპტომები არ

ემორჩილებიან ნებისყოფას, თუმცა ისინი განპირობებულნი არიან ფსიქოლოგიური ფაქტორებით და სხვა ამოცანაზე გადანაცვლებისას ქრებიან, როცა ახალი საქმე იმავე კუნთებს პრაქტიკულად ისევე იყენებს. საქმიანობის ჩართვას სხვა ფსიქოლოგიურ მთელში, რაც მნიშვნელობის შეცვლას იწვევს, პრაქტიკულად იგივე შედეგი მოაქვს, რაც თვითონ საქმიანობის შეცვლას. აღნიშნულ გარემოებას ემყარება ხშირად გამოყენებული მეთოდური ხერხი, ბავშვს ნაკლებად ღლის სხვადასხვა სიტყვებისა და წინადადებების კითხვა, ვიდრე რომელიმე ერთი ცალკე ასოს გამოთქმა, რაც იმითაა განპირობებული, რომ პირველ შემთხვევაში დაღლა უფრო გვიან იჩენს თავს. მაშ, უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგით: უნდა მოხდეს სიტყვების იმგვარი განმეორება, რომ ეს სიტყვა ჩართული იყოს განსხვავებულ მთელებში, რათა საქმე გვქონდეს „მნიშვნელობის სისტემის“ ცვლასთან და არა ნამდვილ განმეორებასთან.

განმეორება ცვლის არა მხოლოდ კონკრეტულად წარმართულ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებს, არამედ ზეგავლენას ახდენს თანასიმაძღრის გზით ჩვეულებრივ ასევე იმ მოთხოვნილებებზეც, რომლებიც ფსიქოლოგიურად მსგავს საქმიანობებს მიეკუთვნებიან.

ა. კარსტენის მიხედვით, სიმაძღრის სიჩქარე (ე. ი. რა სისწრაფით განმეორება იწვევს მოთხოვნილების შეცვლას), დამოკიდებულია შემდეგზე: 1. საქმიანობის თავისებურებაზე, განსაკუთრებით მისი მოქმედების ერთიანობის სიდიდეზე, 2. მის ცენტრალურ ბუნებაზე, 3. ინდივიდუალურ ხასიათზე, და პერსონის მდგომარეობაზე. სასიამოვნო და უსიამოვნო საქმიანობები უფრო სწრაფად აღწევენ სიმაძღრის დონეს, ვიდრე ნეიტრალური, ღირებულების მიხედვით მათ შორის განსხვავებაც რომ არ იყოს. ერთი რომელიმე საქმიანობის მიმართ ყურადღების გამახვილება (მნიშვნელობის შეუცვლელად) სიმაძღრეს აჩქარებს, ფსიქოლოგმა ა. ფ რ ო ი ნ დ მ ა შეამჩნია, რომ სიმაძღრის სიჩქარე მცირე ამოცანის შემთხვევაში გარკვეული ფარმაცევტულ საშუალებათა მიღების დროს დიდდება. სიმაძღრის სიჩქარე იმატებს ამოცანის ცენტრალურობის კვალობაზე. ზოგჯერ სიმაძღრის თავიდან აცილების მიზნით, ინდივიდი ცდილობს საქმიანობა პერიფერიული გახადოს, ავტომატური მოქმედებები, მაგალითად, სუნთქვა და გასეირნება არ ხდებიან მაძღარნი; ისინი სიმაძღრეს აღწევენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ცნობიერად ხორციელდებიან როგორც უბრალო განმეორებანი.

ფიქრობენ, რომ სიმაძღრის სისწრაფე უკუპროპორციულია ინტელექტუალური ასაკისა. ფსიქოლოგმა ჰ. შ ა კ ტ ე რ მ ა დაადგინა, რომ სიმაძღრის დრო კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტისას უფრო გრძელია, ვიდრე მარტივის შემთხვევაში, თუმცა სამ-ოთხ და ხუთ-

წლიან ბავშვებში დიდი ასაკობრივი განსხვავებაა. ტ. ვოლფმა იკვლია სიმაძღრე შეჯიბრების, შექებისა და თავისუფალ სიტუაციებში. აღმოჩნდა, რომ ბავშვისათვის პიროვნული მიზანი დიდი მნიშვნელობის მქონეა და ეს მიზანი დამოკიდებულია პრეტენზიის დონეზე. ჯ. კუნინმა აჩვენა, რომ სიმაძღრის სიჩქარე იკლებს ასაკის მატებასთან ერთად. თუმცა უმცროსი ასაკის ბავშვებს განმეორებათა მცირე რიცხვი სჭირდებათ საქმიანობის სიმაძღრისათვის, მაგრამ მათი თანასიმაძღრე უფრო დიდია*.

ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტულადაა შესწავლილი (ცხოველების დონეზე) ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა მიმდინარეობის დინამიკის დამოკიდებულება მოთხოვნილების საგნის სიახლოვე-სიშორესთან (ჰალის სკოლა). ჯ. ბრაუნისა და ნ. მილერის ცდების მიხედვით დადასტურდა: 1. ცხოველის მისწრაფება ობიექტ-მიზანთან იზრდება მიზნის სიახლოვის კვალობაზე, რაც ახლოსაა მოთხოვნილების ობიექტი, მით მეტია მისკენ მისწრაფების ძალა, 2. უარყოფითი ვალენტობის მიზან-ობიექტიდან გაცლის სწრაფვის ძალა დამოკიდებულია მანძილზე: რაც უფრო ახლოა ცხოველთან უარყოფითი ვალენტობის ობიექტი, მით მეტია მისგან განშორების სწრაფვის ძალა, 3. მიზან-ობიექტისაგან გაცლის სწრაფვის ძალა მატულობს მიახლოებისაკენ სწრაფვის ძალასთან შედარებით უფრო სწრაფად, ე. ი. მოთხოვნილების საგნისაგან გაცლის გრადიენტი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მასთან მიახლოების გრადიენტი, 4. გაცლისა და მიზიდულობის გრადიენტები იმატებს შესატყვის მოთხოვნილებათა ინტენსივობის მატებასთან ერთად.

ნ. მილერის გამოკვლევებმა ვირთაგვებზე აჩვენეს, რომ კონფლიქტურ სიტუაციაში მოთხოვნილების მიზან-ობიექტთან მიახლოების მანძილი დამოკიდებულია მოთხოვნილებათა (შიმშილი-დადებითი ვალენტობა და დენის ძალა — უარყოფითი ვალენტობა) ძალთა შეფარდებაზე: რაც ინტენსიურია შიმშილი და სუსტი დენი, მით უფრო ახლო მიდის ცხოველი მიზან-ობიექტთან (დადებითი ვალენტობის საგანთან). ორი რეაქციის (საკმელთან მიახლოების და მისგან განშორების) კონკურენცია იზრდება მოთხოვნილების ინტენსივობასთან ერთად**.

ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტულად იკვლიეს მოთხოვნილების დაძაბულობის განმუხტვის პროცესის ფაქტორები, რაც დააკავშირებს მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფაზასთან. კ. ლევინის ტოპოლოგიური ფსიქოლოგიის სკოლაში ყურადღება მიექცეს მოთხოვნილების დაძაბულობის მოხსნას ე. წ. შენაცვლებითი მოქმედების გზით;

---

* მასალა მოტანილია კურტ ლევანის წიგნიდან [103].

** მოტანილია პ. ფრესისა და ჟ. პიაჟეს რედაქტორობით გამოცემული წიგნიდან [76, 71—73].

საკითხი ასე დაისვა: ამოცანის ფიღების გზით შექმნილი დაძაბულობა (მოთხოვნილებითი მდგომარეობა) შეიძლება თუ არა მოიხსნას და კონკრეტულად რა პირობებში და როგორ ხდება დაძაბულობის მოხსნა შენაცვლებადი მოქმედებით. ამ გამოკვლევათა წანამძღვარი შემდეგია: მოთხოვნილებით დაძაბულობა იქმნება ამოცანის დასმით. ამ ამოცანის შესრულების შეწყვეტისას თუკი იგივე ამოცანა ახალი (ამოცანა) მოქმედების დასრულების შემდეგ აღარ იწვევს შეწყვეტილი სამუშაოს გაგრძელების მისწრაფებას, მაშინ ასეთი ახალი მოქმედება შენაცვლებითია პირველისა და აღნიშნულს განუმუხტავს, მოუხსნია პირველი ამოცანის მიერ გამოწვეული დაძაბულობა.

კ. ლისნერი ცდისპირებს შეაწყვეტინებდა ხოლმე გარკვეული ამოცანის შესრულებას და აძლევდა მათ ახალ ამოცანას. ეს მეორე მოქმედება ისეთი იყო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო გარკვეულიყო ის მახასიათებლები, რომლებზედაც დამოკიდებულია შენაცვლებადი ღირებულება მოქმედებისა (მაგ., მოქმედების სიადვილე — სიძნელე, პირველ ამოცანასთან მეორის მსგავსება-განსხვავება და ა. შ.). დადგინდა რამდენიმე დამოკიდებულება. კერძოდ, ადვილთან შედარებით რთულ მოქმედებას, რომელიც დიდ დროს მოითხოვს, აქვს მეტი შენაცვლებითი ღირებულება (ადვილად ნაცვლდება სხვა მოქმედებით). მოქმედებათა ერთნაირი სირთულის დროს უკეთესი შემნაცვლებულია ის მოქმედება, რომელიც მსგავსია პირველი ამოცანისა (მაგ., მოზაიკაზე აწყობა ადამიანის გამოსახულებისა და შემდეგ ჯვარისა).

ვ. მალერმა იკვლია შენაცვლების ფაქტი „რეალობის" სხვადასხვა დონეზე. შეწყვეტილი მოქმედების (მაგ., კუბიკებით სახლის აგება) დასრულება ხატვით, მოყოლითა და მხოლოდ მოაზრებით განიხილებოდა როგორც ქცევის „რეალობის" სამი დონე: გაირკვა, რომ ვერბალური აქტივობა (მოაზრება) ნაკლებად შენაცვლებადია, ვიდრე მოტორული (ხატვა). არითმეტიკული ოპერაციის შემთხვევაში, ცდისპირებიდან ვერბალური რეალობის შემთხვევაში შეწყვეტილ მოქმედებას უბრუნდებოდა და ასრულებდა 17%, ხოლო წმინდა ინტელექტუალური დონის შემთხვევაში — 100% [76, 86—89].

დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში (თბილისი) ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ქცევის შესრულების მზაობასა და ერთგვარ დაძაბულობას, რაც თან ახლავს ამგვარ მზაობას და შემდგომ განაპირობებს შუაში შეწყვეტილ საქმიანობისაკენ მობრუნებას, ადგილი აქვს არა მარტო დაწყებული და შუაში შეწყვეტილი, არამედ აგრეთვე დაგეგმილი, გამიზნული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუწყებელი საქმიანობის შემთხვევაშიც. აღნიშნული ფაქტი, ამ შემთხვევაში ახსნილია დ. უზნაძის განწყობის კონცეფციის საფუძველზე — აქტუალიზებული განწყობა, რომელიც თავს იჩენს

ქცევის მსვლელობაში და ძალას არ ჰკარგავს ქცევის დასასრულამდე, ძალის მქონეა იმ შემთხვევის მიმართაც. როცა გამიზნული ქცევა არ დაწყებულა და თავიდანვე იწყება ახალი ქცევით, რაც დაგეგმილი ქცევისადმი მობრუნების ტენდენციაში იჩენს თავს.

ექსპერიმენტულად გაირკვა ისიც, რომ განწყობის ძალისა და სურვილის მოქმედების ძალის ურთიერთდაპირისპირების შემთხვევაში, განწყობის ძალა გაცილებით ინტენსიურია და ქცევა მის საფუძველზე იშლება.

საერთოდ არარეალიზებული განწყობის შემთხვევაში, იქნება ეს შუაში შეწყვეტილი ქცევა თუ დაგეგმილი და დაუწყებელი ქცევა, ქცევისადმი მიბრუნების ტენდენცია ძლიერია, მაშინ როდესაც ამგვარ ტენდენციას თითქმის არა აქვს ადგილი უბრალოდ სასურველი ქცევის შემთხვევაში [14].

10. ე. წ. „გაშუალებული მოთხოვნილების" შესახებ

მოთხოვნილებებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ არა მხოლოდ შინაარსითა და დინამიკური თვისებებით, არამედ თავისი წყობითაც. როგორც ამბობენ, მოთხოვნილებათაგან ზოგიერთი პირდაპირი, უ შ უ ა ლ ო ბუნებისაა, ზოგიც კი — გ ა შ უ ა ლ ე ბ უ ლ ი ცნობიერად დასახული მიზნითა და განზრახვით. მოთხოვნილების წყობა გარკვეულად განსაზღვრავს ადამიანის ქცევის აღძვრის თავისებურებასაც. ერთ შემთხვევაში, ქცევის აღძვრა მიმდინარეობს პირდაპირ აქტუალური მოთხოვნილებიდან და ეს უკანასკნელი უშუალოდ განაპირობებს შესატყვისი ქცევის განხორციელებას, იგი დაკავშირებულია ქცევის განხორციელების უშუალო სურვილთან, მისწრაფებასთან. ასეთად ასახელებენ ბიოლოგიურ და ჩვევებთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებს.

გაშუალებული მოთხოვნილების შემთხვევაში ქცევის აღძვრა, წაქეზება მიმდინარეობს ცნობიერად დასახული მიზნიდან, განზრახვიდან და ის, შესაძლებელია, არ დაემთხვეს სუბიექტის უშუალო განცდად მისწრაფებას, ზოგჯერ დაუპირისპირდეს კიდეც მას. მაგ., მოსწავლე იწყებს მისთვის არასასიამოვნო ქცევის განხორციელებას — გაკვეთილის მომზადებას მხოლოდ იმისათვის, რომ საღამოს უფროსებისაგან კინოთეატრში წასვლის უფლება მოიპოვოს.

გაშუალებული მოთხოვნილება (დასახული მიზანი, მიღებული განზრახვა) ჩათვლილია ონტოგენური პროცესის პროდუქტად. განზრახვიდან და დასახული მიზნიდან მომდინარე აფექტური ტენდენცია არსებითად იგივე ბუნებისაა, როგორც უშუალო მოთხოვნილებიდან აღმოცენული ტენდენცია.

ასეა გააზრებული ე. წ. გაშუალებული მოთხოვნილების შინაარსი ლ. ბოჟოვიჩთან [36, 236—238]*. ავტორის მსჯელობაში სრული სიცხადით არაა გადმოცემული ე. წ. „გაშუალებული მოთხოვნილების“ ცნება. საქმე ისაა, რომ ერთმანეთისაგან მკაცრად არაა გათიშული მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა დ ა მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ვ ი თ ა რ ე ბ ა, გზა. თვითონ მოთხოვნილება, გარკვეული აზრით, შეუძლებელია გაშუალებული იყოს, მოთხოვნილების ფსიქიკურ მდგომარეობაში ე. წ. „მოთხოვნილებითი მიმართება“ საგნისადმი ყოველთვის პირდაპირია, უშუალოა; მათ შორის პირდაპირი კავშირი გამორიცხავს ყოველგვარ გაშუალებას ახალი მომენტით. თუკი რომელიმე მიზანი ან განზრახვა იქცევა მოთხოვნილებად, ე. ი. ისინი იქცევიან „მოთხოვნილებითი მიმართების“ საგნად, მაშინ ისინიც უ შ უ ა ლ ო საგნები არიან „მოთხოვნილებითი მიმართებისა“.

ლ. ბოჟოვიჩს გაშუალებული მოთხოვნილების მაგალითად მოჰყავს ისეთი ქცევა, რომელშიაც ერთმანეთს არ ემთხვევა მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების საშუალება, რომ ამ შემთხვევაში მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭიროა ისეთი შოქმედების შესრულება, რომელიც უშუალოდ არ გამომდინარეობს თვითონ მოთხოვნილების მდგომარეობიდან. ფაქტიურად აქ საქმე გვაქვს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ჭ ი რ ო გ ა შ უ ა ლ ე ბ უ ლ ქ ც ე ვ ა ს თ ა ნ. და როცა ჩვენი ავტორი მსჯელობს მოთხოვნილების წყობაზე, მას მხედველობაში აქვს არა იმდენად საკუთრივ მოთხოვნილების გარკვეულობა, რამდენადაც სწორედ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო გზა, რომ ეს გზა ზოგ შემთხვევაში შეიძლება არაპირდაპირიც იყოს. რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილება აუცილებლობით არაა მხოლოდ მოხმარების აქტთან დაკავშირებული, იგი ასევე სხვა შემთხვევებში საჭიროებს მომსახურებას, შრომას.

უფრო ადრე ლ. ბრენტანო მიუთითებდა ე. წ. გაშუალებული მოთხოვნილების აღნიშნულ შინაარსზე, რომ გაშუალებული მოთხოვნილების ტერმინში უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო არაპირდაპირი საშუალება, რომ, მაგალითად, შიმშილის დაკმაყოფილებისათვის ჯერ უნდა აშენდეს პურის ქარხანა. პურის ქარხნის აშენების ქცევა აქტუალური შიმშილის დაკმაყოფილებისათვის არაპირდაპირი, გაშუალებული, მაგრამ აუცილებელი გზაა [37].

მაშასადამე, „გაშუალებული მოთხოვნილება“, როგორც ჩანს,

* ამ თვალსაზრისს იზიარებს ი. შაროვიც, იხ. [81, 46].

თვითონ მოთხოვნილების ფსიქიკური ფენომენის ბუნებას არ ეხება, მას არ გამოხატავს. ამდენად უნდა ვილაპარაკოთ არა მოთხოვნილების ფენომენის უშუალობა-გაშუალებულობაზე (მოთხოვნილება ყოველთვის უშუალოა მის საგანთან მიმართებაში), არამედ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის პირდაპირ თუ გაშუალებულ შესაძლებლობაზე, პროცესზე.

ე. წ. გაშუალებული მოთხოვნილების შესახებ მსჯელობის დროს ერთ მომენტსაც უნდა მიექცეს ყურადღება. საქმე ეხება ისეთ მდგომარეობას, როდესაც სახეზეა გაშუალებული წაქეზება, ბიძგი, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს ცნობიერად დასახული მიზნიდან მ ო მ დ ი ნ ა რ ე ს [81, 46]. მაშასადამე, ზოგი მოთხოვნილება წარმოშობის მიხედვით პირდაპირია, ე. ი. მის გაჩენას გარკვეულ პირობებში უშუალოდ საგნობრივი საჭიროება განსაზღვრავს, ასეთია თანაშობილი მოთხოვნილებანი: საკვებზე, თავდაცვაზე, გამრავლებაზე... ხოლო გაშუალებული მოთხოვნილება გაგებულია როგორც აღმოცენებული ცნობიერი მიზნის საფუძველზე. ასეთი „მოთხოვნილება" არ გულისხმობს თავიდანვე აქტუალური საკუთარი შინაგანი სწრაფვის მომენტს, და ამასთანავე ის (ე. წ. „მოთხოვნილება — მიზანი") შემდეგ შეიძლება გადაიქცეს ნამდვილ მოთხოვნილებად, რომელსაც ექნება საკუთარი შინაგანი სწრაფვა საგნისაკენ. საფიქრებელია, რომ აქ საქმე გვაქვს ნამდვილად შეკენილ, ანუ მეორად მოთხოვნილებებთან; ასეთ შემთხვევაში პირობითად შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი „გაშუალებული მოთხოვნილება" და ამით აღვნიშნოთ ისეთი ვითარება, როდესაც მოთხოვნილებად გადაიქცევა ის გარკვეულობა (მიზანი), რაც თავიდანვე არ წარმოადგენდა მოთხოვნილებას, მაგრამ იმპულსს იძლეოდა ნებისყოფის აქტთან კავშირის გამო, ვინაიდან თვითონ მიზანი (ინტელექტუალური შინაარსი) იმპულსსა და ენერგიას არ შეიცავს. მხოლოდ ასეთი შინაარსით თუ შეიძლება გაგებული იქნეს დებულება, რომ „გაშუალებული მოთხოვნილება ეს იგივეა, რაც ცნობიერი მიზნიდან მომდინარე წაქეზება", წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებრობას ვერ ავიცილებთ თავიდან, ვინაიდან ცნობიერი მიზნიდან მომდინარე წაქეზება (დინამიკური მომენტი) არსებრივად არაა დაკავშირებული მოთხოვნილებასთან, მას უფრო ნებისყოფა განაპირობებს, ვიდრე მოთხოვნილების შინაარსი.

11. ე. წ. „კვაზი — მოთხოვნილების" შესახებ

კვაზი-მოთხოვნილება ფსიქოლოგ კურტ ლევინის მიერ შემოტანილი ტერმინია ფსიქოლოგიაში. კ. ლევინი ცნობილია როგორც „ტოპოლოგიური ფსიქოლოგიის" შემქმნელი. მის კონცეფციაში ერთ-

ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოთხოვნილების ცნებას, რომელიც არსებით კავშირშია სხვა ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა: „დაძაბულობა“, „ფსიქოლოგიური ველი“, „სასიცოცხლო სივრცე“, „მიზიდულობის ხასიათი“, „ლოკომოცია“ და სხვ.

კ. ლევინის მიხედვით, მოთხოვნილება ისეთი დაძაბულობის ვითარებაა, რომელსაც აქვს ტენდენცია გამოიწვიოს ქცევა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიმართულებით (დაძაბულობის აღკვეთისათვის)* [103, 316]. უფრო მეტიც, ავტორი თვლის, რომ „მოთხოვნილების თვისებაა ქცევის ორგანიზაცია“ [103, 305]**. ასევე მოთხოვნილების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია ის, რომ მოთხოვნილების სისტემის მდგომარეობა, რომლიდანაც მომდინარეობს ქცევა, თვითონაც ქცევასთან ერთად ძირფესვიანად იცვლება (ლაპარაკია მოთხოვნილების მდგომარეობის სტადიებზე: შიმშილის, ძაღლრობისა და მოყირჭების ეტაპებზე) [102, 213].

ქცევა დამოკიდებულია როგორც გარე გაღიზიანებაზე, ისე შინაგან სუბიექტურ მდგომარეობაზე. კ. ლევინმა ქცევა (v) დაახასიათა, როგორც განპირობებული პიროვნების (p) და გარემოს (u) მხრიდან. აქედან ფორმულა V=F(PU) — ქ ც ე ვ ა ფ უ ნ ქ ც ი ა ა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა დ ა გ ა რ ე მ ო ს ი. ამიტომ არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ გაღიზიანება — რეაქციის პროცესი წარიმართება მხოლოდ გარეგანი პირობების ზეგავლენით, ხოლო ამოცანის განხორციელების აქტი დამოკიდებულია სუბიექტის მხოლოდ შინაგან ვითარებაზეო; ირკვევა, რომ მოთხოვნილებისა და გაღიზიანება-რეაქციის პროცესების ერთმანეთთან დაპირისპირება არ მიმდინარეობს შინაგანი — გარეგანი განპირობებულობის და პარალელურად. მოთხოვნილების პროცესების შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ აგრეთვე გარეგანი მოცემულობანი. აღნიშნულ გარეგან მოცემულობას კ. ლევინი უწოდებს „გამომწვევ ხასიათს“, „მიზიდულობის ხასიათს“***. ყოველ მოთხოვნილებას, სულ ერთია, იგი დიფუზურია თუ ფიქსირებული

---

* სხვაგან კ. ლევინი მიუთითებს: „მოთხოვნილების დროს არსებითად საქმე გვაქვს დაძაბულობის მდგომარეობასთან, რომელიც გვიბიძგებს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ. დაკმაყოფილებას შედეგად მოსდევს დაძაბულობის მდგომარეობის განრიდება, მოხსნა, რომელიც აღიწერება როგორც ფსიქიკური „სიმაძღრე“ [101, 356].

** ედ. კლაპარედმა ამ ვითარებას უწოდა მოთხოვნილების კანონი და მას ასეთი ფორმულირება მისცა: „ყოველი მოთხოვნილება იწვევს მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო შესატყვის რეაქციებს“. ეს კანონი მიუთითებს ქცევის ფუნდამენტურ კოორდინაციაზე [87].

*** კ. ლევინი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში „მიზიდულობის ხასიათის“ ნაცვლად ხმარობს ტერმინს „ვალენტობას“, ხოლო თავდაპირველად მას უწოდებდა „ბრძანების ხასიათს“.

(სპეციალიზებული), შეესატყვისება მეტად თუ ნაკლებად ვრცელი და განსაზღვრული სფერო შესაძლო საგნებისა თუ პროცესებისა, რომელნიც შესატყვისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებებს ქმნიან. აღნიშნული მიზიდულობის ხასიათის სფერო და რომელობა იცვლება მოთხოვნილების მდგომარეობისდა შესატყვისად. მიზიდულობის ხასიათი და მოთხოვნილება კორელაციური ცნებებია [102, 219].

კ. ლევინი თვლის, რომ საჭიროა ერთმანეთისაგან გაითიშოს ორგანიზმზე ისეთი ზემოქმედება გარემოსი, რომელსაც შედეგად მოსდევს მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ისეთი სხვა „გაღიზიანება", რომელსაც ასეთი შედეგი არ ახლავს. სწორედ ამიტომ შემოაქვს მას „გამომწვევი ხასიათის" ტერმინი, რომ პირველი ვითარება მკვეთრად განასხვაოს უკანასკნელისაგან. ავტორის მიხედვით, გამომწვევი ხასიათისათვის არაა დამახასიათებელი, რომ იგი მუდამ კონკრეტული, განსაზღვრული მოქმედებისაკენ უნდა გვიბიძგებდეს, გვეწეოდეს; ამასთან უნდა განსხვავდეს გამომწვევი ხასიათის პოზიტიური და ნეგატიური რომელობები, ასევე — ამ რომელობათა სიძლიერის დინამიკა დაწყებული ე. წ. „ბრძანებითი ხასიათით" და დამთავრებული „სუსტი მიზიდულობით". მძლავრი ზემოქმედება გარედან ხდება სწორედ იმის გამო, რომ გარემოს საგნები მოთხოვნილებებთან საკუთარ გარკვეულ მიმართებაში არიან.

ფიქსირებულ მოთხოვნილებას შედეგად თან სდევს ხოლმე განსაკუთრებით ძლიერი გამომწვევი ხასიათის მქონე წარმონაქმნები და ის წარმოადგენს გამომრიცხველ ფუნქციას — სხვა წარმონაქმნები ჰკარგავენ მთლიანად ან ნაწილობრივ თავიანთ მიზიდულობის, ანუ გამომწვევ ხასიათს; იგივე ითქმის კვაზი — მოთხოვნილების შესახებაც. ფიქსაცია თვითონ ქმნის არა პროცესის წყაროს, არამედ მას აძლევს მხოლოდ ფორმას.

გამომწვევი ხასიათი არასდროს არაა კონსტანტური; იგი დამოკიდებულია რომელობითად და ხარისხობრივად შიგა და გარე სიტუაციებზე, რომელშიც პიროვნება იმყოფება. ნივთები, რომლებსაც აქვს გამომწვევი ხასიათი, წარმოადგენენ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირდაპირ საშუალებებს. ესაა ბუნებრივი, ანუ საკუთრივი გამომწვევი ხასიათი, რომელიც უნდა განსხვავდეს ე. წ. ნაწარმოები, გამოყვანილი გამომწვევი ხასიათისაგან. მაგალ., ქალაქი, სახლი, ქუჩა, სადაც ჩვენთვის საყვარელი ადამიანი ცხოვრობს, ღებულობს შემდგომ მიმზიდველობის, ანუ გამომწვევ ხასიათს, რაც წარმოადგენს სწორედ რომ ნაწარმოებ, სხვისაგან გამოყენებული ბუნების მქონე მოვლენას. ესაა საწყისი გამომწვევი ხასიათის წარმონაქმნის სივრცითა და დროითი განვრცობა [101, 351].

ახალ მოთხოვნილებას, რომელიც ხშირად არ დაკმაყოფილებუ-

ლა, აქვს შესაძლო გამომწვევი ხასიათის ფართო არე. ასევე გამომწვევი ხასიათის არე ნამდვილი მოთხოვნილების ინტენსივობის ზრდასთან ერთად ფართოვდება. ინტენსიური შიმშილის დროს საგნები, რომლებიც ჩვეულებრივ არ იქმება და გვეზიზღება კიდეც, იძენენ დადებითი მიზიდულობის, ანუ გამომწვევ ხასიათს.

საერთოდ გამომწვევი ხასიათის ბუნებრივ და ნაწარმოებ სახეებს შორის გასვლა მკაცრი ნახტომისებური არაა და მათი დამოკიდებულობაც შეფარდებითია. გამომწვევი ხასიათი მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის მთლიანი ქცევის კვალობაზე — მაგალ., სარკე გამოყენების (შიგ ჩახედვის) შემდეგ „ნეიტრალური" ხდება, აღარ გვიზიდავს. მოთხოვნილების შეცვლას ყველგან შეესატყვისება გამომწვევი ხასიათის შეცვლაც. თავის მხრივ, გამომწვევი ხასიათის ცვლილება (აღმოცენება— მიმდინარეობა) იმის მაჩვენებლად გამოდგება, რომ სუბიექტში შინაგანად ნამდვილად არსებობს ისეთი დინამიკური ვითარება (გადაწყვეტილება), რომელიც ქმედითია ფსიქიკურად. ამიტომ იმის თქმა, რომ „ესა და ეს მოთხოვნილება არსებობს" და „ესა და ეს წარმონაქმნი ფლობს გამომწვევ ხასიათს ამა და ამ მოქმედებისათვის" ეკვივალენტურია გარკვეულ დონემდე [101, 352—353].

მოთხოვნილებიდან ან მოთხოვნილებათა კომბინაციიდან შეიძლება აღმოცენდეს ნაწარმოები მოთხოვნილება, ანუ კვაზი — მოთხოვნილება, რომელიც ერთმნიშვნელოვანია, ეკვივალენტურია განსაზღვრული განზრახვისა (გადაწყვეტილებისა) [103, 305—307]. კ. ლევინის მიხედვით, განზრახვის (გადაწყვეტილების) მოქმედება უნდა წარმოვიდგინოთ როგორც კვაზი — მოთხოვნილების წარმოქმნა. კვაზი — მოთხოვნილება დ ი ნ ა მ ი კ უ რ ა დ ეკვივალენტურია სხვა მოთხოვნილებისა, რადგანაც მას აქვს ტენდენცია გამოიწვიოს მოქმედება მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიმართულებით, განურჩევლად იმისა, მიზან — ობიექტი არსებულია თუ არა [103, 316]. „ისე, როგორც ნამდვილი მოთხოვნილებანი, ასევე განზრახვის (გადაწყვეტილების) შედეგი, ეფექტი ტიპურად იმაში ვლინდება, რომ ის გამომწვევი ხასიათით აღჭურავს ხოლმე გარკვეულ ნივთებსა ან პროცესებს, რომლებთანაც შეხვედრას მოსდევს ტენდენცია გარკვეული მოქმედებისაკენ" [101, 355].

კ. ლევინმა კვაზი — მოთხოვნილება დაახასიათა როგორც კ ო ნ დ ი ც ი ო ნ ა ლ უ რ — გ ე ნ ე ტ უ რ ი ცნება. კვაზი-მოთხოვნილების ამ განსაზღვრებით გარკვეულია „არაცნობიერის" ცნებასთან მისი მიმართებაც. ვუწოდოთ მოთხოვნილებებს არაცნობიერი, ავტორის მიხედვით, ეს ისეთივე ადეკვატური გამოთქმაა, როგორც ამ პრედიკატით დახასიათებული „გენოტიპი" ანუ „უნარი". განსხვავება ცნობიერი მოთხოვნილებისა არაცნობიერი მოთხოვნილებისაგან აზრის მქო-

ნე მაშინაა, როდესაც მოთხოვნილების მიზანი თვითონ ინდივიდისთვისაა ცნობიერი, საპირისპიროდ ისეთი შემთხვევისა, სადაც მიზანი მომენტალურადაა ცნობიერი, ანდა ასეთი სრულიადაც არაა. მიზანი და დაძაბულობის მდგომარეობა შ ე ი ძ ლ ე ბ ა განცდადი იყოს; მაგრამ კვაზი — მოთხოვნილებასთან რეალური დაძაბულობის მდგომარეობა არ საჭიროებს განცდის სახით მის გამოვლენას [101, 382—383].

შეცდომაა, ჩვენი ავტორის გაგებით, კონდიციონალურ-გენეტური ცნების გაიგივება მიღწევის ცნებასთან იმის გამო, რომ უკანასკნელი ეხება ფსიქიკის ფენომენალურ, ფენოტიპურ ვითარებას, ხოლო პირველი — ღრმად მდებარე გენოტიპურ გარკვეულობას*.

თუ ვახასიათებთ განსაზღვრულ, კონკრეტულ კვაზი-მოთხოვნილებას, როგორც განპირობებულს (აღძრულს) გადაწყვეტილების აქტით, მაშინ ის არ უნდა ჩაითვალოს ისეთ ტენდენციად, რომელსაც სავსებით კონკრეტული მიმართულება გააჩნია. ერთი და იგივე ინდივიდუალური კვაზი — მოთხოვნილება, შესაძლებელია, განპირობებული იყოს განსხვავებული შემთხვევებით და სულ სხვადასხვა განხორციელების მოქმედებას იწვევდეს, რომლებიც კვაზი — მოთხოვნილებას ერთნაირად აკმაყოფილებენ (არსებულ დაძაბულობის სისტემას განტვირთავენ). კ. ლევინი ხაზგასმით მიუთითებს: მ ხ ო ლ ო დ კ ვ ა ზ ი — მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს ა დ ა კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ს ი ტ უ ა ც ი ი ს ე რ თ ა დ ყ ო ფ ნ ა გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს ი მ ა ს, თ უ რ ო მ ე ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ს [101, 381].

კ. ლევინი თვლის, რომ გარკვეული ორგანიზმი საკუთარი „გენოტიპის“ მიხედვით განიმარტება უნარების ისეთ კრებით ცნებად, რომელიც, თავის მხრივ, ასევე ნაკლებ დახასიათდება, როგორც სავსებით განსაზღვრული მყარი მოქმედება ან ფენოტიპი. ორგანიზმი უნდა განიმარტოს ქცევის ნაირობის ისეთ ერთობლიობად, რომელთაგანაც ყოველი ცალკეული ექვემდებარება გარკვეულ სიტუაციას. ერთი და იგივე გენოტიპური წარმონაქმნი სხვადასხვა სიტუაციაში მიგვიყვანს განსხვავებულ ფენოტიპურ წარმონაქმნთან [101, 32].

კ. ლევინი მიუთითებს, რომ კვაზი-მოთხოვნილება აჩვენებს ზორსმწვდომ პარალელებსა და რეალურ მიმართებებს ნამდვილ (იგივე ბუნებრივ, საკუთრივ) მოთხოვნილებებთან, დინამიკურად ხომ განზრახვა, გადაწყვეტილება კვაზი-მოთხოვნილების (დაძაბულობის მდგომარეობის) აღმოცენებაა:

---

* კ. ლევინი წერს: „გადაწყვეტილების აქტიდან გამომდინარე დაძაბულობის მდგომარეობა არ საჭიროებს ხანგრძლივ გამოვლენას ცნობიერი დაძაბულობის განცდის სახით. როგორც წესი, დიდ მონაკვეთში, მაგალითად, შეწყვეტილი ქცევის განმავლობაში, ის მხოლოდ ლ ა ტ ე ნ ტ უ რ ა დ არსებობს, მაგრამ ამიტომ იგი არანაკლებ რეალურია“ [101, 349].

ა) კვაზი-მოთხოვნილებას შეესატყვისებიან (ნამდვილი მოთხოვნილების ანალოგიურად) გარკვეული წრე გამომწვევი ხასიათის მქონე ნივთებისა და პროცესებისა, რომლებიც იმ მოქმედების შესრულებისაკენ გვიზიდავენ, რაც დაძაბულობას მოხსნის განხორციელების შემთხვევაში.

ბ) მიზიდულობის ანუ გამომწვევი ხასიათის მქონე წარმონაქმნთა წრე დამოკიდებულია კვაზი-მოთხოვნილების ს ი ძ ლ ი ე რ ე ზ ე ც. სადაც ეს წრე არაბუნებრივადაა შევიწროებული, იქ ისეთი ვითარება იქმნება, რომელიც შეესატყვისება ფ ი ქ ს ა ც ი ა ს ნამდვილი მოთხოვნილების სფეროში. ფიქსაცია შეიძლება თან სდევდეს თვითონ გადაწყვეტის აქტს ან პირველ განხორციელებას, მაგრამ მისი განმტკიცება ყოველთვის განმეორებით როდი ხდება.

გ) მოთხოვნილების დაძაბულობა, როგორც პირველადი ფაქტი, შემდეგი ბუნებისაა: საკმაო ინტენსივობის დროს, მას მივყავართ ქცევის ადრეულ შეწყვეტამდე იქ, სადაც ვითარება ჭიანურდება; ხდება აქტიური ძიება შესაძლებლობებისა; ქცევა ხელახლა აღდგება, როცა ის შეწყვეტილი იყო მიზნის განხორციელებამდე, ამგვარია ქცევის მეხსიერებაში უკეთ შენახვა.

დ) კვაზი-მოთხოვნილების სიმაძღრის შემთხვევაში მიზიდულობის ხასიათი მაშინაც ქრება, როცა საქმე გვაქვს ფიქსაციასთან; ასევე მიზიდულობის თუ გამოწვევის ხასიათი აღიკვეთება იმ შემთხვევაშიც, როცა დაკმაყოფილება სხვა გზითა და სხვა ვითარებაში ხდება, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო გადაწყვეტილების აქტში.

ე) ნამდვილი დაკმაყოფილების ადგილი შეიძლება დაიკავოს შენაცვლებითმა დაკმაყოფილებამ სხვადასხვა ფორმით. შენაცვლებით დაკმაყოფილებას გარკვეულ დონემდე შედეგად ახლავს იგივე ზემოქმედება, რაც საკუთრივ დაკმაყოფილებას და მას შუძლია გამოიწვიოს გადაწყვეტილების დავიწყება და დაუმთავრებელი ქცევის განუახლებლობა*.

ვ) გადაწყვეტილების აქტით შექმნილი კვაზი-მოთხოვნილება

---

*კ. ლევინი შენაცვლებითი დაკმაყოფილების ოთხ სახეზე ლაპარაკობს:
1) ს ი ტ უ ა ც ი ი ს შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ი დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა: იმის მაგივრად, რომ წერილი ყუთში ჩვენ თვითონ ჩავუშვათ, ამ საქმის გაკეთებას ვავალებთ სხვას.
2) „Pars pro toto" დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა: განზრახვა რეალურად შესრულების მაგივრად, მაგალითად, ბლოკნოტში აღინიშნება.
3) ა რ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ი, მ ო ჩ ვ ე ნ ებ ი თ ი დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა: მაგალითად, ვერ ვათავსებთ რგოლს გარკვეული მანძილით დაშორებულ რაიმე ამოშვერილობაზე და ამის მაგივრად მას ადვილად ვათავსებთ ჩვენს ახლოს სხვა ამოშვერილობაზე.
4) შ ე ნ ი ღ ბ უ ლ ი დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა: რგოლი ამოშვერილის მაგივრად თავსდება განსხვავებულ საგნებზე, მაგ., სათამაშო დათვზე.

არ წარმოადგენს იზოლირებულ წარმონაქმნს სულიერ მთლიანობაში; არამედ იგი ჩართულია სულიერ კომპლექსში ან პიროვნების სფეროში; ის უკავშირდება სხვა კვაზი და ნამდვილ მოთხოვნილებებს; ამ მოთხოვნილებათა ძალაზე და ცენტრალურ პოზიციაზე დამოკიდებულია გადაწყვეტილების ზემოქმედების სიმძლავრე. კვაზი-მოთხოვნილების ეფექტიანობა შეიძლება შეკავდეს მისი საპირისპირო ნამდვილი მოთხოვნილებებით*.

ზ) არანაკლებ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ფენომენალური ინტენსივობა გადაწყვეტილების აქტისა და მისი სხვა ფენომენალური აღჭურვილობა [101, 381—385].

კ. ლევინის მიხედვით განზრახვა, გადაწყვეტილება განსხვავდება გადაწყვეტისაგან. განსხვავება იმაშია, რომ გადაწყვეტის შემთხვევაში შინაგანი დაძაბულობა ინდივიდის მოტორულ სფეროს (მოტორიკას), მოქმედების მისასვლელს უკავშირდება (აღნიშნული იქნება ან ადვილდება). გადაწყვეტილება და გადაწყვეტა მხოლოდ ცნების დონეზე შეიძლება გაითიშონ ფუნქციონალური მნიშვნელობის მიხედვით [101, 380—381].

კ. ლევინის ტოპოლოგიური ფსიქოლოგიის კონცეფციასთან მიმართების გარკვევას მრავალი ფსიქოლოგიური თეორია ცდილობს. ამ კონცეფციის ფუნდამენტური კატეგორიების ანალიზის საფუძველზე მიუთითებენ ფსიქოლოგიური მეცნიერებისათვის მათ ავკარგიანობაზე. კ. ლევინის კონცეფციით პრინციპულადაა დაინტერესებული დ. უზნაძის განწყობის თეორია. საქმე იმაშია, რომ ქცევის ზოგადი კონცეპტის შემუშავებისათვის კ. ლევინის ველის თეორია და დ. უზნაძის განწყობის თეორია მოიხმარენ ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა: სიტუაცია, მოთხოვნილება და ა. შ., რომელთა ბოლომდე გააზრება და მთელში მათი ფუნქციონალური ადგილის გარკვევა აქტუალური ამოცანაა მით უფრო, რომ მათი საბოლოო ერთმნიშვნელოვანი გაგება და შემდეგ მათი შედარების საფუძველზე განსხვავება-მსგავსების დადგენა ჯერ კიდევ საბოლოოდ განხორციელებული არაა, თუმცა არის ცდა ამ ამოცანის გადაჭრისა.

კ. ლევინი XX საუკუნის ფსიქოლოგიაში ცნობილი გახდა როგორც მოთხოვნილების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი პირველი ექსპერიმენტატორი-მკვლევარი. მის მიერ ფსიქოლოგიაში შემოტანილი „მიზიდულობის, ანუ გამომწვევი ხასიათისა“ და „კვაზი-მოთხოვ-

---

* ედ. კლაპარედმა ეს შინაარსი გამოთქვა ე. წ. „მომენტალური ინტერესის კანონით“: „ყოველ მომენტში ორგანიზმში მიპყრება თავისი ყველაზე უფრო დიდი ინტერესის ხაზს“; რამდენიმე მოთხოვნილებიდან უპირველესად კმაყოფილდება ის, რომელიც ინტენსივობით უფრო ძლიერია, ანუ აქტუალური [87]. [32, 43—47].

ნილების“ ცნებები სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა დ. უზნაძის მხრიდან. დ. უზნაძე გამომწვევი ხასიათის შესახებ მიუთითებს: „ამ მოვლენისათვის წინათაც მიუქცევიათ ყურადღება (ლევინის), მაგრამ იგი არ ყოფილა სათანადოდ გაგებული და გამოყენებული მეცნიერებაში. ანალიზი ამ მოვლენისა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველასათვისაა ცნობილი და რომელსაც ყოველ წამს ვხედავთ, გვიჩვენებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უაღრესად დიდი პრინციპული მნიშვნელობის მოვლენასთან (ხაზგასმა ჩვენია — ვ. კ.), რომელიც სათანადოდ უნდა იქნეს გამოყენებული უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიაში“ [26, 271]. ან კიდევ: „როდესაც ჩვენში რომელიმე გარკვეული მოთხოვნილება აღიძვრის, მასთან მიმართებაში მყოფი ობიექტები და მოვლენები ჩვენ მიმართ ერთგვარ ძალას იძენენ: ისინი გვაიძულებენ ვიმოქმედოთ გარკვეული მიმართულებით, თითქოს მოგვიწოდებენ მოქმედების გარკვეული აქტები შევასრულოთ, მაგალ., პური იზიდავს მშიერს სტაცოს მას ხელი და შეჭამოს... მაგრამ ეს გამომწვევი და წარმმართველი ძალა მხოლოდ გარკვეულ პირობებში ვლინდება, სახელდობრ მაშინ, როდესაც სუბიექტს შესაფერისი მოთხოვნილება აქვს. საკმარისია ეს უკანასკნელი დაკმაყოფილდეს, რომ საგნებმა და მოვლენებმა თავისი „გამომწვევი“ ძალა დაკარგონ.

ლევინის ეს მოძღვრება იმ მხრივაა საინტერესო, რომ იგი სწორი დაკვირვების შედეგს წარმოადგენს (ხაზგასმა ჩვენია — ვ. კ.), რომლის თანახმადაც საგნები და მოვლენები, როდესაც იგინი რომელიმე აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის კომპონენტებად გამოდიან, ამ მოთხოვნილების სუბიექტის მიმართ თითქოს მართლაც ძალად იქცევიან: იგინი თითქოს იზიდავენ თავისკენ სუბიექტს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“ [26, 59—60].

კვაზი-მოთხოვნილების შესახებ დ. უზნაძე წერს: „ნებელობის შემთხვევაში ჩვენ ისეთ ქცევასთან გვაქვს საქმე, რომელიც ბუნებრივი მოთხოვნილების ენერგიის აუზს როდი ემყარება უშუალოდ, არამედ სრულიად განსხვავებული მოთხოვნილებების, ე. წ. „კვაზი-მოთხოვნილებისას“ („ვითომდა მოთხოვნილებისას“), როდესაც ადამიანი რასმე გადაწყვეტს, მაგალითად წერილი გაუგზავნოს ნაცნობს, ეს გადაწყვეტილება ერთგვარ დაძაბულობას ქმნის მასში, რაც სათანადო ქცევის სახით განტვირთვას ესწრაფვის: მას წერილის მიწერის მოთხოვნილება უჩნდება. რადგანაც ეს მოთხოვნილება ბუნებრივი მოთხოვნილება არაა, მაგრამ ამავე დროს ბევრის მხრივ ჰგავს მას, ლევინი მას „კვაზი-მოთხოვნილებას“ უწოდებს.

მაშ ასე: ვადაწყვეტილება, ანდა უკეთ, განზრახვა ადამიანში გარ-

კვეული მოქმედების შესრულების მოთხოვნილებას, კვაზი-მოთხოვნილებას ქმნის. ეს ახალი მოთხოვნილება გარკვეულ საგნებსა და მოვლენებს — იმ საგნებსა და მოვლენებს, რომელთაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან აქვს კავშირი — თავისებურ ძალას ანიჭებს, სუბიექტი გარკვეული მოქმედებისაკენ წარმართავს. მაგალ., მაგიდა, ქაღალდი და საწერკალამი თითქოს მოუწოდებენ სუბიექტს, დაჯდეს და წერილი დაწეროს; კონვერტი — წერილი შიგ ჩადოს და დაბეჭდოს; ფოსტის ყუთი — წერილი ჯიბიდან ამოიღოს და მასში ჩადოს. როგორც ვხედავთ, საკმარისია სუბიექტმა რამე, მაგალ., წერილის მიწერა გადაწყვიტოს და, მაშასადამე, ერთგვარი კვაზი-მოთხოვნილება გაიჩინოს, რომ შემდგომი მისი ქცევა სავსებით მოწესრიგებულად და მიზანშეწონილად წარიმართოს. ასეთი ძალა აქვს, ლევინის მიხედვით, კვაზი-მოთხოვნილებას. ლევინის კვაზი-მოთხოვნილების თეორია ზუსტი აღწერაა ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობისა" (ხაზვასმა ჩვენია—ვ. კ.)* [24, 118].

დ. უზნაძე საკუთარი პოზიციებიდან, განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით აფასებს გამომწვევი ხასიათისა და კვაზი-მოთხოვნილების კონცეპტებს. იგი მიუთითებს, რომ ფაქტიურად განწყობაა ის, რაც „თავის ფსიქოლოგიურ გამოხატულებას" საგნის მხრიდან „ერთგვარი მიმზიდველობის ძალის მქონე განცდაში" პოულობს [24, 96—97]. „როდესაც მოთხოვნილების ფაქტთან ერთად მისი დაკმაყოფილების სიტუაციაც მოიპოვება, მაშინ,... სუბიექტში განწყობა აღიძვრის, რომელიც მას გარკვეული ქცევის აქტისაკენ მოუხმობს. ლევინის „გამომწვევ ხასიათს" მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ მას საფუძვლად აზრთა ეს მიმდინარეობა დაედებოდა" [26, 60].

დ. უზნაძის მიხედვით, „იგი (კვაზი-მოთხოვნილება — ვ. კ.) ვერავითარ შემთხვევაში ვერ ხდის გასაგებად ქცევის მიზანშეწონილ ხასიათს. ლევანის მიხედვით, გადაწყვეტილება ერთგვარ დაძაბულობას ქმნის, და ამასაა რომ ავტორი კვაზი-მოთხოვნილებას უწოდებს. აქედან მხოლოდ ის ახსნა თუ შეიძლება, რატომაა, რომ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მისი შესრულების ტენდენცია ჩნდება. ხოლო რატომაა, რომ შესრულების პროცესს მოწესრიგებული მიზანშეწონილობა ახასიათებს — და ისიც სუბიექტის განუწყვეტელი ცნობიერი კონტროლის გარეშე — ამის შესახებ მარტო მოთხოვნილების ცნება ვერაფერს გვეტყვის" [24, 189]. დ. უზნაძე თვლის, როგორც აღინიშნა, რომ „კ. ლევინის კვაზი — მოთხოვნილების თეორია ზუსტი აღწერა უფროა ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობისა, ვიდრე მისი ნამდვილი ახსნა" [24, 188]. ნებისმიერი ქცევის გაგებისთვის კი

* კ. ლევინის კვაზი — მოთხოვნილების ცნების ანალიზს იძლევა ზ. ხოჯავა. [32, 43—47].

აუცილებელია განწყობის ცნების გამოყენება, რომლის შინაარსიც ხსნის, თუ როგორ ხორციელდება „შესრულების პროცესის მოწესრიგებული მიზანშეწონილება“, რის შესახებაც „მარტო მოთხოვნილების ცნება ვერაფერს გვეტყვის“.

ზოგჯერ კ. ლევინი მოთხოვნილების ცნებას ისეთ კონტექსტში განიხილავს და ახასიათებს, რომ მკითხველს შთაბეჭდილება ექმნება, თუ არ გააიგივოს, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე მსგავსება მაინც დაინახოს მასსა და განწყობის უზნაძისეულ ცნებას შორის [23, 23—25].

კ. ლევინის ნაწერებში შეიძლება მიეთითოს ადგილებზე, რომლებიც მართლაც ასეთ შთაბეჭდილებას ქმნის. ცნობილ ნაშრომში „განზრახვა, ნებისყოფა და მოთხოვნილება“ ავტორი წერს: „კვაზი მოთხოვნილებისა და კონკრეტული სიტუაციის ერთად ყოფნა მხოლოდ განსაზღვრავს, რა მოქმედება უნდა შესრულდეს“; „მოთხოვნილებისა და სიტუაციის (რომელიც თავის მხრივ არ უნდა იქნეს გაგებული როგორც, რაღაც დროით-მომენტალური) ერთად ყოფნა განსაზღვრავს ერთმნიშვნელოვნად კონკრეტულ პროცესს ფენოტიპური მიმართებითაც“ [101, 381—382]. კ. ლევინი მსჯელობს მოთხოვნილებისა და კონკრეტული სიტუაციის ერთად ყოფნის შემთხვევაში გარკვეული ქცევის, ქცევის ნაირობის განხორციელების შესახებ, ე. ი. მხოლოდ ქცევის კონკრეტული მიმართულების გაჩენაზე, აღმოცენებაზე. ის არაფერს არ ლაპარაკობს ქცევის განხორციელების მექანიზმზე. იმ გარკვეულობაზე, რომელიც წარმართავს ქცევას, რაც დ. უზნაძესთან გ ა ნ წ ყ ო ბ ა დ იწოდება და წარმოადგენს ორიგინალური შინაარსის მქონე ვითარებას — სიტუაციის ასახვას, გადასვლას სუბიექტში, იქ, ასე რომ ვთქვათ, ქცევის პროექტის წინასწარი ფორმით არსებობას, რომელიც შემდეგ დროში იშლება მიზანშეწონილი მოწესრიგებული აქტის სახით. კ. ლევინთან სწორედ ამ მექანიზმზე არაა მითითებული, იმ მექანიზმზე, რომელიც განაპირობებს ქცევის პროცესის მოწესრიგებულ მიზანშეწონილობას.

კ. ლევინი მოთხოვნილებას არ მიაწერს ტენდენციას სავსებით განსაზღვრული მოქმედებისაკენ, ამაში მას დაეთანხმებიან; თვითონ მოთხოვნილებაში საგნობრივი მომენტიც რომ იყოს გარკვეულ-გამოკვეთილი, მასში მაინც არაა მოცემული საგანთან მისვლის, მისი დაუფლების გზა. მოთხოვნილება როგორც ასეთი არ გულისხმობს მოთხოვნილების საგნის დაუფლების შესაძლებლობებზე, საშუალებებზე მითითებას; მასში არაა მითითებული მოთხოვნილების საგნის „ხელში ჩაგდების“ ვითარება. ამას კი ითვალისწინებს და ახორციელებს გ ა ნ წ ყ ო ბ ა.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ შ. ჩხარტიშვილის მსჯელობას: „კ. ლევინს არა აქვს განწყობის ცნება. განწყობა, როგორც ყოველი

ქცევის უშუალო და უახლოესი მიზეზი მის მიერ არ არის შეცნობილი. ამიტომ იგი განწყობის ძირითად თვისებებს მოთხოვნილებებს ნიაწერს და ყოველ მოვლენას, რომელსაც ეს თვისებები აღმოაჩნდება, მოთხოვნილების რიგის მოვლენად თვლის... განწყობა არის ინდივიდის დინამიკური მდგომარეობა, რომელშიც მოცემულია სიტუაციის შესატყვისი კონკრეტული ქცევის აქტები წინასწარაა განსაზღვრული მიდრეკილების მსგავსად. ამიტომ განწყობის ზეგავლენით, ის საგნები და მოვლენები, რომლებიც სიტუაციის ძირითად მომენტებს წარმოადგენენ და მოთხოვნილების დაკმაყოფილების ან გადაწყვეტილების განხორციელების საშვეს ეშსახურებიან, იძენენ გამოწვევის თვისებას იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მათზე მიმართული ქცევის აქტებია გათვალისწინებული განწყობაში... თვით მოთხოვნილებაში არაფერი არაა გარკვეული ქცევის აქტების იმ რიგის შესახებ, რომლის განხორციელებაც მის დასაკმაყოფილებლად არის საჭირო. ამიტომ იგი განწყობის გარეშე ქცევის აქტებს სიტუაციის შესატყვის ორგანიზაციას ვერ გაუკეთებს, სიტუაციის ძირითად მომენტებს ვერ მიანიჭებს გამოწვევის თვისებას მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო თანმიმდევრობით. ხოლო სიტუაციის ყველა ძირითადმა მომენტმა რომ ერთდროულად და ერთნაირი ძალით შეიძინოს ეს თვისება, მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება საერთოდ შეუძლებელი გახდება" [28, 24].

განწყობის ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ კვაზი-მოთხოვნილება არ შეიძლება ჩაითვალოს მოთხოვნილების ფაქტად. შ. ჩხარტიშვილის მიხედვით, „კვაზი-მოთხოვნილება არაა მოთხოვნილება და სწორედ ამიტომ დასჭირდა ავტორს მის მიმართ... ტერმინის „კვაზი" (ვითომდა") გამოყენება" [28,25]; კვაზი-მოთხოვნილებას არ აქვს მოთხოვნილების ძირითადი ფსიქოლოგიური თავისებურება: „გადაწყვეტილება შეიძლება ერთბაშად მოიხსნას, თუ მისი განხორციელება აშკარად მიზანშეუწონელი აღმოჩნდება", ხოლო „მოთხოვნილებები არ იხსნებიან და არც აწმყოს საზღვრებს გარეთ მდებარე ცხოვრების მოვლენათა მიზანშეწონილობას ღებულობენ მხედველობაში, როცა თავიანთთვის საჭირო ქცევის იმპულსებს იძლევიან" [28, 25].

ზ. ხოჯავა თვლის, რომ „კვაზი-მოთხოვნილება შეუძლებელი ცნებაა". ავტორის თვალსაზრისით, „კ. ლევინის შეცდომა იმაშია, რომ მან სინამდვილედ მიიჩნია მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებანი და მხედველობაში არ მიიღო მაღალი, პიროვნული ხასიათის მოთხოვნილებათა არსებობა (მე-ს მოთხოვნილებები, ზნეობრივი მოთხოვნილებანი), რომელნიც ნებისმიერ ქცევას საზღვრავენ. „დაძაბულობის მდგომარეობა", რომელიც გადაწყვეტილების აქტს უკავშირდება, უთუოდ

ამ კატეგორიის მოთხოვნილებათაგან მომდინარეობს და შაშინ კვაზი-მოთხოვნილების ცნებაც ზედმეტად ხდება“ [32, 46].

არსებობს თუ არა ისეთი გარკვეულობა, რასაც ტერმინი „კვაზი-მოთხოვნილება“ გადმოცემს, მიუთითებს? ის, რასაც კ. ლევინი უწოდებს კვაზი-მოთხოვნილებას, რეალური საქმის ვითარებაა? განზრახვის (გადაწყვეტილების) შედეგად სუბიექტში აღმოცენდება მდგომარეობა (დაძაბულობა), რაც კვაზი-მოთხოვნილებად იწოდება; ეს დაძაბულობის მდგომარეობა შემდეგ შესატყვისი სიტუაციის არსებობის შემთხვევაში ქცევად რეალიზდება. რატომ უწოდა კ. ლევინმა ამ ზეოაღნიშნულ ფაქტიურ ვითარებას „კვაზი-მოთხოვნილება“ და არა სხვა ტერმინი, ალბათ ეს გასაგები უნდა იყოს იმით, რომ ავტორმა „კვაზი-მოთხოვნილების“ ცნება განმარტა როგორც კ ო ნ დ ი ც ი ო ნ ა ლ უ რ-გ ე ნ ე ტ ი კ უ რ ი ცნება, სადაც ყურადღება ექცევა განსაკუთრებით წარმოქმნა-აღმოცენების წესს მოვლენისას. შესაძლებელია, ტერმინი — „კვაზი-მოთხოვნილება“ ვერ იყოს საქმის ვითარების ადეკვატური გამომსახველი, მაგრამ თვითონ ამ ტერმინით აღნიშნულია მოვლენის გაგების გზა. იგი ქცევის გაგების მეთოდოლოგიური ხერხია.

მაშ, კ. ლევინის მიხედვით, მოთხოვნილებათა მთელი სინამდვილე იყოფა ორად: ბუნებრივ, ანუ ნამდვილ მოთხოვნილებად და კვაზი-მოთხოვნილებად. ბუნებრივი მოთხოვნილება ბიოლოგიური მოთხოვნილებაა, ის თვითონ აღმოცენდება რითმულად (საჭმლის, წყლის მოთხოვნილება და ა. შ.). ბუნებრივი მოთხოვნილება ნებისმიერ არ გამოიწვევა და აღიკვეთება. კვაზი-მოთხოვნილება სხვა ბუნებისაა. კვაზი-მოთხოვნილება სოციალური მოთხოვნილებაა. მისი რეალური არსება და ფუნქციობა არ ემთხვევა მის განცდას. კვაზი-მოთხოვნილება დაძაბულობის სახით არსებული განცდის მიღმა მდგომია, არაცნობიერია. იგი შეიძლება შეიქნას, გამოწვეული იქნას ნებისმიერ კონკრეტულ ვითარებაში: ყოველი განზრახვა-გადაწყვეტილება კვაზი-მოთხოვნილების (დაძაბულობის) აღმოცენებას ნიშნავს.

12. ე. წ. „ილუზიური მოთხოვნილება“

ფსიქოლოგიაში ზოგჯერ ლაპარაკობენ ე. წ. ილუზიურ მოთხოვნილებაზე. რას ნიშნავს ილუზიური მოთხოვნილება? ჩვეულებრივ, როდესაც ილუზიაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს აღქმის ფაქტი: ილუზიური აღქმა საგნის დამახინჯებული აღქმაა, ასეთი აღქმა საგნის არაადეკვატური ასახვაა ცნობიერებაში. მაგალითად, წყლიან ჭიქაში მოთავსებული კოვზი გვეჩვენება გადატეხილად, ტყის სიბნელეში ბუჩქი ან ხის გადანაჭერი განიცდება ცხოველად და ა. შ. მაშასა-

დამე, ასეთ შემთხვევებში ობიექტური საქმის ვითარება არაშესატყვისადაა წარმოდგენილი ჩვენს ცნობიერებაში. ილუზიური აღქმა სწორედ ობიექტური სინამდვილის არაშესატყვის განცდას ეწოდება. ილუზიური აღქმის წარმოშობა დამოკიდებულია ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე, ამიტომაც მიუთითებენ აღქმის შემთხვევაში ფიზიკურ და ფსიქიკურ ილუზიებზე. თვითონ ილუზიის ცნება ფსიქოლოგიური შინაარსის არაა, ის უფრო გნოსეოლოგიური ასპექტით აღქმის დახასიათებაა. თუკი დავდგებით წმინდა განცდით თვალსაზრისზე, რაც ფსიქოლოგიას პირველ რიგში უნდა აინტერესებდეს, აღქმის განცდაში, როგორც განცდაში, ერთმანეთისაგან არ სხვაობდება ილუზიური და არაილუზიური აღქმის ხატები: ორივე საგნის განცდაა შეგრძნების საშუალებით. შესაძლო ილუზიის ვითარება თავს იჩენს მხოლოდ მაშინ, როდესაც აღქმის ხატი შეედარება იმ ობიექტურ საგანს, რომლის სურათსაც აღქმის ეს ხატი წარმოადგენს. და აქ თავს იჩენს ობიექტური სინამდვილესა და აღქმის ხატს შორის ან განსვლა, ან სრული დამთხვევა.

ილუზიურ მოთხოვნილებად, მაშ, ცნების განმარტების კვალობაზე ისეთი ვითარება უნდა ჩაითვალოს, როდესაც ინდივიდის ცნობიერებაში დასტურდება, განიცდება მოთხოვნილების ის ვითარება, რასაც ინდივიდის ფსიქო-ფიზიკურ სტრუქტურაში არ გააჩნია რეალური, ობიექტური საფუძველი. ანდა ეს რეალური საფუძველი პირდაპირი გზით არ ელინდება, აისახება ცნობიერებაში. მაგალითად, წყლის ან საჭმლის მოთხოვნილების განცდა გვაქვს და ამ განცდას ობიექტური საფუძველი არ გააჩნია, ე. ი. ჩვენი ორგანიზმი ნამდვილად არ მოითხოვს, არ საჭიროებს წყლისა და საჭმლის მიღებას. ისეთი შემთხვევები. რომლებიც იწოდებიან ჰიპერდიპსიად, ბულმიად (რომელთა საპირისპირო მდგომარეობებია ისეთი, როდესაც ცნობიერებაში მოთხოვნილების სახით არ განიცდება შიმშილი ან წყურვილი მაშინ, როცა ორგანიზმს კი აქვს ფიზიოლოგიური შიმშილი და წყურვილი), და ჰიპერსექსუალობის ფაქტებიც, როგორიცაა მაგ., ნიმფომანია და ა. შ., ნამდვილად პათოლოგიური შემთხვევებია*.

ამგვარი პათოლოგიური მოვლენების მიმართ თუ გამოვიყენებთ ტერმინს — „ილუზიური მოთხოვნილება". ჩვეულებრივ ნორმალურ ვითარებაში მოთხოვნილების ილუზიაზე, ალბათ არც უნდა ვილაპარაკოთ; როცა ორგანიზმი ობიექტურად საჭმელს მოითხოვს, მას ამის ნაცვლად წყურვილი არ აღეძვრება. კონკრეტული რომელობის მოთხოვნილება სხვა რომელობის მოთხოვნილებად არ ვლინდება. მაგალითად თაშბაქოს წევის მოთხოვნილება არც წყლის მიღების მოთხოვნილებად განიცდება და ა. შ. სხვა განზომილებასთან გვაქვს საქმე,

* შეად. [70, 147—196].

როდესაც კონკრეტული საგნის მოთხოვნილება ნაწილობრივ მაინც, თუ სავსებით არა, კმაყოფილდება განსხვავებული საგნით (განსაკუთრებით ეს ითქმის ბიოლოგიური, მაგალითად, სექსუალური მოთხოვნილების კერძო შემთხვევების შესახებ). ასევე, ნაწილობრივ იმავე ფაქტთან გვაქვს საქმე მაღალი მოთხოვნილებების შეთხვევაშიც, როდესაც, მაგ., პიროვნების შემეცნებითი მოთხოვნილება რამდენადმე კმაყოფილდება სხვა რომელობის მოთხოვნილებით, მაგ., ესთეტიკური ან შემოქმედებითი მოთხოვნილების რეალიზაციით (იხ. აქვე, მაგ., შენაცვლებითი დაკმაყოფილების ვითარების შესახებ).

ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ ზოგჯერ მიუთითებენ ერთი მოთხოვნილების მეორეზე გადატანის თაობაზე. ამ შემთხვევაში საკითხი ასე ისმის, შეუძლია თუ არა წყურვილს შესატყვისი ობიექტის არარსებობის დროს (წყლის არარსებობის შემთხვევაში) აქტივაცია მოახდინოს იმ ქცევისა, რაც უკავშირდება საჭმლის ძიებას (ლაპარაკია ბიოლოგიურ მოთხოვნილებებზე). ნ. მილერის ცდებმა დადებითი პასუხი გასცა ამ საკითხს: შიმშილსა და წყურვილს აქვთ ფუნქციონალური ეკვივალენტობა, რაც ფიქრობენ (ე. ნიუტენი), აიხსნება როგორც გენერალიზაციის, ასევე გადაწევის, გადანაცვლების ცნებების გამოყენებით [102, 89—101].

ბოლო დროს საბჭოთა მეცნიერებაში გამოიყენება ტერმინი „ცრუ მოთხოვნილება", რომლის მაგალითად ასახელებენ მოთხოვნილებას ალკოჰოლიან სასმელებზე, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე და სხვა ამგზნებ საშუალებებზე. ინდივიდები, რომლებსაც ამგვარი თავშეუკავებელი მოთხოვნილებები აქვთ (ალკოჰოლიკები, ნარკომანები), ითვლებიან მკვეთრად გამოყოფილ ადამიანებად ცრუ მოთხოვნილებებით. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ეს ცრუ მოთხოვნილება იგივე „კვაზი-მოთხოვნილება" არისო [65, 51].

ვფიქრობთ ამ შემთხვევაში აღრეულია ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური თვალსაზრისები. ჯერ ერთი, კვაზი-მოთხოვნილებას თავისი კონკრეტული შინაარსი აქვს (იხ. ამ ცნების შესახებ ნაშრომის მე-12 პარაგრაფში), იგი კ. ლევინის ველის თეორიის ერთ-ერთი ამხსნელი ცნებაა, კონსტრუქციაა და მაინ გაიგივება სოციალურად მიუღებელ, მაგრამ რეალურ მოთხოვნილებასთან დაუშვებელია; აქ სულ სხვა განზომილებებია წარმოდგენილი.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ტერმინი — „ცრუ მოთხოვნილება" თავისი შინაარსის მიხედვით, ამ შემთხვევაში, აღნიშნავს ნორმატულსა და არა ფსიქოლოგიურ ვითარებას. როგორც ჩანს, ცრუ მოთხოვნილება სოციალურად გაუმართლებელს, საზოგადოებისათვის მიუღებელ მოთხოვნილებას ნიშნავს, იგი (მაგ., ალკოჰოლზე მოთხოვნილება) საზოგადოების მხრიდან შეფასებულია როგორც უარყოფი და დასა-

ბმობი. ფსიქოლოგიას კი პირველ რიგში აინტერესებს თვითონ მოთხოვნილების შინაგანი ბუნება და ყოველი ამალი ტერმინი მოთხოვნილებებისთან დაკავშირებით უნდა აღნიშნავდეს თვითონ ფსიქიკური ფაქტის (ამ შემთხვევაში მოთხოვნილების) შინაგანი ბუნების რომელიმე სპეციფიკურ მომენტს. ასეთ ფსიქოლოგიურ შინაარსს ე. წ. „ცრუ მოთხოვნილება" არ გადმოსცემს, ამდენად ის არც გამოდგება ფენომენალურ-ფსიქოლოგიურ ტერმინებად.

ილუზიური მოთხოვნილების საკითხი გარკვეული აზრით დაკავშირებულია ზ. ფროიდის ფსიქოანალიზურ თეორიასთან; ფსიქოანალიზის თეორიულ კონსტრუქციაში თუმცა არ იხმარება ილუზიური მოთხოვნილების ტერმინი, მაგრამ ფსიქიკური მექანიზმის მოქმედება მას უკავშირდება; ფსიქოანალიზური კონცეფციის ისეთი ცნებები როგორიცაა: სიმბოლო, სუბლიმაცია, ფაქტიურად იგივე ილუზიური მოთხოვნილების (ანუ ლტოლვის) აღმნიშვნელი საქმის ვითარებაა.

ზ. ფროიდის მიხედვით, ადამიანში ორი ერთმანეთისადმი პოლარული ლტოლვაა: სიცოცხლისაკენ ლტოლვა და სიკვდილისაკენ ლტოლვა*. ამ ლტოლვებით ამოიწურება ადამიანის არსობრივი ფენა იგისა. ყველა დანარჩენი ლტოლვითი რომელობები აღნიშნული ორი ძირითადი ლტოლვის სახეცვლილებებია: ყოველგვარი ფსიქიკური მოქმედების ენერგეტიკულ წყაროს ეს ძირითადი ლტოლვები იძლევიან. ადამიანში ი გ ი-ს ფენა ერთგვარად შეზღუდულია სოციალური გარემოთი (ზე — მე). ი გ ი-ში არსებული მოთხოვნილებათა თავისუფალი განუხორციელებლობა განაპირობებს სუბლიმაციას: არსებული რეალური მოთხოვნილება (ლტოლვა) თავის რეალიზაციას პოულობს შემოვლილი, არაპირდაპირი გზით. ი გ ი-ს ლტოლვა ცნობიერებაში შემოდის სახეშეცვლილი ფორმით. იმ ფორმით, რაც მისაღებია ცნობიერებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ლტოლვა განიდევნება მისგან და ცენზურის მექანიზმის ამოქმედებით შეკავებული აღმოჩნდებოდა არაცნობიერ სფეროში. მაშასადამე, ის ლტოლვები, რომლებიც ცნობიერების დონეზე აღმოცენდებიან რიგ შემთხვევაში წარმოადგენენ სახეშეცვლილ მოთხოვნილებებს. ისინი სუბლიმირებულნი არიან და სიმბოლოს მნიშვნელობას იძენენ. ძირითადი ლტოლვა ცნობიერებაში მისგან განსხვავებული სხვა რომელობის მოთხოვნილებად გვეელინება. ასეთი ვითარება კი ნამდვილად ილუზიის სფეროა.

მაგრამ ყველაფერი ეს ზ. ფროიდის ფსიქოანალიზური თეორიის მიხედვითაც ერთგვარი დაშვებაა, აზრითი კონსტრუქციაა, რასაც ობიექტური არსებობის ნიშანი არ მიეწერება.

---

* დაწერილებით ზ. ფროიდის ლტოლვის ფსიქოანალიზური თეორიის შესახებ იხ. [17].

საერთოდ, რაც შეეხება ზ. ფროიდის სიღრმისფსიქოლოგიურ ლტოლვის თეორიას, უნდა აღინიშნოს, რომ ლტოლვის ანუ მოთხოვნილების ფსიქოანალიზური კატეგორია, მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონეა ფსიქოანალიზის როგორც თეორიის, ისე პრაქტიკისათვის, თვითონ ზ. ფროიდის აღიარებით, განსაზღვრულობასაა მოკლებული, იგი მითოლოგიაა; ლტოლვების შემეცნება საბოლოოდ განხორციელებული არაა და არც მათი ამომწურავი შემეცნების რწმენა უნდა გვქონდეს [91].

ზ. ფროიდის მიხედვით, ფსიქოანალიზური თვალსაზრისი ლტოლვების საკითხში დუალისტური დარჩა. ჯერ ერთმანეთს დაუპირისპირდა სექსუალური ლტოლვები და მე-ლტოლვები, სექსუალური ლტოლვის ენერგიას ეწოდა „ლიბიდო", ხოლო მე-ლტოლვების ენერგიას — „ინტერესი". შემდეგ მოხდა ლტოლვათა ახალი დაჯგუფება: სექსუალური და მე-ლტოლვები გაერთიანდნენ სექსუალური ლტოლვის ტერმინის ქვეშ, რასაც ავტორი ეროტული ლტოლვის სიტყვითაც აღნიშნავს, ამიერიდან ლიბიდო აღნიშნავს ეროტული ლტოლვის ენერგიას და მას დაუპირისპირა აგრესიული ლტოლვა, ანუ დესტრუქციის ლტოლვა, რომლის ენერგიის სპეციფიკური აღმნიშვნელი ტერმინი ფროიდთან არაა. ეს დაყოფა, ავტორის მიხედვით, ეკვივალენტურია ლტოლვების დაყოფისა სიცოცხლისა და სიკვდილის ლტოლვების სახეებად.

ფროიდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლტოლვის ფსიქოლოგიაში ორიენტაციის მომცემი ბიოლოგიური თვალსაზრისი უნდა იყოს. ბიოლოგიური თვალსაზრისი გატარდა ფსიქოანალიზში იმ მხრივ, რომ თვითშენახვა და გვარის შენახვა ფსიქიკურ ასპექტში წარმოსდგა მე-ლტოლვისა და სექსუალური ლტოლვის სახით.

ფსიქოანალიზის გაგებით, ლტოლვაში (მოთხოვნილებაში) უნდა განსხვავდეს შემდეგი მომენტები: დრანგი, მიზანი, ობიექტი და წყარო. დრანგი არის ლტოლვის მამოძრავებელი გარკვეულობა, რაც გამოიხატება რაოდენობრივი ნიშნით. მიზანი არის დაკმაყოფილება, რომელიც მიიღწევა მხოლოდ იმ მდგომარეობას აღკვეთით, რაც ლტოლვის წყაროშია გაღიზიანების სახით. ობიექტი ისაა, რისი საშუალებითაც ლტოლვა აღწევს თავის მიზანს. იგი თავიდანვე არაა დაკავშირებული ლტოლვასთან, ამდენად ცვალებადი ელემენტია. ლტოლვის წყაროა ორგანიზმის სომატური პროცესი, რომლის გაღიზიანება სულიერ ცხოვრებაში აისახება ლტოლვის ფორმით.

ზ. ფროიდის ფსიქოანალიზურ კონცეფციაში საერთოდ არაა ლაპარაკი მაღალ, ანუ სოციალურ მოთხოვნილებებზე. ავტორი თვლის, რომ სოციალური სინამდვილე ეს იგივე ფსიქიკური სინამდვილეა, რა-

შიაც ორიგინალური არაფერია. ხოლო ფსიქიკური მოქმედების მექანიზმი დაიყვანება ცნობიერი და არაცნობიერი გარკვეულობათა დინამიკაზე, მათ ურთიერთგავლენაზე.

13. მაღალი და დაბალი მოთხოვნილება

მოთხოვნილების სამკვიდროს დაყოფა მის მ ა ღ ა ლ და დ ა ბ ა ლ სახეებად არსებითად განპირობებულია მოთხოვნილების ინტენციის საგნის ბუნებით. „მაღალი მოთხოვნილების" ტერმინით აღნიშნავენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც ადამიანის მაღალ, ობიექტურ ღირებულებებს უკავშირდებიან საპირისპიროდ „დაბალი მოთხოვნილებისა", რაც მხოლოდ ადამიანის სიცოცხლისეულ სფეროს ითვალისწინებს.

პიროვნებაში ფენობრივი თვალსაზრისით გამოყოფილი დონეები: სიცოცხლე (ფიზიოლოგიური), ფსიქიკა, სოციალური, გონითი — განაპირობებენ ამ დონეების შესატყვის საგნობრივ მოთხოვნილებებს დაწყებული ბიოლოგიური მოთხოვნილებებით და დამთავრებული გონითი მოთხოვნილებებით, რომელთა შორის თავსდებიან ფსიქიკური (ფუნქციობის) და სოციალური მოთხოვნილებანი. ჩვეულებრივ, ფსიქიკურ და სოციალურ მოთხოვნილებებს უფრო მაღალ მოთხოვნილებათა რიგში ათავსებენ ვიდრე დაბალში.

მაღალ და დაბალ მოთხოვნილებათა საგნობრივ განსხვავებულობას უკავშირდება თვითონ მოთხოვნილებითი მდგომარეობების თავისებურებანიც ფუნქციობის ასპექტით. თითქმის ყველას მიერაა აღიარებული მაღალი მოთხოვნილების სპეციფიკა — მაღალი მოთხოვნილების ე. წ. დაკმაყოფილება თვითონ აღნიშნული მოთხოვნილების მდგომარეობას არ სპობს, მოთხოვნილების საგნისაკენ სწრაფვის მომენტს აძლიერებს ახალ-ახალი შინაარსებისაკენ კონტაქტის თვალსაზრისით; ამიტომაც ამბობენ, მაღალი მოთხოვნილება არ „კმაყოფილდებაო", მხედველობაში იღებენ რა იმ ვითარებას, რომ, მაგალითად, შემოქმედებითი ან შემეცნებითი მოთხოვნილებანი ერთი საგნობრივი შინაარსით არ კმაყოფილდება, იგი ბიძგს იძლევა სულ ახლის ძიებისაკენ და ა. შ.

ჩვენ აქ მოვიყვანთ დაბალი და მაღალი მოთხოვნილებების განსხვავების ერთ-ერთ ცდას სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით, რომელიც ეკუთვნის აბრამ მასლოუს [105].

ავტორის მიხედვით:

მაღალი მოთხოვნილება გვიანდელი ფილოლოგიური და ონტოგენეტური წარმოშობისაა.

რაც მაღალია მოთხოვნილება, მით ნაკლებად მაიძულებელია ის, მით ხანგრძლივი დროით შეიძლება მისი დაკმაყოფილების გადაწყვეტა (შეჩერება), ე. ი. მაღალი მოთხოვნილება სუბიექტურად ნაკლებად გადაუდებელია.

მაღალი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მივყავართ სასურველ სუბიექტურ შედეგებამდე, იგი ქმნის ინდივიდის შინაგანი ცხოვრების სიმშვიდეს, სიმდიდრეს, ბედნიერებას.

მაღალ მოთხოვნილებას აქვს მრავალი წინაპირობა, მაღალი მოთხოვნილების დონეზე ინდივიდის ცხოვრება უფრო კომპლექსურია.

მაღალი მოთხოვნილება მოითხოვს უკეთეს გარე პირობებს (რომ ის შესაძლებელი გახდეს), ვისაც ერთხელ მაინც უგემნია მაღალი მოთხოვნილებანი, ის მას დაბალთან შედარებით მეტ ღირებულებას ანიჭებს; ის მაღლის დაკმაყოფილებისათვის მეტ მსხვერპლს გაიღებს.

რაც მეტია მოთხოვნილების დონე, მით ფართოა ე. წ. „სიყვარულის იდენტიფიკაციის" (სოციალიზაციის) სფერო, ე. ი. მით მეტია ადამიანთა რიცხვი, რომლებთანაც ხდება იდენტიფიკაცა, მით მეტია იდენტიფიკაციის საშუალო დონე.

მაღალ მოთხოვნილებას და მის დაკმაყოფილებას თან სდევს საზოგადოებრივი და სოციალური შედეგები. მაგ., ჩემი შიმშილი ეგოცენტრულია, ხოლო სხვისი მხრიდან ყურადღების მოთხოვნილება აუცილებლობით ეხება სხვებს, მოიცავს სხვების დაკმაყოფილებას.

მაღალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უფრო ახლო დგას ორვითგანხორციელებასთან.

მაღალი მოთხოვნილებების ქონასა და მათ დაკმაყოფილებას მივყავართ გამოკვეთილ და ჰეშმარიტ ინდივიდუალობასთან.

რაც მაღალია მოთხოვნილების დონე, მით უფრო ადვილია და ქმედითი ინდივიდის ფსიქოთერაპია.

დაბალი მოთხოვნილებანი უფრო მეტად ლოკალიზებულნი, შემოსაზღვრულნი და ხელშესახებნი არიან. დაბალი მოთხოვნილება კმაყოფილდება გარკვეული რაოდენობით, ხოლო მაღალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება თითქმის უსაზღვროა.

ა. მასლოუ ასევე მსჯელობს ე. წ. „მეტამოთხოვნილების" შესახებ, რაც მის კონცეფციაში წარმოადგენს მოთხოვნილებათა უმაღლეს დონეს (აღნიშნულის შესახებ იხ. მოთხოვნილებათა კლასიფიკაციის განყოფილებაში).

ედ. კლაპარედი მხედველობაში ღებულობს რა მოთხოვნილების სხვადასხვა დონეს, მიუთითებს მოთხოვნილებათა ე. წ. ზ ო ნ ე ბ ზ ე. მოთხოვნილების დაბალ დონეს ის უწოდებს პირველ ზონას, რომელიც ვეგეტაციური და ორგანული ზონაა; ამ დონეზე პროცესები მიმდინარეობს ავტომატურად და არაცნობიერად, ესაა „ე ნ დ ო გ ე ნ უ რ

მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა თ ა ზ ო ნ ა“. ამ ზონას გარს აკრავს გარე სამყაროსთან ინტიმური კომუნიკაციით დაკავშირებული ფსიქოლოგიური ზონა. ეს ზონა ნაკლებ სტაბილურია, აქ გვხვდება წონასწორობის დარღვევა, აქ მოთხოვნილებას აღვიძებს გარეგანი ფაქტორი; ამ ზონის მოთხოვნილებანი წინასწარხედვას უკავშირდებიან. ეს ზონა სურვილის ანუ „ე ზ ო გ ე ნ უ რ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა თ ა ზ ო ნ ა“. მაგალ., ლამაზი მსხლის აღქმა ჩვენში აღვიძებს სურვილს მისი ასიმილაციისას, მაშინ როდესაც ვეგეტაციურ ზონაში ჯერ კიდევ არაა საკვების მიღების ორგანული მოთხოვნილება [87].

14. მოთხოვნილების კლასიფიკაცია

მოთხოვნილებათა მრავალფეროვნება განსხვავებული ასპექტებით შეიძლება დაჯგუფდეს; ფორმალური და შინაარსობრივი ნიშნის მიხედვით ცნობილია მოთხოვნილების მრავალი კლასიფიკაცია, რომლებიც სპეციფიკური კუთხით ასახავენ ამ ფსიქიკური გარკვეულობის ბუნებას. ამ აზრით რომელიმე კლასიფიკაციის რაიმე უპირატესობაზე მსჯელობა გაუმართლებლად მიგვაჩნია, ყველას თავისი ფორმალურ-ლოგიკური დაყოფის საფუძველი გააჩნია.

საბჭოთა ფსიქოლოგიაში მოთხოვნილების კლასიფიკაცია ძირითადად ემყარება ადამიანში ბ ი ო ლ ო გ ი უ რ ი ს ა და ს ო ც ი ა ლ უ რ ი ს განსხვავებას და აქედან გამომდინარე მოთხოვნილებები დაყოფილია ბიოლოგიურ და სოციალურ სახეებად. მოთხოვნილებები ასევე დაყოფილია მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ და ს უ ლ ი ე რ სახეებად, რომელთა აღსანიშნავად აგრეთვე გამოყენებულია სხვა ტერმინებიც. მატერიალურ მოთხოვნილებას აღნიშნავენ ტერმინებით: ბუნებრივი, ფიზიკური, ნატურალური, პრაქტიკული, აუცილებელი, ხოლო სულიერ მოთხოვნილებას უწოდებენ: კულტურულს, ინტელექტუალურს, ზნეობრივს, ესთეტიკურს და ა. შ:

დ. უზნაძის კლასიფიკაციის მიხედვით, ერთმანეთისაგან განსხვავებულია ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ო ნ ა ლ უ რ ი და ფ უ ნ ქ ც ი ო ნ ა ლ უ რ ი მოთხოვნილებები. სუბსტანციონალური მოთხოვნილება ეს იგივე საგნობრივი მოთხოვნილებაა, ხოლო ფუნქციონალური მოთხოვნილება არის თვითონ რომელიმე ფსიქიკური ფუნქციის აქტივობის მოთხოვნილება* [26, 55—58].

შ. ჩხარტიშვილი მოთხოვნილებებს სამ ჯგუფად აერთიანებს: ბ ი ო გ ე ნ უ რ, ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ და ს ო ც ი ო გ ე ნ უ რ ჯგუფებად.

---

* ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში არსებულ კლასიფიკაციების შესახებ იხ. შ. ჩხარტიშვილის ზემოდასახელებულ წიგნში, აგრეთვე [16; 77].

ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა მოთხოვნილების აღმოცენების სფეროს და მისი ფუნქციობის ასპარეზს [30].

როცა საკითხი ისმის მოთხოვნილების კლასიფიკაციის თაობაზე, ნათლად უნდა გვქონდეს გაცნობიერებული მოთხოვნილების ფენომენალური ბუნება, ვინაიდან ჩვენ ამ ფსიქოლოგიური ჭრილით ვცდილობთ აღნიშნული ფსიქიკური გარკვეულობის სახეებად დაყოფას.

მოთხოვნილების საკლასიფიკაციო ნიშნად შეიძლება აღებული იქნეს მისი რაგინდარა ფენომენალური თავისებურება. თუ ასეთ საფუძვლად ავიღებთ, მაგალითად, გაცნობიერების დონეს, ხარისხს, მაშინ მოთხოვნილებათა ერთიანობა, ვფიქრობთ, უნდა დაიყოს რვა რომელობად და გაცნობიერების ზეაღმავალი ხაზის მიხედვით, ისინი უნდა განლაგდნენ ასეთი თანმიმდევრობით: ლ ტ ო ლ ვ ა, წ ყ უ რ ვ ი ლ ი, წ ა დ ი ლ ი, მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა, გ ა ტ ა ც ე ბ ა, ნ დ ო ბ ა, ნ ა ტ ვ რ ა, ი ნ ტ ე რ ე ს ი (გაცნობიერება ეხება ძირითად ინტენციის საგნის მომენტს).

მოთხოვნილების ა ქ ტ ი ს ი მ პ უ ლ ს ი ს ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ი ს დ ო ნ ი ს მიხედვით, რაც გამოიხატება საგნის დაუფლებისათვის გამიზნული ქცევის აღძვრის სიადვილე-სიძნელეში და წინააღმდეგობის დაძლევის შესაძლებლობაში, მოთხოვნილებათა რომელობები, ალბათ, სხვა თანმიმდევრობით განლაგდებოდნენ. მოთხოვნილების რომელობათა შორის ლტოლვა ყველაზე ინტენსიური მოთხოვნილებაა, ამიტომ ის ქცევის აქტის იოლად აღმძვრელია. განსხვავებული ვითარება გვაქვს ნატვრის შემთხვევაში. ეს რომელობა მოთხოვნილებისა სუსტი იმპულსის ფლობის გამო ქცევის აქტის ძნელად გამომწვევია, თუმცა მოთხოვნილების საგნობრიობის მომენტი გამოკვეთილია.

მოთხოვნილების მდგომარეობის ის ფენომენალური ნიშანი, რასაც შეიძლება ეწოდოს ა წ ყ მ ო ო ბ ი ს ა რ ე ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ო ბ ა ანდა გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ო ბ ი ს ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ი, ითვალისწინებს მოთხოვნილების აქტივობის იმპულსის დროში მდგრადობას. მაგალითად, ლტოლვა „უახლოესი აწმყოა“, საგნის სასწრაფოდ დაუფლებისაკენ სწრაფვა ლტოლვის აღმოცენების მომენტშივეა გამიზნული. სურვილს შეიძლება ეწოდოს „გახანგრძლივებული აწმყო“, ვინაიდან სურვილის საგნის დაუფლება დროში გადაადგილებას ითმენს. რაც შეეხება ინტერესს, აქ მოთხოვნილების საგნის დაუფლებისაკენ სვლა და მისი აწმყოობით შემოფარგვლა თითქმის წაშლილია.

იმის მიხედვით, თუ როგორაა წარმოდგენილი პიროვნების სტრუქტურული ბუნება, მოთხოვნილებებსაც ამ ფენობრივი განზომილების მიხედვით ყოფენ. ასე იყო მოთხოვნილების ერთ-ერთი კლასიფიკაციის შემთხვევაში, სადაც მოთხოვნილების სამ განზომილებაზე მითი-

თება — ბიოგენური, ფსიქოგენური და სოციოგენური — ეფუძნებოდა პიროვნების შემადგენელი სამი სტრუქტურული ფენის აღიარებას. გარკვეული საქმის ვითარების გამო (დაწვრილებით აღნიშნულის შესახებ იხ. პიროვნების ცნებასთან დაკავშირებით) პიროვნების სტრუქტურაში საჭირო ხდება ოთხი ფენის არსებობის აღიარება. უმაღლესი ფენა გონით — იდეელურისა პიროვნების სპეციფიკას ქმნის. ამდენად საფუძველი არსებობს გონით — იდეელური მოთხოვნილებების ცალკე ჯგუფად გამოყოფისა. ამის გამო საერთოდ მოთხოვნილებათა ოთხ ძირითად იერარქიულ სფეროზე შეიძლება მივუთითოთ: ბიოლოგიური, ფსიქიკური, სოციალური და გონით — იდეელური, — რომელთაც მოთხოვნილების სხვადასხვა რომელობა — დონეზე (ლტოლვის, წყურვილის, წადილის, მისწრაფების, გატაცების. ნდომის, ნატვრის, ინტერესის) გაშლა-მიმდინარეობა ახასიათებს. ამ თვალსაზრისის წამოყენება ნიშნავს ვაღიაროთ, რომ, მაგალითად, ლტოლვის რომელობა მოთხოვნილებისა მხოლოდ ბიოლოგიურ სფეროში კი არაა მოქმედი და ლტოლვები მხოლოდ ბიოლოგიურ მოთხოვნილებას კი არ ნიშნავს, არამედ ლტოლვის რომელობა მოთხოვნილებისა შეიძლება არსებობდეს სოციალურ და გონით — იდეურ სფეროშიც. ასევე, ნდობისა და ინტერესის რომელობები მოთხოვნილებისა ფსიქიკურ, სოციალურ და გონით — იდალურ სფეროში ფუნქციის მქონე მოთხოვნილების რომელობებია, ამ სფეროების შესატყვისი ინტენციონალური საგნებით.

აბრაამ მასლოუ იცავს თვალსაზრისს მოთხოვნილებათა იერარქიული ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მოთხოვნილებათა იერარქია ემყარება შეფარდებითი სიძლიერის პრინციპს. ავტორი მიუთითებს მოთხოვნილებათა ე. წ. „ხუთ ანსამბლზე" და იერარქიული ურთიერთდამოკიდებულებაც სწორედ აღნიშნულ რომელობებს ეხება. ეს რომელობებია: 1. ფიზიოლოგიური, 2. უსაფრთხოების, 3. სიყვარულის, ანუ კომუნიკაციის, 4. ყურადღების და 5. თვითგანხორციელების. ა. მასლოუ მოთხოვნილებათა ზემოჩამოთვლილ რომელობებში შემდეგ შინაარსებს ათავსებს:

ფიზიოლოგიურში: საკვები, წყლის, სექსუალური, ძილის, წმინდა აქტივობის... და ა. შ.

უსაფრთხოებისაში: სტაბილობის, საიმედობის, დაცვის, დაფარვის, შიშისაგან თავისუფლების... წესრიგის, ზღვარის, სტრუქტურის... და მისთ.

სიყვარულისაში: სიმპათიის, განწყობილების, მიკუთვნების, კონტაქტის, ინტიმურობის... (მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა იწვევს: უცხოობის, მარტოობის, მიტოვებულობის გრძნობებს...) და სხვ.

ყურადღებისაში: (საკუთარი პიროვნების მაღალი შეფასება ა) თვითონ
თავის მხრიდან და ბ) სხვების მხრიდან.

ა) სიძლიერე, წარმატება, დაძლევა, კომპეტენტურობა, თავი-
სუფლება,... ბ) პრესტიჟი, რეპუტაცია, სტატუსი, დიდება, აღი-
არება, ღირსება, პატივისცემა, მნიშვნელობა...

თვითგანხორციელებისაში: საკუთარი შესაძლებლობების აქტუ-
ალიზაციისა და განვითარების ტენდენცია, მოთხოვნა იმად
გახდომისა, რისი გახდომის უნარიც გაქვს.

ა. მასლოუ აღნიშნულ მოთხოვნილებათა რომელობებს უწოდებს ადამიანის ძ ი რ ი თ ა დ მოთხოვნილებებს და თვლის, რომ მისი ჰიპოთეზის მიხედვით, ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებანი თ ა ნ შ ო ბ ი ლ ნ ი, მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ნ ი, კონსტიტუციურნი არიან. ამიტომაა, რომ ავტორი მათ უწოდებს „ინსტინქტოიდურს", ე. ი. ინსტინქტის მსგავსს ონტიურადაც და ფუნქციურადაც.

მოთხოვნილებათა წყობაში ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი ყველა დანარჩენთან შედარებით ძლიერია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა რომელობის მოთხოვნილების ერთდროულად არსებობის შემთხვევაში ინდივიდის ქცევა ძირითადად აღძრული იქნება ფიზიოლოგიური მოთხოვნილებით, ქცევა უპირველეს ყოვლისა წარიმართება ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ, ინდივიდის მთელი ფსიქოფიზიკური შესაძლებლობათა ფუნქციობა განპირობებული აღმოჩნდება, მაგალითად, საჭმლის მოპოვების მიზნით, შიმშილის აღკვეთის ამოცანით. ასეთ ვითარებაში ფიზიოლოგიურისაგან რომელობით განსხვავებული სხვა მოთხოვნილებანი ან ისპობიან, ქრებიან ანდა პირველსასიცოცხლო მნიშვნელობას კარგავენ.

როგორც კი ფიზიოლოგიური მოთხოვნილება კმაყოფილდება, ე. ი. მოიხსნება ვითარცა აქტუალური მდგომარეობა*, აღმოცენდება მასთან ახლო მდგომი, მაგრამ რანგით მასზე უფრო მაღალი, უსაფრთხოების მოთხოვნილება, რომელიც ეუფლება ინდივიდს და ასე შემდგომი თანმიმდევრობით. ესაა ის შინაარსი, რაც იგულისხმება ა. მასლოუს წამოყენებულ დებულებაში, რომ ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებანი ორგანიზებულნი არიან შეფარდებითი ბატონობის წყალობით, იერარქიით. ა. მასლოუ თვლის, რომ ურთიერთმონაცვლეობის ასეთი

---

* მაგრამ მაღალი მოთხოვნილება არა მხოლოდ დაბლის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღმოცენდება, 'არამედ იმ შემთხვევაშიაც, როცა დაბალი მოთხოვნილება ითრგუნება იძულებით ან ნებით.

დამოკიდებულება მოთხოვნილებათა შორის უფრო წესია, ვიდრე მკაცრი კანონზომიერება*.

მართალია, ავტორი მსჯელობს მოთხოვნილებათა იერარქიაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, მასთან მთელი სისრულით არაა გათვალისწინებული პიროვნების ფენობრივი სტრუქტურა. მოთხოვნილებათა მოცემული წყობა არაა ზუსტი შესატყვისი პიროვნების ფენების იერარქიისა.

ა. მასლოუ ადამიანის ზემომითითებულ ძირითადი მოთხოვნილებების გარდა ლაპარაკობს აგრეთვე მ ე ტ ა მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ზ ე, რომელიც მასთან ძირითადი მოთხოვნილების უმაღლესი რომელობაა დანახული სპეციფიკური კუთხით. მეტამოთხოვნილება უკავშირდება თვითგანხორციელებადი სუბიექტის მოტივაციას. ავტორის მიხედვით, თვითგანხორციელების დონეზე ადამიანის მოტივაციისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ აქ მოქმედება და შემოქმედება უმაღლესად სპონტანურია, ღიაა, თვითგახსნილია და გარედან ზემოქმედებას, მართვას მოკლებული, ამდენად იგი ექსპრესიულია. მაგალითად, თუ შევადარებთ ერთმანეთს მეტამოთხოვნილებასა და სხვა ძირითად მოთხოვნილებას (მაგ., სიყვარული ან ყურადღება), აღმოჩნდება, რომ სიყვარული და ყურადღება შეიძლება განვიხილოთ როგორც გარეგანი თვისებანი, რაც ინდივიდის მიერ განიცდება ნაკლულობის, საჭიროების სახით. თვითგანხორციელება არ წარმოადგენს ასეთი შინაარსის ნაკლებობას. ის არაა რაღაც ისეთი გარეგანი, რაც საჭიროა ორგანიზმის ნორმალური არსებობისათვის. თვითგანხორციელება არის შინაგანი ზრდა, განვითარება იმისა, რაც თვითონ ინდივიდშია. თვითგანხორციელება, ამდენად, განპირობებულია ზრდით და არა ნაკლულობით; სხვაგვარად, ეს ნიშნავს იმას, რომ განვითარება განპირობებულია შიგნიდან და არა გარედან.

აღსანიშნავია ის ვითარება, რომ მოთხოვნილებათა დონეები ინდივიდუალურ განსხვავებულობას ქმნის. იერარქიული დონის რაც უფრო მაღალ მოთხოვნილებასთან გვაქვს საქმე, მით მეტია ინდივიდებში ამ რომელობების შიგნით განსხვავებულობანი, ე. ი. მოთხოვნილება უფრო მეტად ინდივიდუალური ხდება: რაც მაღალია მოთხოვნილება, მით სპეციფიკურ-ადამიანურია იგი და რომელობის მიხედვითაც მრავალფეროვანი.

---

* მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ნიშნავს მის აბსოლუტურ (100%-იან) დაკმაყოფილებას, რითაც გზა ეხსნება სხვა მოთხოვნილების აღმოცენებას. ავტორს საილუსტრაციოდ შემდეგი რიცხობრივი მაჩვენებლები მოჰყავს: საშუალოდ ფიზიოლოგიური მოთხოვნილება კმაყოფილდება 85%, უსაფრთხოებისა — 70%, სიყვარულისა — 50%, ყურადღებისა — 40%, თვით განხორციელებისა — 10%.

თვითაქტუალიზებული ადამიანები ჩართულნი არიან გარკვეულ საქმიანობაში, მისადმი თავდადებულნი არიან, ვინაიდან ეს საქმიანობა მათთვის ყველაზე უფრო ღირებულია, სიხარულის მომტანია; თითქოს, ეს საქმიანობა იყოს მათი ბედის ძახილი, მოწოდება, მათი ცხოვრების აზრი; ამიტომ თვითაქტუალიზებული ადამიანის მთელი ცხოვრება ამ საქმიანობასა და განხორციელებას ეძღვნება, რაც მისთვის უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს; უმაღლეს ღირებულებას ა. მასლოუ უწოდებს „ყოფიერებით" ღირებულებას (ანუ ბ-ღირებულებას). ავტორი თვლის, რომ ასეთი ბ-ღირებულება თოთხმეტია: ჭეშმარიტება, მშვენიერება, სიკეთე, სრულყოფილება, უბრალოება, ყოველმხრიობა და ა. შ.

ადამიანში ყოფიერებითი ღირებულებანი (ანუ ბ-ღირებულებანი) არსებობენ მოთხოვნილებათა სახით და ამ ყოფიერებით-ღირებულებით მოთხოვნილებას მასლოუ უწოდებს მ ე ტ ა მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს. მეტამოთხოვნილების დათრგუნვა იწვევს პიროვნების პათოლოგიის გარკვეულ ტიპს — მ ე ტ ა პ ა თ ო ლ ო გ ი ა ს. ისევე, როგორც დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისათვის ადამიანები საჭიროებენ დახმარებას კონსულტანტების მხრიდან, ასევე საჭიროა მეტაკონსულტანტები, რომლებიც დაეხმარებოდნენ პიროვნების დაავადებულ ფსიქიკას, რაც განპირობებულია მეტამოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობით. მეტაკონსულტანტები ინდივიდს გაუცნობიერებენ მათში უცნობ მეტამოთხოვნილებას. ამიტომ პაციენტისადმი დახმარება გამოიხატება მათი თვითაქტუალიზაციის გზით წაყვანაში, მეტამოთხოვნილების აქტუალიზაციაში, რაც იგივე რაიმე ღირებულებისადმი სამსახურია.

15. მოთხოვნილებათა ურთიერთდამოკიდებულება (ინტერრელაცია)

ჰენრი ალექსანდერ მერეიმ მოგვცა მოთხოვნილების დაწვრილებითი ანალიზი და, როგორც მიუთითებენ, ის სისტემაში მოიყვანა. მისი დახასიათება მოთხოვნილების ბუნებისა ასეთია: მოთხოვნილება წარმოადგენს კონსტრუქტს, რომელიც აღნიშნავს ტვინის რეგიონში ძალას, რაც ისე აორგანიზებს პერცეფციას, აპერცეფციას, ინტელექტს, კონაქციასა და აქციას, რომ არსებული დაუკმაყოფილებელი სიტუაცია განსაზღვრული მიმართულებით წარიმართება. მოთხოვნილება პირდაპირ გამოიწვევა სპეციფიკური შინაგანი პროცესებით... უფრო ხშირად კი ასევე — (მზაობის შემთხვევაში)... გარემოზემოქმედებით. ის მანიფესტირდება (ვლინდება) მაშინ, როცა ორგანიზმი მიჰყავს გარკვეული სახის ზემოქმედებასთან შესახვედრად ან მის ასაცილებლად,

მის შესამჩნევად თუ მასზე საპასუხოდ. ყოველ მოთხოვნილებას თან სდევს განსაკუთრებული, დამახასიათებელი გრძნობა და უბიძგებს გარკვეულ საშუალებათა გამოყენებისაკენ... რათა ხელი შეუწყოს მიმართულებას. მოთხოვნილება შეიძლება იყოს სუსტი ან ძლიერი, წარმავალი ან მდგრადი, მაგრამ ჩვეულებრივ ის დროში მიმდინარეა და იძლევა საბაბს ღია (ანუ წარმოსახული) ქცევის განსაზღვრული მიმდინარეობისათვის, რითაც ისე იცვლება საქმის ვითარება, რომ მიიღწევა ორგანიზმის დამაწყნარებელი (დამაკმაყოფილებელი) საბოლოო სიტუაცია [109, 123].

მოთხოვნილების მდგომარეობა დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ პროცესებთან ტვინში. მოთხოვნილებანი ან შიგნიდან აღმოცენდებიან ანდა შედეგია გარეგანი სტიმულაციისა. ორივე შემთხვევაში მოთხოვნილება იწვევს აქტივობას ორგანიზმის მხრიდან, და ეს რჩება მანამ, სანამ ორგანიზმი — გარემო-სიტუაცია ისე არ შეიცვლება, ვიდრე ლტოლვა, დაკმაყოფილებული არ იქნება. ზოგიერთ მოთხოვნილებას თან სდევს განსაკუთრებული ემოციები ან გრძნობები, და ესინი ხშირად დაკავშირებულნი არიან გარკვეულ ინსტრუმენტალურ მოქმედებებთან, რომლებიც ემსახურებიან სასურველ საბოლოო მდგომარეობის განხორციელებას.

მოთხოვნილებები, ჰ. ა. მერეის მიხედვით, შესაძლებელია დაჯგუფდნენ სხვადასხვა ასპექტით და მაშინ უნდა ვილაპარაკოთ მათი სახეების შესახებ, მაგალითად:

პ ი რ ვ ე ლ ა დ ი, ანუ ვისცეროგენული და მ ე ო რ ა დ ი, ანუ ფსიქოგენური სახეები მოთხოვნილებისა. პირველადი მოთხოვნილება დაკავშირებულია ორგანულ პროცესთან და მის რეგულარულ სხეულებრივ დაკმაყოფილებასთან. ასეთია კვების, სექსუალური, ურინაციის, სუნთქვის, ძილისა და ა. შ. მოთხოვნილებანი. მეორადი მოთხოვნილება არაა დაკავშირებული ცენტრალურად რომელიმე სპეციფიკურ ორგანულ პროცესთან ან ფიზიკური ბუნების დაკმაყოფილებასთან. ასეთებია: აღიარების, შემოქმედების, დამოუკიდებლობის და ა. შ. მოთხოვნილებანი.

ღ ი ა, ანუ მანიფესტური და დ ა ფ ა რ უ ლ ი, ანუ ლატენტური მოთხოვნილებანი. ღია მოთხოვნილება მეტად თუ ნაკლებად პირდაპირ და უშუალოდ მოცემადია. ლატენტური კი — შეკავებული, დათრგუნულია (განდევნილია). ღია მოთხოვნილებანი მოტორულ ქცევაში ვლინდებიან, ხოლო დაფარულნი — როგორც წესი, ფანტაზიაში ან სიზმარში. დაფარულ მოთხოვნილებათა არსებობა შედეგია ე. წ. ინტერნალიზებული სტრუქტურების (ზე-მე) წარმოქმნისა, რაც განსაზღვრავს იმას, თუ რა არის სწორი და მისაღები ქცევა. გარკვეული მოთხოვნილებანი მანამ ვერ ვლინდებიან, სანამ არ და-

ირღვევა კონვენციები და ნორმები საზოგადოებისა. ამიტომ ისინი ხშირად მოქმედებენ დაფარულ, ლატენტურ დონეზე.

ფ ო კ ა ლ უ რ ი და დ ი ფ უ ზ უ რ ი მოთხოვნილებანი ეხება მოთხოვნილებათა დაყოფას ობიექტთან მიმართების თვალსაზრისით. ფოკალური მოთხოვნილება მჭიდროდ დაკავშირებულია (ფიქსირებულია) გარემოში ობიექტთა შემოსაზღვრულ კლასთან. დიფუზური კი — ობიექტთა ფართო წრეს მოიცავს. მოთხოვნილებასთან დაკავშირებული გარემო მოვლენების სფერო შესაძლებელია გაფართოვდეს ან შევიწროვდეს, რაც, თავის მხრივ, აფართოებს ან ამცირებს მოთხოვნილებასთან დაკავშირებულ ინსტრუმენტულ ქცევებს.

პ რ ო ა ქ ც ი უ ლ და რ ე ა ქ ც ი უ ლ სახეებად დაყოფა მოთხოვნილებისა ხდება იმის მიხედვით, თუ საიდან ღებულობს ის დეტერმინაციას — შიგნიდან თუ გარედან. პროაქციული მოთხოვნილება, ასე რომ ვთქვათ, „სპონტანურად მოქმედია", დეტერმინირებულია შიგნიდან, იმით, რაც პიროვნებაში ძევს. რეაქტიული მოთხოვნილება მუდამ შედეგია ან პასუხი გარემო პროცესისა. ეს ცნებები ეხებიან იმასაც, თუ როგორ ხდება ინტერაქცია ინდივიდებს შორის, სადაც ერთი გამოდის გამომწვევის როლში (სვამს კითხვებს, იწვევს სტიმულს, რაზედაც სხვამ პასუხი უნდა გასცეს), მეორე კი — მოპასუხის როლში (პასუხობს პროაქტორის სტიმულს).

პ რ ო ც ე ს ი ს, მ ო დ ა ლ ო ბ ი ს და ე ფ ე ქ ტ ი ს მოთხოვნილებანი. ეფექტის მოთხოვნილებას მივყავართ სასურველ მდგომარეობასთან ან საბოლოო შედეგთან. მოდალობის მოთხოვნილება ესაა ტენდენცია განხორციელდეს გარკვეული აქტები მხოლოდ განხორციელების გამო. პროცესის აქტივობა აღნიშნავს უმიზნო, არაკორდინირებულ, არაფუნქციონალურ მიმდინარეობას სხვადასხვა პროცესებისას (ხედვა, სმენა, აზროვნება, მეტყველება...), რომლებიც თანშობილნი არიან. ლაპარაკია „წმინდა ფუნქციობის სიამოვნებაზე", კეთებაზე კეთებისათვის. მოდალობის მოთხოვნილება განსხვავდება პროცესის მოთხოვნილებისაგან იმით, რომ პირველი მოითხოვს დასრულებულ გამოხატულებას, რომელიც მიიღწევა მხოლოდ გარკვეული სიბეჯითის და თვითაღზრდის წყალობით (მუსიკალური ვირტუოზობა, ლოგიკური სიცხადე, ფორმისა და მოძრაობის სიმშვიდე, მჭერმეტყველება...).

მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ებ ა შ ე ი ძ ლ ებ ა გ ა ნ ვ ი ხ ი ლ ო თ ო ბ ი ე ქ ტ თ ა ნ მ ი მ ა რ თ ებ ი ს კ უ თ ხ ი თ ა ც, მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა შ ი მ ი ვ ი ღ ო თ თ ვ ი თ ო ნ მ ი მ ა რ თ ებ ი ს ბ უ ნ ებ ა. ამ შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ კ ა თ ე ქ ს ი ს ზ ე ა ნ ს ე ნ ტ ი მ ე ნ ტ ზ ე.

ჰ. ა. მერეი იყენებს ფსიქოანალიზურ ტერმინს კათექსისს (დამუხტვა) გარემოში არსებული ობიექტის უნარის აღსანიშნავად, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს ობიექტი იზიდავს ან განიზიდავს სუბიექტს (ეს ცნება გულისხმობს აგრეთვე პერსონის ზემოქმედებას სხვა სუბიექტზე დადებითად ან უარყოფითად). დადებითი კათექსისი მაშინაა, როცა ინდივიდისათვის გარკვეული ობიექტი მიზიდულობის მქონეა, უყვარს იგი, დადებითადაა მის მიმართ განწყობილი, საერთოდ დადებითი დამოკიდებულებისაა მასთან. ნეგატიური კათექსისის დროს კი ობიექტი თავიდან მოიშორება, მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაა.

ს ე ნ ტ ი მ ე ნ ტ ი იგივე ფენომენის სხვა ასპექტია. თუ კათექსისის შემთხვევაში მხედველობაშია მიღებული ობიექტის უნარი (ის იზიდავს ან განიზიდავს), სენტიმენტის შემთხვევაში ხაზი ესმის სუბიექტის შინა ტენდენციას. სენტიმენტი არის მეტი თუ ნაკლები ხანგრძლივობის მქონე დისპოზიცია პიროვნებაში, რომელიც რაღაცაზე პასუხობს პოზიტიური ან ნეგატიური აფექტით.

თუ მკვლევარს ობიექტი აინტერესებს პირველ რიგში, მაშინ მან უნდა გამოიყენოს კათექსისის ცნება, ხოლო — თუ სუბიექტი, მაშინ — სენტიმენტის ცნება.

ჰ. ა. მერეის ცნება „კათექსისისა" ერთგვარად პარალელურია კ. ლევინის „მიზიდულობის", ანუ „გამომწვევი ხასიათისა". ორივე შემთხვევაში მითითებაა ობიექტური საქმის ვითარების სპეციფიკაზე, კერძოდ, რომ გარე სამყარო ინდივიდს იზიდავს თუ განიზიდავს, რასაც სუბიექტის მხრიდან აღნიშნულის განმაპირობებელი ფაქტორები მოეპოვება. ამ უკანასკნელს კი განსაკუთრებით კ. ლევინი აქცევს ყურადღებას (იხ. „კვაზი-მოთხოვნილება").

ადამიანის მოთხოვნილებები ერთმანეთისაგან განცალკევებულად არ არსებობენ. სუბიექტის სტრუქტურის სხვადასხვა და ერთსა და იმავე დონეზეც ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე რომელობის მოთხოვნილებამ იჩინოს თავი. სიმულტანური არსებობის ვითარებაში მოთხოვნილებანი ერთმანეთის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, რაც განპირობებულია შინაგანი და გარეგანი სიტუაციებით. ამ გარემოებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჰენრი ალექსანდრე მერეი და ადასტურებს მოთხოვნილებათა ურთიერთზემოქმედების ოთხ სახეს, რასაც ის უწოდებს: გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ ა ს, კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ს, შ ე რ წ უ მ ა ს ა და დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ა ს. ავტორისათვის ამოსავალია მოთხოვნილებათა იერარქიული დამოკიდებულების თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც სუბიექტის ერთ გარკვეულ ტენდენციას უპირატესობა აქვს სხვების მიმართ.

მერეის მიხედვით, მოთხოვნილების გაბატონებასთან საქმე გვაქვს მისი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილების ინტენსივობა ამის გამო მაღალ დონეს აღწევს. ამგვარ ვითარებაში სხვა, ნაკლებ ინტენსიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება სუბიექტისათვის აქტუალური აღარაა, ხდება მისი შეკავება ან დათრგუნვა. როგორც კი გაბატონებული მოთხოვნილებანი ნაწილობრივ მაინც კმაყოფილდება, სხვებიც თავს იჩენენ, ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამოცანა უკვე აქტუალური ხდება.

მოთხოვნილებანი კონფლიქტურ მდგომარეობაში არიან ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ერთდროულად ორი თანაბარი ინტენსივობის მისწრაფება მოითხოვს სხვადასხვა ქცევის გზით დაკმაყოფილებას. მოთხოვნილებათა შორის კონფლიქტი მათი უწინარესი დაკმაყოფილების კონფლიქტია და იგი მოთხოვნილების გაბატონების წინა ვითარებაა. ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა კონფლიქტი დროში ხანგრძლივად მიმდინარე მდგომარეობა არაა. კონფლიქტის მოხსნა არსებითადაა დაკავშირებული თვითონ მოთხოვნილებითი მდგომარეობის ინტენსივობასა და მოთხოვნილების საგნის „ხელში ჩაგდების“ სიადვილესთან.

მოთხოვნილებათა შერწყმის შესახებ იმ შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ, როცა სხვადასხვა მოთხოვნილება ერთდროულად კმაყოფილდება ერთი ქცევის მიმდინარეობით. აქ შერწყმაში თვითონ მოთხოვნილებათა შორის რეალური კონტაქტი, შერწყმა კი არ იგულისხმება, რასაც თან უნდა სდევდეს ახალი სახის მოთხოვნილების გაჩენა, არამედ ყურადღება ექცევა იმ ფაქტიურ ვითარებას, რომ გარკვეული ქცევის ასპექტში განსხვავებულ მოთხოვნილებათა რეაქციის შედეგები მსგავსია.

დაქვემდებარებული მოთხოვნილება ისაა, რომელიც მეორე მოთხოვნილების სამსახურში დგას, მის რეალიზაციას ხელს უწყობს. ყველა იმ შემთხვევაში, სადაც კი კონკრეტულ აღმძვრელს შედეგად მოსდევს რომელობითად განსხვავებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, უნდა ვილაპარაკოთ ამ აღმძვრელის (მოთხოვნილების) დაქვემდებარებულ ფუნქციაზე. მაგალითად, სუბიექტის აგრესიული ტენდენცია გარკვეულ ვითარებაში აადვილებს აღიარების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ა. შ.

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ჰენრი ა. მერეის მოთხოვნილებათა ურთიერთდამოკიდებულების მითითებული ოთხი სახიდან ყველა საკუთრივ მოთხოვნილებათა უშუალო ურთიერთობას არ ასახავს, აქ საქმეში სხვა მომენტებიც ერევიან. თუკი მოთხოვნილების გაბატონებაში ჩანს თვითონ მოთხოვნილებათა რეალური კავშირი, იგივე არ ითქმის მოთხოვნილების დაქვემდებარებაზე და შერწყმაზე. უკანასკ-

ხელ შემთხვევაში ყურადღება ექცევა ქცევათა ურთიერთდამოკიდებულებას ფართო მნიშვნელობით.

გარკვეული აზრით, აქვე, ამავე სფეროში უნდა მოთავსდეს ე. წ. ინდუცირებული მოთხოვნილებანი, რომლებზედაც კურტ ლევინი მიუთითებდა. ინდუცირებული მოთხოვნილება გარკვეული ფაქტორების ზეგავლენის გზით მიღებული მოთხოვნილებაა. მას კ. ლევინი სხვებისაგან გამოყვანილ, მიღებულ მოთხოვნილებად თვლის.

ინდივიდის მოთხოვნილებანი არსებითად არიან განპირობებული სოციალური ფაქტორებით. მაგალითად, მოზარდის არსებული მოთხოვნილებებიდან ზოგიერთი იცვლება, ხოლო სხვანი ახლად აღმოცენდებიან, ჩნდებიან; და ეს ხდება მოზარდზე დიდი და მცირე სოციალური ჯგუფების ზემოქმედების შედეგად, რომლის წევრიცაა ის. მოზარდზე ზემოქმედებას ახდენს ასევე ის ჯგუფიც, რომელსაც ის არ მიეკუთვნება. დედობრივი რჩევა-დარიგების, მეგობრის მოთხოვნის და ა. შ. ზეგავლენა ინდივიდზე მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურად ინდუცირებულ (გამოყვანილ, მიღებულ) მოთხოვნილებასთან. კულტურა, გარემო, სადაც იმყოფება და იზრდება ინდივიდი, გავლენას ახდენს მის პიროვნებაზე — მოთხოვნილებებზე და ქცევაზე. ამდენად, აკულტურაცია ბავშვის ფსიქოლოგიის პრინციპული მნიშვნელობის პრობლემაა.

მაგალითად, კ. ლევინი ასხვავებს სოციალური ურთიერთობისაგან მოთხოვნილებათა აღმოცენების, გაჩენის სამ შემთხვევას: 1. ინდივიდის ქცევა ხორციელდება სხვისი საჭიროებისათვის, 2. მოთხოვნილებანი მიღებულია (ინდუცირებულია) სხვა პიროვნების ან ჯგუფის ძალთა ველის ზემოქმედებით, 3. მოთხოვნილებანი აღმოცენდებიან გარკვეული ჯგუფისადმი კუთვნილებისა და ამ ჯგუფის მიზნების დაცვის გამო. ეს შემთხვევა-ტიპები ერთმანეთთან კავშირში არიან.

ამ სფეროში ჩატარებული ზოგიერთი ექსპერიმენტული მონაცემების შესახებ აქვე შეიძლება მივუთითოთ. ეგოიზმი და ალტრუიზმი. ჰ. ჰარტსჰორნმა და მ. მეიმ იკვლიეს დახმარების მზაობის სიტუაცია (ალტრუიზმი, კოოპერაცია) 10—14 წლის მოზარდებში; გაირკვა, რომ ამ ასაკში დახმარების მზაობის ტენდენცია უფრო „სპეციფიკურია", ვიდრე „ზოგადი" [95]. მ. მაკ-გრეტი ექსპერიმენტულ გამოკვლევებში მიუთითებს, რომ წარმოდგენილი სიტუაციისათვის ალტრუისტული პასუხი იზრდება ასაკთან ერთად [106]. ბ. ვრაიტი იკვლევდა ბავშვებს სიტუაციაში, რომელშიაც მათ არჩევანი ეძლეოდათ, საყვარელი სათამაშო გადაეცათ სხვისთვის ან თავისთან დაეტოვებინათ (ეს სხვა ბავშვი იყო ან უცნობი ან მისი კარგი მეგობარი). გაირკვა, რომ ხუთი წლის ბავშვი პრაქტიკულად მუდამ ეგოისტურად იქცევა. 8 წლიანი ბავშვები კი მეტ ალტრუიზმს ამჟღავნებენ, მაგრამ

უფრო მეტს უცნობისადმი (58%), ვიდრე მეგობრებისადმი (23%) [116].

მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა და ს ო ც ი ა ლ უ რ ი დ ა წ ო ლ ა. კონფლიქტური სიტუაციის ანალიზიდან ირკვევა, რომ პიროვნება მიზნის მიმართულებით ზემოქმედი ძალა ინდუცირებული ძალაა, რომელიც აღმოცენდება რა სხვა პიროვნების ნებიდან, საწინააღმდეგოდაც შეიძლება მოქმედებდეს. ფსიქოლოგიურ ძალებსა და ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებათა შორის ურთიერთობის ასპექტით ლაპარაკობენ ინდუცირებულ მოთხოვნილებაზე. ორი პიროვნების ურთიერთდამოკიდებულება მტრულიც შეიძლება იყოს და მეგობრულიც. მაგრამ ამ პიროვნებათა მოთხოვნილებები ცალ-ცალკე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მეორის მასზე ზეგავლენის ველზე. 2—8 წლის ბავშვებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ უცნობი პიროვნების ზეგავლენის სიძლიერე გარკვეულ მომენტში ინდივიდების ე. წ. გეოგრაფიულ პოზიციაზეა დამოკიდებული. მცირე დაშორების შემთხვევაში, იზრდება ზეგავლენა ბავშვზე. როდესაც ბავშვი უფროსის მუხლებზე ზის, მასზე ზემოქმედების ძალა დიდია. ბავშვზე ზემოქმედების ძალა კლებულობს მაშინ, როდესაც ბავშვი იმყოფება უფროსის ზურგს უკან, ან ბავშვი არ ჩანს. მაშ, პიროვნების ზეგავლენის ველის სიძლიერე მეორე პიროვნებაზე განსხვავებულია სხვადასხვა სფეროში. ჯ. ფრანკმა და ე. ვარინგმა დაადასტურეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნებათა შორის დისტანცია შედარებით მცირეა, გავლენის ველს უფრო ადვილად შეუძლია ძალების ინდუცირება [90, 115].

რ. ლიპიტმა და რ. ვაიტმა ათწლიან ბავშვებში იკვლიეს ინდუცირებული მოთხოვნილების გავლენა მაინდუცირებელი გავლენის ველის არსებობა-არარსებობის შემთხვევაში. დადგინდა, რომ ჯგუფის ავტოკრატიულ ატმოსფეროში სამუშაოს მიღწეული ოდენობა რამდენიმე წუთში საკმაოდ ეცემოდა ძირს, მაშინვე როგორც კი ხელმძღვანელი ოთახიდან გადიოდა. აღნიშნული უპირისპირდება ჯგუფის დემოკრატიულ ატმოსფეროს, სადაც ჯგუფი თვითონ ირჩევს სამუშაოს და მას აგეგმარებს; აქ სამუშაოს მიღწეული რაოდენობა უცვლელი რჩება ხელმძღვანელის მიერ ოთახის დატოვების შემთხვევაშიც [104].

უ ც ნ ო მ ი ზ ნ ე ბ ი ს მ ი ღ ე ბ ა. ინდუცირებული მოთხოვნილება თანდათანობით თავის ბუნებას საკუთრივი მოთხოვნილების მიმართულებით ცვლის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიროვნება მისდევს არა მხოლოდ განაწესს, არამედ მას „გადმოიღებს“, გაიშინაგანებს ხოლმე (მას საკუთრად აქცევს).

კ. დუნკერმა შეამჩნია, რომ ბავშვები (2—5 წლისა) ამბის მოყოლის შემდეგ ირჩევდნენ იმ საჭმელს, რომელიც მანამდე მათთვის განურჩეველი იყო. გარკვეული დროის გავლის შემდეგ ეს გავლენა

შეცირდებოდა [89]. მ ტომპსონმა იკვლია ათწლიანი ბავშვების ხელმძღვანელობის გავლენა [114]. ხელმძღვანელი ბავშვების ჯგუფში ქმნიდა ხელოვნურად არათანასწორობისა და არაკეთილგანწყობილების ვითარებას, მანამდე კი ბავშვებს ერთნაირი სტატუსი ჰქონდათ. რამდენიმე ხნის წინდეგ პრივილეგირებული ბავშვები სხვებს უყურებდნენ როგორც არაპრივილეგირებულებს მაშინაც, როცა ასეთი ურთიერთდამოკიდებულების მდგომარეობა აღარ იყო საჭირო (ხელმძღვანელი ოთახიდან გაიიოდა). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკანასკნელ შემთხვევაში დისკრიმინაცია მაინც არ იყო ისეთი ძლიერი, როგორიც ხელმძღვანელის თანდასწრებით. აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ მიზნები გარკვეული დონით გადაიტანებიან სუბიექტში.

რ. ლიპიტმა და რ. ვაიტმა დაადასტურეს, რომ დემოკრატიულ და თავისუფალ ჯგუფებში ინდივიდის მზაობა ჯგუფის შიგნით მიიღოს ავტოკრატიულობა ნაწილობრივ დამოკიდებულია ოჯახურ საფუძვლებზე. ასეთი ბავშვები უფრო ხშირად მიმართულნი არიან „უფროსების ღირებულებისაკენ", ვიდრე თანატოლ, მათთან მოთამაშე „ამხანაგების ღირებულებისაკენ". ბავშვები, რომლებიც მისდევენ თანატოლთა ღირებულებებს, სოციალურად უფრო შეგუებულნი არიან ერთმანეთთან, სამაგიეროდ სკოლაში ნაკლებ დამჯერენი არიან* [104].

ჰ. ა. მერეის მიხედვით, მოთხოვნილებანი, მართალია, გარემოს კონკრეტულ ობიექტებთან აუცილებლობით არ არიან დაკავშირებულნი, მაგრამ მაინც ხშირად ხდება ხოლმე, რომ გამოცდილების საფუძველზე ინდივიდი ობიექტებს ასოციაციურად აკავშირებს სპეციფიკურ მოთხოვნილებებთან. ამგვარადვეა შესაძლებელი შეძენა და მოთხოვნილებასთან დაკავშირება ამ ობიექტთან მიახლოებისა და განშორების განსაკუთრებული რეაქციებისა. მოთხოვნილების ამგვარი გაერთიანება გარემო ობიექტის წარმოდგენის ხატთან ან აზრთან, ასევე ინსტრუმენტალურ აქტებთან, მერეის მიხედვით, არის მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს ი ნ ტ ე გ რ ა ც ი ა, ანუ გაერთიანება. აღნიშნული წარმოადგენს, როგორც ამბობენ, „თ ე მ ა ტ უ რ დ ი ს პ ო ზ ი ც ი ა ს" — გარკვეული სახის ურთიერთკავშირის მოთხოვნილებას კონკრეტულ პიროვნებასთან ან საგანთან. ასეთი კავშირის არსებობის შემთხვევაში მოთხოვნილების აღმოცენება პიროვნებას ჩვეულებრივ უბიძგებს იქითკენ, რომ ეძიოს სათანადო გარე ობიექტი, რაც იმ ხატს შეესატყვისება, რომელიც მოთხოვნილების ინტეგრაციული ნაწილია.

მოთხოვნილება წარმოადგენს ქცევის სიგნიფიკაციურ დეტერმინანტს პერსონის შიდა მხრიდან, ხოლო დ ა წ ო ლ ვ ა (პრესი) ქცევის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია ობიექტური გარემოს მხრიდან. ერთი

---

* მასალა მოტანილია კ. ლევინის წიგნიდან [103].

სიტყვით, ზემოქმედება, ანუ დაწოლა გარემო ობიექტის, ასევე სხვა პერსონის ის თვისებაა, რომელიც ამსუბუქებს ან წინააღმდეგობას უქმნის სუბიექტის აქტივობას, მიაღწიოს გარკვეულ მიზანს. ამგვარი ზეგავლენა დაკავშირებულია ინდივიდზე და საგნებზე, რომლებსაც პირდაპირი შედეგი აქვს ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან. ჩვენ უფრო კარგად გვეცოდინება, თუ რა უნდა აკეთოს ვინმემ, თუკი გავაცნობიერებთ არა მარტო მის მოტივებსა და მიმართულ ტენდენციებს, არამედ აგრეთვე იმ ვითარებას, თუ როგორ უყურებს ის გარემოს და როგორ ინტერპრეტაციას აძლევს მას. ესაა ის ფუნქცია, რომელიც უნდა მოიცვას დაწოლვის ცნებამ.

ჰ. ა. მერეი იძლევა დაწოლვის სიას, სადაც უმთავრესად მოხაზულია ბავშვობის ასაკის პროცესები და ზეგავლენანი. ეს ზეგავლენანი არა მარტო გარკვეულ როლს თამაშობენ სუბიექტის განცდის სფეროში, არამედ მათი სიძლიერე და პიროვნული წონა მონაწილეობას ღებულობენ პერსონის ცხოვრებაში.

მერეი მნიშვნელობას აძლევს დაწოლვის დაყოფას ალფა და ბეტა სახეებად. ალფა-დაწოლვა ესაა გარეგანი ობიექტების ის თვისებები, რომლებიც ობიექტურად არსებობენ. ბეტა-დაწოლვა ესაა ის გარეგანი ობიექტები, როგორადაც მას აღიქვამს ან ინტერპრეტაციას აძლევს ინდივიდი. ინდივიდის ქცევა უმჭიდროეს კორელაციაშია ბეტა-დაწოლვასთან, მაგრამ ისევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი სიტუაციებიც, სადაც ალფა და ბეტა დაწოლვებს შორის განსვლაა. ჰ. ა. მერეი ასახელებს 16 შემთხვევას დაწოლვის (პრესის) სიტუაციისას, ესენია: 1. ოჯახური დასაყრდენის არქონა, 2. სხეულებრივი საშიშროება ან ტრამვა, 3. ნაკლოვანება, 4. დაფარვა, 5. უგულებელყოფა, უყურადღებობა, 6. რივალური, მაკონკურირებელი თანატოლი, 7. და-ძმის შეძენა, 8. აგრესიულობა, 9. პატივისცემა, ქება, აღიარება, 10. ბატონობის სწრაფვის განცდა, 11. ზრუნვა ან სათუთობა; დახმარების საჭიროება, 12. დახმარება, დაცვა, 13. კუთვნილების, მეგობრობის, კონტაქტის, 14. სექსუალობა, 15. მოტყუება ან გაცემა, 16. დაქვემდებარება.

ჰ. ა. მერეი ამასთან ერთად იძლევა ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების ჩამოთვლას. ასეთი მოთხოვნილება, მის მიხედვით, 20 რომელობისაა. ეს მოთხოვნილებები მოთხოვნილებათა კლასიფიკაციას არ წარმოადგენს, რადგანაც გაურკვეველია მათი დაყოფის საფუძველი, არაა მითითება არც მათ მოდალობაზე. არ ჩანს ნათლად არც ის, დასახელებული მოთხოვნილებები თვითონ მოთხოვნილების შინაგანი სპეციფიკის მაუწყებელია თუ პიროვნების მახასიათებელს წარმოადგენს. მოთხოვნილებათა რომელობები შემდეგია:

1. მორჩილება, დაქვემდებარება, 2. სრულყოფა, თვითგანხორციელება, დასრულებულობა, 3. თანაზიარი, კონტაქტი, 4. აგრესიულობა, ძალაუფლება, ძალადობა, 5. ავტონომია, დამოუკიდებლობა, თვითმყოფობა, 6. საწინააღმდეგო ღონისძიების მიღება, წინააღმდეგობა. 7. თვითდაცვის ნდობა, მზაობა კრიტიკის უკუგდებისა, საყვედურის თავიდან აცილება, 8. ყურადღება, პატივისცემა, 9. ბატონობა, 10. საკუთარი თავის სხვისთვის საჭვრეტად ჩვენება, 11. ზიანის აცილება, 12. მე-ს უშიშროების ტენდენცია, 13. დახმარებისათვის მზადყოფნა, სიმპატიის ტენდენცია, ზრუნვისა და თანაგრძნობის ტენდენცია, 14. წესრიგის სიყვარული, 15. თამაშის ლტოლვა, 16. უარის თქმის მოთხოვნილება, დისტანციის დაჭერა, 17. გაღიზიანების მოთხოვნილება, 18. სექსუალური მოთხოვნილება, 19. დახმარების მოთხოვნილება, ძიება დახმარების, დაცვის, სიმპათიისა სხვის მხრიდან 20. გაგების ძიება, შემეცნებისაკენ სწრაფვა, ძიების ლტოლვა.

16. მოთხოვნილების წარმოშობა და განვითარება

აღიარებულია, რომ მოთხოვნილების გაჩენა საერთოდ სიცოცხლის წარმოშობასთანაა დაკავშირებული. ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკური თავისებურება, რის გარეშეც მისი არსებობა შეუძლებელია, ისაა, რომ იგი გარემოსთან ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის განუწყვეტელ ურთიერთობაში იმყოფება. მართალია, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის შესახებ არაორგანულ სინამდვილეშიც შეიძლება ლაპარაკი იმიტომ, რომ ქიმიური პროცესების არსებობა ყველგან დასტურდება. მაგრამ ქიმიურ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა განსხვავებულ მდგომარეობებს უკავშირდება არაცოცხალ და ცოცხალ სინამდვილეთა ფარგლებში. არაორგანულ სხეულთა შემთხვევაში ნივთიერებათა ურთიერთგაცვლა არღვევს მათ, ხოლო ორგანულ სხეულთა შემთხვევაში იგი ამ სხეულთა არსებობის (შენარჩუნების) აუცილებელ პირობას წარმოადგენს (ენგელსი). ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმისთვისაა დამახასიათებელი, განვითარების რა საფეხურზედაც უნდა იმყოფებოდეს იგი. ეს ვითარება იმაზე მიუთითებს, რომ ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელია რაიმე მოთხოვნილების არსებობა, პირველ რიგში, ნივთიერი მოთხოვნილება. ნივთიერების გაცვლა-გამოცვლა ორგანიზმის აქტიურობაა, რომელიც განაპირობებს მოთხოვნილების არსებობის ფაქტს. მოთხოვნილებით კი არ იწყება აქტივობა (აქტივობა მატერიის საერთო ონტოლოგიური თვისებაა), არამედ მოთხოვნილება აქტივობაშია

ჩართული და მისი უწყვეტელობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

ამიტომაც ამბობენ, რომ ცოცხალ ორგანიზმს აქვს ორი სპეციფიკური თავისებურებაო: მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა და მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ი ქ ც ე ვ ა, რომელთა შორის არსებითი კავშირია. მიზანშეწონილ ქცევას მოთხოვნილების ფაქტი უდევს საფუძვლად. ცოცხალი ორგანიზმი რომ ქცევის აქტს მიმართავს, ამას იმიტომ შვება, რომ სხვანაირად მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია. ქცევა საერთოდ მოთხოვნილების ნიადაგზეა აღმოცენებული და იგი მოთხოვნილების პროდუქტს წარმოადგენს.

ქცევის მიზანშეწონილობის საკითხი წყდება მოთხოვნილების ფაქტის საფუძველზე. მოთხოვნილების მქონე ორგანიზმისთვის სინამდვილესა და მას შორის ინდიფერენტული დამოკიდებულება აღარაა. ორგანიზმი გარემოსთან, როგორც მისი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ ს ი ტ უ ა ც ი ა ს თ ა ნ ა ა მიმართებაში (სიტუაცია მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობაა). „მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების პირობები სრულიადაც არ წარმოადგენს ერთი მეორის მიმართ შემთხვევით მოვლენებს“ [26, 297].

სიცოცხლის დონეზე არსებულ მოთხოვნილებას ჩვენ ვუწოდეთ საჭიროება, რაც განვასხვავეთ საკუთრივ მოთხოვნილებისაგან, ცნობიერების ფსიქიკური შინაარსისაგან. საჭიროება არაგანცდადი, ფსიქიკის დონემდე ჯერ კიდევ მიუღწეველი „მოთხოვნილებაა“; ეს ის მდგომარეობაა ორგანიზმისა, რომელიც დღეს ამერიკულ ფსიქოლოგიაში უმეტესად „დრაივის“ სახელწოდებითაა ცნობილი, უპირისპირებენ რა მას საკუთრივ განცდად მოთხოვნილებას (need). საჭიროება არა მხოლოდ დაბალი ბიოლოგიური ორგანიზმების მდგომარეობაა, არამედ იგი ადამიანის სიცოცხლის ფენისთვისაცაა დამახასიათებელი. საჭიროების მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ორგანიზმის ვეგეტაციური რეგულაციის მექანიზმის მოქმედების შემთხვევები. როდესაც ორგანიზმი (მაგალ., საჭმლის მომნელებელი ორგანო — კუჭი) საჭიროებს სპეციფიკური მომნელებელი სითხის კონცენტრაციის განსაზღვრულ რაოდენობას კუჭში მოხვედრილი საჭმლის შემადგენლობის კვალობაზე მის გადასამუშავებლად; ეს ხდება ფიზიოლოგიურ დონეზე, რაშიაც არ ერევა ფსიქიკური (განცდის) დონის მოთხოვნილება. საჭმლის შემადგენლობის მიხედვით გამოყოფილი მომნელებელი ნივთიერებების განსაზღვრა ხდება თვითონ ორგანიზმის მიხედვით. ამ მექანიზმის მოქმედება საჭიროების დონეზეა წარმართული.

მოთხოვნილების ფსიქიკური ფენომენი მხოლოდ ადამიანურ დონეზე არ დასტურდება, იგი სიცოცხლის განვითარების უფრო დაბალ დონეზედაც უნდა არსებობდეს, მაგრამ მისი გაჩენის ზუსტი ადგი-

ლი ჯერჯერობით არ ვიცით. ფსიქიკის საწყისად ორგანიზმში სპეციფიკური სიგნალური სისტემის მექანიზმის, ე. წ. „სიგნალი — ხატის“ ამუშავებას თვლიან. ასეთი რამ სიცოცხლის განვითარების დაბალ საფეხურზე შეიმჩნევა. მოთხოვნილების ფსიქიკური ფაქტიც, ალბათ, ამავე დონეზე უნდა იქნეს დაშვებული.

პრინციპულად დგას საკითხი ცხოველისა და ადამიანის მოთხოვნილებათა განსხვავების შესახებ. ცხოველის მოთხოვნილებათა რომელობა ბიოლოგიურ სფეროს ვერ შორდება. „ცხოველის მოთხოვნილებათა ბუნება და წრე ერთხელ და სამუდამოდ არის განსაზღვრული: მათ ცოცხალი ორგანიზმის სასიცოცხლო თავისებურებები უდევს საფუძვლად“. სხვაგვარადაა ადამიანთან. ადამიანი ისტორიული არსებაა და მისი მოთხოვნილება სოციალურ ურთიერთობათა განვითარების ნიადაგზე განუწყვეტელი ქმნადობის პროცესში იმყოფება. ამის შედეგი ისაა, რომ „არა მარტო ძველი მოთხოვნილებები იცვლება, არამედ განუწყვეტლივ ახალ-ახალი მოთხოვნილებებიც ჩნდება... ადამიანი შეუდარებლად უფრო მრავალფეროვანი და მრავალმხრივი მოთხოვნილებების პატრონია, ვიდრე ცხოველი“ [26, 90].

ადამიანის მრავალფეროვანი მოთხოვნილების გაჩენა მისი ისტორიული განვითარების მიმდინარეობაზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე მის ბიოლოგიურ თავისებურებაზე. ამ ვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მარქსიზმის კლასიკოსებთან. კ. მარქსი და ფ. ენგელსი სოციალური ადამიანის მოთხოვნილების გაჩენა-განვითარებას მის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და განვითარებაზე აფუძნებენ. საარსებო საშუალებათა ხელოვნური შექმნა, ე. ი. პირველ საარსებო საშუალებათა წარმოება ცვლის მწარმოებლის შინაგან ბუნებას, მას ახალ მოთხოვნილებას უჩენს: თვითონ დაკმაყოფილებულ პირველ მოთხოვნილებას, დაკმაყოფილების მოქმედებას და უკვე შეძენილ იარაღს დაკმაყოფილებისას მივყავართ ახალ მოთხოვნილებამდე და ეს წარმონაშობი ახალი მოთხოვნილებები წარმოადგენს პირველ ისტორიულ საქმეს*.

ადამიანის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოებასა და მოხმარებას. „მოხმარება ქმნის ა ხ ა ლ ი წარმოების მო-

---

* «...Сама удовлетворенная первая потребность, действие удовлетворения и уже приобретенное орудие удовлетворения ведут новым потребностям, и это порождение новых потребностей является первым историческим делом». [4, 27].

«Размер так называемых необходимых потребностей, равно как и способы их удовлетворения, сами представляют собой продукт истории и зависят в большей мере от культурного уровня страны» [4, 182].

თხოვნილებას, მაშასადამე, წარმოების იდეალურ, შინაგან მამოძრავებელ საწყისს, რომელიც მისი წინამძღვარია“ [2, 20].

კ. მარქსი შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ იძლევა წარმოებისა და მოხმარების ურთიერთდამოკიდებულების ბუნებას, რომ „წარმოება აწარმოებს არა მარტო საგანს სუბიექტისათვის, არამედ — სუბიექტსაც საგნისათვის“ [1,286]. წარმოება და მოხმარება პიროვნების სპეციფიკური აქტებია. ამიტომ ისინი, გარკვეული აზრით, პიროვნების არსებობის ფორმადაც კი განიხილებიან. კ. მარქსი ადამიანს ახასიათებს როგორც „მოთხოვნილებათა ჯამს“ [9, 182] და ადამიანის სიმდიდრეც „მოთხოვნილების უნივერსალობაა“ [9, 476]. ეს იმიტომ, რომ ადამიანი ჩანს როგორც მისი მოთხოვნილებების ჩასახვა-წარმოშობაში, ისე — თვითონ საგნობრივ მოთხოვნილებათა ბუნებაში, რომლებიც მის ღირებულებათა სისტემას შეესატყვისება. ამიტომ ადამიანის და მისი მოთხოვნილებების განვითარება ერთი მთლიანი პროცესია და არა ერთმანეთისაგან განცალკევებული რამ. რამდენად გახდა ადამიანური არსი ადამიანისათვის ბუნებრივ არსად, ჩანს იმის მიხედვით, თუ რამდენად იქცა ადამიანის მოთხოვნილება ადამიანურ მოთხოვნილებად [8, 115].

გარდა იმისა, რომ ადამიანისა და ცხოველის მოთხოვნილებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რომელობითად (შინაარსობრივად), ეს მოთხოვნილებები განვითარების კუთხითაც სპეციფიკას აჩვენებენ. ჯერ ერთი, ეს გამოიხატება განვითარების ტემპში, რაც ცხოველებში ძალზე ნელა მიმდინარეობს. და ეს ხდება იმიტომ, რომ ცხოველებთან მოთხოვნილების განვითარება დამოკიდებულია ცხოველის სასიცოცხლო გარემოს ცვლილებაზე. მოთხოვნილების განვითარება გარემოს ცვლილების ფუნქციაა. გარემო ცხოველისათვის არის ბუნება; ბუნება არის საგნების მიმწოდებელი ცხოველის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ეს საგნები ბუნებრივი საგნებია, ის არ არის სახეშეცვლილი მომხმარებლით (ცხოველით). ამ ბუნებრივი გარემოს შეცვლასთან ერთად იცვლებიან ცხოველის მოთხოვნილებანი, ვინაიდან ცხოველები ეგუებიან ბუნების შეცვლილ საგნებს. ძირითადი წყარო ცხოველს მოთხოვნილების განვითარებისა იმყოფება ცხოველის გარეთ, ბუნებაში და ამიტომ მას უწოდებენ განვითარების გარე წყაროს [67].

სხვა ვითარებაა ადამიანთან. მისთვის ბუნება ყოველთვის არაა მოთხოვნილების საგნის მიმწოდებელი. ბუნება მას აძლევს მასალას, რომელსაც ფორმას აძლევს ადამიანი, რის შემდეგაც ის ხდება საგანი მოხმარებისა, სახმარი ღირებულების მქონე საგანი. სახმარი ღირებულების (მოხმარების საგნის) შექმნა, ბუნების საგნისთვის ახალი ფორმის მინიჭება ხდება შრომის პროცესში. ადამიანი შრომის პრო-

ცესში მოიხმარს მის შექმნილ შრომის იარაღებს და თანამშრომლობს სხვა ადამიანებთან. მაშასადამე, ადამიანი ქმნის არა მარტო მოხმარების საგანს, არამედ ასევე შრომის იარაღსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებს. მოხმარების პროცესში ხდება არსებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაგრამ ამ პროცესში ამავე დროს იქმნებიან ახალი მოთხოვნილებანი, რომლებიც დაკმაყოფილებისათვის მოითხოვენ ახალ საგნებს. თავის მხრივ, წარმოება ამ ახალი საგნებისა საჭიროებს ახალ იარაღებს, ეს უკანასკნელი კი ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. მაშასადამე, ადამიანი საწარმოო-მოხმარებით საქმიანობაში ქმნის საკუთარ თავს, ქმნის ცხოვრების მუდამ ცვალებად პროცესს — ისტორიას. ამ თვითქმნადობის ისტორიულ პროცესში უმნიშვნელოვანესი მომენტია ახალი მოთხოვნილებების გამომუშავება. მათი განვითარების წყარო არის არა გარე ბუნებაში, როგორც ეს ცხოველებთანაა, არამედ ადამიანის გვარში, მისი საწარმოო-მოხმარებით საქმიანობაში. ამ პროცესსაც თავისი ისტორია აქვს. ადამიანის გვარის გაჩენასთან ერთად გაჩნდა პროცესი მოთხოვნილების გარე წყაროს გარდაქმნისა შინაგან წყაროდ. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. კაცობრიობის ისტორიული განვითარების დასაწყის ეტაპზე, როცა საწარმოო-მოხმარებითი საქმიანობა სუსტად იყო განვითარებული, ადამიანის მოთხოვნილების განვითარების წყაროს ჰქონდა უფრო გარე, ვიდრე შიდა ხასიათი; ადამიანის მოთხონილება ვითარდებოდა უფრო მეტად გარე ბუნების ცვლილების კვალობაზე, ვიდრე მისი საკუთარი საქმიანობის ნიადაგზე. ადამიანის დამოკიდებულება ბუნებაზე დღესაც შესამჩნევია, მაგრამ ეს დამოკიდებულება გლობალური აღარაა, ვინაიდან ადამიანი ტექნიკური პროგრესისა და შრომის წყალობით უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხდება ბუნებაში მიმდინარე უშუალო ცვლილებებისაგან. შეიმჩნევა ისიც, რომ რაც გარეგანია მოთხოვნილების განვითარების წყარო, მით ნაკლებია მოთხოვნილებათა განვითარების დინამიკა. საწარმოო-მოხმარებითი საქმიანობის ისტორიული განვითარების კვალობაზე მოთხოვნილების განვითარების წყარო თანდათანობით ღებულობს სულ უფრო შინაგან ხასიათს, შედეგი კი ისაა, რომ მისი დინამიკა იზრდება.

წარმოება-მოხმარების შინაგანი მამოძრავებელი ძალა მოთხოვნილებაა, რომლის დაკმაყოფილება მისი საბოლოო მიზანია. ამ მოთხოვნილებათაგან მეტად მნიშვნელოვანია მატერიალური მოთხოვნილებანი; ეს წარმოებასთან მჭიდროდ დაკავშირებული მოთხოვნილებებია. წარმოება ქმნის რა გარკვეული სახის საგნებს, განაპირობებს მოთხოვნილების საგნობრივ არსს.

თუკი მოთხოვნილების საგნობრივი შინაარსი დამოკიდებულია მოთხოვნილების დაკმაყოფილებულ ობიექტებზე, მაშინ მოთხოვნი-

ლების განვითარება (მისი საგნობრივი შინაარსის ცვლილება) უნდა განხილულ იქნეს ამ ობიექტების ცვლილების მხრიდან. ამიტომაცაა, რომ მიუთითებენ: „მოთხოვნილებათა განვითარება ხდება მათი ობიექტების განვითარების გზითო“ (ა. ლეონტიევი). ამ ობიექტების ცვლილებასთან ერთად ხდება მოთხოვნილებათა საგნობრივი შინაარსის შეცვლა [67].

მაშასადამე, მოთხოვნილებათა განვითარება ცხოველთან და ადამიანთან არსებითად განსხვავდებიან. ცხოველთა მოთხოვნილების განვითარება განპირობებულია ბუნებრივ საგანთა წრის გაფართოებით, ხოლო ადამიანთან მოთხოვნილების განვითარება განსაზღვრულია წარმოების განვითარებით. წარმოება საგანს აწვდის მოთხოვნილებას, რითაც მას ცვლის, ქმნის ახალ მოთხოვნილებას. ერთი სიტყვით, ადამიანის გვარის მოთხოვნილებათა განვითარება თვითონ ადამიანის საქმეა, რაც შედეგია მისი მიზანსწრაფული საწარმოო საქმიანობისა. ქმნის რა საკუთარ მოთხოვნილებას, ადამიანი ამით ქმნის საკუთარი აქტივობის წყაროს, ქმნის საკუთარ თავს, ადამიანური ცხოვრების ისტორიას. ამიტომაა, რომ კ. მარქსი და ფ. ენგელსი ახალი მოთხოვნილების შექმნას „პირველ ისტორიულ აქტს“ უწოდებენ. ხოლო კ. მარქსი მოთხოვნილების წარმოქმნას ადარებს შრომის პროდუქტებისა და შრომითი ჩვევების წარმოშობას*.

ფსიქოლოგიაში დღეს მიუთითებენ მოთხოვნილებათა განვითარების კანონებზე. ი. შაროვი ასეთ ფორმულირებას აძლევს მათ. პირველი: მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ხ დ ე ბ ა ი მ ს ა გ ა ნ თ ა დ ა დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა შ ე ც ვ ლ ი თ, რ ო მ ე ლ ი ც დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ა ა მ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა თ ა დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ს თ ა ნ. მეორე: ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი დ ა ს ო ც ი ა ლ უ რ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ე ბ ი ს დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ა ვ ი თ ა რ ე ბ ს მ ხ ო ლ ო დ ა მ ბ რ ო ც ე ს ს, ა რ ა მ ე დ თ ვ ი თ ო ნ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ე ბ ს ა ც [80, 96—97].

როგორც აღინიშნა, მოთხოვნილების განვითარება დაკავშირებულია მოთხოვნილების საგნობრივი შინაარსის შეცვლასთან. ნიშნავს თუ არა მოთხოვნილების ობიექტის ყოველგვარი ცვლილება მოთხოვნილების განვითარებას? ყოველგვარი განვითარება ცვლილებაა, მაგრამ ყოველი ცვლილება, რა თქმა უნდა, განვითარებას არ წარმოადგენს. მოთხოვნილების საგანთან მიმართებაში მოთხოვნილების განვითარება ასე უნდა გავიგოთ: მოთხოვნილების საგნის განვითარება ეხება

* მოთხოვნილება «производится точно так же, как и продукты и различные трудовые навыки» [10, 18].

საგნის საზოგადოებრივ-ობიექტურ ასპექტს. ამის გამო მოთხოვნილება მით განვითარებულად უნდა ჩაითვალოს, რაც დიდია და მაღალი ამ მოთხოვნილების საგნის საზოგადოებრივი (ობიექტური) ღირებულება. განსაკუთრებით ეს ითქმის სოციოგენურ და გონით მოთხოვნილებების შესახებ. ზოგი მკვლევარი განვითარების კატეგორიაში წინ წამოსწევს ნაკლებ რთულიდან უფრო რთული მოვლენის წარმოშობის ასპექტს და აღნიშნულის გათვალისწინებით მოთხოვნილების განვითარებაზე იმ შემთხვევაში ლაპარაკობს, სადაც მოთხოვნილების საგნის სტრუქტურა რთულდება. თავისთავად საგნის სტრუქტურის მხოლოდ გართულება მოთხოვნილებასთან კავშირში არ უნდა ჩაითვალოს გადამწყვეტად მოთხოვნილების განვითარების გასარკვევად. აქ ისევ უნდა მოვუხმოთ ღირებულების ცნებას. საგნის ღირებულებითი ასპექტის მაღალი საფეხური წყვეტს მოთხოვნილების განვითარების დონეს.

ზოგი ფსიქოლოგი მოთხოვნილების განვითარებაზე მსჯელობს იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილებანი „უშუალოდან" იქცევიან „გაშუალებულად". ზემოთ (§ 10) ჩვენ გავარჩიეთ ე. წ. „უშუალო" და „გაშუალებული" მოთხოვნილებების შინაარსები, რაც ფაქტიურად არა თვითონ მოთხოვნილების ბუნების მაჩვენებელი აღმოჩნდა (თვითონ მოთხოვნილება არ შეიძლება იყოს უშუალო ან გაშუალებული), არამედ იმ ქცევის დამახასიათებელი, რომლითაც ხდება მოთხოვნილების საგნის მოპოვება, ამ საგანთან მისვლა. ამიტომ, ვფიქრობთ, ეს ასპექტი მოთხოვნილების განვითარების შინაარსს არც უნდა ეხებოდეს.

ასევე ლაპარაკობენ მოთხოვნილებათა ცვლილების „ელასტიურობაზე", რაც იგივე მოთხოვნილების ცვალებადობის ხარისხია. მხედველობაშია მიღებული ის ვითარება, რომ მოთხოვნილებათა სხვადასხვა სახეები ერთსა და იმავე პირობებში არათანაბრად ვითარდებიან: ერთნი უფრო სწრაფად, სხვები — ნელა; ერთნი ვრცელდებიან ან მცირდებიან, სხვები შედარებით მუდმივნი რჩებიან (მაგალ., გონითი მოთხოვნილებანი უსაზღვროდ განვითარებადნი არიან).

მოთხოვნილების განვითარების საკითხს უკავშირდება ადამიანის ფსიქიკის ს ო ც ი ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ასპექტი. დღეს ჩვენ მივუთითებთ, რომ ადამიანებს წმინდა ბიოლოგიური მოთხოვნილებები არ გააჩნიათო. ადამიანის ბიოლოგიურმა მოთხოვნილებებმაც სოციალიზაცია განიცადაო. ამასთან კავშირში განარჩევენ ცნებებს: „სოციალური ფსიქიკა" და „სოციალიზებული ფსიქიკა". სოციალურია ის ფსიქიკა, რომელსაც სოციოგენური ბუნება აქვს, წარმოშობილია იმთავითვე სოციალურ პირობებში და თავისი შინაგანი ბუნებით სოციალურია. მაგალ., სირცხვილის განცდა, მეტყველება, აზროვნება, ნებელობა და

სხვ. ხოლო სოციალიზებული ფსიქიკა აღმოცენების მიხედვით ბიოგენურია, მაგრამ შემდგომ მასზე სოციალური გარემოს ზემოქმედების წყალობით სოციალურად იქცა. მაგალ., შიმშილი, სქესობრივი სიყვარული და ა. შ. ამიტომაა რომ მიუთითებენ, ადამიანში ბიოლოგიური ფენაც კი გააადამიანებული არის სოციალური ბუნების ზეგავლენითო. ეს კი ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილებების გადაქცევაა სოციალურად, რაც მათ ნამდვილ განვითარებას ნიშნავს.

მოთხოვნილებათა განვითარებასთან დაკავშირებით ასევე ლაპარაკობენ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს უ ნ ი ფ ი კ ა ც ი ა ზ ე. ესაა საზოგადოების უმრავლესობისათვის საერთო მოთხოვნილებათა ზრდა, ე. ი. ხდება უნიფიკაცია (გაერთიანება) მოთხოვნილებათა სისტემისა შინაარსისა და მოცულობის მიხედვით. მოთხოვნილების უნიფიკაცია განიხილება მნიშვნელოვან პირობად პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისა, რამდენადაც ის ორგანულ კავშირშია საზოგადოების მოთხოვნილებებთან.

ფსიქოლოგიაში მრავალი გამოკვლევაა ჩატარებული და დაგროვილია მონაცემები ცალკეულ მოთხოვნილების რომელობის (მაგ., ინტერესის) ჩასახვა-განვითარებისა სკოლის მოსწავლეებში, ამ მოთხოვნილების ასაკობრივი განვითარების ცვლილების ასპექტით. აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ-ერთი ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგებს, რომელიც ეხება გარდამავალ ასაკში სოციოგენური მოთხოვნილების ერთ-ერთი რომელობის — პრესტიჟის მოთხოვნილების განვითარებას. გამოკვლევამ აჩვენა, რომ პრესტიჟის მოთხოვნილება, რომელიც უფროსი ბავშვების ხანაში ნელი ტემპით ვითარდება და ამ ასაკის სხვა მოთხოვნილებათა შორის შედარებით უმნიშვნელო ადგილს იჭერს, გარდამავალი ასაკის დასაწყისიდან სწრაფი ტემპით იწყებს განვითარებას და ამ ასაკის ბოლოს იგი იქცევა მოზარდის პიროვნების ერთ-ერთ ძირითად და წამყვან მოთხოვნილებად; ამ მოთხოვნილების განვითარების გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება გარდამავალი ასაკის დასაწყის ეტაპზე (მე-12 წელს, IV—V კლასებს შორის) [29].

მეორე გამოკვლევამ დაადასტურა, რომ გარდამავალ ასაკში სოციოგენურ, ფსიქოგენურ და ბიოგენურ მოთხოვნილებათა განვითარების ტემპი განსხვავებულია. ის სოციოგენური მოთხოვნილებები, რომლებიც მიმართულია, ერთი მხრივ, სხვისი და საკუთარი თავის სიკეთეზე ერთდროულად (მეგობრობის, სამართლიანობის, სიყვარულის, ურთიერთობის), და, მეორე მხრივ, მხოლოდ საკუთარ თავზე (დამოუკიდებლობის, თვითსრულყოფის) ვითარდებიან ნელი ტემპით უმცროს სასკოლო ასაკში. მოზრდილობის ასაკის დაწყებისთანავე (მე-6 კლასი) ისინი ვითარდებიან სწრაფი ტემპით და მოზარდის მოთხოვ-

ნილებათა შორის იჭერენ წამყვან ადგილს. ამ მოთხოვნილებათა განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოდის გარდამავალ ასაკზე. სოციოგენური მოთხოვნილებანი მიმართული სხვის სიკეთეზე შედარებით ინტენსიური ხდება მოზარდობის ასაკის ბოლო პერიოდში [42, 117—128].

ფსიქოგენურ მოთხოვნილებათაგან გამოკვლეულია თავისუფლების მოთხოვნილების (აქტივობის თავისუფლების მოთხოვნილების) განვითარების ბუნება. დადგინდა, რომ გარდამავალი ასაკის მანძილზე დიდი ტემპით იზრდება აქტივობის თავისუფლების მოთხოვნილება. მკვეთრი გარდატეხა შეიმჩნევა მე-4 და მე-5 კლასებს შორის [30, 155—169].

აქამდე მსჯელობა იყო უპირატესად მოთხოვნილების განვითარებაზე მისი ინტენციის საგნის განვითარება-გამრავალფეროვნების ასპექტით. მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს ასევე თვითონ მოთხოვნილებითი მდგომარეობის ცვლილებასაც. მოთხოვნილების განვითარება ფსიქოლოგიისათვის საინტერესოა მოთხოვნილებითი მდგომარეობის განვითარების კუთხითაც. მოთხოვნილების განვითარება პირველ რიგში სწორედ რომ მოთხოვნილებითი მდგომარეობის განვითარების საკითხს უნდა ეხებოდეს. ამ მიმართულებით ფსიქოლოგიური ანალიზი არ წარმართულა. მხოლოდ იმ მომენტზე თუ მივუთითებთ, რომ გონითი მოთხოვნილება, როგორც მოთხოვნილების განვითარებული სახე, გარდა იმისა, რომ სპეციფიკურ საგნობრივ განზომილებაზეა მიმართული — გონით — იდეელურ სინამდვილეზე (რაც იგივე სინამდვილის ღირებულებითი განზომილებაა), იმ სპეციფიკასაც ფლობს, რომ დაკმაყოფილების კუთხით განხილული თავისებურებას ამჟღავნებს — მოთხოვნილების „დაკმაყოფილება" აძლიერებს საგნისადმი მოთხოვნილებას, ის არ კმაყოფილდება სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მოითხოვს უფრო მეტ და ხშირ კონტაქტს საგანთან (ღირებულებასთან).

განვითარების კატეგორია პრინციპულ მიმართებაშია მოვლენის რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებთან. დღეს ფსიქოლოგიაში არც ისაა გარკვეული, თუ რას უნდა ეხებოდეს მოთხოვნილების განვითარების ფაქტში რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები: რა არის მოთხოვნილების რაოდენობრივი და რა თვისებრივი ცვლილების განზომილება? აუცილებელი ჩანს ამ საკითხის დამუშავება-ანალიზი.

17. მოთხოვნილება და მოტივი

ტერმინი — მ ო ტ ი ვ ი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „movere“, რაც აღნიშნავს ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ ა ს, მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ში მ ო ყ ვ ა ნ ა ს, ა ღ ძ ვ რ ა ს. მოტივის ცნება სათავეს იღებს შუა საუკუნეების სქოლასტიკური ფილოსოფიიდან, იგი მოაზრებული იყო უპირველეს ყოვლისა ნებისყოფის „მ ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ ე ლ ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ“. დღევანდელ ფსიქოლოგიაში გამოყენებული ტერმინები: „მ ო ტ ი ვ ი“ და „მ ო ტ ი ვ ა ც ი ა“ ერთმანეთისაგან მკაცრად გათიშული არაა. პირიქით, ზოგჯერ ისინი იგივეობრივადაც კი გაიაზრება. მიუთითებენ მათ შორის სუბორდინაციულ დამოკიდებულებაზეც, მაგრამ აქაც საბოლოოდ დადგენილი არაა, რომელი ჩაითვალოს გვაროვნულ ცნებად და რომელი — სახედ.

არის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, „მოტივი“ წარმოდგენილია დისპოზიციად, ხოლო „მოტივაცია“ აქტუალურ მდგომარეობად, რომელიც განპირობებულია მისწრაფების დისპოზიციური მდგომარეობის აგზნებით (ი. ვ. ატკინსონი). ფსიქოლოგები ერთში კი არიან შეთანხმებულნი: მ ო ტ ი ვ ი და მ ო ტ ი ვ ა ც ი ა, თავისი ფუნქციის მიხედვით, ქ ც ე ვ ი ს მ ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ ე ლ ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ ა ა გ ა ა ზ რ ე ბ უ ლ ი. მაგრამ ისევ და ისევ სადავოდაა გამხდარი მათი ონტიური ბუნება, არსებობს ფორმა თუ წესი, გავრცელების არე.

სხვადასხვა ფსიქოლოგიური მიმართულებები განსხვავებულად იაზრებენ მოტივის (მოტივაციის) ონტიურ ბუნებას; ზოგი მათი არსებობის ფორმას ც ნ ო ბ ი ე რ ი ფ ს ი ქ ი კ ი თ ამოწურავს (ი. ლინდვორსკი), ზოგი კი მათში ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ფ ს ი ქ ი კ ა ს ა ც ათავსებს, სხვები მოტივს (მოტივაციას) ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი უ რ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე დ ა ც სახავენ, ზოგისთვის კი ისინი საერთო ფუნქციის გათვალისწინების კვალობაზე ყ ვ ე ლ ა ამ გ ა რ კ ვ ე უ ლ ო ბ ა ს მ ო ი ც ა ვ ს ე რ თ ა დ.

მოთხოვნილება, შესაძლებელია, ასრულებდეს მოტივის (მოტივაციის) ფუნქციას, ის ქცევის აღმძვრელად მოგვევლინოს. მაგრამ ქცევის აღმძვრელი სხვა გარკვეულობებიცაა. დღეს ფსიქოლოგიაში იმის მიხედვით, თუ რა შინაარსით გაიგება მოტივი (მოტივაცია), მასთან მიმართებაში მოთხოვნილებაც გარკვეულ სახეს აჩვენებს.

როგორც ჰ. ჰეკჰაუზენი მიუთითებს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ქცევა შეიძლება სამი ასპექტით დახასიათდეს და ეს ვითარება განსხვავებული კითხვებითაც გამოითქვას: რ ა კ ე თ დ ე ბ ა? რ ო გ ო რ კ ე თ დ ე ბ ა? რ ა ტ ო მ კ ე თ დ ე ბ ა? მაგ., მივდივარ ბიბლიოთეკაში (რა კეთდება). ბიბლიოთეკაში მივდივართ ფეხით და არა ტრანსპორტით, გარკვეული, ჩემთვის მოსახერხებელი გზით და ა. შ. (რო-

გორ კეთდება), ბიბლიოთეკაში მიედივარ ნათესავის სანახავად და არა წიგნის საკითხავად ან სახლში წამოსაღებად (რატომ კეთდება). მოტივი მესამე კითხვას უკავშირდება და დამკვირვებლისათვის არაა თვალსაჩინოდ მოცემული ქცევის პირველი ორი ასპექტის დარად. მოტივია ის, როგორ ამბობენ, რაც ქცევას ხსნის, რაც ქცევას გასაგებს ხდის და გამოთქმულია კითხვა „რ ა ტ ო მ“? [96; 99; 94].

ანალოგიური შეხედულებისაა რ. ვუდვორტსი, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ქცევის მ ე ქ ა ნ ი ზ მ ს ა და ქცევის ფ ა ქ ტ ო რ ს, ამასთან ქცევის ფაქტორისაგანაა განპირობებული ქცევის მექანიზმის ამოქმედება. დგება ორი პრობლემა: პირველი ეხება ქ ც ე ვ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს ბ უ ნ ე ბ ა ს, — როგორ ხდება, აიგება ქცევა, ხოლო მეორე — ქ ც ე ვ ი ს ნ ა ი რ ო ბ ა ს, რატომ იქცევა ინდივიდი ასე და არა სხვაგვარად. მოტივაცია, ავტორის მიხედვით, დაკავშირებულია მეორე პრობლემასთან — იმასთან, თუ რატომ ხორციელდება ეს კონკრეტული ქცევა. აღნიშნულთან დაკავშირებით ლაპარაკობენ ქცევის მოტივაციურ ფაქტორებზე: მოთხოვნილებაზე, დაძაბულობაზე, ფსიქიკურ ძალაზე და ა. შ., რაც იგივე აქტივობის წყაროა.

ტრადიციულ ცნობიერების ფსიქოლოგიაში მოტივის (ქცევის აღმძვრელის) ფუნქცია მიწერილი აქვს ფსიქიკურ ფენომენთა ფართო წრეს; ესენია: ნებელობა, მისწრაფება, გრძნობა, ინტერესი, აფექტი, მოთხოვნილება, ლტოლვა, სურვილი, წყურვილი, იმედი, სევდა, პატივმოყვარეობა, საშიშროება და სხვა.

ცნობილია, რომ ადამიანის ქცევის ამხსნელი ფაქტორებისა და პროცესების გარკვევასა და შესწავლის დიდი ხნის ისტორია აქვს; მის შესახებ ლაპარაკია თვით კულტურის ისტორიის საწყისებთან. მაგრამ მისი ფსიქოლოგიური კუთხით შესწავლა განსაკუთრებული ინტენსივობით დაიწყო მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან.

ფსიქოლოგები თავიდანვე შეეცადნენ მოტივის (მოტივაციის) ცნებაში ნაგულისხმები ვრცელი სფეროს (მოტივაცია ს ა ე რ თ ო დ ქ ც ე ვ ი ს ა ღ მ ძ ვ რ ე ლ ი საფუძველია) რამდენადმე შეზღუდვას, ვინაიდან ის მოიცავდა ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებული მოვლენების ერთობლიობას: როგორც ცნობიერ, ისე არაცნობიერ პროცესებს, როგორც ფსიქიკურ, ისე არაფსიქიკურ გარკვეულობებს.

ამიტომ იყო ერთ-ერთი ცდა, მოტივისა და მოტივაციის ცნების მოცულობა შემოეფარგლათ მხოლოდ ნებელობის პროცესებთან დაკავშირებით და მოტივაციის პრობლემა განხილულიყო, როგორც ნებელობის პრობლემის შემადგენელი ნაწილი. მოტივი გააზრებულ იქნა მხოლოდ „ნებისყოფის მამოძრავებლად“, „ნებისყოფის გადაწყვეტილების აქტად“ (ქრ. ვოლფი, ვ. შოპენჰაუერი, ჰ. ჰეფდინგი,

ა. ფენდერი, ვ. დილთაი, ნ. ახი, ჰ. რორახერი). ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება, მაგალ., დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაში მოტივი და მოტივაცია ნებელობის სფეროში თავსდება.

არის სხვა ცდაც, რომლის მიხედვითაც მოტივაცია შეიძლება დაკავშირდეს მხოლოდ არაკოგნიტურ პროცესებთან (ჰ. ჰეკჰაუზენი, ი. ს. ბრაუნი). მაგ., ი. ს. ბრაუნს მიაჩნია, რომ უნდა განსხვავდეს ქცევის გ ა მ ა ა ქ ტ ი ვ ე ბ ე ლ ი და წ ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ი ა გ ე ნ ტ ე ბ ი. მ.გალ., ლტოლვა, მოტივაცია, კონაცია, ემოცია წარმოადგენენ აქტივობის ფუნქციებს, აქტივობის მიმნიჭებელ ფაქტორებს. ხოლო კოგნიტური სისტემა, ასოციაციური ტენდენცია, ჩვეულებები შიდა და გარე გამღიზიანებლებთან კავშირში, არის წამმართველი და მიმართულების განმსაზღვრელი ფაქტორები [86]. ფ. ლერში, ვ. შტერნი, ჰ. თომე მოტივაციად აცხადებენ ქცევის მხოლოდ მიმართულებასთან კავშირში მყოფ პროცესებს. ასევე არის წინადადება, მოტივად (მოტივაციად) გამოცხადდეს მხოლოდ „განცდადი" პროცესები ან „აფექტური ელფერის" შემცველი რეაქციების გამომწვევი მდგომარეობანი და სხვ.

ი. ს. ბრაუნი იძლევა მოტივად ჩასათვლელი პროცესების ოთხ კრიტერიუმს*. გარკვეული მდგომარეობა, რომელიც ერთ-ერთ პირობას აკმაყოფილებს მითითებული კრიტერიუმებიდან, უნდა ჩაითვალოს მოტივაციად (მოტივად). ეს კრიტერიუმები შემდეგია:

1. ცვლადი მაშინ უნდა ჩაითვალოს მოტივაციად, თუ კი ის შესაძლებელს ხდის განსხვავებული თვისებების მქონე რეაქციებს ან ამ რეაქციების ენერგიით უზრუნველყოფას.

2. ცვლადი მოტივაციად ჩაითვლება საერთოდ იმ შემთხვევაში, როცა ახალი რეაქციის დასწავლა დამოკიდებულია ამ ცვლადის შესატყვისს ზემოქმედებაზე.

3. ცვლადი მოტივაციად განიხილება მაშინ, როცა ამ ცვლადის ცვლილებას მივყავართ გარკვეული რეაქციების შესუსტებასთან.

4. ცვლადი მხოლოდ იმიტომ შეიძლება გამოცხადდეს მოტივაციად, რომ არ ჩანს სხვა შესატყვისი აღწერა.

ჰ. ჰეკჰაუზენი კი მიუთითებს იმ ფენომენებზე, რომელთა ახსნისთვის აუცილებელია მოტივაციის ცნების გამოყენება. ავტორი ასეთ მოვლენათა ხუთ ჯგუფს ასახელებს. ესენია:

1. ინტერინდივიდუალური განსხვავებულობანი და სიტუაციისაგან ქცევის შეფარდებითი დამოკიდებულობა. ერთგვაროვან გარე სი-

---

* მოტანილია ჰანს თომეს წიგნიდან [113]. ქვემოთ არსებითად ვემყარებით ამ წიგნში მოტანილ მასალას. იხ.თავი I, II, IV და IX, რომელიც ეკუთვნის ჰ. თომეს.

ტუაციაში ინდივიდები იქცევიან განსხვავებულად ან განსხვავებულ სიტუაციაში — ერთნაირად.

2. ძალთა ინტენსიური და ხანგრძლივი ჩართვა ქცევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაბრკოლებას ვაწყდებით.

3. ფსიქიკური და მოტორული მთლიანი მოქმედების წარმართული და მართული ფაზური მიმდინარეობა ბუნებრივ დასრულებამდე.

4. ფსიქიკური ფუნქციების შედეგის შესამჩნევი გადახრა მოცემულიდან, ჩვეულებრივიდან, მიზანშეწონილიდან, განსაკუთრებით მკვეთრად ე. წ. მცდარ მოქმედებებში.

5. ემოციური და ლტოლვითი ბუნების შინა განცდები.

ჰანს თომე, საერთოდ ითვალისწინებს რა ფსიქოლოგიაში არსებულ მოტივისა და მოტივაციის ცნებათა ფართო მნიშვნელობასა და ფუნქციას, გვაძლევს მოტივის გაგების ექვს ჯგუფს. ეს ჯგუფები რამდენადმე მთლიანად მოიცავენ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მიმართულებაში დამკვიდრებულ მოტივაციის (მოტივის) შინაარსს, თუმცა მითითებული ჯგუფები მოტივის გაგებისა სხვადასხვა მიმართებით ყოველთვის ურთიერთგამომრიცხველი არაა.

გასათვალისწინებელია ის ვითარებაც, რომ ვინაიდან მოტივის (მოტივაციის) ცნება ორგანიზმისა და ადამიანის ქცევებს უკავშირდება, ხოლო ორგანიზმისა და ადამიანის სისტემები აქტივობის ასპექტით განსხვავებულადაა წარმოდგენილი, ეს გარემოება გადამწყვეტ მნიშვნელობას თამაშობს მოტივის (მოტივაციის) ფუნქციის გარკვევის საქმეში.

ჰანს თომეს მიერ მითითებული მოტივთა ჯგუფები შემდეგია:

1. მოტივი მოძრაობის მიზეზია

ნ. ახის, ი. ს. ბრაუნის კონცეფციები ამოდიან თვალსაზრისიდან, რომ მოტივაციას მოძრაობაში მოჰყავს ორგანიზმი, რომ ორგანიზმი აქტიური ხდება მოტივაციით. ამდენად ქცევა მოტივაციით იწყება. მოტივაციის მსგავს გაგებას გვთავაზობს პ. ტ. იანგი. მისთვის მოტივაცია არის იმ პირობების ერთიანობა, რომელიც ორგანიზმის ქცევას იწვევს და არეგულირებს. ასევე დ. ლინდსლისათვის მოტივაცია ის მთლიანობაა ძალებისა, რომლებიც მიზანმიმართულ ქცევას იწვევს. მართავს და ასაზრდოებს. მოტივაციის ცნების ამ აღწერაში ან იმ ცნებებში, რომლებიც მოტივაციის სინონიმად და მაგივრად მოიხმარებიან (მაგალ., მოთხოვნილება), განმსაზღვრელია გაგება, რომ მოტივაციის ფუნქციის ამუშავებამდე ორგანიზმი უმოქმედოა, უმოძრაოა. მოტივაცია (მოთხოვნილება) ააქტიურებს ორგანიზმს და განაპირობებს მის რომელიმე ფორმისა თუ სახის ქცევას. მოტივი და მო-

ტივაცია ორგანიზმის მოძრაობისა და ცვლილების უშუალო მიზეზია. არსებითად ამ თვალსაზრისს იცავს ბუნებისმეტყველური ორიენტაციის ფსიქოლოგია.

2. მოტივაცია ორგანიზმის მდგომარეობის ცვლილების შედეგია

საპირისპიროდ მოტივის სუბსტანციური გაგებისა, არის ცდა მოტივაციის პროცესი გაგებული იქნეს, როგორც ფსიქოფიზიკური აგზნების მდგომარეობა. მაგ., ლტოლვა კ. ლ. ჰალთან და ბ. ფ. სკინერთან აღიწერება როგორც ისეთი მდგომარეობა, ე. ი. შემთხვევათა „სისტემა", რომელიც დამოკიდებულია სხვა სისტემებზე. მოტივაციის შემთხვევები, ერთი მხრივ, იგივეობრივია განსაზღვრულ მდგომარეობათა ცვლილებისა (ანუ „გრძნობებისა"), მეორე მხრივ, ისაა მდგომარეობათა ცვლილების შედეგი და ბოლოს საშუალება წინანდელი განსაზღვრული მდგომარეობის აღდგენისა. ეს მდგომარეობები შეიძლება იყოს: ფიზიოლოგიური, ფიზიკური, აფექტური, ფსიქოფიზიოლოგიური. მოტივაციის გაგების ამ ჯგუფში თავსდებიან განსხვავებული მიდგომები დაწყებული ზ. ფროიდიდან დამთავრებული დ. მაკკლელანდით და სხვა თანამედროვე აფექტის თეორეტიკოსებით (კ. ჰალი, ე. ტოლმენი, კ. ლევინი და სხვ.).

ამ ჯგუფის კლასიკური წარმომადგენელია ზ. ფროიდი. მისი მოტივაციური ცვლადი — ლტოლვა (მოთხოვნილება) — წარმოადგენს „ფსიქიკურის გამღიზიანებელს". ამ გამღიზიანებლის (ლტოლვის, მოთხოვნილების) თავიდან აცილება მისი დაკმაყოფილებაა, რომელიც მიიღწევა გაღიზიანების შინაგანი წყაროს ადეკვატური ცვლილებით. აქ ლტოლვა (მოთხოვნილება) პრინციპული მოტივაციური ცვლადია, რომელიც არ მოიხსნება უბრალო ფიზიოლოგიური რეგულაციით ან რეფლექტორული მოქმედებით.

მსგავს თვალსაზრისს იცავს კ. ჰალი, რომლის მიხედვითაც, საერთოდ ორგანიზმში ან ნაკლოვანებაა (მაგალ., სითხის, საკვლის), ან სიჭარბე (მაგ., სექსუალური ჰორმონები). ესენი წარმოადგენენ პირველადი ლტოლვის მდგომარეობებს. თვითონ ლტოლვა რაოდენობრივად გამაშუალებადი ცვლადია პირველად ლტოლვასა და რეაქციას შორის. ჩვეულებრივ საკმაო ინტენსივობის შემთხვევაში ლტოლვის ეს პირობები იწვევენ თანშობილ ქცევებს, რომლებიც თავიდან იცილებენ საგანგებო ბიოლოგიურ მდგომარეობებს. მაშინაც კი, როცა ისინი სუსტნი არიან, მაინც მოტივირებენ (აღძრავენ) ჩვეულებებს, რომლებიც დაკავშირებულია წარსულის ამა თუ იმ მსგავს პირობებთან. მოტივაციად აქ იწოდება ის მდგომარეობა, რომელიც ორგანიზმს განარიდებს ლტოლვის გამღიზიანებლის ზეგავლენისაგან [97].

მრავალთათვის გამღიზიანებლის სახით გაგებული „ლტოლვა“ არასაკმარისი აღნიშვნაა იმ ცვლილებათა მთლიანობისა, რაც მოტივაციის შემთხვევაში გვაქვს. მაგალ., კ. ტ. მორგანი ლაპარაკობს „მოტივის ცენტრალურ მდგომარეობაზე“, რაც ფიზიოლოგიურ გარკვეულობადაა ჩათვლილი, ხოლო კ. ს. ლეშლი მიუთითებს სპეციფიკური ნერვული მექანიზმის აქტივობაზე. ამ თვალსაზრისით მოტივი არის აღნიშვნა ფიზიოლოგიური აგზნებითი მდგომარეობის ცვლილებისა; მთლიან მოტივაციის პროცესს განსაზღვრავს ცენტრალურ-ნერვული აგზნებათა ცვლილებები და მათი საფუძვლები.

ამავე ჯგუფში თავსდება ჰომეოსტაზის მდგომარეობაც. კ. ბერნარდის შეხედულებაზე დაყრდნობით — რომ ორგანიზმს აქვს ტენდენცია შინაგანი დონის კონსტანტობის შენარჩუნებისა — ვ. ბ. კენონმა ჩამოაყალიბა ჰომეოსტაზის პრინციპი, რომელიც ეხება ფიზიკური პროცესების წონასწორობის შესატყვის საქმის ვითარებას ფიზიოლოგიურ სფეროში. ჰომეოსტაზი კრებითი ცნებაა ორგანიზმის ყველა იმ მარეგულირებელი მექანიზმისა, რომლებიც განაპირობებენ (შეფარდებით) კონსტანტურ ფიზიოლოგიურ-ქიმიურ პირობებს. თვითონ ვ. ბ. კენონმა გამოიყენა აღნიშნული პრინციპი ორგანული მოთხოვნილებების ფსიქოფიზიკურ ცვლადებზე. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ქცევა შედგება ან იმ მოძრაობებისაგან, რომლებიც ემსახურებიან ხელისშემშელი გამღიზიანებლების აცილებას ან ისეთებისაგან, რომლებიც სასიამოვნო სტიმულებს ახანგრძლივებენ ანდა განაახლებენ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ე. ფრიმენმა მოტივაცია განსაზღვრა, როგორც ორგანიზმის არასაკმარისი წონასწორობის მდგომარეობა, რომელსაც მივყავართ წონასწორობის აღდგენისაკენ. რ. შტანგერმა კი ჰომეოსტაზის პრინციპი ჩათვალა პიროვნების თეორიის უნიფიცირებად ცნებად, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოტივაციის გაგებისათვის. ავტორისათვის მოტივაცია არ შეიძლება იყოს დამახასიათებელი მხოლოდ თანაშობილი მოთხოვნილებებისა და ლტოლვების გარკვეული ჯგუფებისათვის, ვინაიდან ის მთელი ორგანიზმის ფუნქციაა. მთელი ორგანიზმის ენერგიები მისწრაფიან იქითკენ, რომ მობილიზებულ იქნან წონასწორობის კვლავ აღდგენისაკენ.

„მისწრაფება წონასწორობისაკენ“ კ. ლევინის მოტივაციის მოძღვრების ცენტრალური მომენტია. „ფსიქიკური ენერგია“ გამოიწვევა მაშინ, როცა დაძაბულობის გაძლიერებით დარღვეულია ე. წ. „სასიცოცხლო სივრცე“ (პიროვნების სისტემა). დაძაბულობის გაძლიერება, თავის მხრივ, დაიყვანება მოთხოვნილების ან კვაზი — მოთხოვნილების აღმოცენებაზე, ე. ი. მოტივზე. დასვენებული მდგომარეობის გადასვლა პროცესში, ისევე როგორც სტაციონალური პროცესების

ცვლილება იმაზე დაიყვანებიან, რომ დარღვეულია წონასწორობა და პროცესი ახალი წონასწორობის მდგომარეობის მიღწევისკენაა წარმართული.

ჰ. ჰელსონის ე. წ. ადაპტაციის დონის თეორია, დაკავშირებულია რა ჰომეოსტაზის პრინციპთან, იცავს პოსტულატს, რომ ყოველი ქცევა ცენტრირებულია ორგანიზმის შეგუებისა და წონასწორობის დონეების გარშემო. შეგუების დონე განმსაზღვრელია ქცევის ბუნებისა. ის გამღიზიანებლები, რომლებიც იმყოფებიან შეგუების დონის მაღლა, იძლევიან სპეციფიკურ რეაქციას; ისინი, რომლებიც ახლო დგანან შეგუების დონესთან, იძლევიან ინდიფერენტულ რეაქციას, ხოლო შეგუების დონის ქვემოთ მდგომი გამღიზიანებლები განაპირობებენ რეაქციის საპირისპირო ტიპს. ინდიფერენტულ ვითარებასთან ორგანიზმის გარკვეულ „მდგომარეობათა" და „განწყობილებათა" არაშესატყვისობა არის ის, რაც დასაბამს აძლევს სულიერ პროცესებს საერთოდ და მოტივაციის პროცესებს განსაკუთრებით.

დ. მაკკლელანდმა ჰელსონის ადაპტაცია თეორიის გათვალისწინებით მოგვცა აფექტურ აგზნებათა მოტივაციის მოდელი [107]. ამ კონცეფციის ძირითადი იდეა შემდეგში მდგომარეობს: გარკვეული გამღიზიანებლები ან სიტუაციები, რომლებიც მოიცავენ განსვლას მოლოდინსა (შეგუების დონესა) და აღქმას შორის, არიან წყარო პირველადი (დაუსწავლელი) პოზიტიური ან ნეგატიური აფექტებისა. ეს იდეა ემყარება დაშვებას, რომ გარკვეული სენსორული თუ პერცეპტული პროცესების წყალობით (მაგალ., სასიამოვნო ან უსიამოვნო გემო, მუსიკა და ა. შ.) გამოიწვევა აფექტები; პოზიტიურ აფექტადაა ჩათვლილი ის შედეგი, რომელიც მიიღება მცირე განსვლის დროს ორგანიზმის შეგუების დონესა და სენსორულ თუ პერცეპტულ პროცესებს შორის, ხოლო ნეგატიური აფექტი შედეგია დიდი განსვლისა. ამდენად მაკკლელანდისათვის „მოტივი არის რედინტეგრაცია".

ფიზიოლოგიური ნაკლოვანების მდგომარეობანი (შიმშილი, წყურვილი) მოტივად იქცევიან იმ ფაქტის წყალობით, რომ ისინი იწვევენ სიამოვნება — უსიამოვნების მდგომარეობებს და რომ ეს მდგომარეობები უკავშირდებიან გარკვეულ ე. წ. „გასაღებ გამღიზიანებლებს". სიამოვნებისა და უსიამოვნების აფექტური აგზნებები, მაშასადამე, საფუძველი და თანაშობილი წინაპირობაა ყველა მოტივაციური პროცესისა.

3. მოტივაცია აქტივობის უწყვეტობის აბსტრაქციაა

ზემოთ აღინიშნა, რომ ერთ-ერთი თვალსაზრისი ორგანიზმს განიხილავს თავიდანვე უმოძრაოდ, რომელიც შემდგომ მოდის აქტივობა-მოძრაობაში სპეციალური ძალების შემწეობით, რასაც უწოდებენ: მოტივს, მოთხოვნილებას და სხვ. ამ შეხედულებას დაუპირისპირდა სხვა გაგება: ადამიანი თავიდანვე აქტიურია, მისი სიცოცხლე ხომ გარკვეული დონის აქტივობაა. მაგრამ მაინც მასში აგზნების დონის ხანგრძლივი ცვლილებები განპირობებულია სხვადასხვა დეტერმინანტით. ამდენად მოტივაცია აქ წარმოადგენს არა საფუძველს (გამომწვევს), არამედ აქტივობის უწყვეტობის ერთ-ერთ ასპექტს მხოლოდ. მოტივაციის პრობლემა უკავშირდება იმ პირობებს, რომლებიც ცვლიან უკვე აღძრული ქცევის ინტენსივობას, რომელობას, მიმართულებას. ამ შემთხვევაში განასხვავებენ აქტივობის სპეციალურ და არასპეციალურ ფორმებს. ამიტომაც ზოგი მოტივაციის ცნებას ფსიქოლოგისათვის ზედმეტადაც კი თვლის და მას ცვლის ტერმინებით: „აქტივაცია", „აქტივობის ხარისხი".

მაშ, მოტივაცია არის რეგულაცია უკვე არსებული აქტივობისა და არა მისი პირველი წყარო. ამდენად მოტივებს, მოთხოვნილებებს, ლტოლვებს აკისრიათ არა აქტივობის გამომწვევი, არამედ აქტივობის წამმართველი ფუნქცია.

4. მოტივაცია მიმართულების დეტერმინანტია

ზოგი მოტივაციას თვლის ქცევის (განცდის) მიმართულებად. ჯერ კიდევ ვ. შტერნი თვლიდა „მისწრაფებას" (რაც მასთან მოტივაციური ცვლილების გვაროვნულ ცნებადაა მოაზრებული) „შესაძლო მოქმედებაზე მიმართულ განცდად". მისწრაფების ცნობიერებისათვის დამახასიათებელია მომავლისაკენ სვლა.

მოტივაციის პროცესის ძირითად განმსაზღვრელად ბ. პეტერმანი აცხადებს „მიმართულების საწყის ფაქტს". ისაა ძირითადი განმსაზღვრელი არა მარტო ორგანიზმის ვიტალური დონის ლტოლვითი მართვისა, არამედ გადამწყვეტია მაღალი სფეროსათვისაც — მთელი ნებელობისათვის, ყველა მოქმედებისა და მოღვაწეობისათვის [III]. იმავე თვალსაზრისს იცავს ფ. ლერშიც: ყოველ იმპულსურ განცდას მოთხოვნილების გვერდით აქვს მიმართულება, რომელიც მოედინება აწმყოდან მომავლისაკენ.

აქ მოტივაციის პროცესი აღინიშნება როგორც მომავლისაკენ მიმართულობა, როგორც შინაგანი წინამსწრები მოვლენა მომავალში (ანტიციპაცია). ქცევის მიმართულობაა ის, რაც გვაფიქრებინებს იმას,

რომ ის მოტივირებულია. აქაც გამოთქმულია აზრი, რომ ფენომენი — „მომავლისაკენ მიმართულობა“ საერთოდ ზედმეტს ხდის მოტივაციის ცნებას. ხოლო მიზან-მიმართულობა აუცილებლობით არ ნიშნავს მომავლისკენ მიმართულობას, ის შეიძლება იყოს მომართული საგნობრივ სინამდვილეზე, ობიექტებზე. ეს გაგება ამერიკულ ფსიქოლოგიაში გამოიკვეთა ვ. მაკდაუგოლთან, რომლისთვისაც „ფსიქიკური აქტივობა მუდამ და ყველგან ტელეოლოგიურია, წინამზერი მისწრაფებაა მიზანზე თუ ობიექტზე“.

5. მოტივაცია გაგებითი კავშირების ერთობლიობაა

აქამდე გადმოცემულ კონცეფციებში ქცევასა და მოტივაციას შორის იგულისხმება კაუზალური დამოკიდებულება. ვ. დილთაის თვალსაზრისის მიხედვით, კაუზალობის კატეგორიის გამოყენებას სულის სფეროში მივყავართ „სიცოცხლის შეკვეცისაკენ“. მხოლოდ განცდილი სტრუქტურული კავშირი გვაძლევს სხვადასხვა სულიერი პროცესის დაკავშირებისა და ქცევის წინა ისტორიის ნამდვილ სურათს. „მოქმედება“ და „მოტივი“ ფსიქოლოგიურად ადეკვატურად გაიაზრება მხოლოდ როგორც „გაგებითი კავშირი“, რომელიც იქმნება გადასვლისას მდგომარეობიდან მდგომარეობაში, შთაბეჭდილებიდან — გრძნობაში, მოგონებიდან — ემოციებში. „რამდენადაც ჩვენ განვიცდით ამ გადასვლებს, ამ ზეგავლენას, რამდენადაც ჩვენ ვცნობთ აღნიშნულ სტრუქტურულ კავშირს, რომელიც მოიცავს ყველა ვნებას, ტკივილს და ადამიანის ცხოვრების ბედს, ამდენად ჩვენ ვგებულობთ ადამიანის ცხოვრებას, ისტორიას, ადამიანურის ყველა სიღრმესა და უფსკრულს“ [88].

გამოცდილებაში ჩვენ გვეძლევა დამოკიდებულება „საფუძველსა“ და „შედეგს“ შორის, რაც უპირისპირდება კაუზალობის კატეგორიას. მოტივები, ლტოლვები, მისწრაფებები წარმოადგენენ „გაგებითი კავშირების“ წევრებს. მართალია, თვითონ ვ. დილთაის ამ დებულებიდან არ გამოუყვანია მოტივაციის ცნების განმარტება, მაგრამ სხვებმა, მაგალ., ფ. ლერშმა დაუპირისპირა „მოტივაციური კავშირის“ ცნება, როგორც ფსიქოლოგიის ფუძემდებლური ცნება, „კაუზალური კავშირის“ ცნებას.

ა. ფენდერმა და ჰ. გრულემ მკაცრად გათიშეს ერთმანეთისაგან მოტივაციური და კაუზალური კავშირები. კაუზალურია ასოციაციური დაკავშირების პროცესები, ხოლო ქცევის მისამართით კითხვის დასმა — „რატომ?“ მუდამაა კითხვა ქცევის საზრისის შესახებ. მაგრამ ვინაიდან საზრისის ცნება მრავალი მნიშვნელობის შემცველია, ჰ. გრულე ლაპარაკობს უპირატესად „საფუძვლისა“ და „შედეგის“

კავშირზე. რადგანაც მოტივი (როგორც მამოძრავებელი საფუძველი, რომლისგანაც მოქმედება გამომდინარეობს) ადამიანის საფუძველში მყოფია, მოტივების კვლევა ნიშნავს ადამიანის არსობრივი თვისებების ძიებას. მაშასადამე, მოტივის კვლევა ეს იგივე ადამიანის რაობის კვლევაა.

6. მოტივი არჩევანის მიღების საფუძველია

მოტივაციის ცნება ფსიქოლოგიაში მოიხმარებოდა არჩევანის (გადაწყვეტილების) მოსამზადებელ ფაზასთან დაკავშირებით. დღესაც ტერმინი — „მოტივი" გერმანულ ენაში გამოყენებულია, როგორც არჩევანის ცნობიერი „მამოძრავებელი საფუძველი". მოტივაციის ცნება შემთხვევისდა მიხედვით გაგებულია ძალზე ფართო მნიშვნელობით, ხოლო მოტივის ცნება — ვიწრო მნიშვნელობით, როგორც „ნებისყოფის მამოძრავებელი საფუძველი". ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ფართო მნიშვნელობის ცნების — მოტივაციის — შინაარსის აღსანიშნავად გამოიყენება სხვა ტერმინები: ნებელობა, მისწრაფება, მოთხოვნილება.

ა. მიშოტის კლასიკური ფორმულის მიხედვით, „მოტივი არჩევანის საფუძველია". მოტივი ისაა, რაც მოფიქრების, მოაზრების დროს ქცევის შესაძლებლობებს შორის ერთ-ერთის სასარგებლოდ გადაწყვეტილებას აპირობებს.

ა. ფენდერის მიხედვით, „მოტივები არასდროს არ ახდენენ ზემოქმედებას თავისუფალ ქცევაზე, რომელსაც მუდამ მხოლოდ თავისუფალი მე ახორციელებს. თავისუფლად მოქმედ მე-ს მხოლოდ საფუძვლებს თავაზობენ მოტივები, რომლებზედაც დაყრდნობა შეუძლია მას. ამ საფუძვლებს თავის თავიდან არ შეუძლიათ თავისუფალი ქცევის წარმოქმნა. მოტივები წარმოადგენენ თავისუფალი მოქმედების განმსაზღვრელს, ხოლო მამოძრავებელია რეალური, ზემოქმედი სულიერი ფაქტორები" [112].

*

* *

ასეთია მოკლედ ძირითად ხაზებში საქმის ის ვითარება, რაც დაკავშირებულია მოტივისა და მოტივაციის ცნებების გამოყენებასთან ფსიქოლოგიაში შინაარსეული და ფუნქციური ასპექტების გათვალისწინებით. ჰ. თომე, ითვალისწინებს რა საერთოდ ფსიქოლოგიაში არსებულ მდგომარეობას, იძლევა ამ ცნებათა შინაარსის დახასიათებას. ავტორის მიხედვით, მოტივი არის აბსტრაქცია ორგანიზმის (პიროვნე-

ბის) აქტივობის უწყვეტელობის სფეროდან. ისაა უშუალოდ დაკვირ-ვებადი ან გამოყვანილი (დასკვნილი) მოვლენა, მაგრამ არა ჰიპოთეზური დისპოზიცია. სხვა ასპექტებისაგან განსხვავებით, მოტივაციები ყოველთვის წარმოადგენენ აქტივობის უწყვეტობის განსაზღვრულ ფაზებს, რომლებიც შეიმჩნევა აქტივობის ინტენსივობის, მიმართულების და ფორმის მოლეკულარულიან მოლარული ცვლილების ზეგავლენის მხრივ [113, 42].

თუკი მოტივაციის ცნებაში შევიტანთ გაგებით კავშირებსაც, მაშინ ეს დახასიათება ერთგვარად შეიცვლება: მოტივი ანუ მოტივაციის პროცესები აბსტრაქციაა ადამიანური აქტივობის აზრითი კავშირისაგან, რომელიც დაინახება მის (აზრით) კავშირში ამ აქტივობის ინტენსივობის, მიმართულებისა და ფორმის ცვლილებასთან [113, 43].

მოტივისა და მოტივაციის ბუნების ცხადყოფას ემსახურება აგრეთვე მოტივის ფ ო რ მ ე ბ ზ ე დ ა ს ა ხ ე ე ბ ზ ე მითითება, რომლებზედაც განსაკუთრებით ჩერდება ჰ. თომე.

მოტივის (მოტივაციის) ფ ო რ მ ე ბ ზ ე მითითება ეხება მათ „ფენომენალურ განსხვავებულობას", რომ, ერთი მხრივ, განცდის კუთხით დანახული, დიდი განსხვავებაა იმ ფსიქიკურ პროცესებს შორის, რომლებიც ქცევას განაპირობებენ და აღნიშნულია ტერმინებით: ლტოლვა, აფექტი, განწყობილება, გრძნობა, წყურვილი, სურვილი, მიდრეკილება, ინტერესი, მოთხოვნილება, ვნება, ნებისყოფა და სხვ. მეორე მხრივ, ერთგვარი სხვაობაა აღნიშნული ფაქტორებით აღძრულ და წარმართულ ქცევების მიმდინარეობებში მათი განხორციელებისა და განცდის თვალსაზრისით.

მოტივაციის ფორმები ეხება აქტივობის უწყვეტობაში გამოყოფილ ფაზებს, რომლებიც ხშირად თავს იჩენს ფორმალურ სტრუქტურებში. „მოტივაციის სტრუქტურებში" (ეს იგივე მოტივთა ფორმების „წყობაა") იგულისხმება ვრცელი ერთიანობები, რომლებშიც ცალკეული „გრძნობა", „სურვილი", „მისწრაფება" და ა. შ. განიხილება სხვა მოტივაციურ ან კოგნიტურ სისტემებთან ერთობლიობაში. ეს სტრუქტურები განსაზღვრული ქრონიკული ხანგრძლივობისაა, მაგ., ურთიერთობა არასაიმედობის გრძნობასა და კომპენსაციის მექანიზმებს შორის ან უწყვეტი ფიქსაცია მეტად თუ ნაკლებ სპეციალურ ფრუსტრაციის შედეგზე. ამ მოტივაციის სტრუქტურებს მიეკუთვნება კონსტანტური იერარქიული მიმართულებები მოტივთა სხვადასხვა სახეებს შორის. აქვე თავსდება ე. წ. „მოტივაციის მდგომარეობანი" (ჰ. თომე), რაც წარმოადგენენ ნაკლებ ქრონიკულ შემთხვევებსა და მდგომარეობებს, მაგ., შედარებით ძლიერი აქტუალური ან დროითი დამოკიდებულება სხვადასხვა მოტივაციურ და კოგნიტურ სტრუქტურებს შორის, რაცაა წყვეტილი (აკუტური) კონფლიქტი და ფრუსტრაცია.

მ ო ტ ი ვ ა ც ი ი ს ფ ო რ მ ე ბ ზ ე მსჯელობენ სხვადასხვა განზომილებით.

გ ე ნ ე ზ ი ს ი ს (აღმოცენების პირობების) მიხედვით განასხვავებენ პირველად და მეორად ლტოლვებს (მოტივებს) (ჰალი, ტოლმენი, ბრაუნი). ზოგი პირველად მოტივს უწოდებს ლტოლვას, ხოლო მეორადს — საკუთრივ მოტივს (როგორიცაა განწყობა, ჩვეულება და ა. შ.). პირველადი ლტოლვის ნიშნად ცხადდება მისი ფიზიოლოგიურობა და თანშობილება.

ბრაუნი და ჰალი „შეძენილი" ლტოლვების ნაცვლად ლაპარაკობენ სწავლის გზით მიღებულ უნარებზე. ხოლო მაკკლელანდი არასაჭიროდ თვლის მოტივთა (ლტოლვათა) და დაყოფას პირველად და მეორადად, ვინაიდან, მისი აზრით, ყველა მოტივი წარმოდგება „პირველადი აფექტებიდან".

მოტივთა გენეზისს უკავშირდება კ. ლევინის თვალსაზრისი „ნამდვილი" და „კვაზი-მოთხოვნილების" გათიშვის თაობაზე. ნამდვილი მოთხოვნილება ფიზიოლოგიურადაა განპირობებული ან პერსონის სიღრმეშია შეპრილი. ხოლო კვაზი-მოთხოვნილება ეს იგივე „განზრახვის აქტია". ავტორი აჩვენებს, რომ მოტივაციისა და ქცევის გაჩენის ფორმები მაიძულებელ ზეგავლენას არ ახდენენ მათ მიმდინარეობაზე.

ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ი ს შემთხვევაში მხედველობაშია მიღებული მიზნისა და საშუალების მომენტი. ამ მომენტებით განსხვავდება ერთმანეთისაგან მაგალ., დრანგი, ლტოლვა და ნებისყოფა. კ. იასპერსი შემდეგნაირად ახასიათებს დასახელებულ მოტივაციურ გარკვეულობებს: დრანგი ესაა უშინაარსო და მიმართულების არმქონე პროცესი, ლტოლვა — არაცნობიერებად მიზნისაკენ მიმავალი პროცესი, ხოლო ნებისყოფა— ცნობიერად მიზნის წარმომდგენი, საშუალებებისა და შედეგის მცოდნე პროცესი.

მიზნისა და საშუალების ორიენტაციის სპეციალიზაციის მაღალი დონეა იმ მოტივაციურ ქცევებში, რომელთაც ეწოდებათ ინსტინქტური ქცევები. კ. ლორენცმა გათიშა ინსტინქტი და ლტოლვა იმით, რომ ლტოლვა ენერგეტიკულ ფაქტორად მიიჩნია, ხოლო ინსტინქტი — თანშობილი მოძრაობის ფორმად.

ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი ს სხვადასხვა დონე თანმხლებია მოტივაციური პროცესებისა (მაგალ., „ლტოლვა" და „ნებისყოფა"). მაგრამ ისე არაა, რომ ლტოლვით აღნიშნული მოტივთა ფორმები ყოველთვის არაცნობიერი ან ნაკლებ ცნობიერია, ხოლო მისწრაფების მაღალი ფორმები — ინტენსიური ცნობიერებისა. ქცევის მამოძრავებელი საფუძვლის ცნობიერების სხვადასხვა ხარისხი და ფორმები დამოკიდებულია მთლიანი სიტუაციის ცვლადზე.

ექ ს ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ა (სიფართოვე, გავრცელებულობა) საპირისპიროდ მოტივაციური აქტივობის ინტენსივობისა უკავშირდება ემოციურ მომენტს. ასევე მოთხოვნილების მატებადი დაძაბულობის შემთხვევაში ჩანს მოტივაციის პროცესის განვრცობა ქცევაში და განცდაში. მაგ., უკიდურესი შიმშილის მდგომარეობაში მოტივაციური აქტივობა სხვა რომელობებზეც ვრცელდება.

ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ა მოტივაციური აქტივობისა დამოკიდებულია თვითონ ქცევის აღმძღვრელი მოვლენების ბუნებრივ მახასიათებელზე. მაგ., დრანგი, აფექტი, ლტოლვა, ნებისყოფა ჩვეულებრივ ინტენსიური მდგომარეობებია, ხოლო სურვილი, ინტერესი — ნაკლებ ინტენსიური.

მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს ხასიათი მოტივაციური ქცევისა აღინიშნება ტერმინებით: რ ი ტ მ ი, ტ ა ქ ტ ი, ტ ე მ პ ი და ს ი ზ უ ს ტ ე. რ ი ტ მ ი ეხება ვიტალური ლტოლვების (ვიტალური მოთხოვნილების) დროში მიმდინარეობას, პერიოდულობას (ძილი-ღვიძილის რეგულაცია, აქტივობის დღიური მონაცვლეობა). ხოლო აღნიშნულის საპირისპიროდ, მაგალ., ნებელობა თავის მიზნებს მისდევს ყოველთვის ერთნაირი ინტენსივობით და სიმყარით. ნებელობის ეს სიმყარე არაა შედეგი ლტოლვის უწყვეტობისა, არამედ იგი შედეგია ფაქტის მიმყოლი ბიძგისნაირი და მუდამ ერთნაირი სიზუსტით მოქმედებაში მომყვანი „ძალის“ ფუნქციობისა. რიტმისა და ტაქტისაგან დამოუკიდებელია ქცევისა და მის საფუძველში მდებარე მოტივაციის ფორმების მიმდინარეობის ტ ე მ პ ი. მაგალ., პიროვნების კვლევის სფეროში განასხვავებენ, ერთი მხრივ, „სიცოცხლით სავსე“, „დინამიკურ“, „მოძრავ“, მეორე მხრივ, „პასიურ“, „მოდუნებულ“, „პარალიზებულ“ ტიპებს. აქ მხედველობაშია მისაღები ქცევის მიმდინარეობის ფორმა და არა ინტენსივობათა სხვაობა. მოტივაციის პროცესის მიმდინარეობის ფორმა მერყეობს ე. წ. „დ ი ფ უ ზ ო ბ ა ს ა“ და „ს ი ზ უ ს ტ ე ს“ შორის. კონფლიქტის, ფრუსტრაციის, გადაუდებელი მოთხოვნის სიტუაციებში, ე. ი. დაძაბულ სისტემებში ადგილი აქვს „დიფუზურ მართვას“.

ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ო ბ ა (დ ა ს ი ღ რ მ ე). პიროვნების გულთან მიმართებაში მოტივაციური პროცესები შეიძლება განცდის მიხედვით დახასიათდნენ, როგორც „ზედაპირული“ ან „ღრმა“, „პერიფერიული“ ან „ცენტრალური“. კრიტერიუმები სიღრმისა და ცენტრალურობისა იდენტურია. პიროვნების გულს სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავენ: „გულისმიერი ფენა“ (ფ. კრიუგერი), „ძირითადი მისწრაფება“ (ა. ფენდერი), „ძირითადი პოზიცია“ (ს. შტრასერი“), „თვითონ“ (კ. როჯერსი), მაგრამ მათში ყველგან პიროვნების ცენტრალური ფენა იგულისხმება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ლაპარაკობენ პიროვნების „ძირეულ ანუ ცენტრალურ კონფლიქტსა“ და მის საპირისპიროდ „პერიფერიულ ან მეორად კონფლიქტზე“. ამ სფეროშივე შემოდის

სულიერი მოქმედების ე. წ. „ნამდვილობა“ და „არანამდვილობა“ იმის გათვალისწინებით, თუ როგორ დამოკიდებულებაშია სულიერი მოქმედება პიროვნების „თვითონთან“, მის „გულისმიერ ფენასთან“.

მ ო ტ ი ვ თ ა ს ა ხ ე ე ბ ი ს (კ ლ ა ს ე ბ ი ს) შესახებ ფსიქოლოგიაში მაშინ ლაპარაკობენ, როცა უნდათ მიუთითონ ადამიანის ქცევების განმსაზღვრელ მისწრაფებათა (მოთხოვნილებათა) უკანასკნელ და ფუძემდებლურ მიმართულებაზე.

ჯ. ვ. ატკინსონმა ტერმინები „მოტივი“ და „მოტივაცია“ იმით გათიშა, რომ „მოტივაციით“ აღნიშნა აქტუალური, მეტად თუ ნაკლებად სპეციფიკური საქმის ვითარება, ხოლო „მოტივით“ — უფრო ზოგადი და სტაბილური დისპოზიციები [85]. მოტივთა სახეების (კლასების) პრობლემა ეხება ადამიანში წამყვანი, სტაბილური მოტივ-დისპოზიციების რაოდენობის გარკვევას. ფსიქოლოგიაში ცნობილია ამ საკითხის გადაწყვეტის განსხვავებული თვალსაზრისები, რომლებსაც აღნიშნავენ: „მონოთემატურ“, „ათემატურ“ და „პოლითემატურ“ კონცეფციებად.

„მ ო ნ ო თ ე მ ა ტ უ რ ი“ თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანში არსებული ქცევის აღმძვრელი დაიყვანება ერთ გარკვეულობაზე. მაგალ., ეგოიზმის, ჰედონიზმის (რომლის ერთ ვარიანტად ფსიქოანალიზია ჩათვლილი), ფ. ნიცშესა და ა. ადლერის მოძღვრებებში „ძლიერებისაკენ ნების“ შესახებ ადამიანის მთელი ქცევა აიხსნება ერთი პრინციპით (მოტივით), ამ ერთზე დაიყვანება აღმძღვრელების რომელობები.

„ა თ ე მ ა ტ უ რ ი“ თვალსაზრისი ამოდის დაშვებიდან, რომ მოქმედების აღმძვრელის დაყვანა რომელიმე ერთზე ეწინააღმდეგება პრინციპს, რომლის მიხედვით, ადამიანური ბუნება სამყაროსადმი ღიაობაა (ა. გელენი). თვითდამკვიდრების ტენდენცია არის, ა. გელენის მიხედვით, მამოძრავებელი ყოველნაირი ქცევისა. თვითდამკვიდრებას კი მრავალი ასპექტი აქვს [93].

ამავე შეხედულებას იცავს გ. ვ. ოლპორტის „მოტივთა ფუნქციონალური ავტონომიის პრინციპი“ [84].

თუკი მონოთემატური თვალსაზრისი ცდილობს მოტივთა სახეები დაიყვანოს მხოლოდ ერთ თემაზე, ხოლო ათემატური თვალსაზრისი მიუთითებს აღმძვრელთა ფორმირების (მიღების) პრინციპზე, პ ო ლ ი თ ე მ ა ტ უ რ ი“ ორიენტაცია იძლევა მოტივთა ერთმანეთზე დაუყვანად რომელობებს. მაგ., ჟ. ნუტენი გვთავაზობს ე. წ. „მოთხოვნილებათა რელაციურ თეორიას“. სადაც მიმართება „ორგანიზმი — სამყარო“ მოთხოვნილებათა ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციისა და კლასიფიკაციის ცენტრში დგას. ავტორის თვალსაზრისით, ვისცეროგენული მოთხოვნილებები ვიტალური კონტაქტისა და ვიტალური გაშლა-განვი-

თარების მოთხოვნილებებია. აღნიშნულისათვს დამახასიათებელია მეტად თუ ნაკლებად განცდადი ფუნქციონალური კეთილდღეობის მდგომარეობის მიღწევა და ამით ბიოლოგიური ცხოვრების შენარჩუნება და გაშლა; მეორე მხრივ, ტენდენცია ახლო კონტაქტისა გარემომცველ ბიოლოგიურ სფეროსთან და მასთან გაცვლა-გამოცვლა.

პიროვნების დამოკიდებულება სოციალურ სამყაროსთან გამოხატულია სოციალურ სფეროში პიროვნების გაშლისა და სოციალური კონტაქტების მოთხოვნილებებში. ლტოლვა თვითდამკვიდრებისა და თვითგანვითარებისაკენ არის პერსონის არსობრივი მოთხოვნილება მის სავსეობაში და მთლიანობაში. ეს მოთხოვნილება ვლინდება მრავალ ფორმაში.

მესამე მთავარი ჯგუფი მოთხოვნილებებისა მიმართულია „ეგზისტენციალურ" თვითდამკვიდრებაზე და თავის ინტეგრაციაზე. ამ „ეგზისტენციალურ" თვითდამკვიდრებას მიეკუთვნება მისწრაფება „ეგზისტენციალური განათებისაკენ", საკუთარი პიროვნების რელიგიური ინტეგრაციისაკენ და კულტურაში ნამდვილი მონაწილეობისაკენ. მოთხოვნილება კონტაქტსა და შეერთებისა ვლინდება გონით და ტრანსცენდენტულ დონეზე მოთხოვნაში, რომ თავის თავს ცნობდეს და გრძნობდეს ყოფიერების აბსოლუტური წყობის ერთიანობაში.

ასეთია ჟ. ნიუტენის მიხედვით, ის ძირითადი მომენტები, რომლის გარშემოც ჯგუფდება ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები, რომლებიც განპირობებულია ადამიანის პერსონული ყოფიერების სამი ფენით: ბიოლოგიური ყოფიერებით, ინდივიდუუმის ყოფიერებით საკუთარ სულიერ სამყაროში და გონითი ეგზისტენციით [110].

მსგავს სურათს იძლევა ფ. ლერში ადამიანის ფენობრივი აგებულების თაობაზე. ადამიანში სამი ფენაა: „ორგანული ფენა", „ინდივიდუალური მე გარემოში" და „აზრითი ღირებულების" სფერო. აღნიშნულის მიხედვით გვაქვს „ცოცხალი ყოფიერების" „ინდივიდუალური თვითყოფიერების" და „საკუთარი თავის — მიღება-ყოფიერების" აღმძვრელი განცდები (მოთხოვნილებები ანუ მოტივები) [100].

ზემოთ ჩვენ გადმოვეცით მოტივისა და მოტივაციის ცნებების შინაარსები, რომლებიც მოცემულია ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში. მართალია, აქ მსჯელობაა მოტივის (მოტივაციის) ფორმებზე და სახეებზე, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი საკითხი მოტივის (მოტივაციის) ფსიქოლოგიური ბუნების თაობაზე — არსებობის რა ფორმა აქვს მას და ამ არსებობის ფორმას რა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებასთან — მაინც ერთმნიშვნელოვნად არაა გააზრებული. მოტივი (მოტივაცია) არსებობის წესისა თუ ფორმის მხრივ ხან ფიზიოლოგიურ ხან კი ფსიქიკურ სინამდვილის ფაქტადაა ჩათვლილი. ასევე, მოტივი (მოტივაცია) ხან ცნობიერ (განცდად მოვლენადაა წარმოდგენილი, ხან კი

არაცნობიერ ფსიქიკად. ერთი რამ კი ნათლად შეიმჩნევა: ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში მოტივისა და მოტივაციის ცნებები უპირველესად ხასიათდება ფუნქციონალური ასპექტით — რომ მოტივი (მოტივაცია) არის ქცევის ან აღმძვრელი, ან მიმართულების მიმცემი, ან ორივე ერთად — აღმძვრელიცა და მიმართულების განმსაზღვრელიც. მოტივაცია (მოტივი) წარმოადგენს იმ ცვლადს, რაზედაცაა დამოკიდებული საერთოდ ქცევის ეფექტურობა.

1. არც საბჭოთა ფსიქოლოგიაშია სრული თანხმობა მოტივის (მოტივაციის) არსობრივი დახასიათების მხრივ. სხვადასხვა ასპექტით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ მოტივის (მოტივაციის) ცნების ფართო და ვიწრო მნიშვნელობებზე საერთოდ და კონკრეტულად მოთხოვნილებასთან დაკავშირებითაც. ვინაიდან ჩვენ გვაინტერესებს ამჟამად მოტივის ცნებასთან მოთხოვნილების მიმართების საკითხი, ვფიქრობთ საფუძველს მოკლებული არაა ვიმსჯელოთ მოტივის მითითებულ ორ მნიშვნელობაზე, როცა ქცევის აღმძვრელ და წამმართველ ფაქტორად მოთხოვნილების ფაქტია მიჩნეული.

ფართო მნიშვნელობით მოტივაცია არის საერთო ქცევის აღმძვრელი და წამმართველი; ვიწრო მნიშვნელობით კი მოტივაცია მხოლოდ ნებისმიერ ქცევასთანაა დაკავშირებული. უკანასკნელ შემთხვევაში მოტივაცია წარმოადგენს სპეციფიკურ-ადამიანური ქცევის — ნებისმიერი ქცევის — განხორციელების აუცილებელ მომენტს. ნებისმიერ ქცევაში გადაწყვეტილების მომზადებას, მიზნის მიღებას წინ უსწრებს რთული პროცესი, რომელშიც განასხვავებენ ორ საფეხურს: არჩევანსა და მოტივაციას. მოტივაცია არის ის პროცესი, რომლის საბოლოო შედეგი მოტივის განსაზღვრაა, ხოლო მოტივი ის საფუძველია, რომელიც ნებისმიერ ქცევას წარმართავს და ახორციელებს.

მოტივაციის ფართო და ვიწრო მნიშვნელობათა გათვალისწინება რამდენადმე ცხადს ხდის მოთხოვნილების ფაქტთან მათ დამოკიდებულებას და უფრო გამოკვეთილად სვამს იმ საკითხებს, რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტა მოითხოვს მოთხოვნილებასთან მათი მიმართების ჩვენებას.

ფართო მნიშვნელობით მოტივაციის ცნებასთან მიმართების ასპექტში მოთხოვნილება, როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი მოტივაციური ფაქტორია. მოთხოვნილების მდგომარეობა აქტივობის წყაროა, განსაზღვრავს ქცევის აქტივობის დონეს და სიტუაციის გათვალისწინების კვალობაზე — ქცევის მიმართულებასაც.

შედარებით რთული ვითარებაა მოტივაციის ვიწრო მნიშვნელობასთან მოთხოვნილების დამოკიდებულების გარკვევის საკითხში. სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ ფსიქოლოგიაში სადავოა ნებისმიერ

ქცევაში, მოტივაციის პროცესში მოთხოვნილების მონაწილეობის ხასიათი. იმის მიხედვით, თუ როგორ გაიგება ნებისმიერი ქცევის წყაროს, მისი მამოძრავებლის ბუნება — იგი ისევე მოთხოვნილებიდან მომდინარეა, თუ მისგან განსხვავებული ენერგიის წყაროდან — საკუთრივ ნებისყოფიდან — მოთხოვნილების მნიშვნელობაცა და ფუნქციაც განსხვავებულად ფასდება ხოლმე.

მოტივის ფართო მნიშვნელობით გაგებას საბჭოთა ფსიქოლოგიაში მრავალი მომხრე ჰყავს: 1. მ ო ტ ი ვ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ა — ამ თვალსაზრისს მრავალი ფსიქოლოგი იცავს. მაგ., ბ. მ. ტეპლოვს მიაჩნია, რომ „მოტივია ის, რაც ადამიანს სამოქმედოდ აღძრავს"... ხოლო „მოქმედების საწყის აღმძვრელს მოთხოვნილება წარმოადგენს" [73, 181]. კ. ნ. კორნილოვი მიუთითებს: „ქცევის მოტივში ჩვენ ვგულისხმობთ იმ მამოძრავებელ მიზეზებს, რომელნიც ჩვენ სამოქმედოდ აღგვძრავს. მოთხოვნილებები წარმოადგენენ ადამიანის ქცევის გამოსავალ მოტივებს" [69, 322]. ვ. მერლინი თვლის, რომ „ყოველგვარი მოტივი მოთხოვნილებაა" [59,11]. ჰ. შევარიოვიც აღნიშნავს, რომ მოტივი სურვილის ფორმებში არსებული მოთხოვნილებაა [82,181].

მოტივის გაიგივება მოთხოვნილებასთან, რა თქმა უნდა, მოტივის ფსიქოლოგიურ შინაარსზე კი მიუთითებს (მოტივი თავსდება ფსიქოლოგიური შინაარსის ფარგლებში), მაგრამ ამით ჯერ კიდევ ვერ ხდება ქცევათა რომელობების გათიშვა ერთმანეთისაგან და ამდენად იმპულსური ქცევის დონეზე ქცევის უშუალო აღმძვრელად (მიზეზად) ანუ მოტივად მოთხოვნილების გამოცხადების მისაღები აზრი, შეიძლება, სადავო და მიუღებელიც კი აღმოჩნდეს ნებისმიერი ქცევის მოტივად მოთხოვნილების გამოცხადების შემთხვევაში. არის სერიოზული ცდა დასაბუთდეს, რომ ნებისმიერი ქცევის მოტივი (აღმძვრელი) არ შეიძლება მოთხოვნილება იყოს. აღნიშნულის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

2. მ ო ტ ი ვ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს დ ა მ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ლ ი ს ა გ ა ნ ი ა. ა. ნ. ლეონტიევის მიხედვით, მოტივი აღძრავს პიროვნებას სამოქმედოდ, განსაზღვრავს პიროვნების მოღვაწეობის მიმართულებას. ყოველგვარი მოღვაწეობის წანამძღვარია ესა თუ ის მოთხოვნილება. მაგრამ მოთხოვნილებას თავისთავად არ შეუძლია განსაზღვროს მოღვაწეობის კონკრეტული მიმართულება. მოთხოვნილება თავის გარკვეულობას იძენს მხოლოდ მოღვაწეობის საგანში. რამდენადაც მოთხოვნილება ნახულობს საგანში თავის გარკვეულობას („საგნობრივდება" მასში), მოცემული საგანი ხდება მოღვაწეობის მოტივი, ის, რაც აღძრავს მას [56, 303]. აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ ტერმინი „მოტივი" მოიხმარება არა მოთხოვნილების განცდის აღსანიშნავად, არამედ იმ ობიექტურის აღსანიშნავად, რაშიაც ეს მოთხოვნილება კონკრეტდება მოცემულ პირობებში და რაზედაც მი-

იმართება მოღვაწეობა, როგორც მის აღმძვრელზე [56, 292]. „მოღვაწეობის საგანი არის მოღვაწეობის ნამდვილი მოტივი. მთავარია, რომ მის უკან ყოველთვის დგას მოთხოვნილება, ის ყოველთვის პასუხობს ამა თუ იმ მოთხოვნილებას“. „მოტივი არის ის საგანი (ნივთიერი ან იდეალური), რომელიც აღძრავს და წარმართავს თავის თავზე მოღვაწეობას“ [57, 102].

ა. ლეონტიევის აღნიშნული თვალსაზრისი (რაც არსებითად გაზიარებაა ჟ. ნიუტენის შეხედულებისა) წარმოადგენს მოტივის პირველი გაგების დაზუსტებას, როცა მოტივი გათანაბრებული იყო ს ა ე რ თ ო დ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს თ ა ნ. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ის, რომ თუ მოტივი ქცევის მიმართულების წამმართველია, ასეთად ვერ ჩაითვლება მხოლოდ ე. წ. „მოთხოვნილებითი მდგომარეობა“, ისეთი ფსიქიკური ვითარება, რასაც საგნობრიობისაკენ კონკრეტული მისწრაფება არ გააჩნია. მოთხოვნილების გარკვევა და დაკონკრეტება ხდება სწორედ მოთხოვნილების საგნის გამოკვეთით. ამდენად ქცევის აღმძვრელია და ამასთან ერთად მისი წამმართველი (ანუ მოტივი) მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა თ ა ვ ი ს ს ა გ ა ნ თ ა ნ ე რ თ ა დ და არა ცალ-ცალკე ან საგანი მოთხოვნილების გარეშე ან მოთხოვნილება (მოთხოვნილებითი მდგომარეობა) საგნის გარეშე. როდესაც ა. ლეონტიევი მსჯელობს მოტივზე, როგორც საგანზე, ეს გაგებული უნდა იქნეს სწორედ მითითებული მნიშვნელობით, სახელდობრ, რომ ქცევის მოტივია მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი, რომელიც აკმაყოფილებს სუბიექტის მოთხოვნილებას. ქცევის საბოლოო მიზანია ის ს ა გ ა ნ ი, რ ო მ ე ლ ი ც მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ს დ ა ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ს და არა ის ობიექტური რამ, რაც მოთხოვნილების მიღმა არსებობს თავისთავად. ამდენად, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს ა. ლეონტიევის მისამართით ის „კრიტიკა“, რომელიც არ ითვალისწინებს საქმის ზემოაღნიშნულ ვითარებას და მოტივს უბრალო საგანთან აიგივებს (მოტივი რომ საგანი იყოს, მაშინ ეს საგანი ყოველთვის რატომ არ იწვევს ქცევასო?). ქცევას იწვევს და წარმართავს არა უბრალოდ ს ა გ ა ნ ი, არამედ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი!

მოტივის ამ გაგებაში ნათლად არ ჩანს ნებისმიერ ქცევასთან მისი დამოკიდებულების ბუნება. იმპულსური ქცევისაგან განსხვავებით, რაში ჩანს ნებისმიერი ქცევის აღმძვრელის ფსიქოლოგიური ხასიათი, მისი სპეციფიკური შინაარსი. ა. ლეონტიევს ერთმანეთისაგან უნდა განესხვავებინა ქცევის ორი სახე — იმპულსური და ნებისმიერი — და ქცევის ამ სახეებთან მოთხოვნილებისა და მისი საგნის დამოკიდებულება უნდა გარკვეულიყო. აქტუალური მოთხოვნილების ვითარებაში მოთხოვნილების საგანი კი აღძრავდა ქცევას და ეს ქცევა იქნებოდა იმპულსური — აღძრული აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყო-

ფილების ბიძგით. მაგრამ ქცევა, რომელიც „აღძრულია“ აქტუალური მოთხოვნილების საგნით კი არა, არამედ იმ მოთხოვნილების საგნით, რომელიც ამჟამად სუბიექტისათვის აქტუალური არაა, სხვა ბუნებისაა, ვიდრე აქტუალური მოთხოვნილების საგნით აღძრული ქცევა, ე. ი. იმპულსური ქცევა. ამ შემთხვევაში ქცევის აღმძვრელია, არა აქტუალური მოთხოვნილების საგანი, არამედ ნებისყოფა, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს საგნით შესაძლო მოთხოვნილება. ამდენად, უნდა განსხვავებულიყო აქტუალური მოთხოვნილება თავისი საგნით და ის მოთხოვნილება თავისი საგნით, რომელიც ამჟამად აქტუალური არაა, მაგრამ მომავალში ასეთად გახდება და ნებისმიერი ქცევა სწორედ მომავალ მოთხოვნილებას უზრუნველყოფს საგნით. ასეთი ქცევა აღძრულია ნებისყოფით და არა, როგორც აღინიშნა, აქტუალური მოთხოვნილებით.

მოტივის გაგების ვიწრო მნიშვნელობიდან (როგორც ნებისმიერ ქცევასთან დაკავშირებულ მომენტთან) ჩვენ განვიხილავთ ორ კონცეფციას: ერთს, სადაც მოტივი დაკავშირებულია მოთხოვნილებასთან და მეორეს, სადაც მოტივი არ საჭიროებს მოთხოვნილებასთან კავშირს.

იმ კონცეფციებში, სადაც მოტივი დაკავშირებულია მოთხოვნილებასთან, მოტივისა და მოთხოვნილების ურთიერთმიმართება განსხვავებულად გაიაზრება. ერთ შემთხვევაში, მოტივი დაიყვანება მოთხოვნილებაზე, მოტივი იგივე მოთხოვნილებაა, მოთხოვნილების დაკონკრეტებაა. ეს შეხედულება ზემოთ განვიხილეთ. მეორე შემთხვევაში, მოტივი მოთხოვნილების გაჩენის საქმეს ემსახურება. მოტივი არაა მოთხოვნილება, მაგრამ აქტუალური მოთხოვნილების აღმოცენების საქმეს განსაზღვრავს. აღნიშნული თვალსაზრისი გატარებულია დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაში*.

დ. უზნაძე სწორად შენიშნავს, რომ მოტივი „ნამდვილი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დღესაც არ არის საკმარისად შესწავლილიო“ (ლაპარაკია 40-იანი წლების ფსიქოლოგიაზე). მისი აზრით, ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ მოტივის ცნებას ფსიქოლოგიაში განიხილავენ არაფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ფილოსოფიური ასპექტით. მოტივს, ჩვეულებრივ, ან ნებელობის მიზეზად ან ქცევის ღირებულების ცნობიერებად თვლიან. ერთ შემთხვევაში, უშუალობის პოსტულატზე დგანან — ფსიქიკის ფარგლებში მოვლენებს შორის კაუზალურ დამოკიდებულებას აღიარებენ — მეორე შემთხვევაში, მხე-

---

* დ. უზნაძის თეორიაში განწყობის ცნების დამუშავების კვალობაზე მოცემულია მოტივის ორგვარი გაგება. ჩვენ ვეხებით მხოლოდ ერთ გაგებას. ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. [20].

დველობაშია მიღებული მხოლოდ ფიზიკური ქცევის ფაქტი და მისი გარეგანი შეფასება ხდება. დ. უზნაძე თვლის, რომ მოტივის გაგებაში „ფსიქოლოგიური თვალსაზრისი არ შეიძლება ასეთი იყოს, მოტივის ცნება სხვაგვარად უნდა იქნეს გაგებული და მოტივაციის აზრი სხვაგვარად გაშუქებული". სწორედ განწყობის თეორიის ნიადაგზე ნებისყოფისა და მოტივის ცნებები, ავტორის გაგებით, „სრულიად ახლებურ გაშუქებას პოულობს".

ფსიქოლოგიური თვალსაზრისი მოტივის გაგებაში უნდა ემყარებოდეს განწყობის თეორიას. განწყობის ფსიქოლოგიური თვალსაზრისი კი ისაა, რომ „ფსიქოლოგიურად ჩვენი ქცევის საფუძველი საერთოდ ყოველთვის რომელიმე გარკვეული განწყობაა... (იგი განწყობა — ვ. კ.) ფაქტიურად ყოველთვის წინ უსწრებს ჩვენი ქცევის აქტებს".

ერთი მხრივ, თუკი ქცევას წინ უსწრებს განწყობა, მაშინ, განწყობა საფუძველია როგორც იმპულსური ისე ნებისმიერი ქცევისა. და მაშინ უნდა ვილაპარაკოთ იმპულსური ქცევის განწყობისა და ნებისმიერი ქცევის განწყობის შესახებ. მეორე მხრივ, ნებისმიერი ქცევის განხორციელება, როგორც მიუთითებს დ. უზნაძე, „მხოლოდ მოტივის წყალობით ხდება", „ნებელობის აქტს მოტივი განსაზღვრავს". აქედან ცხადი ხდება, თუ რა მჭიდრო კავშირი უნდა იყოს ნებისმიერი ქცევის მოტივსა და ნებისმიერი ქცევის განწყობას შორის.

იმპულსური ქცევის განწყობა აიგება ბუნებრივად აღმოცენებული აქტუალური მოთხოვნილებისა და აქტუალური ან წარმოსახული სიტუაციის ბაზაზე. ამ გზით გაჩენილი განწყობა ენერგიას იძენს აქტუალური მოთხოვნილების მხრიდან; იმპულსური ქცევაც წარმართულია აქტუალური მოთხოვნილების ნიადაგზე წარმოქმნილი განწყობით.

ნებისმიერი ქცევის განწყობა აღმოცენდება წარმოსახული, აზრითი ანუ იდეური სიტუაციისა და მე-ს განყენებული მოთხოვნილების საფუძველზე. ნებელობის შემთხვევაში განწყობას თვითონ სუბიექტი ქმნის — „განწყობის შექმნა მისი საქმეა". მაგრამ სუბიექტის მიერ განწყობის შექმნა არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სუბიექტს შეეძლოს განწყობის შექმნა უშუალოდ, პირდაპირ განწყობის აღმოცენების ცნობილი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გარეშე. სუბიექტს არ შეუძლია განწყობის ნებისმიერი შეცვლა, გამოწვევა, აღკვეთა-სუბიექტის „აქტივობა იმაშია, რომ წარმოსახულს, აზრითს, ერთი სიტყვით, იდეურ სიტუაციას ქმნის და ამით შესატყვისი განწყობის გამოწვევას ახერხებს". დ. უზნაძე თვლის, რომ „სიტუაციას წარმოსახული იქნება იგი თუ აქტუალური, სულ ერთია, ორივე შემთხვევაში თანაბრად შესწევს ძალა განწყობის აღმოცენების მიზეზის როლში გამოვიდეს". ხოლო სუბიექტური ფაქტორი მე-ს მოთხოვნილებათა სისტემითაა განსაზღვრული.

მე-ს მოთხოვნილება აქტუალურ მოთხოვნილებას არ წარმოადგენს, მას აქტივობის იმპულსი არ გააჩნია და, ამდენად, ის არ გამოდგება ნებისმიერი ქცევის განწყობის სუბიექტურ ფაქტორად, ვინაიდან სუბიექტური ფაქტორი ენერგიის მქონე აქტუალური ვითარება (მოთხოვნილება) უნდა იყოს. მოტივია სწორედ ის, რაც სუბიექტისათვის ობიექტურ ღირებულებას აქტუალურ ღირებულებად აქცევს. „მოთხოვნილებას, რომელიც ნებისმიერი ქცევის საფუძველზე მდებარე განწყობის აღმოსაცენებლადაა საჭირო, მოტივი იძლევა". მაშასადამე, მოტივის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მოტივი „ქცევის პიროვნების ძირითად მოთხოვნილებათა სისტემაში რთავს და სუბიექტს მისი შესრულების განწყობას უჩენს". მოტივი არააქტუალურ მოთხოვნილებას აქტუალურად აქცევს.

. მოტივი არის ნებისმიერი ქცევის განხორციელებისათვის საჭირო განწყობის შექმნის სუბიექტური ფაქტორის — მოთხოვნილების — მომნახველი: მოთხოვნილებას იძლევა მოტივი; მოტივი არააქტუალურ, მაგრამ ღირებულ მოთხოვნილებას აქტუალურად გარდაქმნის და იგი (მოთხოვნილება) ხდება ნებისმიერი ქცევის განწყობის ენერგეტიკული წყარო.

· საკითხი, თუ როგორ ახერხებს ნებისყოფის მოტივი გადააქციოს არაქტუალური ღირებულება აქტუალურად, რა გზით უჩენს მოტივი სუბიექტს აქტუალურ მოთხოვნილებას, განწყობის თეორიაში შემდგომ დამუშავებას მოითხოვს.

· დ. უზნაძის მტკიცება, რომ ნებისმიერი ქცევის განწყობის აღმოცენებისათვის საჭიროა აქტუალური მოთხოვნილების არსებობა, რომელსაც მოტივი აჩენს, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ გაუქმდა თავდაპირველად დაყოფა ქცევისა იმპულსურად და ნებისმიერად? ორივე ქცევის განწყობების გაჩენისათვის საჭირო ენერგეტიკული წყარო ხომ ისევ აქტუალური მოთხოვნილება აღმოჩნდა? ქცევის წყაროს მიხედვით მათ შორის განსხვავება წაიშალა?

საფიქრებელია, რომ, ამ შემთხვევაში, შეუსაბამობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. ნებისმიერი ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობის ენერგიის წყაროდ, მართალია, დასახელებულია ისევ აქტუალური მოთხოვნილება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს მოთხოვნილება აქტუალურად და ქმედითად, გახადა ნებისყოფამ (მოტივმა). ნებისყოფის ენერგია მოხმარდა ამ მოთხოვნილებას იმ მიზნით, რომ ნებისმიერი ქცევის განხორციელებისათვის საჭიროა აქტუალური განწყობა აღმოცენებულიყო. მაშასადამე, ამ აქტუალურად გამხდარი მოთხოვნილების ძირი ისევ ნებისყოფას უკავშირდება, მისგან იძენს ენერგიას. ამიტომ, ნებისმიერი ქცევის წყაროს საკითხი მაინც ნებისყოფას უკავშირდება.

არის თეორიები, რომლებიც მოტივს არ აკავშირებენ მოთხოვნილებასთან, მათ შორის ზოგი მოტივს ქცევის ღირებულების ცნობიერებად თვლის, სხვები — ქცევის სანქციად და ა. შ. ჩვენ დავკმაყოფილდებით მოტივის იმ თეორიის გადმოცემით, რომლისთვისაც მოტივი ქცევის ღირებულების ცნობიერებაა. აღსანიშნავია ის, რომ ეს თეორიაც დ. უზნაძის განწყობის კონცეფციის ნიადაგზეა აღმოცენებული და ეკუთვნის შ. ჩხარტიშვილს [27].

შ. ჩხარტიშვილის აზრით, „ნებისმიერი ქცევის მოტივის საფუძვლად არ გამოდგება მოთხოვნილება“, ვინაიდან „ნებისმიერი ქცევის დაფუძნება აქტუალურ მოთხოვნილებაზე ნიშნავს ნებისმიერი ქცევის დაყვანას იმპულსურ ქცევაზე“. პრობლემა კი ეხება სწორედ ნებისმიერი ქცევის მოტივის ვოლიტური რაობის დადგენას.

ქცევის მოტივი ქცევის ფსიქოლოგიური ბუნების განმსაზღვრელია. მოტივი ქცევის მიზეზს უკავშირდება და მიზნის ფსიქოლოგიურ ხასიათს საზღვრავს, მოქმედების ამა თუ იმ რეზულტატს მიზნის ფორმას აძლევს. მოტივი მიზნის იდეალურ შინაარსზეა მიმართული, ქცევის მიზანს აკავშირებს ქცევის მიზეზთან.

იმპულსური ქცევა განსხვავდება ნებისმიერი ქცევისაგან იმით, რომ იმპულსური ქცევა არსებითად უკავშირდება მოთხოვნილებას, ხოლო ნებისმიერი ქცევა აქტუალურ მოთხოვნილებას არ უკავშირდება. „იმპულსურია ის ქცევა, თუ იგი თავიდან ბოლომდე, ყველა მასში ჩართული სულიერი და სხეულებრივი პროცესებით, აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს მიჰყავს და მისი შეჩერება... მხოლოდ ამ იმპულსის აღკვეთის ან შეკავების გზითაა შესაძლებელი“. იმპულსურ ქცევას ნებისმიერად ვერ აქცევს მასში მაღალი ფსიქიკური ფუნქციების ჩართვა. ქცევის ბუნების განმსაზღვრელია თვითონ ქცევის აღძძვრელი და წამმართველი ფუნქცია. იმპულსური ქცევის აღმძვრელია აქტუალური მოთხოვნილება, ხოლო ნებისმიერი ქცევისა — ნებისყოფა. ამიტომ ქცევა, რომელიც აღძრულია აქტუალური მოთხოვნილებით, მაგრამ მის გაშლა-მიმდინარეობაში მონაწილეობას ღებულობს აზროვნება (ცნობიერება,) მაინც იმპულსურად უნდა ჩაითვალოს მისი გამომწვევი საფუძვლის გამო. ასეთი ქცევისათვის შეიძლება გვეწოდებია „იმპულსურ-მიზანდასახული ქცევა“, რომელიც არაა ნებისმიერი ქცევა. იმპულსური ქცევის სუბიექტისათვის აბსოლუტური ღირებულება აქვს თვითონ ქცევის აქტებს, რამდენადაც ისინი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეს ემსახურებიან. იმპულსური ქცევის მიზანი სუბიექტური ღირებულებისაა. ნებისმიერი ქცევა კი მიმართულია ყოველთვის ობიექტურ ღირებულებაზე. აქ ობიექტური ღირებულება ნიშნავს სუბიექტის დამოკიდებულების ფორმას. მთავარია ის, რომ ნებისყოფის სუბიექტი დარწმუნებული იყოს მასში, რომ რასაც ის

აკეთებს, ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენს (რომელიც თავისთავად შესაძლებელია ობიექტური ღირებულებისა არც კი იყოს).

ნებისყოფის ფუნქცია ისაა, რომ „იგი ინდივიდს ამორთავს ცხოვრების ახლანდელი მიმდინარეობიდან, აყენებს მას მომენტალური აწმყოს ინტერესებზე მაღლა და ობიექტურ ღირებულებათა სამკვიდროსკენ მიმართული აქტივობის სუბიექტად აქცევს". ნებისყოფის სუბიექტი იმას აკეთებს, რაც მას, როგორც სოციალურ არსებას, პიროვნებას **მ ო ე თ ხ ო ვ ე ბ ა**. ნებისყოფის სუბიექტმა უნდა გააკეთოს ის, რასაც მისგან მოითხოვს მოცემული სიტუაცია. ამიტომ „ნებისმიერი ქცევის მოტივს წარმოადგენს ნივთიერ და სულიერ ღირებულებათა შექმნის, დაცვისა და შენახვის საჭიროებანი". საჭიროების ცნობიერება მხოლოდ ნებისყოფის მიმართებაში იღებს მოტივის ფუნქციას. ავტორი თვლის, რომ მოტივის გააზრების საქმეში ამოსავალია ფუნქციონალური თვალსაზრისი: მოტივი განსაზღვრულ მიმართებაში არსებული მოვლენის ფუნქციაა და არა „ნივთიერი", შინაარსეული თავისებურება. გარკვეული მოვლენა, რომელიც ერთ მიმართებაში მოტივის როლს ასრულებს, სხვა მიმართებაში, შეიძლება, მოტივის არავითარ ნიშანს არ ატარებდეს. მოტივი, როგორც ასეთი, არსებობს მხოლოდ მოტივაციის პროცესში.

შ. ჩხარტიშვილი თიშავს მოტივისა და ნებისყოფის ფუნქციებს. მოტივის შინაარსი იმ შემთხვევაშია არასწორად გაგებული, როცა იგი მიაჩნიათ მოქმედების აღმძვრელად, სუბიექტის მხრიდან ქცევის აქტის მიზეზობრივ შემაპირობებლად. ამ შემთხვევაში ნებისყოფის ფუნქცია არამართებულად მიწერილი აქვს მოტივს.

ავტორი თვლის, რომ მოტივს ძალა არ გააჩნია. მას არ შეუძლია ქცევის აქტების აღძვრა-ამოქმედების მიზეზობრივი შეპირისპირება. მოტივი აზრის ფორმაში მოცემული ცნობიერების ფენომენია. ქცევის აქტის აღძვრა შეუძლია ნებისყოფას და არა მოტივს.

მაგრამ მაინც „მოტივი არაა ინტელექტუალური პროცესი", მოტივი ვოლიტური ბუნებისაა, ამიტომ ნებისყოფის სუბიექტი მოტივს განიცდის როგორც სიტუაციის მოთხოვნას: შესრულებულ იქნეს საჭიროდ და ღირებულებად მიჩნეული ქცევა.

ნებისყოფა და მოტივი ერთგვაროვანია. არ ფუნქციობს ნებისყოფა მოტივის გარეშე. ნებისყოფა იმ ობიექტურ მოვლენათა გაპიროვნებაა (გასაგნებაა) ინდივიდში, რომელთა ცნობიერება შემდეგ ნებისყოფის მოტივის როლში გამოდის. „მოტივის ძირითადი ფუნქცია ისაა, რომ იგი ნებისყოფის სუბიექტისაგან მოითხოვს გარკვეული ქცევის განხორციელებას. ნებისყოფის სუბიექტი ყურს უგდებს და მიჰყვება ამ მოთხოვნას, რადგანაც მას სხვაგვარად მოქმედება არ შეუძლია".

ნებისყოფის ფსიქოლოგიაში გასარკვევი სწორედ ის მექანიზმია, რომელიც შესაძლებელს ხდის მოტივის მოთხოვნის განხორციელებას, ის გზა, რითაც ხდება მოტივის მოთხოვნის ასრულება. აღნიშნული საკითხი კი გაანალიზებული არაა.

ნებისყოფის ფსიქოლოგიაში არის სხვა გაგებაც მოტივისა, როცა ის მოთხოვნილებას არ უკავშირდება. ასეთია, როგორც აღინიშნა, მოტივის დახასიათება „სანქციის" ტერმინით. ნებისმიერი ქცევის მოტივი ქცევის სანქციას წარმოადგენსო. აღნიშნული არაფსიქოლოგიური შინაარსის ტერმინი მხოლოდ გადატანითი, არაპირდაპირი მნიშვნელობით თუ გამოგვადგება ქცევის ფსიქოლოგიაში. რომ ვამბობთ, მოტივი ნებისმიერი ქცევის სანქცია არისო, ამ შემთხვევაში არ უნდა ვიგულისხმოთ მისი პირდაპირი მნიშვნელობა — რაიმეს „დაკანონება", „დაწესება". მოტივი არც უბრალო დადასტურება, მოწონება ან თანხმობაა; მოტივი ნებისყოფის ის რეალური მომენტია, რომელიც დადასტურებასა და თანხმობასთან ერთად მოწონებული ქცევის შინაარსს ბიძგს აძლევს განხორციელებისათვის, ამ ბიძგის გარეშე მოწონებული და დადასტურებული ქცევა განუხორციელებელი დარჩებოდა.

18. მოთხოვნილება და ქცევა

მოხმარება და მომსახურება სუბიექტის ისეთი აქტივობანია, რომლებიც მოთხოვნილებიდან ღებულობენ ბიძგს და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზანს ემსახურებიან. მომსახურების აქტივობა მოხმარების აქტისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნაა და მისი რეალიზაციისაკენ გამიზნული აქტივობაა. რამდენადაც მოხმარება და მომსახურება აქტუალური მოთხოვნილებიდან იღებენ სათავეს, იმპულსს და აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებით განისაზღვრებიან, ამდენად აღნიშნული აქტივობანი იმპულსური ქცევის სფეროში თავსდებიან, იმპულსურ ქცევებს წარმოადგენენ. ხოლო იმპულსური ქცევის ფენომენალური ბუნება იმ თავისებურებით ხასიათდება, რომ „როდესაც ქცევა რაიმე გარკვეული მოთხოვნილების აქტუალური იმპულსის ზეგავლენით ხდება, მისი ცალკე ეტაპები და მომენტები თითქოს თავისით, თითქოს სუბიექტურის ცნობიერების წარმართვის გარეშე მიმდინარეობენ: მათ უფრო ის სიტუაცია განსაზღვრავს, რომელშიც სუბიექტს თავისი ქცევის გაშლა უხდება" [24,173]; „იმპულსური ქცევა არასდროს მე-ს თვითაქტივობის გამოვლენად არ განიცდება" [24,217]. ყოველგვარ ქცევას, დ. უზნაძის განწყობების კონცეფციის მიხედვით, საფუძვლად ედება განწყობა, რომელიც აღმოცენდება მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისი სიტუაციის ურთიერთ-

დამთხვევის შემთხვევაში და ქცევაც ამ განწყობის ნიადაგზე ხორციელდება. იმპულსური ქცევისათვის ისაა დაშახასიათებელი, რომ იგი აქტუალური მოთხოვნილების წყაროდან მომდინარეობს და მას ის განწყობა განსაზღვრავს, რომელსაც აქტუალური სიტუაცია ქმნის; ეს განწყობა „უშუალოდ აღმოცენებული განწყობის“ სახელწოდებას იღებს.

იმპულსური ქცევა სწორედ რომ გენეტურად განსხვავდება ნებისმიერი ქცევისაგან. იმპულსურ ქცევას საფუძვლად ედება აქტუალური, ანუ მომენტის მოთხოვნილებისა და აქტუალური სიტუაციით წარმოქმნილი განწყობა, ხოლო ნებისმიერ ქცევას — ე. წ. „მეორადი, წარმოსახული, განყენებული მოთხოვნილებისა“ (იგივე მოთხოვნილების იდეა) [18] და წარმოსახული, ანუ აზრითი სიტუაციის გზით წარმოქმნილი განწყობა (ასეთ განწყობას რეალობად აქცევს ნებელობა). ამ გზით წარმოქმნილ განწყობას დ. უზნაძე უწოდებს „განწყობის მეორე, მაღალ ფორმას, ახალ ფენას“, ანუ „გაშუალებულ განწყობას“. ამიტომაცაა მასთან მსჯელობა „ფსიქიკის მუშაობის ორი დონის ან ორი პლანის“ შესახებ. განწყობისა და ობიექტივაციის დონეების შესახებ. იმპულსური და ნებისმიერი ქცევები სხვა ასპექტებით, მაგ., მიზანშეწონილობით ან განხორციელების სიძნელის ხარისხით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

ვფიქრობთ, გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, როცა იმპულსური და ნებისმიერი ქცევების განმასხვავებელ ნიშნად რეალური მოთხოვნილების მოდალობას მოუხმობენ ხოლმე, თითქოს ნებისმიერი ქცევის სპეციფიკას ქმნიდეს მაღალი, ზოგადი მოთხოვნილების — მორალური, ინტელექტუალური, ესთეტიკური და სხვა ზოგადი, მოთხოვნილების — არსებობის ფაქტი.

ჯერ ერთი, რეალური მოთხოვნილება, სულ ერთია, დაბალი იქნება იგი თუ მაღალი, საკუთრივ მოთხოვნილებაა და ამიტომ მას გააჩნია აქტივობის იმპულსი — მოთხოვნილების აუცილებელი მომენტი: მოთხოვნილებითი მდგომარეობა საგნისაკენ მიმართული სწრაფვაა. ამდენად, მოთხოვნილების მთელი სამკვიდროს დაყოფა ე. წ. მაღალი და დაბალი მოთხოვნილებათა სახეებად არ გულისხმობს მათ შორის განსხვავებას გამომწვევი იმპულსის მხრივ, დინამიკის მიხედვით. მაგალითად, ესთეტიკური ჰვრეტის მოთხოვნილება ისეთივე „ძალის მქონეა“, როგორ საკვების მოთხოვნილება, თუკი ისინი ნამდვილად რეალურ, მომენტის მოთხოვნილებას წარმოადგენენ. ერთის „სიმაღლე“ და მეორის „სიდაბლე“ სხვა განზომილებას ეხება, სახელდობრ — ღირებულებით მომენტს, რომ ადამიანის, როგორც ასეთის, ბუნება უფრო ჩანს ესთეტიკურ ჰვრეტაში, ვიდრე საკვების მიღებაში (თუმცა,

მეორე მხრივ, საკვების მიღებაც ადამიანურ დონეზე ადამიანურია და არა ცხოველური), და აღნიშნული დონის მოთხოვნილებანიც ღირებულების მხრივ სხვადასხვა შეფასებას იმსახურებენ. აქედან გამომდინარე ქცევა, რომელიც აღძრულია აქტუალური მოთხოვნილებით, სულ ერთია, დაბალი იქნება იგი თუ მაღალი, წარმოადგენს იმპულსურ ქცევას (ჩხარტიშვილი შ. ნ. 1958).

მეორეც, არ უნდა გაიგივდეს „მ ა ღ ა ლ ი“ მოთხოვნილება და „ზ ო გ ა დ ი“ მოთხოვნილება. მაღალი და დაბალი მოთხოვნილება კონკრეტული, მომენტის მოთხოვნილებანია. ამ მხრივ ისინი ზოგადნი არ შეიძლება იყვნენ. არააქტუალური მოთხოვნილება რეალურად არ არსებობს. შეუძლებელია, მოთხოვნილების პროცესი, როგორც ფსიქიკური მდგომარეობა, უშუალოდ მოქმედი არ იყოს. ზოგადი მოთხოვნილება ესაა მოთხოვნილების იდეა, აზრი მოთხოვნილების შესახებ. ამდენად ის თანაბრად ეხება მაღალსა და დაბალ მოთხოვნილებებს: მოთხოვნილების იდეა თუ აზრი შეიძლება გვქონდეს როგორც მაღალი, ისე დაბალი მოთხოვნილების შესახებ და იმ მოთხოვნილების შესახებაც, რომელიც რეალურად არ ყოფილა განცდილი. ამ ასპექტით აქ რაიმე განსხვავებაზე, მით უფრო უპირატესობაზე მსჯელობა გამორიცხულია.

სხვადასხვა საქმის ვითარებაა: მოვალეობის შესრულების მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა და შ ე გ ნ ე ბ ა. პირველი ზნეობრივი, მაღალი ღირებულების მქონე კონკრეტული, აქტიური მოთხოვნილებითი მდგომარეობაა, სადაც მისწრაფებაა კონკრეტული აქტის განხორციელებისაკენ, რითაც შესაძლებელია მომენტური მოთხოვნილებითი მდგომარეობის დაკმაყოფილება. ხოლო მოვალეობის შეგნება გარკვეული საქმის ვითარების ცოდნა და იმ ღირებულების განხორციელებისათვის მზადყოფნაა (აზრითი, იდეური ფორმით), იდეის მიხედვით მოქმედებისათვის მზადყოფნაა, რომელიც ნებისყოფით ხორციელდება საჭირო შემთხვევაში.

ზოგჯერ ზოგადი მოთხოვნილების ცნების ქვეშ გულისხმობენ სუბიექტის საერთო ქრონიკულ პ ო ზ ი ც ი ა ს, საერთო მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა ს და მიუთითებენ სუბიექტში, მაგალითად, ესთეტიკური ტკბობის ან ზნეობრივი მოვალეობის შესრულების ქრონიკული პოზიციის ან მიდრეკილების არსებობის შესახებ, რომელნიც თავისთავად არააქტიურნი არიან. რა თქმა უნდა, სუბიექტში არსებობენ სხვადასხვა დისპოზიციები, რომლებსაც გარკვეული ფუნქციები აკისრიათ. მოთხოვნილების პროცესის დისპოზიციას (ე. წ. ქრონიკულ პოზიციას) ეწოდება მიდრეკილება. მაგრამ აქვე უნდა მიეთითოს, რომ ეს ქრონიკული პოზიცია, ანუ მიდრეკილება თვითონ მოთხოვნილების რეალურ პროცესს არ წარმოადგენს, ის მხოლოდ შესაძლებლობაა მოთხოვნი-

ლებითი მდგომარეობის გაჩენისა, ამიტომ ამ დისპოზიციას, ანუ მიდრეკილებას, ქრონიკულ პოზიციას პირდაპირი მნიშვნელობით ზოგადი მოთხოვნილება ვერ ეწოდება.

მიუთითებენ იმპულსური ქცევის მიმდინარეობის თავისებურებაზე, რომ იმპულსური ქცევისათვის დასრულებულობა და მთლიანობა სპეციფიკურ მახასიათებელს არ უნდა წარმოადგენდეს და მისგან ნებისმიერი ქცევა სწორედ რომ მოწესრიგებული მიზანშეწონილებით განსხვავდება; როგორი რთულიც არ უნდა იყოს იმპულსური ქცევა, მას აქტუალური სიტუაცია წარმართავს, და არსად სუბიექტის საგანგებო ჩარევა ქცევაში საჭირო არ ხდება. მაგრამ სწორედ ამიტომ შესაძლებელია, რომ იმპულსური ქცევა რაიმე ახლად წამოჭრილი ინტენსიური მოთხოვნილების იმპულსით თავიდან აღებულ გზას ასცდეს და ახალი მიმართულება მიიღოს. იმპულსური ქცევა ახალი და ახალი მძლავრ მოთხოვნილებათა ნიადაგზე ხშირად ცვლის პირვანდელ მიმართულებას, ამიტომ იგი ერთი დასრულებული მთლიანი ქცევის სახით ვეღარ გვეძლევა. ამიტომაც ამბობენ, რომ იმპულსური ქცევის მიზნები არ ქმნიან ერთიან სისტემას, ეს მიზნები ერთმანეთისდა დამოუკიდებლად ისახებიან, არ მოითხოვენ ერთმანეთს და არც ერთმანეთს ექვემდებარებიანო [24,185].

იმპულსურ ქცევას აკავშირებენ ე. წ. სუბიექტურ ღირებულებასთან, ხოლო ობიექტურ ღირებულებას ნებისმიერი ქცევის წილად სახავენ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა გვქონდეს ღირებულებათა ფსიქოლოგიური ასპექტი, ე. ი. ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა გ ა ნ ც დ ი ს ასპექტი და არა ა ქ ს ი ო ლ ო გ ი უ რ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი, რომელიც ღირებულებათა ობიექტურ მნიშვნელობას ეხება. მოთხოვნილების საგანი და მისი დაუფლებისაკენ მიმართული ქცევაც — იმპულსური ქცევაც — სუბიექტისთვის ყოველთვის მნიშვნელობის მქონედ და ამდენად ღირებულად განიცდება, მიუხედავად იმისა, ეს საგანი ობიექტურად ღირებულების მქონეა თუ არა. ასევე ნებისმიერი ქცევის შემთხვევაშიც — ნებისმიერი ქცევის მიზანი სუბიექტისათვის ობიექტურ ღირებულებად განიცდება, თუმცა ის, შესაძლებელია, თავისთავად ასეთი სრულიად არ იყო ობიექტური თვალსაზრისით განხილული. ამიტომაა, რომ იმპულსურმა ქცევამ შეიძლება დიდი ღირებულება შექმნას, ხოლო ნებისმიერმა ქცევამ — არაღირებული და საზოგადოებისათვის უარყოფითი საქმეც კი.

სუბიექტის აქტივობის პრობლემა ერთ-ერთი პრინციპული მნიშვნელობის საკითხია ფსიქოლოგიისათვის. ადამიანის აქტივობა რომ საერთოდ დაკავშირებულია მოთხოვნილების ფაქტთან, სადავო არაა, ცხადი ვითარებაა. მაგრამ მოთხოვნილების კავშირი აქტივობასთან ფსიქოლოგიაში სხვადასხვაგვარადაა გაგებული. ზოგი თვლის, რომ

ინდივიდის ყოველგვარი აქტივობა განპირობებულია მოთხოვნილებით იმგვარად, რომ ინდივიდის ყოველი კონკრეტული ქცევა უშუალოდ გამოიწვევა მოთხოვნილების წყალობით. არ არსებობს ქცევა, რომელიც გამოწვეული არ იყოს მოთხოვნილების რეალური ფაქტით. სხვებს კი მიაჩნიათ, რომ მოთხოვნილება, მართალია, საერთოდ უნდა ჩაითვალოს ინდივიდის ქცევის აღმძვრელად, მაგრამ ის ყოველთვის არ წარმოადგენს ქცევის პირდაპირ, უშუალო წყაროს. საჭიროა, განსხვავება დავინახოთ ცნებებში: „წყარო" და „საფუძველი" და ვთქვათ, რომ მოთხოვნილება ძევს ადამიანის აქტივობის საფუძველში, მაგრამ ის არაა აქტივობის ერთადერთი წყარო, რომ აქტივობა არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მხოლოდ მოთხოვნილებაზე; ადამიანში არის სხვა აღმძვრელი ძალებიც: გრძნობები, იდეალური მისწრაფებანი და ა. შ. [52, 19—29].

ადამიანური აქტივობის პრინციპულ საკითხს განიხილავენ მარქსიზმის კლასიკოსები... კ. მარქსი და ფ. ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში" მიუთითებენ, რომ „არავის არ შეუძლია გააკეთოს რაიმე. რომ ის არ იყოს ამასთან ერთად გამიზნული მისი რომელიმე მოთხოვნილებისათვის და ამ მოთხოვნილების ორგანოსათვის..." [4,245]. ფ. ენგელსი ნაშრომში „შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში", წერს: „ადამიანები მიეჩვივნენ თავიანთ მოქმედებათა ახსნას თავიანთი აზროვნებით, ნაცვლად იმისა, რომ ისინი ახსნან თავიანთი მოთხოვნილებებით (რომლებიც, ამასთან, რა თქმა უნდა, აისახებიან თავში, ცნობიერდებიან) '[5,493].

თუ დავუკვირდებით მარქსიზმის კლასიკოსების მიერ გამოთქმულ დებულებებს, აღმოჩნდება, რომ ისინი არ ლაპარაკობენ მოთხოვნილებაზე, როგორც ადამიანის აქტივობის, ქცევის უშუალო და ერთადერთ პირველწყაროზე. ადამიანის მოქმედება უნდა აიხსნას საერთოდ მოთხოვნილებით, მაგრამ ეს მოთხოვნილება ადამიანის ყოველი კონკრეტული ქცევის უშუალო მიზეზად არ გვევლინება. ეს რომ ასეა, ამაზე პირდაპირ მიუთითებს კ. მარქსის შეხედულება გამოთქმული 1944 წლის „ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ხელნაწერში": „ადამიანი აწარმოებს მაშინაც, როცა თავისუფალია ფიზიკური მოთხოვნილებისაგან და სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, მხოლოდ მაშინ აწარმოებს, როცა ის მისგან (მოთხოვნილებისაგან — ვ. კ.) თავისუფალია" [8, 93].

თუკი ადამიანს შეუძლია აქტივობა და ისიც მისი უმაღლესი ფორმა შრომა (წარმოება) განახორციელოს მაშინ, როცა მას არ აწუხებს მოთხოვნილება, როგორც კ. მარქსი ამბობს, „თავისუფალია მოთხოვნილებისაგან", მაშინ ადამიანის აქტივობის უშუალო მიზეზად, ერთადერთ წყაროდ მოთხოვნილებითი მდგომარეობა ვერ ჩაითვლე-

ბა. ადამიანის აქტივობა მიზნის განხორციელებაა, საერთოდ ამ მიზანს, რა თქმა უნდა, მოთხოვნილება აჩენს; მაშ, ადამიანის აქტივობა რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენაა წარმართული. მაგრამ ამ მიზნის (მოთხოვნილების) განხორციელება სხვადასხვა აღმძვრელის, ქცევის განსხვავებული წყაროების საშუალებით ხდება. ეს წყაროა, ზოგ შემთხვევაში, თვითონ აქტუალურია მოთხოვნილება, სხვა შემთხვევაში გრძნობები, ნებისყოფა და ა. შ. მაშასადამე, ქცევის აღმძვრელის როლში გამოდის არა მხოლოდ აქტუალური მოთხოვნილება, არამედ ნებისყოფაც (როცა მას საკუთარი ენერგია აქვს და არა მოთხოვნილების ენერგიით ცოცხლობს). ადამიანი აწარმოებს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას შიმშილი აწუხებს, არამედ მაშინაც, როდესაც ის მაძღარია. რა აღძრავს მას საკვების დასამზადებლად უკანასკნელ შემთხვევაში? რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში მოთხოვნილება! მაგრამ ეს მოთხოვნილება ცოცხალი მოთხოვნილება (აქტუალური შიმშილი) კი არაა, არამედ ის, რომ ადამიანმა იცის, მას მომავალში მოშივდება, და ამიტომ წინდაწინ ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ი ს ფუნქციის (სპეციფიკურ-ადამიანური უნარის)დახმარებით ახორციელებს ქცევას, რომელიც გამიზნულია შესაძლო მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საშუალების მოპოვებისათვის.

მოთხოვნილება და აქტივობა დიალექტიკურ ერთიანობას ქმნის. არაა სწორი, როცა ვამბობ, რომ აქტივობა მოთხოვნილებით გამოიწვევაო. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ საკითხის ზოგადთეორიული (ფილოსოფიური) და კონკრეტულ-ემპირიული ასპექტებით განხილვა. კონკრეტულ-ემპირიული ასპექტით საკითხის განხილვა ეხება საქმის ფაქტიური ვითარების გათვალისწინებას, რომელიც გვიჩვენებს, რომ ყოველი ქცევა არაა უშუალოდ გამოწვეული აქტუალური მოთხოვნილებით, თუმცა იგი მოთხოვნილებისათვის ხორციელდება საერთოდ [12].

საკითხის ზოგადთეორიული ასპექტი მოთხოვნილებასა და აქტივობას განუყრელად განიხილავს, მოთხოვნილება ზოგად აქტივობის ერთერთ სახედ წარმოგვიდგება. სიცოცხლე აქტივობაა, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლაა. მოთხოვნილება, როგორც ფსიქიკური ცნობიერი ფენომენი, აქტივობაშია ჩართული და მის ერთ კონკრეტულ სახეს წარმოადგენს. ამიტომ, ამ შემთხვევაში, უნდა ვილაპარაკოთ არა მოთხოვნილებაზე, როგორც აქტივობის გამომწვევ ან განმაპირობებელ ერთადერთ ფაქტორზე, არამედ აქტივობაზე, როგორც ერთ მთლიან ხაზზე, რომელშიაც აქტივობის სხვადასხვა დონეები და სახეები ცვლიან ერთმანეთს და ერთმანეთში გადადიან. ასე რომ, გვაქვს აქტივობის სხვადასხვა რომელობის მონაცვლეობა, რაც ქმნის ინდივიდის ერთიან ისტორიას, რაშიაც ერთმანეთს ცვლიან განსხვავებულ

ფენათა ფუნქციობანი (აქტივობანი). გარკვეული, კონკრეტული აქტივობა ინდივიდში ქმნის მოთხოვნილებას, ეს მოთხოვნილება განაპირობებს ქცევას, რაც, თავის მხრივ, ახალი მოთხოვნილების ფუნქციობის დასაბამი ხდება და ა. შ. გარკვეული აზრით შეგვეძლო გვეთქვა. რომ მოთხოვნილება „ქცევის, აქტივობის კონკრეტული მიმართულების განმსაზღვრელია" და არა მისი ერთადერთი გამომწვევი წყარო. მოთხოვნილება (მოთხოვნილების დაკმაყოფილების აქტი) კი არ სპობს, აქრობს აქტივობას, არამედ ინდივიდის შემდგომი აქტივობის უნარის შენარჩუნებასა და მისთვის ხელისშეწყობას წარმოადგენს. არსებითად ამავე თვალსაზრისს იცავს შეხედულება, რომელიც ერთმანეთისაგან თიშავს ე. წ. „იმანენტურ აქტივობასა" (ზოგი მას პირველად, ბუნებრივ აქტივობას უწოდებს) და „მოთხოვნილებით აქტივობას" (ანუ მეორად, ნაწარმოებ აქტივობას). იმენენტური აქტივობა ორგანიზმის თუ სუბიექტის საერთო მდგომარეობაა, მის გარეშე წარმოუდგენელია საერთოდ სიცოცხლე (სიცოცხლე ხომ თვითონ აქტივობაა!), ხოლო მოთხოვნილებითი აქტივობა წარმოადგენს იმანენტური აქტივობისათვის ხელშემწყობს, დამხმარეს. დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. [12, 33].

ჩვენ სადავოდ მიგვაჩნია ზოგადთეორიული ასპექტით საკითხის დასმა — არის თუ არა მოთხოვნილება ქცევის ერთადერთი წყარო თუ აღმძვრელი. ვინაიდან აქ საქმე გვაქვს არა ორი, ურთიერთგარემდებარე გარკვეულობის — ქცევისა და მოთხოვნილების — უშუალო მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებასთან, არამედ ურთიერთგამაპირობებელ ერთი მთლიანი პროცესის შეფარდებით მომენტებთან.

19. მოთხოვნილება და განწყობა

განწყობის სხვადასხვა შინაარსიდან ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს დ. უზნაძის განწყობის თეორია, რომელშიაც მოთხოვნილების „ცნებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება*.

დ. უზნაძე მოთხოვნილების რაობის გარკვევას უკავშირებს მიზანშეწონილი ქცევის პრობლემას. მიზანშეწონილი ქცევა და მოთხოვნილება არსებით კავშირს ქმნის: „მიზანშეწონილ ქცევას მოთხოვნილების ფაქტი უდევს საფუძვლად". მოთხოვნილება ორგანიზმის აქტივობის წყაროა. მოთხოვნილება ორგანიზმს გარდაქმნის ქცევის სუბიექტად, ხოლო გარემოს — სიტუაციად. მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსით ამოქმედებულ ცოცხალ არსებაზე ზემოქმედებს გარესიტუაცია და მასში სიტუაციის შესაფერის

* დაწვრილებით მოთხოვნილების უზნაძისეული გაგებისა და განწყობის გენეზისის შესახებ იხ. [18; 21; 15].

მთლიან ცვლილებას, გარკვეულ განწყობას იწვევს. გარკვეული განწყობის მქონე სუბიექტს შეუძლია მხოლოდ თავისი განწყობის შესაფერისი პროცესების წარმოება. სუბიექტის ქცევა უნდა ჩაითვალოს ყოველ მოცემულ მომენტში მისი ამა თუ იმ განწყობის რეალიზაციად. ქცევა მთლიანად მიზეზობრივ რკალშია ჩართული, რამდენადაც ქცევას განწყობა განსაზღვრავს, რომელიც სუბიექტში გარე სიტუაციის ასახვას, სუბიექტში გადასულ ობიექტურ ვითარებას წარმოადგენს; ამდენად, ქცევა სიტუაციის შესატყვისად, ანუ მიზანშეწონილად მიმდინარეობს.

დ. უზნაძე სუბიექტის „მთლიანობითი ასახვის", ანუ განწყობის აღმოცენების აუცილებელ წანამძღვარებად ასახელებს მოთხოვნილებასა და სიტუაციას. გარდა ამისა, „იმისათვის, რომ იგი აღმოცენდეს როგორც განწყობა განსაზღვრული აქტივობის მიმართ, აუცილებელია, რომ მისი დაკმაყოფილების პირობების შემცველი სიტუაცია და მისი დაკმაყოფილების მოთხოვნილება ურთიერთს დაემთხვნენ" [26,59]. მაშასადამე, განწყობის აღმოცენების სუბიექტურ (მოთხოვნილება) და ობიექტურ (სიტუაცია) ფაქტორებთან ერთად აუცილებელია მათი ურთიერთდამთხვევა, რაც მათ რეალურ კონტაქტს გულისხმობს.

უკანასკნელ ხანს მიუთითებენ განწყობის აღმოცენების დამატებით ფაქტორებზე (შ. ჩხარტიშვილი, შ. ნადირაშვილი). მაგალ., შ. ნადირაშვილი წერს: „თუ კარგად დავუკავშირდებით მიზანშეწონილი ქცევის ბუნებას და მის საფუძვლად მდებარე განწყობას, შეუძლებელი ხდება ცალკე არ გამოვყოთ განწყობის ფორმირების კიდევ ერთი არსებითი ფაქტორი, რომელიც ქცევას მიზანშეწონილს ხდის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ინდივიდის აქტივობის შესაძლებლობები". აქტივობის შესაძლებლობა იგივე „ოპერაციების შესრულების შესაძლებლობაა". სავარაუდოა, რომ სწორედ ეს შინაარსი იგულისხმება დ. უზნაძის დებულებაში: „განწყობა წარმოადგენს ინდივიდის გარკვეული ქცევისადმი მზაობას, რომელშიც ესკიზური სახით არის მოცემული მომავალი ქცევა". შ. ნადირაშვილი დასძენს, რომ „მომავალი ქცევის წინასწარი ესკიზური მოცემულობა იმას გულისხმობს, რომ ინდივიდში აქტუალიზებულია ისეთი ოპერაციული შესაძლებლობები, რომელთა საფუძველზედაც მომავალი ქცევა უნდა აიგოს" [2,216—217].

დ. უზნაძე მიუთითებს განწყობის ორი ფორმის არსებობაზე, ერთი მათგანია „უშუალოდ აღმოცენებული განწყობა", ხოლო მეორე — „ობიექტივაციის აქტებით გაშუალებული და ნებისყოფის დაძაბვით განხორციელებული განწყობა". ადამიანისათვის სპეციფიკური ე. წ. გაშუალებული განწყობა „ნაწარმოები ხასიათის ფენომე-

ნია, რაც ადამიანისათვის სპეციფიკური უნარის — ობიექტივაციის თავისებურებითაა განპირობებული“ [25, 326].

„უშუალო“ და „გაშუალებული“ განწყობების არსებობის დაშვებას მივყავართ ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ორი დონის აღიარებამდე. „ფსიქიკური ცხოვრების ორი დონე“, რაც იგივე „ცნობიერების მოქმედების... არსებითად განსხვავებული“ სახეებია, განპირობებულია განწყობის ორი „ფენის“, „ფორმის“ აქტივობით, ვინაიდან „განწყობის გარეშე, საერთოდ, არავითარი დასრულებული, კონკრეტული ფსიქიკური პროცესი არ უნდა არსებობდეს, რომ იმისათვის, რომ ცნობიერებამ რომელიმე გარკვეული მიმართულებით დაიწყოს მუშაობა, წინასწარ განწყობის აქტივობა უნდა იქნეს აღიარებული, რომელიც მოწოდებულია იმისათვის, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ ცნობიერების მიმართულება წარმართოს“ [26, 46].

ობიექტივაცია, დ. უზნაძის მიხედვით, არის „აქტივობის ახალი, თავისებური ფენა“, იგი ადამიანის „ფუნდამენტური უნარია“ და ამიტომ „ადამიანის აქტივობის ყველა სპეციფიკურ ფორმას განსაზღვრავს“. ობიექტივაცია, ავტორის დახასიათებით, მოცემული განწყობის „რეალიზაციის შეწყვეტაა“. „თვითონ ობიექტივაცია... არაფერს ამტკიცებს და არც არაფერს უარყოფს: იგი წარმოადგენს მხოლოდ დაყოვნების ფაქტს, სუბიექტის მოქმედების მოცემულ პირობებში შექმნილი განწყობის შეჩერების ფაქტს და სხვას არაფერს“. „ობიექტივაციის ფაქტი ადამიანს იდენტიფიკაციის, ნომინაციის, ლოგიკური აზროვნების შესაძლებლობას უქმნის, მას საშუალებას აძლევს განახორციელოს სწორი, ობიექტურად დასაბუთებული მოქმედება“.

შეინიშნება თუ არა რაიმე სპეციფიკა უშუალო და გაშუალებული განწყობების აღმოცენებაში?

უშუალო განწყობის აღმოცენება საჭიროებს აქტუალური მოთხოვნილების, რეალური ობიექტური სიტუაციისა და ამ ობიექტური სიტუაციის სუბიექტზე ზემოქმედების პირველად ეფექტს. ხოლო გაშუალებული განწყობის აღმოცენებას ის ახასიათებს, რომ „იგი გარდა რომელიმე მოთხოვნილებისა... ისეთი სიტუაციის არსებობას გულისხმობს, რომელიც აზროვნების კატეგორიებით განისაზღვრება — არა აღქმით, როგორც ეს აქტუალურ პლანში მოქმედი განწყობის შემთხვევაში ხდება“ [26, 149].

როგორც ჩანს, განსხვავება ეხება ობიექტურ ფაქტორს, სახელდობრ, რომ ობიექტური ფაქტორი გაშუალებული განწყობის შემთხვევაში იდეური, წარმოსახული სიტუაციაა, ეს „არა ა ქ ტ უ ა ლ უ რ ი, არამედ მხოლოდ ვ ე რ ბ ა ლ უ რ ა დ სტიმულირებული სიტუაციაა“ [26, 147], „ა ზ რ ი თ ი, ს ი ტ ყ ვ ა ში გ ა მ ო თ ქ მ უ ლ ი, წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ს ი ტ უ ა ც ი ა ა“ [26, 148].

როგორია მოთხოვნილების ბუნება გაშუალებული განწყობის შემთხვევაში? დ. უზნაძე აღნიშნავს: „ობიექტივაციის ნიადაგზე აღმოცენებული მოთხოვნილება სრულიად განსხვავებული ხასიათისაა — იგი საკითხს წარმოადგენს, რომელიც შემეცნების პლანში უნდა იქნეს გადაჭრილი — შემეცნებითს, ან უკეთ, თ ე ო რ ი უ ლ პლანში, და არა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ შ ი, როგორც ეს იმპულსური ქცევის შემთხვევაში ხდება ხოლმე. იგი აქტუალური, პრაქტიკული ამოცანის გარეშე, ასე ვთქვათ, მის ზემოთ დგას, და, ცხადია, უშუალოდ მას არ ემსახურება. იგი შეიძლება ითქვას, პირდაპირ საქმის ვითარების გაშუალებას ესწრაფვის, იგი უფრო თ ე ო რ ი უ ლ საკითხს წარმოადგენს, ვიდრე პრაქტიკულს, რომელიც ჩვეულებრივ პირველ პლანში წყდება ხოლმე“ [26, 160].

ავტორის მიხედვით, მოთხოვნილების ორივე რომელობა, ე. ი. „ობიექტივაციის ნიადაგზე აღძრული „შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა“ და ჩვეულებრივი მოთხოვნილება, წარმოადგენს „აქტუალურად მოქმედ მოთხოვნილებას“, ამიტომაა, რომ დ. უზნაძე მიუთითებს: „აქ, ისე როგორც ჩვეულებრივი, იმპულსური ქცევის განვითარების შემთხვევაში, სუბიექტს მოთხოვნილება უჩნდება, რომელიც მონაცემ სიტუაციაში თავის დაკმაყოფილებას ესწრაფვის“ [26,160]. მაშასადამე, „თეორიული მოთხოვნილება“ იგივე „შემეცნებითი მოთხოვნილება“, ისეთივე აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილებაა, როგორიც, მაგალითად, ბიოლოგიური მოთხოვნილება. ისინი ორივენი „ესწრაფვიან მონაცემ სიტუაციაში თავის დაკმაყოფილებას“. მათ შორის განსხვავებას ის ვითარება ქმნის, რომ ისინი სხვადასხვა რომელობის მოთხოვნილებანია, ისეთი მოთხოვნილებითი მდგომარეობანია, რომლებიც მიმართულნი არიან განსხვავებულ საგნებზე: ერთი რეალურ საგანზე, ხოლო მეორე — აზრობრივ საქმის ვითარებაზე, კითხვის გადაწყვეტაზე — რატომ არის ეს ასე?

დ. უზნაძე მიუთითებს მოთხოვნილების კიდევ ერთ რომელობაზე, რომელსაც ის უწოდებს „მეორად, წარმოსახულ მოთხოვნილებას“ [26, 162] და მსჯელობს ისეთი განწყობის თაობაზე, რომელსაც საფუძვლად ედება არააქტუალური, წარმოსახული მოთხოვნილება და არააქტუალური, წარმოსახული სიტუაცია.

რა არის მეორადი, წარმოსახული, არააქტუალური მოთხოვნილება? როგორია ის განწყობა, რომელიც აღმოცენდება წარმოსახული მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციის პირობებში?

აღნიშნულ კითხვებზე, ვფიქრობთ, პასუხს იძლევა დ. უზნაძის შემდეგი მსჯელობა: „ობიექტივაცია მაძლევს მასალას, რომლითაც შემიძლია ვისარგებლო არა აუცილებლად ჩემი აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილების მიხედვით, არამედ ამა თუ იმ ისეთ მოთხოვნილე-

ბებთან დაკავშირებითაც, რომლებიც სხვებს აქვთ, ანდა როდისმე მომავალში შეიძლება მე თვითონაც გამიჩნდეს. იგი ადამიანს აძლევს ძალას განთავისუფლდეს პირადი, უსათუოდ მოცემულ მომენტში მოქმედი მოთხოვნილების ბატონობისაგან და იზრუნოს სხვა ადამიანის, ისევე როგორც თავის საკუთარ მომავალ და შესაძლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი ადამიანად, ჭეშმარიტი მნიშვნელობით, მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც მან ობიექტივაციის უნარზე დამყარებით და ობიექტურის წვდომით საშუალება მიიღო განთავისუფლებულიყო აწმყოსა და პირადის აუცილებელი ბატონობისაგან და თავისი აქტივობა პირადისა და აქტუალურის გარეთ არსებული მოთხოვნებისა და მოთხოვნილებებისათვის დაემორჩილებინა, ე. ი. იგი ადამიანად, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, მხოლოდ მას შემდეგ იქცა, რაც მან შრომის უნარი შეიძინა" [25,308].

დ. უზნაძის მსჯელობაში პირდაპირი მითითებაა იმის შესახებ, რომ არსებობს ისეთი აქტივობა, რომელიც არაა დამოკიდებული „მოცემულ მომენტში მოქმედი მოთხოვნილების ბატონობისაგან". ეს ისეთი აქტივობაა, რომელიც ობიექტურის წვდომით „თავისუფლდება აწმყოსა და პირადის აუცილებელი ბატონობისაგან" და „ზრუნავს ადამიანის... შესაძლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე". რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია იმ „წარმოსახულ, მეორად მოთხოვნილებაზე", რომელიც თავისი არსებობის ფორმით წარმოადგენს ასე რომ ვთქვათ „იდეას" და არა აქტუალურ მოთხოვნილებას.

თუ დ. უზნაძის იმ აზრს გავითვალისწინებთ, რომ სუბიექტს შესწევს ძალა შეაჩეროს არსებული და განწყობით მიმდინარე ქცევა იმ მიზნით, რათა „აქტიურად განსაზღვროს ახალი, მისი მიზნების შესატყვისი განწყობა და მიიღოს ზომები ამ უკანასკნელის რეალიზაციისათვის" და იმასაც, რომ „ამგვარი განწყობის სპეციფიკურ თავისებურებად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ იგი წარმოადგენს სწორედ სუბიექტის აქტიური მოქმედების, გარკვეული მიმართულებით წარმოშობილ ძიებათა პროდუქტს" [25, 316], მაშინ ცხადი გახდება, საქმის რა ვითარებაზე მიგვანიშნებს ავტორი: „ადამიანის აზროვნების მუშაობის პირობებში აქტუალური განწყობა არა გვაქვს და მის ნაცვლად იგულისხმება ისეთი აქტივობის შესატყვისი განწყობა, რომელიც მიზანშეწონილად ითვლება... სუბიექტმა ეს ნაგულისხმევი განწყობა აქტუალურ განწყობად უნდა გადააქციოს"... „თვითონ აზროვნება აქ უძლურია, იგი მხოლოდ იმას განსაზღვრავს, თუ რა უნდა გაკეთდეს, მაგრამ როგორ განხორციელდეს, როგორ გადაიქცეს რეალურად ის, რაც ჯერჯერობით მხოლოდ წარმოსახვით სფეროშია მოცემული, ეს აზროვნების საქმე აღარაა". ამას აკეთებს „ახალი უნა-

რი“ — ნ ე ბ ე ლ ო ბ ა. ეს არის სუბიექტის „ძალა, უნარი განახორციელოს სინამდვილეში ის, რაც ინტელექტს მიზანშეწონილად მიაჩნია“. სწორედ მას შეუძლია წარმოსახული მოქმედების განწყობა აქტუალურ განწყობად გადააქციოს. „ნებელობას აქვს ძალა განაწყოს ადამიანი ისეთი მოქმედებისაკენ, რომელსაც მისთვის არა უშუალო, არამედ შორეული და გაშუალებული მნიშვნელობა აქვს“ [25, 323]. „ნებელობის წყალობით იგი ბოლოს და ბოლოს ახერხებს ისეთი განწყობის აქტუალიზებასა და ამოქმედებას, რომელიც მიზანშეწონილადაა მიჩნეული“ [25,324].

მაშასადამე, დ. უზნაძის თვალსაზრისის მიხედვით, განწყობა შეიძლება აღმოცენდეს: რეალური მოთხოვნილებისა და რეალური სიტუაციის შემთხვევაში, რეალური მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციისა და წარმოსახული მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციის პირობებში. პირველი ორი შემთხვევის პირობებში განწყობის აღმოცენება დამატებით ფაქტორს არ საჭიროებს, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში განწყობის რეალური აღმოცენება-არსებობა დამოკიდებულია ნებისყოფაზე.

საბჭოთა ფსიქოლოგიაში გამოითქვა შეხედულება განწყობისა და მოთხოვნილების იგივეობის შესახებ. გასაანალიზებელია განწყობის აღმოცენებისა და მოთხოვნილების საგნის დიფერენციაცია — კონკრეტიზაციის, მისი გასაგნების შემთხვევები, რაც არასწორი გაგების შემთხვევაში ერთგვარი გაუგებრობის წყაროდ შეიძლება იქცეს.

გ. დილიგენსკი, მაგალითად, თვლის, რომ მყარი, მიმართული მოთხოვნილებანი არსებობენ განწყობის (დისპოზიციის) ფორმით, თითქოსდა ისინი გარდაიქმნებიან ამ უკანასკნელად [44,115]. მაშ, ავტორის მსჯელობაში წამოყენებულია ორი დებულება: განწყობა არის დისპოზიცია და მოთხოვნილება არის განწყობა (დისპოზიცია).

ვფიქრობთ, ავტორის მიერ წამოყენებული დებულებები საქმის ობიექტურ ვითარებას არ ასახავენ. საქმე ისაა, რომ დ. უზნაძის კონცეფციაში განწყობის რაობის დახასიათება დისპოზიციის ნიშნით არ ეხება განწყობის არსებით მომენტს, მის სპეციფიკას, ფუნქციას. დისპოზიცია ფორმალურ-ონტოლოგიური ცნებაა, ის გამოვლენილის — ონტიურის საფუძვლადაა მოაზრებული და არ მიუთითებს შინაარსობრივ რომელობით ასპექტზე. დ. უზნაძის თვალსაზრისის მიხედვით კი, და ეს გარემოებაა არსებითი, განწყობა სწორედ რომ შინაარსობრივ-რომელობითი გარკვეულობაა, რომელიც ამასთან ერთად გარკვეულ შემთხვევაში წარმოადგენს დისპოზიციური ბუნების მქონე რაობას კონკრეტული ქცევის განხორციელების მსვლელობაში.

სწორია მოთხოვნილების მიდრეკილების გამოცხადება დისპოზიციად, მაგრამ მოთხოვნილების ფენომენი თვითონ დისპოზიცია არაა.

ხოლო რაც შეეხება მოთხოვნილების მიდრეკილების (დისპოზიციის) მიჩნევას განწყობად, იმის გამო, რომ განწყობის მიმართაც შეიძლება ვთქვათ, რომ იგი დისპოზიციაა, არაა სწორი შეხედულება, ვინაიდან განწყობა — მთლიან-პიროვნული მზაობა, მოდუსი ქცევისა, ვითარცა მექანიზმი მიზანშეწონილი ქცევის რეალიზაციისა, არაა, რა თქმა უნდა, თვითონ მოთხოვნილების ფენომენი, ანუ კერძოული ფსიქიკური შინაარსი ცნობიერებისა, რომელიც, შესაძლებელია, მოგვევლინოს ქცევის აღმძვრელად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქცევის განხორციელების მექანიზმად. მოთხოვნილების ფსიქიკური მდგომარეობა თავის საგანზე ინტენციით წარმოადგენს სწრაფვას სუბიექტისთვის მოცემულ მომენტში საჭირო, აუცილებელი ნაკლოვანების (დანაკლისის) შევსებისაკენ. განწყობა ის მზაობაა, მექანიზმია, რომელიც ამ სწრაფვას სიტუაციის გათვალისწინების საფუძველზე რეალობად აქცევს, მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ახორციელებს ადეკვატური ქცევის გზით.

ასევე, ვფიქრობთ, განსხვავებულ ვითარებებს უნდა წარმოადგენდნენ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ებ ი ს კ ო ნ კ რ ე ტ ი ზ ა ც ი ა და გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს ა ღ მ ო ც ე ნ ებ ა (მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთდამთხვევის გზით წარმოშობილი გარკვეულობა). მოთხოვნილების დაკონკრეტება ეხება მოთხოვნილების მდგომარეობის ინტენციის საგნის განსაზღვრულობას, მის გამოკვეთას შინაარსობრივად, შესაძლო ობიექტებიდან მოთხოვნილების საგნის დიფერენცირებასა და დაზუსტებას, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, მაგალ., სახელდობრ, ოსურ ლუდს და არა საერთოდ სითხეს ან სხვა მარკის ლუდს. ხოლო განწყობის აღმოცენების შემთხვევაში იგულისხმება დაკონკრეტებული და დიფერენცირებული საგნობრივი მოთხოვნილებითი მდგომარეობის დამთხვევა რეალურ სიტუაციასთან. განწყობაში სიტუაციაა ასახული, რაც მოთხოვნილების საგნის დაუფლების გზაზე მითითებაა. ზოგჯერ ზემოაღნიშნულ განსხვავებულ ვითარებებს ერთი და იგივე ტერმინით აღნიშნავენ. ეს ტერმინია „გასაგნება". როგორც აღინიშნა, გასაგნება, ერთ შემთხვევაში, როგორც მოთხოვნილების საგნის გამოკვეთა და გასაგნება, მეორე შემთხვევაში, როგორც ქცევის განწყობის შექმნა, ერთი და იგივე ფსიქიკური საქმის ვითარება არ უნდა იყოს.

თვითონ დ. უზნაძე მრავალგზის მიუთითებს მოთხოვნილებისა და განწყობის გათიშვის აუცილებლობაზე: „მოთხოვნილება თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ არასდროს არ განსაზღვრავს მისი დაკმაყოფილების აქტივობას: მას სიტუაცია უნდა დაემატოს, რომ სათანადო აქტივობის განწყობა გაჩნდეს, რომლის ნიადაგზეც იშლება ქცევა". „მოთხოვნილება... განწყობად არ იქცევა, ე. ი. მოთხოვნილება თვითონ არაფერს შეიცავს

ისეთს, რომ უშუალოდ ქცევა განსაზღვროს — ის მოთხოვნილებაა და არა განწყობა". „მოთხოვნილებაში არაფერია იმ ქცევისა, რომელსაც მის დასაკმაყოფილებლად მივმართავთ", „მოთხოვნილება მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია განწყობისა და არა თვითონ განწყობა — რომელიმე მისი სახეობა". „მოთხოვნილება თვითონ განწყობა არაა იმთავითვე პრინციპში"*.

საფიქრებელია, რომ ე. წ. საგნობრივი მოთხოვნილება თავისი გარკვეულობით არაა იგივე, რაც განწყობის ფენომენი. თუკი შევადარებთ მოთხოვნილებისა და განწყობის მახასიათებლებს, მათ შორის განსხვავებას დავინახავთ. განწყობა მთლიან-პიროვნული მდგომარეობაა. პიროვნება „თავისებური სტრუქტურული მთლიანობაა" და ამდენად არ შეიძლება იყოს კერძოული ფსიქიკური შინაარსი (ანუ ცნობიერების პროცესი), დიფერენცირებული ფსიქიკური ძალა და უნარი. მოთხოვნილება კი ამ ჭრილში სწორედ ასეთია. ეს უკანასკნელი არაა მთლიანპიროვნული მდგომარეობითი მოდუსი. მოთხოვნილება პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობა კი არის, მაგრამ ის არაა მთლიანპიროვნული მდგომარეობა, როგორც ასეთი. ის ხომ კერძოული ფსიქიკური შინაარსია, რაც იგივე დიფერენცირებულ ფსიქიკურ უნარს წარმოადგენს.

დ. უზნაძე ასევე ლაპარაკობს განწყობაზე როგორც „განწყობით ასახვაზე", რაც იმაზე მიუთითებს, რომ ის პრინციპულად განსხვავდება ფსიქიკური (ჭვრეტით) ასახვისაგან. ხოლო თუკი მოთხოვნილებას განვიხილავთ ასახვის ასპექტში, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ აქ ფსიქიკური ასახვის ფაქტთან გვაქვს საქმე. განწყობა ასევე განსხვავდება მოქმედებითი, ანუ პრაქტიკული ასახვისაგან, ვინაიდან განწყობა „მთლიანობითი ასახვაა", რაც წარმოადგენს „მთლიანი სუბიექტის გარკვეული სიტუაციის შესატყვის პირველად მოდიფიკაციას", რომლის საფუძველზეც პირობისდა მიხედვით აღმოცენდება ან ჭვრეტითი ან მოქმედებითი ასახვები. დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. [19].

20. მოთხოვნილება და პიროვნება

მოთხოვნილებასთან მიმართებაში აუცილებელი ჩანს ადამიანისა და პიროვნების ცნებათა შინაარსის ცხადყოფა, ისევე როგორც პირიქითაც, ვინაიდან ბევრ შემთხვევაში ჩვენშიაც ხდება ხოლმე ადამიანისა და პიროვნების რეალობის ფსიქიკაზე უნაშთოდ დაყვანა, რაც მცდარი თვალსაზრისის გატარების შესაძლებლობას ქმნის ადამიანი-

* დ. უ ზ ნ ა ძ ე, „შენიშვნების რვეული". იხ. 20, IV, 1944 წ.; 24, IV, 1944; 2, XII, 1944, დათარიღებული შენიშვნები. ხელნაწერი ინახება დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, დ. უზნაძის არქივში.

სა და პიროვნების მოთხოვნილების ფაქტთან ურთიერთმიმართების დადგენის საქმეში.

რა არის ადამიანი? რა არის პიროვნება? აი, საკითხები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებენ პასუხს, რომ შემდგომ მათს სტრუქტურაში შესატყვისი, კუთვნილი ადგილი მიეჩინოს, მოენახოს მოთხოვნილების ფსიქიკურ გარკვეულობას.

1) მარქსისტული ფილოსოფიის მეთოდოლოგიური თვალსაზრისი შესაძლებელს ხდის საერთოდ რეალური სინამდვილის კერძოდ კი ადამიანის გარკვეულობის ორი ასპექტით განხილვას: კერძო მეცნიერულისა და ზოგადფილოსოფიურისა. უკანასკნელ ხანს ჩვენში აღნიშნულმა თვალსაზრისმა ფორმალურად მაინც ჰპოვა აღიარება, მაგრამ მასში განსხვავებული შინაარსების გულსხმობის გამო, ზოგ შემთხვევაში, ამ თვალსაზრისის გაუქმებაც კი მივიღეთ.

ამჟამად ჩვენ არ ვეხებით თვითონ ადამიანის ფილოსოფიური შემეცნების ბუნებისა და მისი შესაძლებლობის დასაბუთებას. არ ვჩერდებით არც კერძომეცნიერული შემეცნების მნიშვნელობაზე და ადგილზე ადამიანის რაობის გაგების საქმეში. ეს პრობლემები და პასუხები მასზე მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ვაჩვენოთ, რამდენადაც ამას შევძლებთ, ბუნება „რეალურად არსებული მოქმედი ადამიანისა" (კ. მარქსი), რომ ის არაა ფსიქიკაზე უნაშთოდ დაყვანადი გარკვეულობა; რომ ამით რამდენადმე შევძლოთ წინ აღვუდგეთ იმ მომძლავრებულ ფსიქოლოგიზმის საშიშროებას, რაც ესოდენ ვრცელდება ჩვენშიც და წალეკვით ემუქრება ადამიანის შესახებ მეცნიერულ დისციპლინას — ა დ ა მ ი ა ნ თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა ს (არაფსიქოლოგიურ დისციპლინას).

ვამბობთ, რომ ადამიანის ა რ ს ი ს, რ ა ო ბ ი ს, მისი ა ს ე თ ა დ ყ ო ფ ი ს ძიება ფილოსოფიის კომპეტენციაა. „ადამიანი — რა" ვლინდება სხვადასხვა ინსტანციებთან მის მიმართებაში. ო ნ ტ ო ლ ო გ ი უ რ ი აპირობებს და განსაზღვრავს ო ნ ტ ი უ რ ს. ონტიურზე დაყრდნობით ფილოსოფია ეხება და ეძიებს ადამიანში ონტოლოგიურს.

ყოველი არსებული, როგორც აღინიშნა, შეიძლება განიხილოს როგორც კერძომეცნიერული, ისე ფილოსოფიური თვალსაზრისით. კერძომეცნიერული თვალსაზრისი ობიექტ-ადამიანში მრავალ საკვლევ საგანს პოულობს: ფიზიკურს, ბიოლოგიურს, ფსიქიკურს, სოციოლოგიურს და ა. შ. კერძომეცნიერული კუთხით შემეცნებული ე. წ. შემადგენელი ნაწილები ადამიანისა, რა თქმა უნდა, თ ვ ი თ ო ნ ა დ ა მ ი ა ნ ი ს რ ა ო ბ ა ს, ა რ ს ს მას როგორც მ თ ლ ი ა ნ ე რ თ ს. არ ეხება, ადამიანის რეალობაში არსებული და მიმდინარე პროცესები, მართალია, სპეციფიკურ-ადამიანურია (მაგალითად, ადამიანის ფსიქიკა ორი-

გინალური ფსიქიკაა სხვა ფსიქიკასთან შედარებით, ასევე, ადამიანში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესები განსხვავებულია სხვა ცოცხალ არსებებში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებისაგან; ამ ორიგინალობასა და სპეციფიკურობას ქმნის ის განმსაზღვრელი მთლიანი ერთი, რომლის მიმართაც დასახელებული მომენტები — ფსიქიკა და სიცოცხლე — სტრუქტურული მთელის ნაწილებს წარმოადგენენ), მაგრამ მათი შემეცნება მაინც ისევ ფსიქიკისა და სიცოცხლის შემეცნებაა და არა ადამიანისა, როგორც თავის თავში სავსებით განსაზღვრული გარკვეულობისა.

ისიც ცხადია, რომ ადამიანი, როგორც რეალური ცოცხალი ინდივიდი, არ წარმოადგენს მასში დადასტურებული შემადგენელი ნაწილების უბრალო ჯამს, დაკავშირებას. ადამიანი — რეალური ცოცხალი ინდივიდი მეტია აღნიშნული ნაწილების მექანიკურ შეერთებაზე (ე. წ. „და — კავშირზე", რაც თავის დროზე კარგად აჩვენა გეშტალტ-ფსიქოლოგიამ ფსიქიკის მაგალითზე). ზოგადი დებულება — მთელი მეტია ნაწილების ჯამზე — ძალის მქონეა ადამიანის მიმართაც. ადამიანი სპეციფიკური სინთეზური მთლიანობაა, „მთლიანი ცოცხალი ინდივიდია" (კ. მარქსი) და საკითხი უნდა დადგეს ამ სპეციფიკური მთლიანის შემეცნებისა და მისი შემეცნების ბუნების შესახებაც. მეორე მხრივ, ადამიანის კერძომეცნიერული თვალსაზრისით შემეცნება ამოიწურება თუ არა მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების შემეცნებით? თუ კონკრეტული მთლიანი ადამიანიც (რომელიც შემადგენელი ნაწილების ჯამი არაა) უნდა ექვემდებარებოდეს კერძომეცნიერული თვალსაზრისით განხილვას? სხვაგვარად „რეალურად არსებულ მოქმედ ადამიანში" (კ. მარქსი) რა მომენტს უნდა მიაქციოს ყურადღება ფილოსოფიური ხედვის აქტმა და რას — მეცნიერულმა (არაფილოსოფიურმა) განხილვის წესმა? „რეალურ გრძნობად ადამიანში" (კ. მარქსი) რა არის ფილოსოფიის (ფილოსოფიური ანთროპოლოგიის) საგანი და რა — მეცნიერებისა (ადამიანთმცოდნეობისა)?

ჩვენ ვიზიარებთ შეხედულებას, რომ ფილოსოფიური ანთროპოლოგია არის *გამოყენებითი ფილოსოფია* და, ამ აზრით, ფილოსოფიური დისციპლინა (ადამიანი ერთ-ერთი საგანია ფილოსოფიური განხილვის წესისა და არა ერთადერთი და უპირატესი)*. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს ადამიანის განხილვა ფილოსოფიური ასპექტით (ცნობილი ფილოსოფიური პრობლემატიკის განზომილებით): უნდა დადგინდეს ადამიანის არსი, ანუ გვქონდეს პასუხი კითხვაზე — რა არის ადამიანის რაობა; უნდა გაირკვეს ადამიანთან დაკავშირებული გნოსეოლოგიური საკითხი, ანუ ადამიანის შემეცნების შესაძლებ-

* ვრცლად აღნიშნულ საკითხზე იხ. [11].

ლობა და სპეციფიკა; უნდა ცხადიყოს ადამიანის არსებობის ფორმა, წესი და მისი ადგილი სამყაროსეულ სტრუქტურაში, უნდა ნაჩვენები იქნეს ადამიანის ღირებულებითი ფუნქცია და ა. შ.

ადამიანის შესახებ მსჯელობა ფილოსოფიური ასპექტით არ ემთხვევა და არც გამორიცხავს ადამიანზე მსჯელობას, წარმართულს კერძო მეცნიერული კუთხით. ფილოსოფიური ანთროპოლოგია (ადამიანის შესახებ ფილოსოფია) მარქსისტული ფილოსოფიისათვის არ წარმოადგენს ანთროპოლოგიურ ფილოსოფიას (ფილოსოფიის საგანი არც მხოლოდ ადამიანით ამოიწურება და ადამიანის ფილოსოფიური კუთხით შემეცნება არც სუბიექტივისტურ-ადამიანურია). მეცნიერული, ანუ არაფილოსოფიური შესწავლა ადამიანისა ორი განზომილებით ხდება. ერთია ადამიანური რეალობის შემადგენლობის შემეცნება მისი ანალიზის, დანაწევრების, მასში დადასტურებული შემადგენელი მომენტების გამოყოფისა და მათი ცალ-ცალკე შესწავლის გზით. აღნიშნულს ახორციელებენ კონკრეტული ბუნებისმეტყველური და ჰუმანიტარული მეცნიერებანი (ანატომია, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია* და ა. შ.). ხოლო მეორეა ადამიანის, როგორც „რეალური სუბიექტის", „ნამდვილი ისტორიული ადამიანის" (კ. მარქსი) შემეცნება, რასაც უწოდებენ ადამიანთმცოდნეობას (მეცნიერებას ადამიანის შესახებ) და რომელიც არ წარმოადგენს „რეალური სუბიექტის" ცალკეული მომენტების შესახებ დაგროვილი ცოდნის თავმოყრას, მათ უბრალო დაკავშირებას. ვინაიდან ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა (კ. მარქსი), ადამიანის შესახებ მეცნიერება (ადამიანთმცოდნეობა) სწავლობს ადამიანის კონკრეტულ რეალურ სოციალურ ურთიერთობებს გამოვლენილს სხვადასხვა ქცევებში.

ასე გვესახება ჩვენ ადამიანის განხილვა ორი ასპექტით: ფილოსოფიურით და მეცნიერულით. ადამიანის ფილოსოფიის საპირისპიროა არა ადამიანის ცალკეული მომენტების შემსწავლელი კერძო მეცნიერებანი, არამედ მეცნიერება ადამიანის, როგორც ასეთის, შესახებ (ადამიანთმცოდნეობა).

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ფილოსოფიური ანთროპოლოგია წარმოადგენს ფილოსოფიას იმავე რანგისას, როგორიცაა, მაგალითად, ფილოსოფია ფიზიკურის შესახებ. ადამიანის შესახებ ფილოსოფია განსხვავდება ადამიანის შესახებ მეცნიერების ფილოსოფიისაგან (ისევე, როგორც ფიზიკური რეალობის ფილოსოფიური განხილვა განსხვავდება ფიზიკის — მეცნიერების ფილოსოფიური განხილვისაგან). მაშა-

* ბუნებისმეტყველური დისციპლინა ადამიანური რასების შესახებ.

სადამე, გვაქვს ორი ცნება: ადამიანის ფილოსოფია და ადამიანის შესახებ მეცნიერების ფილოსოფია; მათი შინაარსები განსხვავებულია; პირველი ეხება თვითონ ადამიანის რაობას, მის არსს, ხოლო მეორე — ადამიანთმცოდნეობის რაობას, ამ მეცნიერების ბუნების ცხადყოფას.

2) ერთმანეთისაგან მკაცრად უნდა განსხვავდეს ცნებები: ადამიანი და პიროვნება მათი არსებითი ნიშნების დადგენის საფუძველზე.

ჩვენს ფილოსოფიურ და სამეცნიერო ლიტერატურაში ადამიანისა და პიროვნების რაობის თაობაზე ბევრ შემთხვევაში გამოთქმულია არსებითად ფსიქოლოგისტური თვალსაზრისი. სოციალური და გონითი გარკვეულობანი არამართებულად დაყვანილია ფსიქიკაზე, მათში ფსიქიკისაგან განსხვავებულ რაიმეს ვერ ხედავენ. მეორე მხრივ, ყურადღება არ მახვილდება მთლიანობა-ადამიანში და მთლიანობა-პიროვნებაში ადამიანისეულ და პიროვნებისეულ სპეციფიკურ-ფსიქიკურზე.

სოციალური რომ ფსიქიკის გარეშე არ არსებობს, ასევე, იდეელურ-გონითიც* რომ სოციალური ფსიქიკისაგან დამოუკიდებლად არ ხორციელდება, ეს ვითარება არ გამოდგება არგუმენტად მათი (სოციალურის, გონითისა და ფსიქიკის) გაიგივებისა. ფსიქიკაც არ არსებობს ფიზიოლოგიურისაგან განცალკევებით, მის გარეშე (ფსიქიკა ხომ ტვინის თვისებაა), მაგრამ ამიტომ ფსიქიკა არაა იდენტური ფიზიოლოგიური გარკვეულობისა. სოციალური არის ორგანიზაციის ისეთი დონე, რაც შეპირობებულია განვითარების წინა საფეხურებით (სიცოცხლე, ფსიქიკა); იგივე ითქმის იდეელურ-გონითზე, ისიც აუცილებლობით მოითხოვს განვითარების წინა საფეხურებს (სოციალურს, ფსიქიკას, სიცოცხლეს).

ფსიქიკაც ორგანიზაციის განსხვავებული დონეების სტრუქტურებშიც თავისებურებას ამჟღავნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ ერთი, სოციალურისა და იდეელურ-გონითის განხორციელების ფსიქიკური მექანიზმები სხვადასხვაა. შემდეგ, თვითონ ფსიქიკური პროცესიც ჩართული განსხვავებულ სტრუქტურებში სპეციფიკურობას იძენს. აღქმა ჩართული სიცოცხლისეულ, სოციალურ და იდეელურ-გონით ქცევის აქტებში განცდისეულად სხვადასხვაა. მაგალითად, ვაშლის აღქმა, რომელიც ხმარდება ჭამის, გაყიდვის თუ მისით ტკბობის აქტებს, განსხვავებულად განიცდება; დაბოლოს ჩნდება ფსიქიკის შინაარსის ახა-

---

* ვამბობთ „იდეელურს“ და არა „იდეალურს“, ვინაიდან უკანასკნელ ტერმინს სხვა შინაარსიც აქვს, ესაა სრულყოფილება.

ლი რომელობები (თანაგრძნობა, სირცხვილი, მოწონება და ა. შ.), რასაც, როგორც მიუთითებენ, სოციოგენური წარმოშობა აქვს.

სპეციფიკურ-ადამიანური მოცემულია სოციალურ ფაქტში, ხოლო სპეციფიკურ-პიროვნული იდეელურ-გონითი განზომილებაა. ჩვენთვის რამდენადმე ნაცნობია სოციალური რეალობა, მისი ბუნება. რაც შეეხება გონით განზომილებას, საბჭოთა მეცნიერება ამ ბოლო ხანს იწყებს მისი შინაგანი ბუნების მატერიალისტური თვალსაზრისით რეფლექსიას, რაც არსებითად განსხვავდება გონის ცნების იდეალისტური გაგებისაგან.

იდეელურ-გონითის შინაგანი ბუნება კარგად ჩანს ფსიქიკასთან მის შედარებაში. ფსიქიკაცა და გონიც ცნობიერების შინაარსებია, ისინი უშუალო ცნობიერებისაგან (განცდისაგან) დამოუკიდებლად არც არიან. მაგრამ იდეელურ-გონითი ცნობიერების არაფსიქიკური შინაარსია, წარმოადგენს ცნობიერების ობიექტურ შინაარსს: ლოგიკური, ნორმატული, აქსიოლოგიური (მეცნიერული, ესთეტიკური, ეთიკური), საერთოდ ობიექტურ-ღირებულებითი, არაა ფსიქიკური. ცნობიერების ფსიქიკური შინაარსები, ანუ განცდები გარკვეულ დროში მიმდინარე სუბიექტის კონკრეტული პროცესებია, რომელთა არსებობაცა და მნიშვნელობაც მისი „აქ და ახლა“ განზომილებით ამოიწურება. ფსიქიკა დროში ცვალებადია; განცდა დროის ორ მონაკვეთში იგივეობრივი არაა. აღნიშნულის საპირისპიროდ იდეელურ-გონითი ყოველი შესაძლო ვითარებისათვის იგივეობრივია, იგი მნიშვნელობს ყოველი დროისათვის ერთი შინაარსით. იდეელურ-გონითი რომ დროის ყოველ მომენტში ერთი და იგივეა თავისი მნიშვნელობით, ესაა მისი „ზედროულობა“.

გონი ზუსტი მნიშვნელობით უნდა გაითიშოს იდეელურისაგან. გონითი არის იდეელურის ხორცშესხმული ვითარება, იდეელურის „შებოჭვა“, „ჩაპყრობა“ დროულ-ვრცეულ განზომილებაში. ობიექტური გონი ფიზიკურის სამოსში „გახვეული“ იდეელურია, ხოლო სუბიექტური გონი ფსიქიკური „საშენი მასალით“ ობიექტივირებული იდეელურია. ობიექტური და სუბიექტური ამ შემთხვევაში იდეელურის ფიქსაციის ადგილსა და საშუალებაზე მიუთითებს.

ობიექტური გონი, ანუ კულტურის ფაქტი დროში გამძლეა იმ გაგებით, რომ მისი ფიქსაციის ობიექტური მასალა ასეთი ბუნებისაა. ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს არა თვითონ იდეელური, ე. ი. ობიექტური გონის იდეეურ-ღირებულებითი საზრისი, არამედ მხოლოდ ის ე. წ. „საშენი მასალა“, რომელსაც უკავშირდება იდეელური. საკუთრივ იდეელური მხოლოდ ცნობიერებაში არსებობს. სუბიექტური გონის არსებობა, აღნიშნულისაგან საპირისპიროდ „აქტუალურია“, დროში მას აქვს წყვეტილი და მომენტური არსებობა.

ვინაიდან ფსიქიკური მასალა (ცნობიერების ფსიქიკური შინაარსი) დროის ორ მონაკვეთში იგივეობრივი არაა და მისი არსებობა ცნობიერების (განცდის) განზომილებით ამოიწურება, ამიტომ ვამბობთ, რომ სუბიექტური გონი არსებობის მიხედვით სწრაფწარმავალია. სუბიექტური გონი მეორე პიროვნებისათვის მხოლოდ მაშინ არსებობს, რა მომენტშიაც ის არის „აქ და ახლა" და მას „აკვირდებიან". ამდენად, სუბიექტური გონის არსებობა აუცილებლობით არ გულისხმობს მის „სხვისთვის არსებობას", როგორც ესაა ობიექტური გონის შემთხვევაში. საერთოდ, კულტურის ფაქტის არსებობა უკავშირდება ცნობიერებას, როგორც გენეტურად ისე ინტენციონალურად.

3) პიროვნება ადამიანია, მაგრამ ყოველი ადამიანი პიროვნება არაა. ადამიანისაგან პიროვნებას ქმნის იდეელურ-გონითი განზომილება. პიროვნება იდეელურ-გონითი აქტების ერთობლიობაა (ობიექტურ ღირებულებათა გაცნობიერება და მათ მიხედვით მოქმედებაა).

სტრუქტურული მთლიანობის ასპექტით განხილული ადამიანი და პიროვნება შემდეგ ბუნებას ამჟღავნებენ. ადამიანური არსებობის შინაგანი დანაწევრება სამ ძირითად იერარქიული ფუნქციონალური მომენტის ერთიანობაზე მიუთითებს. ესენია: სხეული-ფსიქიკა-სოციალური. ადამიანური არსებობის დონეზე უმაღლესი ფუნქციაა სოციალური. სხეული და ფსიქიკა სოციალურ ღირებულებათა განხორციელების საშუალებანია. მათი მნიშვნელობა და ღირებულება სოციალური ფუნქციით ფასდება, მათი საზრისი სოციალური ინსტანციითაა შეპირობებული. სოციალურის ფუნქციების საფეხური აუცილებლობით მოითხოვს წინა გენეტური საფეხურის — სხეულისა და ფსიქიკის — არსებობას. სოციალურს მოკლებული სხეულისა და ფსიქიკის ორგანიზაციის დონე უფრო დაბალი — ცხოველური არსებობის დონეა.

პიროვნული რეალობა წარმოადგენს სხეული-ფსიქიკა-სოციალური-გონითი დონეების სტრუქტურულ მთლიანობას. იდეელურ-გონითი პიროვნული სტრუქტურის ცენტრალური და უმაღლესი ფუნქციაა, რომლის განხორციელებასაც ემსახურება სტრუქტურის სხვა დონეები. მაღალ პიროვნებისეულ დონეზე განხორციელებული ქცევა ღირებულება-მნიშვნელობას იძენს სწორედ იდეელურ-გონითის წყალობით. პიროვნების უმაღლესი საფეხური აუცილებლობით მოითხოვს გენეტური წინასაფეხურების არსებობას, ადამიანური საფეხურის დონეს, რაც მისი უშუალო საფუძველია. როცა ვამბობთ, რომ ადამიანი არის შესაძლებლობა, რომ მისგან ავმაღლდეთ პიროვნებამდეო (აღზრდისა და ფორმირების მიზანშეწონილი პროცესის საშუალებით), იგულისხმება ადამიანის ისეთ ორგანიზაციამდე ასვლა, რომელშიც არსებითია უმაღლეს ობიექტურ ღირებულებათა არა მხოლოდ გაცნობიერება-აღქმა, არამედ მათი ხორცშესხმის აქტიურ პროცესში ჩართვა, მათი გან-

ხორციელებისათვის ზრუნვა. ობიექტური გონითი ღირებულებათა რეალიზება პიროვნების აქტივობით, რომელსაც მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა უნდა ეწოდოს, განსხვავდება მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა გ ა ნ, ისეთი აქტივობისაგან, რომელშიაც გამორიცხულია და არ იგულისხმება იდეელურ-გონითის მონაწილეობა.

იდეელურ-გონითის არსებობის ფორმა განსაზღვრავს პიროვნების არსებობის ფორმას. იდეელურ-გონითი მხოლოდ იქ და მაშინ არსებობს, სადაც და როდესაც ის აქტუალობას წარმოადგენს, სხვაგვარი არსებობა მას არ გააჩნია. ადამიანი პიროვნებაა მხოლოდ მაშინ, როცა მისი მოღვაწეობა გაიშლება, ე. ი. იდეელურ-გონითი აქტივობა ხორციელდება. პიროვნება იმდენად არსებობს, რამდენადაც პიროვნული ფუნქცია სრულდება. ასეა ეს ცნების ფუნქციონალური გაგების მიხედვით, რომელსაც, როგორც ცნობილია, კ. მარქსიც იზიარებდა: სახლი მხოლოდ მაშინაა ასეთი, როდესაც მასში ცხოვრობენ.

ლაპარაკობენ პიროვნებაზე როგორც შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ზ ე, რომ ადამიანს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს პიროვნული ფუნქცია და, ამდენად, ეს პიროვნული შესაძლებლობის მქონე ადამიანი უკვე პიროვნებაა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, სანამ შესაძლებლობა რეალობად არ ქცეულა, მანამ პიროვნებაც (როგორც რეალობა) არ არსებობს. თ ვ ი თ ო ნ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა პიროვნული აქტის განხორციელებისა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს ა რ წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს. პიროვნებას, როგორც ჩანს, წყვეტილი არსებობა აქვს. ჩვენი ცნობიერების ერთ-ერთი იდოლაა ის, რომ ვცდილობთ ყველაფერი წარმოვიდგინოთ თავისთავადი, სუბსტანციური (დამოუკიდებელი და უწყვეტი) არსებობის ფორმით; სწორედ აღნიშნულის ტყვეობაში მყოფი ძნელად ვახერხებთ ხოლმე ილუზიიდან თავის დაღწევას: პიროვნებას, ფსიქიკას და ა. შ. სუბსტანციურ არსებობას მივაწერთ ხოლმე, რაც ერთ შემთხვევაში გამოვლენილია ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად მათი არსებობის დაშვებით.

სტრუქტურულ მთლიანობაზე მსჯელობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს სტრუქტური მთელის განხილვის ასპექტებს, მის განივ (ჰორიზონტალურ) და სიღრმისეულ (ვერტიკალურ) ჭრილში მოთავსებას, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას ის დავახასიათოთ ა ღ წ ე რ ი თ ი და ი ს ტ ო რ ი უ ლ ი კუთხეებით. ისტორიული თვალსაზრისით განხილული პიროვნების სტრუქტურა წარმოგვიდგება განვითარების ზეაღმავალ ფენათა ერთმანეთზე დაშენებულ ერთიანობად. ამ შემთხვევაში პიროვნების მთლიანი სტრუქტურა გვეელინება ზედნაშენურ და დაფუძნებულ ერთიანობად. ფსიქიკური ფენა აუცილებლობით გულისხმობს მის უშუალო წინასაფეხურს — სხეულს, სოციალური ფენა — მის ორ წინა საფეხურს: სხეულსა და ფსიქიკას, ხოლო გონითი —

მის სამ საფეხურს: სხეულს, ფსიქიკას, სოციალურს. იდეელურ-გონითის დონის სტრუქტურისათვის იდეელურ-გონითი ის ცენტრია, რომლის მიმართ დანარჩენი სამი ფენა სხვადასხვა რანგის პერიფერიას ქმნის, მაგრამ ცენტრის ფუნქციობისათვის ისინი აუცილებელნი და შეუნაცვლელნი არიან. ყოველი ფენა, თავის მხრივ, ფლობს საკუთარი ფუნქციობის შესაძლებლობას, თავის კანონზომიერებას, რომელიც, გარკვეული აზრით, შეიძლება წარმართული, გამოყენებული იქნეს მასზე მაღალი ფენის მიერ, მაგრამ არა შექმნილი.

ბოლო ხანს სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ტერმინებს: „ანთროპოლოგიური ფსიქოლოგია", „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია", „პიროვნების ფსიქოლოგია", „პიროვნების ფსიქოლოგიური პრობლემა", „პიროვნების ფსიქოლოგიური ცნება" და ა. შ. ხაზი უნდა გაესვას იმ ვითარებას, რომ აქ დასახელებული ტერმინები ბევრ შემთხვევაში არაერთმნიშვნელოვნად არიან მოაზრებულნი და, რაც მთავარია, არასწორად გაგებული, რაც საკითხის მცდარად გაშუქების წყაროდ იქცევიან ხოლმე.

როცა ზემოჩამოთვლილი ცნებები მიუთითებენ შესამეცნებელი ფსიქიკის ადგილსამყოფელზე და რომელობაზე, რომ შემეცნების ობიექტად ცხადდება, სახელდობრ ადამიანის ორიგინალური ფსიქიკა ან მისგან განსხვავებული პიროვნების სპეციფიკური სულიერი ცხოვრება, ამ შემთხვევაში სადავო არაფერია, ცნებების შინაარსები ობიექტურად გადმოსცემენ რეალურ საქმის ვითარებას. სადავო არაა არც ის შინაარსი, რომელიც გულისხმობს მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას: ფსიქიკის ამხსნელად ადამიანისა და პიროვნების გარკვეულობათა გამოყენებას; მაღალი ინსტანციის (ადამიანი, პიროვნება) მოხმარება დაბლის (ფსიქიკის) ფუნქციობის გასარკვევად სწორი მეთოდოლოგიური გზაა, რაც, როგორც ცნობილია, ახსნის საპირისპიროდ გაგებას აძლევს დასაბამს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ზემომითითებული ტერმინები აღნიშნავენ სხვა შინაარსებს, კერძოდ, რომ ადამიანში და პიროვნებაში ფსიქიკისაგან განსხვავებული არაფერია დანახული (პირველნი დაყვანილია უკანასკნელზე), ანდა ფსიქიკით განზრახულია ადამიანისა და პიროვნების სპეციფიკური რაობების ახსნა-გაგება (ე. ი. ფსიქიკის გამოყენება არაფსიქიკის წვდომისათვის) ან ფსიქოლოგიას აკისრებენ პიროვნების ცნების დადგენას — საქმე გვაქვს ცნებათა არამართებულ გაგებასთან.

4) პიროვნების სტრუქტურული ბუნების გათვალისწინება გასაგებს ხდის პიროვნების მოთხოვნილებათა მრავალსახიანობას, პიროვნების ყოველ სტრუქტურულ დონეზე აღმოცენდება სპეციფიკური მო-

თხოვნილება, რომელიც ამ სტრუქტურული დონის ფუნქციობის საქმეს ემსახურება და ეხმარება. პიროვნების სტრუქტურული დონეების მოთხოვნილებანი, რომლებიც ზოგადად ერთიანდებიან მაღალ და დაბალ მოთხოვნილებებად, ასახავენ იმ მთლიანობით და იერარქიულ დამოკიდებულებას, რაც საერთოდ აქვს პიროვნების სტრუქტურას. კ. მარქსი შემთხვევით არ მიუთითებდა, რომ გარკვეული აზრით, ადამიანი შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორ მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა ერთობლიობაო: «Меня определяют и насилуют мои собственные потребности, насилие надо мной совершает не нечто чужое, а лишь моя собственная природа, являющаяся совокупностью потребностей и влечений (иначе говоря, мой интерес, выступающий во всеобщей рефлектированней форме») [9, 192].

ვინაიდან ადამიანი შეიძლება გაგებულ იქნეს, გარკვეული აზრით, მოთხოვნილებათა შინაარსის მიხედვით, როგორც მოთხოვნილების მხრიდან განსაზღვრული, შეგვიძლია ვილაპარაკოთ „ადამიანურ მოთხოვნილებათა სიმდიდრეზე", „მდიდარ ადამიანურ მოთხოვნილებაზე" და ამ ნიშნით მოვახდინოთ ადამიანის ბუნების დახასიათება: „ადამიანის სიმდიდრე მოთხოვნილების უნივერსალობაა" [9, 476]. მდიდარი ადამიანი ესაა ადამიანი, რომელიც საჭიროებს მთელი სისავსით ცხოვრების ადამიანურ გამოვლინებებს [8, 125]. „ინდივიდის ნამდვილი სულიერი სიმდიდრე მთლიანადაა დამოკიდებული მის ნამდვილ ურთიერთობათა სიმდიდრეზე" [4,36]. ნამდვილ ურთიერთობათა სიმდიდრე კი ასახულია მოთხოვნილებებით.

მარქსიზმში ადამიანის არსებობისა და მოთხოვნილების განვითარება წარმოადგენს ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ პროცესს: „რამდენად გახდა ადამიანისათვის ბუნებრივი ადამიანური არსი", ჩანს იმის მიხედვით, თუ „რამდენად გახდა ადამიანის მოთხოვნილება ადამიანურ მოთხოვნილებად" [8.115]. მოთხოვნილება საფუძვლად ედება დიდ შემოქმედებით მიღწევებს: „თუკი საზოგადოებას გაუჩნდება ტექნიკური მოთხოვნილება, მაშინ ის მეცნიერებას წინ სწევს უფრო მეტად, ვიდრე ათეული უნივერსიტეტი" [7,174].

ადამიანი მუდმივ მოქმედებასა და თვითგანხორციელების პროცესშია. ადამიანი, კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმყოფება ქმნადობის აბსოლუტურ მოძრაობაში". ამიტომაც ისტორია წარმოადგენს „ადამიანური ბუნების უწყვეტ ცვლილებას", ადამიანის ბუნების ქმნადობა კი შრომის პროცესს უკავშირდება: „ადამიანური შრომით იქმნება ადამიანი". ეს ვითარება ტოლფასოვანია იმისა, რომ ვთქვათ: „ადამიანი აწარმოებს თავის თავს მთელ თავის მთლიანობაში [9,476].

რამდენადაც საერთოდ ადამიანი უნივერსალური არსებაა არა მხოლოდ საკუთარ თავთან მიმართებაში და მთელი მისი არსობრივი ძალების აქტივობა მოთხოვნილების მონაწილეობას გულისხმობს — „არავის არ შეუძლია გააკეთოს რაიმე, თუ ის არ კეთდება ამასთან ერთად რომელიმე თავისი მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების ორგანოსათვის" [4,245]. — ამდენად, ადამიანური მოღვაწეობის ახსნა და გაგება არსებითად უნდა მოხდეს ცნობიერი მოთხოვნილების საფუძველზე და არა სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით: „ადამიანები მიეჩვივნენ ახსნან საკუთარი მოქმედებები თავიანთი აზროვნებით, ნაცვლად იმისა, რომ ისინი ახსნან თავიანთი მოთხოვნილებებით" [5,493].

5) ადამიანის სტრუქტურაში მოთხოვნილების ადგილის გარკვევას ეძღვნება მრავალი ემპირიული და თეორიული გამოკვლევა. ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ცნობილია თეორიები, რომლებიც ცდილობენ ადამიანის მთელი მოღვაწეობა მოთხოვნილების ფაქტორით გაიგონ. მაგალ., ცნობილ ფსიქოანალიზის თეორიას ადამიანის არსი დაჰყავს სიცოცხლისა და სიკვდილის მოთხოვნილებათა, ანუ ლტოლვების ძალთა თანაფარდობაზე, მათ ურთიერთობაზე; აქედან გამომდინარე, ამ მოთხოვნილებებს ენიჭებათ გადამწყვეტი მნიშვნელობა სულიერ დაავადებათა წარმოშობის საქმეში*.

ამჟამად მოკლედ გადმოვცემთ ერთ-ერთ თეორიას, სადაც ნათლად ჩანს მოთხოვნილების მნიშვნელობა ადამიანურ არსებობაში. ესაა ერიხ ფრომის გახმაურებული თეორია — „ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ორიენტაციის ფსიქოანალიზი".

ე. ფრომი, ცნობილი თეორეტიკოსი პიროვნებისა, რომელიც საკუთარ თვალსაზრისს უწოდებს დიალექტიკურ ჰუმანიზმს, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ადამიანის ბუნების გარკვევისას იმ ვითარებას, რომ თანამედროვე ადამიანი საკუთარ თავს განიცდის იზოლირებულად და მარტოდმარტო; ამის საფუძველი ის გახდა, რომ ადამიანი დაცილდა ბუნებასა და სხვა ადამიანებს. აღნიშნული მდგომარეობა სპეციფიკურ-ადამიანური სიტუაციაა, ასეთი რამ არ ხდება ცხოველთა სამყაროში. მაგალითად, ბავშვი თანდათან თავისუფლდება მშობლებთან თავდაპირველადი დამოკიდებულებისაგან. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ მასში გაჩნდა იზოლირებულობისა და უმწეობის განცდა. ე. ფრომი წამოაყენებს ზოგად დებულებას: რაც მეტ თავისუფლებას აღწევს ადამიანი, ის მით უფრო მარტოდმარტო ხდება. თავისუფლება აღმოჩნდა ის უარყოფითი მდგომარეობა, რომლისგანაც თავდაღწევას ეძიებს ადამიანი.

---

* დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. [17].

რა გზით აღწევს ადამიანი ამ დილემას თავს? ადამიანს შეუძლია ან სიყვარულით და საერთო შრომაში გაერთიანებით ან ავტორიტეტისადმი მორჩილებით და საზოგადოებასთან შეგუებით ნახოს სიმშვიდე. ერთ შემთხვევაში, ადამიანი მოიხმარს თავისუფლებას უკეთესი საზოგადოების შესაქმნელად, მეორე შემთხვევაში, ის ვარდება ახალ მონობაში.

ადამიანის მიერ შექმნილი საზოგადოების ყოველი ფორმა ცდაა იმისა, რომ გადაიჭრას ძირითადი ადამიანური წინააღმდეგობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ერთდროულად ბუნების ნაწილიცაა და მისგან გამოყოფილიც. როგორც ორგანიზმს, მას აქვს ბიოლოგიური მოთხოვნილებანი, ხოლო როგორც ადამიანი, ის ფლობს თვითცნობიერებას, გონებასა და წარმოდგენის უნარებს. ორი ასპექტი Homo sapiens-ისა ერთდროულად იყოს ცხოველიცა და ადამიანიც — ქმნის ადამიანური ეგზისტენციის ძირითად პირობებს. ე. ფრომი მიუთითებს, რომ ადამიანისა და მისი ფსიქიკის გაგება უნდა დაემყაროს ადამიანის მოთხოვნილებათა ანალიზს, რომლებიც წარმოსდგებიან ადამიანის ეგზისტენციის (არსებობის) სპეციფიკურობიდან.

რაა ის მოთხოვნილებები, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანური ეგზისტენციის პირობებიდან? ასეთია ხუთი ჯგუფი მოთხოვნილებებისა: ურთიერთობის, ტრანსცენდენციის, დამკვიდრების, იდენტობისა და ორიენტაციის.

ურთიერთობის მოთხოვნილება წარმოსდგება იმ ფაქტიური ვითარებიდან, რომ ანთროპოგენეზში ადამიანი გამოეთიშა ბუნებასთან თავდაპირველ ცხოველურ ერთიანობას. ბუნებისაგან ცხოველი აღჭურვილია საშუალებებით, რაც მას შესაძლებლობას აძლევს მას შეეგუოს. ადამიანს კი აზროვნებისა და წარმოდგენის ფუნქციების ძალით დაკარგული აქვს ინტიმური ურთიერთობა სამყაროსთან. ბუნებასთან დაკარგული ინსტინქტური კავშირის მაგივრად ადამიანი თავიდანვე უნდა შეეცადოს, შექმნას დამოკიდებულებები მასთან. მას ყველაზე უფრო აკმაყოფილებს ის, რაც ემყარება პროდუქტულ სიყვარულს. აღნიშნული კი მუდამ მოიცავს ასევე ურთიერთზრუნვას, პასუხისმგებლობას, ყურადღებასა და გაგებას.

ტრანსცენდენციისაკენ მისწრაფება საფუძველს იღებს ადამიანის მოთხოვნილებიდან — ამაღლდეს თავის ცხოველურ ბუნებაზე, გახდეს შემოქმედი პერსონი, რომ არ დარჩეს უბრალო შექმნილ არსებად. როცა ადამიანი შემოქმედებით მისწრაფებას ხორცს ვერ ასხამს, მაშინ იგი აგრესიული (დამანგრეველი) ხდება. სიყვარული და სიძულვილი წმინდა ადამიანური ვითარებანია, ისინი ერთმანეთისადმი ანტითეტურნი არ არიან და პასუხობენ მოთხოვნას — ვადაილახოს ცხოველური ბუნება.

დამკვიდრებისაკენ ადამიანის ლტოლვა იმითაა განპირობებული, რომ ადამიანი უნდა იყოს სამყაროს აუცილებელი ნაწილი, ადამიანს სჭირდება მიკუთვნების გრძნობა. ბავშვი დედასთან უმჭიდროესადაა დაკავშირებული. როცა ასეთი დამოკიდებულება გრძელდება ბავშვობის შემდგომაც, მაშინ აქ საქმე გვაქვს არაჯანსაღ ფიქსაციასთან. ინდივიდი ნახულობს დამაკმაყოფილებელ და ჯანსაღ ძირს სხვებთან თანაძმობის გრძნობაში.

პიროვნული იდენტობის გრძნობა აუცილებელი მომენტია ინდივიდისა. ადამიანი უნდა იყოს უნიკალური ინდივიდი. როდესაც მას ამ მიზნის მიღწევა არ შეუძლია საკუთარი შემოქმედებითი საშუალებებით, ის სხვა პიროვნებასთან ან ჯგუფთან იდენტიფიკაციის გზით იძენს გარკვეულ განმასხვავებელ ნიშანს. მონა თავის თავს აიგივებს ბატონთან, მოქალაქე — თავის სახელმწიფოსთან, მოსამსახურე — თავის ფირმასთან. ამ შემთხვევაში აღმოცენებული იდენტობის გრძნობა მიუთითებს იმაზე, რომ გინდა ვინმეს ეკუთვნოდე და არა ვინმე სხვა იყო.

ორიენტაციის ჩარჩოები საჭიროა ადამიანისათვის, რომ მან მყარად და მუდმივად აღიქვას და გაიგოს სამყარო. ორიენტაციის ჩარჩოები, რომელსაც ადამიანი ქმნის, შესაძლებელია თავიდანვე იყოს ან რაციონალური ან ირაციონალური ანდა ორივე ელემენტის შემცველი.

ე. ფრომის გაგებით, ჩამოთვლილი მოთხოვნილებანი წმინდა ადამიანური და ობიექტურია. მათ ვერ ვნახულობთ ცხოველთან და ვერ გამოვიყვანთ ვერც ადამიანურ სურვილებისაგან.

ამ მისწრაფებებს ვერც საზოგადოება წარმოშობს. აღნიშნული მოთხოვნილებები ევოლუციის პროცესში ადამიანის ბუნებას ჩაეწნა. ე. ფრომი ფიქრობს, რომ მოთხოვნილებათა შესატყვისი გამოვლენანი, აქტიური ფორმები, რაშიაც განხორციელებულია ადამიანის შინაგანი შესაძლებლობები, დეტერმინირებულია იმ სოციალური დამოკიდებულებებით, რომელშიაც მას უხდება ცხოვრება. ადამიანის პიროვნება ვითარდება იმ შინაარსების მიხედვით, რასაც მას სთავაზობს სოციალურობა. ადამიანის შეგუება საზოგადოებასთან ჩვეულებრივ წარმოადგენს კომპრომისს შინაგან მოთხოვნილებათა და გარეგან მოთხოვნათა შორის. ადამიანი ავითარებს სოციალურ ხასიათს მაშინ, როცა ის საზოგადოებრივ ერთადცხოვრების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამიტომ, ე. ფრომის მიხედვით, საჭიროა ისეთი საზოგადოების შექმნაზე ფიქრი, რომელიც ადამიანის ძირითად მოთხოვნილებებს მისცემს მაქსიმალური დაკმაყოფილების შესაძლებლობას: უნდა შეიქმნას ადამიანის მოთხოვნილებათა შესატყვისი საზოგადოება. ასეთ საზოგადოებას ის უწოდებს ჰუმანისტურ-კომუნიტერულ სოციალიზმს.

6) ადამიანში მოთხოვნილების განცდა სხვადასხვაგვარია; ამიტომ ამ თვალსაზრისით ლაპარაკობენ მოთხოვნილებათა ორ ძირითად სახეზე: „მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ჩ ვ ე ნ შ ი“ და „ჩ ვ ე ნ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა“. საკითხი ეხება ადამიანში მოთხოვნილების აღმოცენების თავისებურებას, რომლის მიმართაც მოთხოვნილების სუბიექტი გარკვეულ დამოკიდებულებაშია, იგი სუბიექტის მხრიდან ან მოწონებასა და გამართლებას იმსახურებს ან მოწონების გარეშე რჩება, განიცდება მის მიმართ როგორც თავზე მოხვეული და იძულებითი.

„მოთხოვნილება ჩვენში“ გულისხმობს ისეთ ვითარებას, როცა მოთხოვნილება „თავისით, ჩვენი დასტურისა და მოწონების გარეშე ჩნდება და მის დასაკმაყოფილებლად წარმოებულს ჩვენს მოქმედებას ხშირად უსიამოვნო იძულების ელფერს აძლევს. ასეთ მოთხოვნილებაზე ადამიანი ადვილად აიღებდა ხელს და განდევნიდა თავის პიროვნებიდან, ეს რომ მის სურვილზე ყოფილიყო დამოკიდებული. სიამოვნება ამგვარი მოთხოვნილების გამო თავისებურია, არაადეკვატურია: ის ჩნდება, როგორც ამ მოთხოვნილებით გამოწვეული უსიამოვნების აღკვეთის რეფლექსი. მას პოზიტიური შინაარსი არა აქვს“.

ხოლო „ჩვენი მოთხოვნილება“ ისეთია, „რომელსაც ჩვენ მივესალმებით, დასტურსა და გამართლებას ვაძლევთ. ამგვარი მოთხოვნილების გაუქმებას ჩვენ არ შევურიგდებით, მისი დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა როგორც იძულება კი არ განიცდება, არამედ როგორც უდიდესი სიამოვნებით შეფერილი აქტი“ [11, 76—77]*.

მოთხოვნილების ზემოაღნიშნულ სახეებად დაყოფის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ეს დახასიათება ეხება მათი აღმოცენების, გაჩენის მომენტს. მოთხოვნილების აღმოცენების ფაქტში დასტურდება მის მიმართ სუბიექტის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება. მას შემდეგ, რაც მოთხოვნილება უკვე აღმოცენდა, ის პიროვნების სტრუქტურულ მომენტად იქცა და ფუნქციობა დაიწყო, ამ მომენტიდან მისი დახასიათება როგორც დადებითი ან უარყოფითი აღარაა გამართლებული. ყოველნაირი გზით გაჩენილი მოთხოვნილების მდგომარეობა მისწრაფების ვითარებას შეიცავს; საგანთან შეხების მისწრაფება, საგნის მოპოვება, რაც მოთხოვნილების დაკმაყოფილების აქტით მთავრდება, აუცილებლობით დაირთავს თან სიამოვნების მომენტს და, ამდენად, სუბიექტის მხრიდან მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყოველთვის მისაღებია და ყოველგვარ იძულებისა და უსაიამოვნების მომენტს პრინციპულად გამორიცხავს.

სხვა განზომილებაა პიროვნების მხრიდან მოთხოვნილებისადმი

* ანალოგიური თვალსაზრისი აქვს გატარებული მისწრაფებასთან დაკავშირებით ა. ფენდერს. იხ. [112, 115—118].

დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება, მისი შეფასება. სუბიექტი ზოგ თავის მოთხოვნილებას ღირებულებად თვლის და ზოგს არაღირებულად გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური თვალსაზრისის გამო. მაგრამ ყოველი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა არასოდეს არ შეიცავს იძულების უსიამოვნო ელფერს, ესეც სიამოვნებით შეფერილი აქტია. უსიამოვნების მომენტი შეიძლება დაირთოს მოთხოვნილების საგანთან მისვლის გზამ, რაც შეიძლება გაშოწვეული იყოს სხვადასხვა სიძნელით. მაგრამ თვითონ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა რომ მიუღებელი ყოფილიყო მოთხოვნილების სუბიექტისათვის საერთოდ, ის, ჯერ ერთი, არც იქნებოდა ზრუნვა, და შემდეგ, სუბიექტის მიერ არც განხორციელდებოდა.

არ უნდა აირიოს ერთმანეთში იძულებითი ქცევა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვის იძულებითობა (აუცილებლობა). განცდის ასპექტით განხილულნი, ისინი განსხვავებული ფენომენებია. იძულებითი ქცევა სუბიექტის მიერ ყოველთვის არასიმპათიურად განიცდება, უსიამოვნო ელფერს დაიკრავს, ვინაიდან სუბიექტის ინტერესებიდან არ ამოდის, მას ის თავზე ეხვევა გარედან და ამდენად იგი მისთვის უცხოა. ხოლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვის იძულებითობა სხვა გარკვეულობაა: იგი სუბიექტის ინტერესს ეთანხმება, თვითონ მოთხოვნილებითაა წარმართული, ის სუბიექტში გარედან შემოტანილი, ინდიფერენტული ან უცხო რამ არაა.

ტერმინი — „მოთხოვნილება ჩვენში" შეიძლებოდა გვეწოდებინა ბიოლოგიური ბუნების თანშობილ მოთხოვნილებათათვის, ხოლო „ჩვენი მოთხოვნილება" თვითონ პიროვნების ინიციატივითა და აქტიურობით გაჩენილ მოთხოვნილებათათვის, რითაც ამ პიროვნების სოციალური და გონითი სამყაროები იქმნება და ვლინდება.

21. მოთხოვნილება და ღირებულება

ღირებულების საკითხი აქსიოლოგიის სასიცოცხლო პრობლემაა. აქსიოლოგია (ფილოსოფია ღირებულების შესახებ) პრინციპულად სვამს საკითხს ღირებულების რაობის, მისი არსებობის ფორმის, მისი შემეცნების სპეციფიკურობის შესახებ და ა. შ.

ფსიქოლოგია, როგორც ემპირიული მეცნიერება, მეცნიერება ფსიქიკის შესახებ, გარკვეული ასპექტით უკავშირდება ღირებულების თეორიულ პრობლემატიკას. თვითონ ფსიქოლოგიამ, როგორც კერძო მეცნიერებამ, ღირებულების ცნების განმარტება — შინაარსი აქსიოლოგიიდან უნდა აიღოს და გამოიყენოს. თავის მხრივ აქსიოლოგია ღირებულების ფაქტთან ცნობიერებაში დადასტურებული საქმის ვი-

თარებიდან, ფენომენიდან (ე. წ. ღირებულების ცნობიერებიდან, განცდიდან) მიდის. მაშ, ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა დ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს განცდა ორი განსხვავებული რაობაა, გარკვეულობაა.

ფსიქოლოგია უპირველესად ყოვლისა დაინტერესებულია ღირებულების განცდით, ღირებულებით, როგორც მოვლენით. ზოგჯერ ამ ვითარებას აღნიშნავენ სხვა ტერმინითაც, როცა ლაპარაკობენ ე. წ. ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შესახებ საპირისპიროდ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა. სადავო არაა, რომ სუბიექტი რაიმეს განიცდის ღირებულად, მისთვის მისაღებად, სასარგებლოდ, საჭიროდ, ჭეშმარიტად, ლამაზად, ზნეობრივად და ა. შ. მაგრამ ისმის კითხვა: სუბიექტის მიერ ღირებულად განცდილი მოვლენა ნამდვილად, სუბიექტის შეფასებითი პოზიციისაგან დამოუკიდებლადაც ასეთივეა? სუბიექტის მიერ ღირებულად განცდილი მოვლენა ე. წ. ობიექტური ღირებულების გამოთქმაა? პირველი ემთხვევა თუ არა უკანასკნელს?

გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს ტერმინი „ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ს“ ჩვეულებრივ ორი მნიშვნელობის გამოყენებამ. მარქსისტული ფილოსოფიისათვის ღირებულების ო ბ ი ე ქ ტ უ რ ო ბ ა არაა ღირებულების ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ განზომილებაზე მითითება (ობიექტური იდეალიზმი, მაგალ., მ. შელერი, ნ. ჰარტმანი, ლაპარაკობს ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ, ობიექტურად არსებულ ღირებულებათა სამყაროზე, რომელსაც ცნობიერება ასახავს, რომელიც ცნობიერებაში შეიძლება გამოვლინდეს). დიალექტიკური მატერიალიზმისათვის ღირებულება ცნობიერების ისეთი შინაარსია, რომელიც განსაზღვრულია ისტორიულ-სოციალური ფაქტორით და, ამ აზრით, ეს იდეალური ობიექტურია. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ლაპარაკია მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ო ბ ა ზ ე, გარკვეულ ფარგლებში მის ერთმნიშვნელობაზე და არა ცნობიერებისაგან მის დამოუკიდებლად, და ამ აზრით ობიექტურად, არსებობაზე.

თუ ღირებულების არსებობა დამოკიდებულია ცნობიერებაზე (ინდივიდუალური და საზოგადოებრივი), ცნობიერების ინტენციის გარეშე ღირებულებითი ფაქტი ვერ იარსებებს. მაშინ ბუნებრივი ჩანს, რომ უნდა უარიყოს თავისთავადი, საერთოდ ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ღირებულებათა დაშვება. ჭეშმარიტება, მარქსისტული თეორიის მიხედვით, არ არსებობს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, იგი ცნობიერებაში ასახული შინაარსია, მაგრამ მისი მნიშვნელობა არაა დამოკიდებული ცნობიერებისაგან (არც ინდივიდუალურისა და არც საზოგადოებრივისა); იგი ობიექტური სინამდვილის ასახვაა და ობიექტური საქმის ვითარებითაა განპირობებული. უნდა ვიფიქროთ ასევე, რომ ღირებულება ცნობიერების შინაარსია, მაგრამ იგი ჭეშმარიტებისაგან განსხვავებით განპირობებულია ისტორიული სა-

ზოგადოებრივი ცნობიერებით (ლაპარაკია ობიექტურ ღირებულებაზე). საზოგადოებრივ-ისტორიული განპირობებულობით განსხვავდება ღირებულება ჰეშმარიტებისაგან: ჰეშმარიტება განსაზღვრულია ობიექტური სინამდვილით, ხოლო ღირებულება — ისტორიულ-საზოგადოებრივი ფაქტორით, თუმცა ორივე ცნობიერების ობიექტური შინაარსია არსებობის ფორმის მიხედვით..

მართალია, სუბიექტური და ობიექტური ღირებულების აღმოცენების ორივე ფაქტი მოთხოვნილებასთანაა კავშირში (ობიექტური ღირებულება საზოგადოებრივ-ისტორიული მოთხოვნილებითაა განსაზღვრული, ხოლო სუბიექტური ღირებულება — სუბიექტის ან ჯგუფის ინდივიდუალური მოთხოვნილებით), მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხის ანალიზი ფსიქოლოგიური ასპექტის ჩვენებით უნდა ამოიწუროს. კერძოდ, უნდა გაირკვეს, თუ როგორია კონკრეტული კავშირი ე. წ. სუბიექტური ღირებულებისა მოთხოვნილებასთან. განაპირობებს თუ არა საერთოდ ემპირიულად მოთხოვნილება (ინტერესი, საჭიროება და ა. შ.) ღირებულებას და როგორ?

ის, რაც ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მოთხოვნილების ობიექტია, რასაც შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნილება, მას ჩვეულებრივ სუბიექტი ღირებულად განიცდის. ამიტომაა, რომ სუბიექტური ღირებულებანი მრავალფეროვანია და მუდამ ცვალებადი. ისინი მუდამ გარკვეული სიტუაციისდა მიხედვით ჩნდებიან, მათი ე. წ. მოქმედების არე მოთხოვნილების დროში აღმოცენებისა და აღკვეთის მონაკვეთითაა შემოფარგლული. სუბიექტისათვის ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგ., საკვებია ღირებული, მეორეში კი — წიგნის კითხვა ან კიდევ სპორტული ვარჯიში და ა. შ. და ასეა ეს ყოველი ინდივიდისათვის, ვინაიდან რაიმეს ღირებულად ჩათვლა კონკრეტული მოთხოვნილების ფაქტის არსებობითაა პირობადებული და მითივე დასაბუთებული. ამიტომაც ამბობენ, რომ სურვილი (მოთხოვნილება) ის ზამბარაა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს შეფასების მექანიზმიო.

სუბიექტური ღირებულება ფსიქიკური მოვლენაა, იგი აღმოცენდება ინდივიდში, რომელიც მოთხოვნილების სუბიექტადაა ქცეული. მოთხოვნილების საგანი, რის მიმართაც მოთხოვნილების სუბიექტი მოხმარებით დამოკიდებულებაში იმყოფება, იძენს გარკვეული ღირებულებით თვისებას; საგნის ღირებულება იცვლება თვითონ ამ საგნის მოთხოვნილების სიძლიერესთან მიმართებაში. მოთხოვნილების საგანი ჰკარგავს სუბიექტურ ღირებულებას მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ერთად. მიუთითებენ სუბიექტური ღირებულების მოცემულობის ფორმის რაგვარობაზეც, რომ იგი ემოციურ ფორმაში მოცემული გარკვეულობაა, რაც არ ითქმის ობიექტური ღირებულების შესახებ.

ობიექტური ღირებულება საზოგადოებრივი კატეგორიის მოვლენაა, იგი ადამიანს, რომელიც ამ ღირებულების მიხედვით მოქმედებს, საზოგადოებრივ არსებად ხდის და, ამდენად, მას საზოგადოებრივ ღირებულებად აქცევს. სუბიექტური ღირებულება ზოგჯერ ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამოთიშავს, ამ შემთხვევაში მას ობიექტური ღირებულების ხილვის შესაძლებლობას უსპობს და, შესაძლებელია, ის ეგოცენტრულ არსებადაც აქციოს.

ადამიანის აღზრდისა და ფორმირების ინსტიტუტი მიმართულია იქითკენ, რომ ობიექტური ღირებულება სუბიექტის მოთხოვნილების საგნად აქციოს, ობიექტური ღირებულება, გარკვეული აზრით, სუბიექტურ ღირებულებად „გარდაქმნას“: შინაარსის მიხედვით ობიექტური ფორმის მიხედვით სუბიექტურად გახადოს.

საერთოდ, როდესაც ობიექტურ ღირებულებაზე მსჯელობენ (მაგალ., განწყობის) ფსიქოლოგიაში, კერძოდ, ნებისყოფის მიზანთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი ქცევა ობიექტურ ღირებულებაზეა მიმართულიო, მისი მიზანი ყოველთვის ობიექტურ ღირებულებას უკავშირდებაო. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ობიექტური ღირებულებანი ფსიქოლოგიური კვლევის საგანს არ შეადგენს. ფსიქოლოგიას აინტერესებს სუბიექტის დამოკიდებულება მათდამი. ამდენად მნიშვნელობა არ აქვს მიზნის შინაარსი მართლა ატარებს თუ არა თავისთავად ობიექტურ ღირებულებას. მთავარი ისაა, რომ თვითონ ნებისყოფის სუბიექტი დარწმუნებული იყოს, რასაც იგი აკეთებს და ქმნის, უეჭველად ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენდეს.

კ. მარქსი მიუთითებდა: „ღირებულების ზოგადი ცნება წარმოიშობა ადამიანთა გარესინამდვილის იმ საგნებთან დამოკიდებულების ნიადაგზე, რომელიც მათ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს“ [5, 378].

22. მოთხოვნილებათა ფორმირება

საერთოდ აღზრდა-ფორმირების საკითხი განვითარების პრობლემასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. სადაც განვითარებაა, მხოლოდ იქ შეიძლება აღზრდა-ფორმირების მიზნის დასახვა. მოთხოვნილებათა აღზრდა-ფორმირების შესაძლებლობას ადამიანის ინდივიდის განვითარების ფაქტი ქმნის. მეორე მხრივ, აღზრდა-ფორმირების შინაარსი ღირებულების ცნებას გულისხმობს. აღზრდილი და ფორმირებული ობიექტური ღირებულების მქონე უნდა იყოს. მოთხოვნილებანი (ისე როგორც სხვა ფსიქიკური უნარები და თვისებები) არ არსებობენ ადამიანის ინდივიდისაგან დამოუკიდებლად. ამდენად არ შეიძლება მოთხოვნილებათა აღზრდა-ფორმირებაზე ვილაპარაკოთ ადამიანისა-

გან დამოუკიდებლად. მოთხოვნილებები ადამიანში არსებობენ ფსიქიკური თვისებების სახით და მათი განვითარება-ფორმირება ადამიანის ინდივიდის განვითარება-ფორმირებასთან კავშირში უნდა განიხილოს და განხორციელდეს. მოთხოვნილებათა აღზრდა-ფორმირება ადამიანის ფორმირებასაც ნიშნავს. კ. მარქსს ცნობიერების განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად, პირობად მოთხოვნილებათა ზრდა მიაჩნდა [4,30], ხოლო ადამიანის განვითარება სხვა არა არის რა, თუ არა მისი ცნობიერების, შეგნების განვითარება საერთოდ.

ადამიანისა და მისი მოთხოვნილებების აღზრდა-ფორმირება ორმხრივი პროცესია. რა თქმა უნდა, აქ საკითხი არ ისმის საერთოდ ონტოლოგიურ პლანში მოთხოვნილების (თვითდაცვის ან აქტივობის მოთხოვნილებების) მნიშვნელობასა და როლზე ადამიანის ინდივიდის განვითარებაში* და არც უკვე ფორმირებული მოთხოვნილებების ღირებულებით — იერარქიული სტრუქტურის შესახებ. ჩვენ საკითხს ვაყენებით თვითონ მოთხოვნილების ფორმირების შინაარსის რაობაზე (რას ნიშნავს ფორმირებული მოთხოვნილება) და ამ საშუალებებზე, რითაც შესაძლებელია ფორმირებული მოთხოვნილების მიღება (მოთხოვნილების ფორმირება).

ცნობილია, რომ პიროვნების ღირებულებაზე იმის მიხედვით ვმსჯელობთ, თუ როგორია მისი ყოველდღიური ქცევა: რამდენად ემსახურება იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებს. აღზრდის ძირითადი ამოცანა ისეთი პიროვნების აღზრდა-ფორმირებაა, რომელიც ცხოვრებაში საზოგადოების თვალსაზრისით მისაღებ და მოსაწონ ქცევას ახორციელებს. ამიტომაც ამბობენ, რომ „საზოგადოებისათვის პიროვნება არის საქმე, ის, რასაც პიროვნება ქმნის და აკეთებს" [30,93]. ხოლო რასაც შექმნის და გააკეთებს ინდივიდი მოცემულ პირობებში, მთლიანადაა დამოკიდებული მის მოთხოვნილებასა და ნებისყოფაზე. ადამიანის მოთხოვნილებები წარმოადგენენ დიდ ძალას, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს როგორც ცალკე ინდივიდები, ისე საზოგადოება. ასევე, ყველაფერი, რაც ადამიანის მიერაა შექმნილი, მოთხოვნილებისათვისაა გამიზნული და ისევ მოთხოვნილების საფუძველზე აღძრული ქცევის აქტების გზით მოიხმარება. ნებისყოფაც კი მოთხოვნილებებში ნახულობს გამართლებას. იგი ემსახურება საზოგადოებრივი თვალსაზრისით მისაღებ მოთხოვნილებათა ორგანიზაციასა და მისი დაკმაყოფილების საქმეს, წინასწარ ზრუნავს იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პირობებზე, რომელნიც მომავალში აღმოცენდებიან [30,93].

ამიტომაც სრულყოფილი პიროვნების აღზრდის საქმეში ერთ-

* დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. შ. ჩხარტიშვილი [30, 27—36].

ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ძირითადი ადამიანური მოთხოვნილების ორგანიზაცია და ფორმირება თანამედროვე საზოგადოებრივ მოთხოვნათა შესაბამისად. ადამიანურ მოთხოვნილებათა გამომუშავება და საზოგადოებრივ მოთხოვნათა შესატყვისად ფორმირება განსაკუთრებულ ადგილს იკავებს აღზრდის მიზნის სტრუქტურაში. ამიტომ მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ბუნებისა და განვითარების კანონზომიერებათა მეცნიერული შესწავლა დიდი პედაგოგიური ღირებულებისაა. ამიტომაა, რომ, სანამ საფუძვლიანად არ გვეცოდინება ადამიანის მოთხოვნილებათა ძირითადი ფორმების ფსიქოლოგიური ბუნება და მისი ასაკობრივი განვითარების კანონზომიერება, შეუძლებელია, მათი აღზრდისა და ორგანიზაციის საქმე მეცნიერულ ნიადაგზე წავმართოთ [30,94].

მოთხოვნილების შესწავლის პედაგოგიური ღირებულება მარტო იმით არ განისაზღვრება, რომ ის არის აღზრდის ობიექტი, მოთხოვნილება ამავე დროს აღზრდის ძირითად საშუალებასაც წარმოადგენს. მოთხოვნილება მოზარდის ყოველდღიური სასწავლო-საალმზრდელო აქტივობის ორგანიზაციის საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს. სწავლის მოტივები უშუალოდ მოთხოვნილებებს ან მისგან გამომდინარე მოვლენებს წარმოადგენენ. ამიტომაა, რომ პედაგოგიურ საქმიანობაში მიმართავენ საალმზრდელო ღონისძიების დაკავშირებას მოთხოვნილებასთან ან მოთხოვნილებათა კომპლექსთან, რომ ინდივიდმა იგი ხალისით მიიღოს და პედაგოგიური მიზანდასახულობის შესატყვისი აქტივობა ძალდაუტანებლად განახორციელოს. წინაალმდეგ შემთხვევაში ყოველი პედაგოგიური ღონისძიება მოსაბეზრებელ მოვლენად იქცევა და ამის გამო მალე მოზარდი იძულებული გახდება მას ზურგი შეაქციოს. ნებისყოფა, რა მტკიცეც უნდა იყოს იგი, ვერ გაუძლებს სასწავლო-საალმზრდელო აქტივობის მთელ დატვირთვას, თუ მას არ შეეშველა მოთხოვნილება, რომელიც მოზარდის სასწავლო-საალმზრდელო მოქმედებას ბუნებრივი ცხოვრების ხასიათს აძლევს და მას სასიამოვნო მოვლენად აქცევს [30, 94—95].

ამიტომ სასწავლო-საამღზრდელო საქმიანობაში წარმატების მოსაპოვებლად უნდა ვიცოდეთ ინდივიდის ძირითადი მოთხოვნილებათა წრე, რომ მასთან სასწავლო-საალმზდელო ღონისძიებები დაკავშირდეს და ოპტიმალური პედაგოგიური ეფექტი მივიღოთ. აღმზრდელმა ინდივიდის (ჯგუფის, კოლექტივის) წამყვანი სოციოგენური მოთხოვნილებების შინაარსის გათვალისწინებით უნდა მოახერხოს მათთან ობიექტური ღირებულების მიზანდასახული შერწყმა და ამით მათზე ზეგავლენის მიზნის მიღწევა.

დღეს ჩვენი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აქ-

ტუალური ამოცანაა ინდივიდის მოთხოვნილებათა სისტემის აღზრდა-ფორმირების საკითხები. საზოგადოება ინდივიდებისაგან მოითხოვს მათში გონივრული და ჯანსაღი მოთხოვნილებების განვითარებას, რომ საზოგადოებაში პიროვნებები გონივრული და ჯანსაღი მოთხოვნილებებით წარმართავდნენ თავიანთ ცხოვრება-მოღვაწეობას.

ჯანსაღი და გონივრული მოთხოვნილებათა რაობა და მათი ფორმირების საკითხები სცილდება ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების ფარგლებს, იგი შედის საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრობლემატიკის სფეროში; მაგრამ მისი გათვალისწინება ფსიქოლოგიაშიც საჭირო და აუცილებელია.

რას ნიშნავს ჯანსაღი და გონივრული მოთხოვნილება? ჯანსაღ და გონივრულ მოთხოვნილებებში იგულისხმება „მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილებამაც ობიექტურად აუცილებელია, შეესატყვისება ინდივიდისა და საზოგადოების რეალურ შესაძლებლობებს, უნარებს, ინტერესებს და ამასთან ერთად ხელს უწყობს მათ შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას“.

სოციალისტურ საზოგადოებაში გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ვითარებაში ადამიანის მოთხოვნილებანი უნდა გახდნენ ჯანსაღი და გონივრული. ასეთი მოთხოვნილებების აღზრდა განუყოფელია საბჭოთა ადამიანის მორალურ-პოლიტიკური თვისებათა ფორმირებისაგან, რომელიც ხორციელდება მთელი ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესით, საზოგადოების საქმის მთელი მსვლელობით. სოციალისტურ საზოგადოებას გააჩნია დიდი მატერიალური და სულიერი შესაძლებლობები პიროვნების სულ უფრო სრულყოფილი განვითარებისათვის. მაგრამ ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყოველ ადამიანს შეეძლოს აღნიშნული მატერიალური და სულიერი შესაძლებლობების გონივრული გამოყენება. ეს კი საბოლოოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ინტერესები, მოთხოვნილებები აქვს ცალკეულ პიროვნებას. ამიტომაა, რომ ჩვენი პარტიის სოციალური პოლიტიკა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანად სახავს პიროვნების მოთხოვნილებებისა და ინტერესების მიზანმიმართულ ფორმირებას. ჯერ კიდევ კ. მარქსი და ფ. ენგელსი მიუთითებდნენ, რომ ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება მაშინ იქნება ნორმალური, როცა ის შეზღუდული იქნება თვითონ მოთხოვნილებებითო [4,246].

ცნობილია, რომ მოთხოვნილებასა და წარმოებას შორის წინააღმდეგობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ზოგად წანამძღვარს. სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოების განვითარება და სრულყოფა ხდება მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების

მაქსიმალურად დაკმაყოფილების კანონის მიხედვით. სოციალისტურ საზოგადოებაში, როგორც მიუთითებენ, წარმოებასა და ადამიანთა მუდამ მზარდ მოთხოვნილებათა შორის წინააღმდეგობის გადაჭრის ორი პირობა არსებობს. ერთია მოთხოვნილების შინაარსის გათვალისწინება და მისი დაკმაყოფილება წარმოების რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდით. მეორეა საბჭოთა ადამიანში ჯანსაღი და გონივრული მოთხოვნილებების აღზრდა-ფორმირება კომპლექსური ღონისძიებათა გამოყენებით. ჯანსაღი და გონივრული მაშინ გახდება ადამიანის მოთხოვნილება, თუკი ის იქნება შესატყვისი: საზოგადოებრივი წარმოების სუბიექტური შესაძლებლობებისა; ადამიანის შრომის უნარისა და მისი შრომითი შემოსავლისა; პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა განვითარებისა.

ადამიანის აღზრდა-ფორმირების ცნება ნორმატული შინაარსისაა. დასახულია ობიექტური ღირებულების მქონე მიზანი, და აღმზრდელობითი საქმიანობა წარმართულია ამ მიზნის მიხედვით, ამ მიზნის განხორციელებისაკენ.

ზოგი მკვლევარი [41, 28—34] განსხვავებას ჰხედავს აღზრდასა და ფორმირებას შორის. თუკი აღზრდა წარმოადგენს საზოგადოების მიზანმიმართულ ზემოქმედებას ადამიანების ცნობიერებაზე. მათ ზნეჩვეულებაზე, ხასიათის თვისებებზე, ფორმირება უფრო ფართო პროცესია, გარდა იდეოლოგიური ფაქტორებისა მასში იგულისხმება აგრეთვე ადამიანთა ცხოვრების ობიექტური პირობები. ეს ისეთი პროცესია, რომელიც ხდება, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ადამიანთა ცხოვრების წესის ზეგავლენით. მაგრამ ფორმირება ობიექტური სოციალური პირობების ზემოქმედებასთან ერთად გულისხმობს მიზანმიმართულ აღზრდასაც და თვითაღზრდასაც სუბიექტური ფაქტორის მხრიდან. სოციალური გარემოს ცნება მოიცავს ადამიანის ფორმირების ობიექტურ პირობათა ერთობლიობას.

მაგრამ ადამიანის ფორმირება არაა იგივეობრივი ადამიანის სოციალიზაციისა. სოციალიზაცია არის ინდივიდის ზიარების პროცესი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობასთან, მის მიერ იმის აღქმა, რაც აუცილებელია მისთვის საზოგადოებაში ყოფისათვის. მართალია, ადამიანის მიერ კულტურის აღქმა, სოციალურ ქცევათა ნორმების მიღება რეალური პროცესია, რაც ესოდენ აუცილებელია მისი, როგორც პიროვნების, ფორმირებისათვისაც, ისე თვით საზოგადოების ფუნქციობისათვის, მაგრამ სოციალიზაციის ცნება ვერ ამოწურავს პიროვნებისა და სოციალური გარემოს ურთიერთობის მთელ მრავალფეროვნებას; იგი ვიწროა ფორმირების ცნების მოცულობაზე იმიტომ, რომ

ფორმირება ეხება არა მხოლოდ ინდივიდს, არამედ მასებსაც. იგი არაა იგივეობრივი ადამიანთა პასიური შეგუებისა სოციალურ გარემოსთან, არამედ მოიცავს მათ პრაქტიკულ მოღვაწეობასაც, რომლებიც ცვლიან რა სოციალურ გარემოს, მასთან ერთად ცვლიან „თავის საკუთარ ბუნებას“, ავითარებენ „მასში მთვლემარე ძალებს“ (კ. მარქსი). ასევე, ფორმირება ეხება მოზარდების გვერდით უფროსი თაობის გარდაქმნის საქმესაც — გაათავისუფლოს ის ახალი საზოგადოებისათვის უცხო ზნე-ჩვეულებებისაგან.

ПСИХОЛОГИЯ ПОТРЕБНОСТИ

Резюме

В труде дан анализ психологической проблемы потребности, подробно рассмотрены феноменальные и функциональные аспекты процесса потребности. Поскольку марксистская психология видит в факте потребности фундаментальную характеристику активности человека, постольку в изложении значительное место занимает показ сущности потребности, ее качества и отношения (сходство-различие) с другими психическими функциями.

Психологическая природа потребности проявляется в оригинальном акте стремления к интенциональному предмету; потребностное состояние всегда нацелено на объект (предмет). Своеобразие процесса потребности заключается в том, что предметом интенции (направления) потребностного состояния может стать любая определенность (и реальный объект, и идеальное содержание); т. н. «потребностное состояние» и интенциональный предмет этого состояния составляют единую целостную структуру, разграничение которых достигается лишь в сознании.

Понятие потребности автором понимается как родовое понятие, объединяющее следующие качественные ее единицы: влечение, жажда, стремление, интерес, увлечение, хотение и желание; дана феноменальная характеристика названных качеств. Считается необходимым размежевание понятий «потребность» и «нужда», поскольку потребность является психическим содержанием сознания, а нужда — состоянием активности на физиологическом уровне. Исходя из этого, «нужная потребность» и «нужда» представляют собой различные состояния. Так же отличаются друг от друга психический факт потребности и склонность потребности, так как склонность является лишь возможностью активности и диспозицией потребности.

Потребность как оригинальное психическое содержание не сводится ни к органическому ощущению (ощущение голода — одно, а потребность в еде нечто отличное от первого), ни к чувству (чувства неудовольствия и удовольствия сопутствующие качества разных фаз процесса

потребности), ни к воле (переживание «Я должен» отличается от переживания «Я хочу»).

Потребности не могут быть опосредствованными, поскольку направление акта потребности на свой интенциональный предмет всегда непосредственно и поэтому неправомерно говорить об опосредствованной потребности. Опосредствованным может быть лишь процесс овладения предметом потребности, то поведение, при помощи которого достигается добывание и удовлетворение предметом потребности.

В книге особое место отводится анализу принципиальных вопросов, таких, как: потребность и установка, потребность и мотив и т. д. Автор защищает положение, согласно которому мотив является структурным моментом лишь волевого поведения. Установка волевого поведения отличается от установки импульсивного поведения тем, что генезис установки понимается по-разному: установка импульсивного поведения определяется актуальной потребностью, а установка волевого поведения создается волевым актом. Установочное отражение включает в себя ситуацию, а потребность включает в себя лишь цель (предмет).

Ценность тесно связана с потребностью. Объективная ценность предопределена общественной потребностью, а субъективная ценность — актуальной потребностью индивида.

Принципиальное значение имеет положение марксистского мировоззрения о значении потребности в структуре и поведении личности, поскольку тезис — природа человека «является совокупностью потребностей» указывает на принципиальную значимость потребностей в деятельности социального человека; деятельность человека должна быть объяснена и понята посредством потребностей.

В труде значительное место занимает и вопрос о формировании и воспитании потребностей, сущности и значении разумных потребностей. Здесь же дан критический анализ некоторых известных зарубежных психологических теорий потребности (К. Левин, А. Маслоу, Г. Меррей и др.).

გამოყენებული ლიტერატურა

1. მარქსი კ. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953.

2. მარქსი კ. კაპიტალი, ტ. I, თბილისი, 1954.

3. ლენინი ვ. ი. ფილოსოფიური რეფულები, თხზულებანი, ტ. 38, თბილისი, 1963.

4. Маркс К. и Энгельс Ф. Немецкая идеология, соч., т. 3, М., 1955.

5. Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 19, М., 1961.

6. Маркс К. и Энгельс Ф. Диалектика природы, соч, т. 20, М., 1961.

7. Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 39, М., 1966.

8. Маркс К. и Энгельс Ф. Экономическо-философские рукописи, соч., т. 42, М., 1974.

9. Маркс К. и Энгельс Ф. Экономические рукописи 1857—1859 годов, соч., т. 46, часть I, М., 1968.

10. Маркс К. и Энгельс Ф. Экономические рукописи 1857—1859 годов, соч., т. 46, част. II, М., 1969.

11. ბოჭორიშვილი ა. თ. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის თეორიული საფუძვლები, თბილისი, 1976.

12. ბრეგაძე ა. ა. პიროვნების აქტივობა და მოთხოვნილების პრობლემა, „მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის... სერია, 1966, № 6.

13. ბრეგაძე ა. ა. ადამიანის რაობის მარქსისტული გაგებისათვის, თბილისი, 1979.

14. გოგუაძე დ. გ. განწყობის რეალიზაციის ტენდენცია და მისი დაკმაყოფილების პირობები. „ფსიქოლოგია", XVI, თბილისი, 1983.

15. იმედაძე ი. ელ. მოთხოვნილებისა და განწყობის ურთიერთობის საკითხისათვის. „ფსიქოლოგია", XVI, თბილისი, 1983.

16. კაკაბაძე ვ. ლ. მოთხოვნილების ფსიქოლოგიური პრობლემა. „მაცნე", ფილოსოფიის ფსიქოლოგიის... სერია, 1977, № 3.

17. კაკაბაძე ვ. ლ. სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები, თბილისი, 1979.

18. კაკაბაძე ვ. ლ. მოთხოვნილების ცნება დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაში, „მაცნე", ფლოსოფიისა და ფსიქოლოგიის... სერია, 1980, № 4.

19. კაკაბაძე ვ. ლ. „განწყობითი ასახვისა" და „განწყობის ფორმების" ცნებები დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაში, „მაცნე", ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1987, № 4.

20. კაკაბაძე ვ. ლ. მოტივის ცნება დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაში, „ფსიქოლოგია", ტ. XVII, თბილისი, 1986.

21. ნადირაშვილი შ. ა. განწყობის ფსიქოლოგია, ნაწ. I, თბილისი, 1983.

22. ნათაძე რ. გ. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1977.

23. უზნაძე დ. ნ. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. XIX, თბილისი, 1941.

24. უზნაძე დ. ნ. ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. III—IV, თბილისი, 1964.

25. უზნაძე დ. ნ. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები, შრომები, ტ. VI, თბილისი, 1977.

26 უზნაძე დ. ნ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, შრომები, ტ. VI, თბილისი, 1977.

27. ჩხარტიშვილი შ. ნ. ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბილისი, 1958.

28. ჩხარტიშვილი შ. ნ. ნებისყოფა და მისი აღზრდა, თბილისი, 1964.

29. ჩხარტიშვილი შ. ნ. სოციალური პრესტიჟის მოთხოვნილება გარდამავალ ასაკში, „მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის... სერია, 1971, № 3.

30. ჩხარტიშვილი შ. ნ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1974.

31. ხოჯავა ზ. ი. მოთხოვნილების საკითხისათვის საბჭოურ ფსიქოლოგიაში, „ფსიქოლოგია", ტ. X, თბილისი, 1956.

32. ხოჯავა ზ. ი. მოთხოვნილების ცნების საკითხისათვის უცხოურ ფსიქოლოგიაში, „ფსიქოლოგია", ტ. XII, თბილისი, 1960.

33. Амиреджиби Д. Т. К вопросу о взаимоотношении понятий гомеостаза, активности и потребности, — сб.: Проблемы формирования социогенных потребностей, Тбилиси, 1981.

34. Ананьев Б. Г. Ощущение и потребность, Ученые записки ЛГУ, 1957, вып. I, № 244.

35. Бессознательное: природа, функции, методы исследования. Под общей редакцией: Прангишвили А. С., Шерозия А. Е., Бассин Ф. Б., т. I, II, III, Тбилиси, 1978.

36. Божович Л. И. Личность и ее формирование в детском возрасте, М., 1968.

37. Брентано Л. Опыт теории потребностей. Казань, 1921.

38. Веденов А. В. Личность как предмет психологической науки, — «Вопросы психологии», 1956, № 1.

39. Гаран Л. Историко-материалистический подход к проблеме специфически человеческих потребностей, — «Вопросы психологии», 1966, № 3.

40. Гельгорн Э. и Лифборроу Дж. Эмоции, эмоциональные устройства, М., 1966.

41. Глезерман Г. Е. Формирование, воспитание, самовоспитание личности. «Вопросы философии», 1976, № 4.

42. Гоов В. В. Ведущие социогенные потребности в подростковом возрасте. „მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის... სერია, 1978, № 1.

43. Гордон Л. А. Потребности и интересы, «Советская педагогика», 1939, № 8—9.

44. Дилигенский Г. Г. Потребности, личность и общество. «Коммунист», 1975, № 6.

45. Дилигенский Г. Г. Проблемы теории человеческих потребностей. «Вопросы философии», 1977, № 2.

46. Джидарьян И. А. Эстетические потребности, М., 1976.

47. Додонов Б. И. Потребности, отношения и направленность личности, «Вопросы психологии», 1973, № 5.

48. Иванов П. И. Психология, М., 1959.

49. Имедадзе И. В. Потребность и установка, — «Психологический журнал», 1984, т. 5, № 3.

50. Какабадзе В. Л. Теоретические проблемы глубинной психологии, Тбилиси, 1982.

50а. Д. А. Кикнадзе, Система факторов действия и развития личности, Тбилиси, 1982.

51. Колбановский В. Н. О личности как предмете психологической науки, — «Вопросы психологии», 1956, № 3.

52. Колбановский В. Н. Роль потребностей в формировании личности, «Формирование духовных потребностей школьников», Новосибирск, 1966.

53. Коган Л. Н. Духовные потребности и деятельность личности, «Философские науки», 1976, № 1.

54. Кузьмин Е. С. Проблема потребности в свете работ классиков марксизма-ленинизма. Ученые записки ЛГУ, 1959, вып. 16, № 265.

55. Кузьмин Е. С. Некоторые вопросы в изучении проблемы потребностей. Ученые записки ЛГУ, 1960, № 287.

56. Леонтьев А. Н. Проблемы развития психики, М., 1972.

57. Леонтьев А. Н. Деятельность, сознание, личность, М., 1975.

58. Маслоу А. Самоактуализация. «Психология личности», тексты, М., 1982.

59. Мерлин В. С. Лекции по психологии мотивов человека, Пермь, 1971.

60. Мясищев В. Н. Проблема потребности в системе психологии, Ученые записки ЛГУ, 1957, вып. II, № 244.

61. Мясищев В. Н. Проблема отношения и ее место в психологии, — «Вопросы психологии», 1957, № 5.

62. Мясищев В. Н. О потребностях как отношениях человека. Ученые записки ЛГУ, 1959, вып. 16, № 265.

63. Нюттен Ж. Мотивация. «Экспериментальная психология», вып. 5, редакторы-составители П. Фресс и Ж. Пиаже. М., 1975.

64. Перов А. К. Проблема потребностей в психологии. Ученые записки Свердловского пединститута, вып. XIV, 1957.

65. Петелин Б. Я. Мотивация преступного поведения. Механизм преступного поведения, сборник, М., 1981.

66. Платонов К. К. Психология, М., 1964.

67. Полински Д. Общий механизм развития потребностей. Вестник Московского университета, серия VIII, Философия, 1974, № 4.

68. Проблемы формирования социогенных потребностей, т. I, Тбилиси, 1974, т. II, Тбилиси, 1981.

69. Корнилов К. Н. Психология, М., 1948.

70. Пьерон А. Потребность, «Экспериментальная психология», редакторы-составители П. Фресс и Ж. Пиаже, вып. III, М., 1970.

71. Рубинштейн С. Л. Основы общей психологии, М., 1946.
72. Тарасов П. С. Проблема духовной потребности, М., 1979.
73. Теплов Б. М. Психология, М., 1946.
74. Филиппов М. М. Нужда и потребность. Ученые записки Томского госуниверситета им. В. В. Куйбышева, вып. 4, № 70, 1968.
75. Фортунатов Г. А., Петровский А. В. Проблема потребностей в психологии личности, «Вопросы психологии», 1956, № 4.
76. Фресс П. и Пиаже Ж. Экспериментальная психология, вып. V, М., 1975.
77. Чудинова И. М. Основы классификаций потребностей личности. Сб.: «Социогенные проблемы личности», Красноярск, 1973.
78. Чудинова И. М. Теоретические основы проблемы потребностей личности. Красноярск, 1975.
79. Чхартишвили Ш. Н. Место потребности и воли в психологии личности, «Вопросы психологии», 1958, № 2.
80. Шаров Ю. В. Формирование духовных потребностей подрастающего поколения. «Советская педагогика», 1970, № 5.
81. Шаров Ю. В. Вопросы психологии духовных потребностей, Научные труды Новосибирского госпединститута, вып. 47, Новосибирск, 1970.
82. Шеварев П. А. Психология, М., 1946.
83. Шингаров Г. Х. Теория отражения и условный рефлекс, М., 1974
84. Allport G. W. Personality. A psychological interpretation, N. Y 1937.
85. Atkinson J. S. Motives in fantasy, action and society, N. Y. 1958.
86. Brown J. S. The Motivation of behavior, N. Y. 1961.
87. Clapared Ed. Psychologie fonctionnelle, Revue philosophique, 1933.
88. Dilthey W. Die Philosophie des Lebens, Stuttgart, 1961.
89. Dunker K. Experimental modification of children's food preferences through social suggestion. I. abn. soc. Psychol., 33, 1938.
90. Frank J. D. Experimental studies of personal pressure and resistance. J. gen. Psychol., 30, 1944.
91. Freud Sigm. Triebe und Triebschicksale. Ges. W. Bd. X. London, 1949.
92. Freud Sigm. Neue Folge der Vorlesungen. Ges. W. Bd. XV, London, 1949.
93. Gehlen A. Der Mensch. Seine Natur und seine Stellung in der Welt, Bonn, 1950.
94. Hall J. F. Psychology of motivation, Chicago, 1961.
95. Hartshorn H., May M. A. Studies in service and self-control. N. Y. 1929.
96. Heckhausen H. Eine Rahmentheorie zur Motivation in 10 Thesen. Zeitschrift für experimentelle Psychologie, 1963, X, 4.
97. Hull C. L. Essentials of behavior, New-Haven, 1951.
98. Katz D. Zur (Grundlegung einer Bedürfnispsychologie. Zeitschrift für Psychologie, 1933, Bd. 129, H. 4—6.

99. Keller W. Psychologie und Philosophie des Wollens, München—Basel, 1954.

100. Lersch Ph. Aufbau der Person, München, 1962.

101. Lewin K. Vorsatz, Wille und Bedürfnis, Psychologische Forschung, Bd. VII, Berlin, 1926.

102. Lewin K. Zwei Grundtypen von Lebensprozesses, Zeitschrift für Psychologie, 1929, Bd. 113, H. 4—6.

103. Lewin K. Feldtheorie in den Sozialwissenschaften, Ausgewählte theoretische Schriften, Berlin-Stuttgart, 1963.

104. Lippitt R., Wite R. The „social climate" of children's groups. In: (Barker, Kounin and Wright (Eds.), Child behavior and development, N. Y., 1943.

105. Maslow Abraham H. Motivation und Persönlichkeit, Olten, 1978.

106. Mcgrath M. C. A study of the moral development of children. Psychol. Monogr., 32, N 2, 1923.

107. Mc. Clelland D., Atkinson J. W., Clark R. A. The achievement motive, N. Y., 1953.

108. Miller N. E. Journ. of exper. Psychology, 1948, N 38.

109. Murray H. A. Explorations in personality, N. Y., 1938.

110. Nuttin J. Psychoanalyse und Persönlichkeit, Freiburg (Schweiz), 1956.

111. Petermann B. Wesensfragen seelischen Seins. Eine Einführung in das moderne psychologische Denken, Leipzig, 1938.

112. Pfänder A. Phänomenologie des Wollens. Motive und Motivation, München, 1963.

113. Thomae H. Die Bedeutung des Motivationsbegriffes, Handbuch der Psychologie in 12 Bänden, 2. Band, Allgemeine Psych., Göttingen, 1965.

114. Thompson M. M. The effect of discriminatory leadership on the relations between the more and less privilegend subgroups. Unpubl. Ph. D. Dissertationen, University of Yowa.

115. Waring E. B., Dwyer E. M., Junkin E.—Guidance the case of Ronald. Cornell. Bull. Home makers, N 418, 1939.

116. Wright B. A. Altruism in children and the perceived conduck of others. J. abn. soc. Psychol., 37. 1942.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
1. მოთხოვნილების ფენომენი 7
2. მოთხოვნილება და საჭიროება 13
3. მოთხოვნილება და მოთხოვნილების მიდრეკილება 21
4. მოთხოვნილების რომელობები 23
5. მოთხოვნილების იდეა 25
6. მოთხოვნილება და შეგრძნება 26
7. მოთხოვნილება და გრძნობა 29
8. მოთხოვნილება და ნებელობა 32
9. მოთხოვნილების პროცესის ფაზები 34
10. ე. წ. „გაშუალებული მოთხოვნილების" შესახებ 39
11. ე. წ. „კვაზი — მოთხოვნილების" შესახებ 41
12. ე. წ. „ილუზიური მოთხოვნილება" 52
13. მაღალი და დაბალი მოთხოვნილება 57
14. მოთხოვნილების კლასიფიკაცია 59
15. მოთხოვნილებათა ურთიერთდამოკიდებულება 64
16. მოთხოვნილების წარმოშობა და განვითარება 73
17. მოთხოვნილება და მოტივი 82
18. მოთხოვნილება და ქცევა 105
19. მოთხოვნილება და განწყობა 111
20. მოთხოვნილება და პიროვნება 118
21. მოთხოვნილება და ღირებულება 132
22. მოთხოვნილებათა ფორმირება 135
Психология потребности (Резюме) 141
გამოყენებული ლიტერატურა 143

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3803

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ფარქოსაძე
მხატვარი მ. მათიაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი მ. მაისურაძე
გამომშვები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 28.I.88; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.X.88;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 9,5;
პირ. საღ. გატ. 9,75; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,12;
ტირაჟი 1000; შეკვეთა № 309;
ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Виталий Лаврентьевич Какабадзе

ПСИХОЛОГИЯ ПОТРЕБНОСТИ

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1988

გამომცემლობა „მეცნიერება“ უახლოეს ხანში
გამოსცემს შემდეგ წიგნებს:

1. ლ. ცერცვაძე, გენიოსის პრობლემა გერმანულ კლასიკურ ესთეტიკაში.

2. თ. მთიბელაშვილი, კულტურა და სოციალისტური ჰუმანიზმი.